



ჩვენი მწერო

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

3 ოქტომბერი 2014

№ 20 (228)

გია კობახიძის ლირიკა
 ემზარ კვიციანიშვილის ლექსი
 ინგა მილორავა თამარ მიქაძეზე
 ომარ მხეიძე — ანსამბლის არწივი
 ფრიდონ ხალვაშის გუშინდელი დღეები
 იოსებ ქუმბურიძე ამირან გომართელზე
 გურამ ყორანაშვილი საქართველოს ისტორიაზე
 მანანა ტურიაშვილი უშანგი ჩხეიძეზე
 ზურაბ ლავრელაშვილის მოთხრობა
 ცოცხალი მუზეუმის ჩანაწერები
 ჯიმ მორისონის ავტოინტერვიუ
 აკი შიმაზაკის მოთხრობა
 სამი საუკუნის ხსოვნა



შინაარსი

დაუნიწყარი სახელები	2	ელგუჯა თავბერიძე სამი საუკუნის სსოვნა (ფრიდონ ხალვაშის ავტობიოგრაფიული რომანი)
	4	როსტომ ჩხეიძე ძანილი და განყვითილი სიმი (ფრიდონ ხალვაშის გუშინდელი დღეები)
მსპრან-ინტერვიუ	10	უჩა ზაქაშვილი „ეს დროც გავა!“ (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	11	ზურაბ ლავრელაშვილი კინტავრების დაბრუნება
პოეზია	19	გია კობახიძე ***გაქრა მცნება ზღვას ჩაქირული და სხვა ლექსები
პოეტის ერთი ლექსი	23	ემზარ კვიციანიშვილი ჩემი ბიჭი კომპიუტერს მიჯაჭვა
უსხოეთის სსოვრებიდან	24	ჯემ მორისონი ავტობიოგრაფიული
ჩანახატი	26	ნანული კუპატაძე ძართული სუფრა და სულიერება („სტუმარი ღვთისა“)
პროზის გვაგა	27	„ცოცხალი მუხუშის“ ჩანახატი: გარდინური შთაბეჭდილება (ეკა ბუჯიაშვილს ესაუბრება ნინო დოლიძე)
ახალი წიგნები	30	იოსებ ქუმბურიძე ა(ღა)რა არს დაფარული... (ამირან გომარტელის მონოგრაფია „კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა“)
ნარსულის ბილიკაგა	33	გურამ ყორანაშვილი ფასეული სამეცნიერო-პოპულარული ნიგნი საქართველოს ისტორიაზე (ზაზა აბაშიძის, მიხეილ ბახტაძისა და ოთარ ჯანელიძის „საქართველო და ქართველები“)
გზინები პორტრეტისათვის	36	დავით ქელიძე „მჭრინავი ვეფხვი“ და „ანსამბლის არნივი“ (ომარ მხეიძე)
მარადი ხალოვნება	39	მარიამ თავამიშვილი ძარვისფარი იასამანი (ფრედერიკ შოპენის „ბოლერო“)
კრიტიკა	41	ინგა მილორაგა სამყარო, რომელიც შექმნა ნოფელმა და მშვენიერმა „მეშ“ (თამარ მიქაძის მინიატურული პროზა)
კულტურული სსოვრება	44	მალხაზ ივანიძე ორი გზა. ერთი შემოქმედი (გოგი ჩაგელიშვილი)
საორბი	45	„კომპიუტერი ყველაფერს კლავს!“ (გივი გამრეკელს ესაუბრება ბაადურ ჯობავა)
გადი კასისა	46	მანანა ტურიაშვილი მრავალნი არიან ნოდეგულ და მცირედი რჩეულ ანუ როცა გუნავის სიმღერას ნაპროფილება ახშოგან (როსტომ ჩხეიძის მონოგრაფია უშანგი ჩხეიძეზე „გადამწვარი მზე“)
ახალგაზრდაგო. აწ კი თქვენ	49	ირმა ბერიძე პროექტი „მომავლის მწერალი“
ფიქრი და განსჯა	50	ნოდარ გურაბანიძე სამყარო თეატრალის თვალთ
ახალი თარგმანები	56	აკი შიმაზაკი ჰოტარუ
კულტურის სიდავი	70	ფანსები უშორას ნარსულში (ქართულ-ებრაული ურთიერთობანი)
ამ მთისა და იმ გარისა	71	პარიზალი ძალი



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი
გამოვა 17 ოქტომბერს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომაგა თავი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯობაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კვიციანი

გარეკანზე: ნოდარ გურაბანიძე
თამარ ყალიჩავას ფოტოგრაფიული

ე რ თ ი მ ნ ე რ ლ ი ს ო რ ი ნ ი გ ნ ი

ელგუჯა თავბერიძე

სამი საუკუნის ხსოვნა

(ფრიდონ ხალვაშის
ავტობიოგრაფიული რომანი)

ბარე ათი წლის წინანდელი ამბავია. გელათში ვართ. ფრიდონ ხალვაშისა. ბათუმის სადღეგრძელო შეისვა და ქუთაისის დღეგრძელობის ჯერი დადგა. ბატონმა ფრიდონმა თქვა:

— მამაჩემი ნიკოლოზის დროს ქუთაისში სტრაჟნიკად მსახურობდა.

— რომელ წლებში, ბატონო ფრიდონ? — შევბედე და შევეკითხე.

— ზუსტად არ ვიცი, უფრო მეოცეს ჩამოდგომამდე, 900-იანი წლების მერე აჭარაში იყო. ასე რომ, ქუთაისი მამისგანაც მახსოვს, იმას კიდევ სხვებისგან ნათქვამ-გაგონილიც ხომ ესსომებოდა?!

— სამი საუკუნის ხსოვნაა, ბატონო ფრიდონ, დიდებული მასალა ავტობიოგრაფიული რომანისათვის, — არ ვაცალე სადღეგრძელოს თქმა.

მამის გავიგე „ომრი“ თითქმის მზად ყოფილიყო გამოსაცემად და იქიდან მოყოლებული სულ უფრო მიმძაფრდებოდა ინტერესი.

სამი საუკუნის ხსოვნა...

როგორ აირეკლებოდა ეს ამბები რომანში, რამდენად მართლად, შეულამაზებლად გადმოიცემოდა. იქნებოდა ტრაბახი, პანეგირიკი საკუთარი თავისა თუ სიმართლე საკუთარ თავზეც, სხვებზეც...

„ომრი“ ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებაში გამოხრწყინდა, მის ყველაზე შთამბეჭდავ თხზულებად იქცა იმიტომ, რომ სიმართლის ერთგულებით შეიქმნა. ბევრს იქნებ „ომრში“ მოთხრობილი ზოგიერთი ამბავი დაემალა, გადაესხვა ფერებინა, მოერთო, მოეკაზმა და ისე მოეთხრო მკითხველისათვის. ფრიდონ ხალვაშმა გაფერუმარლებულს შიშველი სინამდვილე არჩია.

„ომრი“ მართალი წიგნია, ამბები — ნამდვილი. განლაგებითაც საინტერესოდ მოწოდებული მკითხველისათვის, ძველს ახალი ჩაერთვის ან პირიქით, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, წლები გადის, საქვეყნო ტკივილი იგივე რჩება. ამაზე ქვემოთ.

„პირველი ავტობიოგრაფიით“ დავინყოთ:

„ჩემი კრებულისთვის ბიოგრაფია მომთხოვეს. დაბადების წელი, თვე, დღეც, ზუსტი იყოსო. შინ მეუბნებოდნენ, ოცდაოთხში დიდი ზამთრისა ხარო, მევლუდამ — არა, ზამთრის კი არა, გაზაფხულისა ხარო. გაზაფხული კი უკვე ოცდახუთისა იყო. თვე? რიცხვი?

სოფლის საბჭო ოცდაჩვიდმეტში დაინვა. ობიექტების (ჩაწერის დაეთრები) განადგურდა. ისეც, ბაბაი ზუსტად დაბადების დღეს, იმ დღესვე ჩაანერინებდა?

ნენეს მიუფუქეტი, ჩავუდე თავი კალთაში, — ნევ, როის დევბადე, რა თვეში, რა დღეს, გახსოვს?

— რანდა გითხრა, იცი? თვე? თვე მგონია, მაისია, დღე არ მახსოვს, ისე ტყემალი დაკაკლული იყო. ეს კარქა მაგონდება...

მეც ავიღე და, ავტობიოგრაფიაში, ერთი ყველაზე „მიგდებულ-მიჭიჭყული“ რიცხვი (არავინ ჩემმეტი ისეთ რიცხვში არ დაიბადებოდა-მეთქი, გავიფიქრე) 17 მაისი, ჩავწერე.

და... საოცრება! 1925-ის 17 მაისს მე დავიბადე. 1954 წლის 17 მაისს გარდაიცვალა მამაჩემი, ხოლო 1975-ის 17 მაისს დაიბადა ჩემი ვაჟიშვილი, ზაზა!“

შემთხვევითობით, უფრო ბედისწერის ტვიფრით აღბეჭდილი ამბები მრავლადაა „ომრში“. ხომ საოცარია, დაბადების თარიღის განსაზღვრა ნენეს ნათქვამით, — ტყემალი დაკაკლული იყო, და მერე მომხდარი დაბადება-გარდაცვალების ფაქტით, ის პირველი ზუსტიც რომ არ იყოს, უზუსტესი, უფრო მეტიც, ზენაარისგან ჩაგონებული გგონია.

ფრიდონ ხალვაშის ბიოგრაფიის უცნაურ შემთხვევაა და დამთხვევაზე, ძველი წლების მოვლენებზე, ადამიანებზე ძალიან ბევრს გაიგებს მკითხველი, მაგრამ „ომრი“ უფრო იმ დასრულებული ნოველებითაა ჩემთვის გამორჩეული, ნოველებით, რომლებშიც დიდოსტატურად ხატავს მწერალი ირგვლივ მყოფებს.

ასეთები არაა საძებარი. რამდენიმე გავიხსენოთ და „ნენეი არ გეცოდვება?“-თი დავინყოთ.

მამის გარდაცვალების მერე „ჩვენ ქალაქელობა დაგვემართა“, მწერლის ძმა ცალკე დასახლდა და დედა სულ მართო დარჩა სოფელში. ამ მართობას ნენეი საოცარი ნათქვამით გააქარწყლებს, ისეთით, ყველას რომ გამოადგება მართობის დასაძლევა. თუმცა ჯერ მოყვეთ მოვლენებს.

დადგომია სოფლის გზას, შარაგზიდან მხოლოდ საცალფეხო ბილიკი მიდიოდა თურმე. „თებერვლის მინურულს თოვლები აკალთულიყო. ალაგ-ალაგ, ბოსტან-სანერგებში, ჭაკა-ჭუკებს ყურს მოკრავდი“.

დედის პორტრეტს ისე ხატავს, სხეულში თბილად რომ გაგაჟრიალებს, სახე ხსოვნაში ჩაგეჭყდება:

„ნენე ნალიაქვემ, მკლავზე ნაპობ შეშის ღერებს იწყობდა. სულ ერთი კაკლისხეჭოსხელა ჩანდა. მეორე მაჯა შეხვეული ჰქონდა. დამინახა, შეშა დაუტყვივდა. ძლივია აიმართა. გალიკეული-აფლიკინებული (სიცილ-ტირილით), ნელში მოკაკვული, ჩემკენ მოიწვდა“.

წარმოუდგენელია იმის წარმოდგენა, დედა ერთი კაკლისხეჭოსხელა რომ ჩანდა, არ შეგაერთოს, მერე ის პასაჟიც, შეშის ნაპობები რომ უტყვივა ცალხელმოტეხილს, სიცილ-ტირილით აფლიკინებული შვილისკენ რომ მიინევს, ძალიან ბუნებრივია და ნაღდი, თუმცა ამის მერეა, რაც არი.

დედას შვილის ამბავი ადარდებს, ცოლშვილი დაგანვა, სად გაქ იმდენი ფარა, არჩინო, მე აქ ჭადი მაქო.

ბოხრიკი ძროხა ფლატეზე გადაკიდებულა, ნენე თოკით მწყემსავდა კაი ხანს, არ გაუშვია ხელი, სანამ შეეძლო, სანამ მოტყედებოდა. ხელი მოიტეხა, ძროხა იზარალა.

მერე ფხალობიანა გაუკეთა, ფხალობია თუ უყვარს, იგი მართლა აჭარელიაო, ამას ავტორი გვეუბნება.

მოკლედ, ძროხა დაელუპა, ერთი ცხვარიღა დარჩა, ის და ნენეი.

„მართო ერთი ცხვარი ჰყავდა დედაჩემს ამხანაგად, კიდევო, მეჯლინებოდა, მევლუდას ბუხრის ფუტი ამოდის ჩემთან და ის ფუტიც მემამხანაგებოდა“.

„მეჯლინებოდა“ ხომ კარგია და საუკეთესო, მაგრამ უცებ უფერულდება, იმხელა ეფექტი აქვს ნენეის ნათქვამს:

მეორე შვილის — მეგლუდის — ბუხრის კვამლი ამოდის და ის მემანანაგებაო.

საოცრად მართალია, საოცრად დედობრივი, ნალდი, წრფელი, გულის სკნელიდან ამონაკენესი ბუხრის კვამლის დაამანანაგება.

აი, რა შეუძლია თქვას ქართველმა დედამ, აი, რით უმკლავდება მარტოობას, ჩვენული და ძალიან ქართული ასაკოვან შვილზეც ზრუნვა დედისა. მე რა მიჭირს, შენ ცოლშვილი დაგანვა და რითი არჩენ, ეს მაღარდებსო.

ფინალიც ვნახოთ:

„სექვთან, სადაც ნვებოდა, მიმიყვანა, ძელზე ფისით მიწებებული, გაზეთიდან ამოჭრილი ჩემი ლექსი „შემოდგომაზე გაგვახსენდება“ მანახა.

— შენაც აგერ არ მყავხარ?!“

„გეგელიძური არდადეგები“ ჰქვია ერთ ნოველას. მოსკოვიდან დაბრუნებულს ცოლ-შვილი სოფელში დამხვდა ნასული და მეც იქით გავუტეო, — გვეუბნება ავტორი.

სოფელში მისულს პირველად გოგონები შემოხვევიან. „დედაჩემი (ნენი) ფერმილანისებული, მაგრამ ჩვენი მასთან ყოფნით აყვავილებული, მომეგება ეზოში. ბოსტნიდან ახალმოსული იყო, ქინძ-პიტნის სუნები ამოაქროლა. რძე, ყელი შეოფლოდა. ლეჩაქის ცალი ყური ხელით მოიძრო, მომუჭა და შუბლი, ლოყები მოიმშრალა და მარტო სახით კი არა, მთელი ხმელი, დამსუბუქებული სხეულით მომეყუდა“.

მეუღლის შეხვედრა დასამახსოვრებელი:

„როცა ნენი გამიშვა, თუნთულისკენ გავემართე. ცოცხი არ დაგდო, კაი, ახლა, არ მომეხვიო. ნუ ებლაყუნებო“.

მხოლოდ ლოყა ლოყაზე მიადო და მორჩა, ამაზეც უსაყვედურასავით, გამოსკოვებულხარო.

ჩვენთა ძველთა ზრდილობისა და კდემამოსილების მაგალითი.

მერე ბათუმში ჩამოყვანილ ნენეს უთქვამს:

— ნენი, გამიმხილა ერთხელ, — მე აქ არ გეცოდვები, დილაზე თუ მინას ფეხი არ დავაბიჯე, სული მიწუხდება, წამიყვია ისოვ სოფელში, იქერობაც ცოდვაა და მეც.

კიდევ ბევრი ნოველის გახსენება შეიძლება, მაგრამ თუ ასე გავეყვით, თითქმის ყოველ მეორეზე უნდა შევჩერდეთ, ამიტომ, სჯობს, მწერლის პოზიცია ამოვიკითხოთ, პოზიცია, რომელიც ბევრ ადამიანთან, მრავალნაირ სიტუაციაში, ბოლოსდაბოლოს სხვადასხვა წეს-წყობილებაში უნდა გამეფლავებულყო:

ნაზიმ პიქმეთს უთქვამს — რატომ იცვლით აჭარლები სახელებს, ჩვენ აქაურ გლეხებს ვეუბნებით, ნახეთ, იქ როგორ მშენივრად იწყობენ ცხოვრებას ჩვენები, სახელს თუ შეიცვლით, თურქებისთვის მისაბაძი აღარ იქნებითო.

ფრიდონ ხალვაშს უპასუხნია: კი არ ვიცვლით, ვიბრუნებთ, ძველ სახელებს ვიბრუნებთ; თან გაუფიქრებია, პოეტი კია, კომუნისტისაა, მაგრამ თურქი მაინც თურქიაო.

დეკემბა მიუღია: აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა იმართება და შენც ხარ მონვეულიო.

„ვფიქრობ ე.წ. „დეკადაზე“ — აჭარა ხომ იგივე საქართველოა. ჩვენითვის, ჩვენივე დედაქალაქში — დეკადა? რაღაცა მეუხერხულა, უფრო მოუხდებოდა, უბრალოდ „აჭარის კულტურის დღეები თბილისში“ გვენოდებინა“.

ჩრდილოეთ კავკასიის კურორტზე ვიდაც შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოსულ რუსს თუ სხვა ეროვნების კაცს უთქვამს: „ახ, ადჟარეც ზნაჩიტ და? ადჟარეც ნიკოგდა გრუზინომ ნე ბუდეტ.“



გაგჯავრდი. თქვენ არ იცნობთ ჩვენ ხალხს. ამიტომ ძალიან გთხოვთ, გაჩუმდეთ-მეთქი.

„ახ ვი რეშილი სტატ „გენაცვალე?“ ე.ი. გენაცვალეში ქართველობა იგულისხმა“.

ახლანდელი არ გეგონოს, მკითხველო, გაგანია კომუნისტების დროს ხდებოდა ეს ამბავი, როცა რკინის სალტეები ყველას და ყველაფერს მარწუხებივით შემოჭეროდა.

2006 წელს ჩაუნერია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვჩივი იმაზე, რაც აჭარას დღეს ჭირს, მაგრამ გაზეთს არავინ კითხულობსო: აი, რა ჭირსო.

„თურქებს საყურბნე საკლავები შემოუყვანიათ „აჭარელთათვის“ ჩამოსარიგებლად. ბიჭებს (ბავშვებს) სუნათავენ (წინადაცვეთა), ამაში ათ-ათ დოლარს ჩუქნიან“.

სავალალო რეალობა დღევანდლობისა, როცა მრავალსაუკუნოვანი მტერი იარაღით

კი არა, ფულით არჯულებს და იმისიანებს ქართველობას.

„ომრი“ ძალიან ხშირად, ხანდახან კვილამდე მისული გრძობითაა ნათქვამი ამ ტკივილზე, თუმცა ხშირად იმასაც გვეუბნება, აჩქარება რომ არაფერს გვარგებს, პირიქით, საშვილთაშვილო საქმეს ნახადენს, დინჯი, მოფიქრებული, წინასწარ მოსაზრებული მიდგომით წარმოედგინა ფრიდონ ხალვაშს შველა ამ უბედურებისათვის.

არც იმას მალავს:

„მთელი სამი საუკუნის მანძილზე ჩვენ, აქაურებს (ალბათ, ყველა გამუსლიმანებულ ჩვენებურს. იქაც, დღესაც ხომ ასეა...) თავის ქართველად წარმოდგენა არ შეგვეძლო. ქართველი ვარ! — ეს ხმამალა, მხოლოდ საბჭოთა სკოლაში გვათქმევინეს აქაურებს“.

ესეც სავალალო რეალობაა.

მამაჩემი ხანდახან ზოგიერთ ადგილს „ნაქართლს“ ეძახდა, — წერს ერთგან — ნაქართლი, ე.ი. ქართველთა ყოფილი სამყოფელი, მათი ადრინდელი ნაცხოვრები ადგილი, ასეთი სიტყვაც გაჩნდა — გადამქართულდა, გადამავინყდა, გადამეკარგა.

ჩემს ქართველობასავითო.

ავტობიოგრაფიულ რომანს ამბები უხდება. „ომრი“ ამბებითაა დახუნძლული, თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ავტორი ვის არ შეხვედრია, თითქმის ყველა კონტინენტი ჰქონდა მოვლილი, შინაარსიანი ცხოვრებით იცხოვრა, ბევრი ტკბილი, ბევრიც მწარე აგემა წუთისოფელმა.

გალაკტიონსა და გოგლასთან შეხვედრა გავიხსენოთ

„ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ რომ გამოსცა გალაკტიონმა, პირველად მაშინ შევხვდიო, მერე მწერალთა კავშირში, მაგრამ რალას მიცნობდა, არც გამოვცნაურებივარო. ახალგაზრდები დასდევდნენ, სურათებს იღებდნენ.

გალაკტიონი ასულა მეორე სართულზე, მიუვლია, მოუვლია იქაურობა, სიმონ ჩიქოვანის კაბინეტში შეუხედავს, უნდოდა, რაღაც დაევალებინათ, მაგრამ მისალმების გარდა არაფერს ეუბნებოდნენ, „არც თხოვდნენ, არც ავალებდნენ, არც ეკითხებოდნენ არაფერსო“.

ადამიანის განადგურების ერთი კომუნისტური მეთოდი ასეთი გახლდათ, არაფრად ჩაგდება, რის შემდეგაც თვითონვე ღიზიანდებოდა, ნერვიული ხდებოდა, ნადგურდებოდა. ასეთი აძლევდათ ხელს სწორედ.

გალაკტიონს 1951 წელსაც შეხვედრია, უფრო სწორად, მასთან შეხვედრას უძღვებოდა თურმე. შუა საუბრისას ტრიბუნა დაუტოვებია მგოსანს და ძლივს მოუბრუნებია, მერე თბილისამდე ერთად უმგზავრიათ და მაშინ უთქვამს გალაკტიონს

ხალვაშის გვარის ქალზე საინტერესო ამბავი, რომელიც მართლაც უნდა იყოს ამ ორსტრიქონდში არეკლილი: „ახლა ინყება ნიფის გვირაბი, თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ“.

გოგლასთან ბოლო შეხვედრა საოცრად შთამბეჭდავია. „მძიმედ გაილო კარი. მივესალმე. ქალბატონმა მიცნო, მაგრამ ჩურჩულით ამისხნა, მძიმედაა, დღეს არავის ნახვის სურვილი არა აქვსო. რალა უნდა მეთქვა. ვთხოვე მხოლოდ, მე ფრიდონ ხალვაში ვიყავი, ნახვა მინდოდა, მეტი არაფერი-მეთქი. და მიგზრუნდი უკან. ამ დროს, ვიდრე კარი მიიხურებოდა, გაისმა მისი დაბეჭილი ხმა, — ვინაა, მომიყვანეთო! შევატყვე, ჩემი ხმა იცნო. კაიხანს ვიჯექი სანოლთან. მერე დაუძახა და ტაბურეტზე პატარა სუფრა გაანყობინა. ბოლო ღვინო ორი ჭიქით დაადგმევინა. ინდაურის ბარკალიც გამოიტანეს, ხაჭაპურიც. ისე, როგორც თავად იცოდა. აივსო სასმური, მაგრამ წვეთიც არ შეუსვამს, მე ასე მითხრა, — შენ

საქართველოსი ვალი გაქვსო. ასობით წელი სადღეგრძელო არ დავიღვევია, ახლა ბევრი გაქვს სათქმელიო. ლოგინში მხოლოდ, თავადაც ამბობდა, მაგრამ არ სვამდა. შენ ბედნიერი მისია გაკისრია, დედასამშობლოსთან დაბრუნებული შენი უტკბილესი აჭარის ჯერუთქმელი სიტყვა რომ დედასაქართველოს დაუბრუნო“.

ფრიდონ ხალვაშმა მართლაც ბევრი სიტყვა დაუბრუნა დედა სამშობლოს. ავტობიოგრაფიულ რომანში მარტო მწერალს არ შეიცნობს მკითხველი, ქვეყნის ჭირზე მოდარდე ერისკაცი იხედება თითოეული სტრიქონიდან.

ამ ერისკაცს სამი საუკუნის ამბები ახსოვდა, მამის ნათქვამი, რომელსაც მისი წინაპრის ნათქვამ-გაგონილიც დაეხსომებინა, კიდევ სხვათა მონათხრობიც არ დავინყნოდა და ყველაფერი „ომრში“ გახმინდა.

გახმინდა დიდებულად.

როსტომ ჩხეიძე

ქახილი და განყვეტილი სიმი

(ფრიდონ ხალვაშის ბუშინდელი დღეები)

„ლიტერატურული გაზეთის“ ახალ ნომერს რომ გაეცნობოდა ფრიდონ ხალვაში, 2009 წლის 7 აპრილის დღიურში ჩანინიწავდა ზოგად შთაბეჭდილებას, საკმაოდ მწვავედ გამოთქმულს:

— გაზეთი უფერულია. გრილი, უსიცოცხლო. არასანდო, უმნიფარი ავტორები უსაშველო გრძელი წერილებით საკუთარს ნიმუშად თუ ჭკუისმასწავლებლად გვთავაზობენ.

ასეთი გალიზიანების მიზეზიც იქვეა გამჟღავნებული, გამოწვეული ივანე ამირხანაშვილის კრიტიკული სტატიით პოეტებსა და პოეზიაზე — „არა ჰქმნა თავისა შენისაგან ლექსი“, ერთბაშად ბევრს რომ გაანაწყენებდა და კიდევ მოჰყვებოდა არაჯანსაღი აჟიოტაჟიც და ცხარე გამოხმაურებანიც ამავე გაზეთის ფურცლებზე: გივი აღზაზიშვილისა და ანდრო ბუაჩიძის. მოგვიანებით მამუკა ნიკლაურიც ნაკრავდა ყისტს ერთ ინტერვიუში.

ფრიდონ ხალვაშს მხოლოდ თავისთვის ჩაენიშნა ორიოდ სტრიქონი, ხელშესახებად რომ აირეკლავდა მის გულისწყრომას:

— არ ეკადრება არათუ მას, — არავის, ასეთი გულით, ნიხლისკვრით და აგდებულად ქართულ ლექსზე საუბარი. კარგი, — რალა დავმალე, მე ნაწყენი ვარ ძალიან. განქიქებულთა შორის არც „პატრიოტულში“, არც კლასიკურ-ტრადიციულში, არსად, ჩემი ხსენებაც არაა.

იმ დილით მასთან სტამბოლიდან დაერეკა ოსმან მარჯანს (ანუ: ოთარ იმედაშვილს), თურქულ-ქართული ჟურნალის „ჩვენებურები“ (იქაური ჩვენებურებისათვის გამიზნულს) რედაქტორს და ეთქვა: ეგ წერილი ჩემს ჟურნალში მინდოდა დასაბეჭდადო.

ისე, ჩუმად მითხარიო, — ამასაც დასძენდა, — აჭარაში მყოფ ლექსის კაცებს ქართველებში არ მოგიხსენიებენ თუ უბრალოდ კალანდიების გვერდითაც აღარ ხართო?!

რალაც იმნაირებს ეტყოდა, ფრიდონი კიდევ გაბრაზებოდა, თუმც თვითონაც ვერ გაარკვევდა, თუ ვისზე.

ოსმან მარჯანი იმასაც დაუბეჯითებდა: „მემლექეთზე“ პატრიოტული რა ლექსი უნდაო!..

ფრიდონ ხალვაშს არ დაავიწყდებოდა, მის ავტობიოგრაფიულ რომანზე „ომრი“ ივანე ამირხანაშვილს კარგი და საქებარი სიტყვები რომ ეთქვა, მაგრამ... ეს სტატია მაინც რა უცნაურად გახიურულიყო მათ კეთილ ურთიერთობას შორის.

— პოეტებს ქებით არავის აქებს, კრიტიკულ რკალში ყავს. მწარედ მენიშნა ზარი გადაღმერთიდან, ყურადსაღები და დამაფიქრებელი ბევრი რამაა ამაში.

უბის წიგნაკის ჩანაწერი უამრავი დაგროვებოდა, და კიდევ უფრო ბევრიც იქნებოდა, საკუთარი ხელით რომ არ გაენადგურებინა პირველი თექვსმეტი წლის დღიური — 1947-დან 1963-მდე, რასაც ეს ფრაზა ადასტურებდა: დანარჩენი ამოვხიე და დავწვიო. თუმც რაც ვეღარ გაემეტებინა, იმდენი მასალა მოიყრიდა თავს, ვერ ჩაეტეოდა „ინტელექტის“ სერიის — „ჩანაწერები“ — მკაცრად განსაზღვრულ ფორმატში, და გამოიცემოდა როგორც ერთგვარი ჭაშნიკი, სრული გამოცემის წინამორბედი.

საერთო სათაური თვითონვე შეერჩია დღიურის ჩანაწერებისათვის: „გუშინ“.

ასე მოხდებოდა ჯერ კიდევ იმ შორეულ 1947 წელს, იმ გამეტებული ფურცლების სახელწოდებად, და — დღიურისაგან განსხვავებით სათაური კი დაენანებოდა გასაქრობად და ახალ ციკლში გადმოიტანდა, საგანგებოდ რომ აღნიშნავდა 1963 წლის 22 ოქტომბრის დღიურში:

— ამ სტრიქონებს დავარქვი „გუშინ“. ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ. კარგია. ახლაც გამომადგება. მით უმეტეს, ახლა მხოლოდ დილ-დილობას ვწერ. ე.ი. გუშინდელს.

არადა, როგორი დღე გათენებოდა — გარეთ კვლავაც საზიზღრობა, საშინელი რიგი პურისათვის, რის გამოც მესამე დღეა პური არ აელო.

ფრიდონ ხალვაშის ამ ჩანაწერების მომზადებას გამოსაცემად, რედაქტორობასა და წინასიტყვაობის დაწერას ოჯახიც და გამომცემლობაც... ივანე ამირხანაშვილს მიანდობდა. მის და მხოლოდ მის ნებაზე გახლდათ, რომელ ფურცლებს დატოვებდა სერიის თაოსანთა მიერ მკაცრად განსაზღვრული გვერდების რაოდენობის გარეთ. და იგი ყოველმხრივ ეცდებოდა, ისეთ ჩანაწერებს შელეოდა, რაც სხვებთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი მოჩანდა ავტორი სულიერ განცდათა წარმოსაჩენად თუ სალიტერატურო მდინარებისათვის. იხელმძღვანელებდა მიუკერძოებლობის თვალთახედვით და... თავისი სტატიის განმარტებელ ჩანაწერს სათანადო ადგილს მიუჩენდა ამ საჭაშნიკო კრე-

ბულშიცი, რაკილა ის ფრიდონ ხალვაშის იმ-
ნამიერ განწყობილებასაც, გულსტიკვილ-
საც გამოხატავდა და სამწერლო პროცეს-
საც ეხმარებოდა, ანუ გარკვეული ვნება-
თაღვლის მონაწილე ხდებოდა.

რედაქტორის, გამომცემლის მოვალეო-
ბა სწორედ ესაა?

რასაკვირველია, მაგრამ... თითო-ორო-
ლა ადამიანსლა შერჩენია მოვალეობის ეს
განცდა, ეს ზნეობრივი მოთხოვნილება, რაც
ჩვეული რამ გახლავთ ივანე ამირხანაშვი-
ლისათვის და ვერც ამჯერად მოიქცეოდა
სხვაგვარად, და წინასიტყვაობასაც ისეთს
დაურთავდა, მწერლის სულიერი პორტრე-
ტის საგულისხმო შტრიხებზეც რომ მიგვა-
ნიშნებდა და დღიურის ჟანრის თავისებურე-
ბასაც მოკლედ და ტევადად წარმოაჩენდა.

რატომ წერენ დღიურებს?

რედაქტორი საყოველთაო თვალსაზ-
რის დახვეწილი ფორმით მოგვანვდიდა („... ეს არის ხასია-
თი, სულიერი მდგომარეობა, სულიერი მოთხოვნილება,
რომლის მიზანია ყოველდღიურობისაგან თავის დაღწევა,
შეჩერებული წამის შენახვა, მარადისობასთან თამაში“), რა-
თა ორიგინალური და ეფექტური შედარებისთვისაც მიეგნო,
დღიურს... ჰერბარიუმთან რომ გააიგივებდა, დღეებს კი —
მონყვეტილ ყვავილებთან, დაბეჯითებით რომ არც იცი, შენ-
თვის არის თუ სხვისთვის, ოღონდ ერთ რამეში კი ეჭვი არ
გეპარება: აუცილებელია ამ მოვლენების, ფაქტების, აზრე-
ბისა და საგნების შენახვა.

აგერ ის უცნაური, პოეტისა თუ პოეტური ბუნების პი-
როვნებისთვის კი სავსებით ბუნებრივი აქტი: 1947 წლის
უბის წიგნაკში პეპელა რომ ჩაუდევს ფრიდონ ხალვაშს, უფ-
რო ზუსტად, მასთან ერთად ქალსაც — სიყვარულის ნიშნად,
პანანინა, სიფრიფანა ფრთების ნაშთილა რომ შემორჩებოდა.
და სავსებით იზიარებ წინასიტყვაობის ავტორის აღტაცებას:
მართლაც რაოდენ ცოცხალია და რაოდენ შთამბეჭდავი.

და დღიურის ეგზისტენციურ არსსაც აქედან და სწორედ
აქედან რომ გახსნიდა, ამ საყრდენებზე ამოზრდილს: სიტყ-
ვა, საგანი და ემოცია.

ფრიდონ ხალვაშის დღიურების მთავარ თემებად მაინც
რა გამოკვეთილა?


ივანე ამირხანაშვილი სულხან-საბა ორბელიანის ცნობი-
ლი იგავის კვალობაზე სამ ორიენტირს მონიშნავდა: ადამიან-
ი, ზნეობა და სამშობლო.

და ვიდრე ამ ჩანაწერების თავისებურებას შეაფასებდა,
ჯერ მწერლის შემოქმედებით ნატურას წარმოსახავდა, ნა-
ტურას კაცისა, ვინც ენის სტიქიაში ცხოვრობდა, და მისი აზ-
როვნება, ფიქრი, მსოფლმხედველობა ქართულის ეტიმო-
ლოგიურ ძირებზე აღმოცენებულიყო. კაცისა, ვინც მორა-
ლურ-ზნეობრივი მრწამსით პატრიარქალურ ტრადიციებს
იყო მიჯაჭვული, უყვარდა სიცოცხლე და შეეძლო ეს გრძნო-
ბა სხვისთვისაც ეწილადებინა.

ხოლო უბის წიგნაკთა წყებას მწერლის სულის მოთქმად
აღიქვამდა, მისი არსებობის განუყრელ ნაწილად:

— იქ პოულობდა თავისუფლების, სიმყუდ-
როვის თავშესაფარს. პასუხისმგებლობას გრძნობდა სინდი-
სისა და ჭეშმარიტების წინაშე, ცდილობდა ყოფილიყო
უკომპრომისო, მიუკერძოებელი, თავისუფალი. ამას ხშირ
შემთხვევაში ახერხებდა კიდევც...

და ამ ეპითეტებს გულუხვად იმეტებს ის ადამიანი, ვისი
ერთი სტატიაც უშუალოდ ამ ჩანაწერებში მოხსენიებულია
„ნიხლისკვრად“ და „აგდებად“, „უკადრისობის კადრებად“,



და დიდი წყენა გამოთქმული, რომ კრიტი-
კოს თვით განქიქებულთა შორისაც ვერ მი-
უჩენია ადგილი ამ ცნობილი პოეტისათვის.

ივანე ამირხანაშვილს წამიერადაც არ
მოერეოდა ცთუნება, ხომ არ ამოეგდო დღი-
ურის ეს პასაჟი. არ მოერეოდა, რადგანაც
მისი ეთიკაა ასეთი, მისი მხატვრულ-ესთე-
ტიკური მრწამსი, მისი არსება.

მთავარი ისაა, რომ ეს სტრიქონები
აუცილებელია იმ ვნებათაღვლის გასათვა-
ლისწინებლად, ლიტერატურული პროცესის
ერთი სურათის აღსადგენად, ერთი
დამაფიქრელი წამის შემოსანახად.

და მამ მას შესაფერისი ადგილიც უნდა
მიეჩინოს.

აქ თუ წყენაა გამჟღავნებული კრიტიკო-
სის მიმართ, 2008 წლის 14 სექტემბრის ჩანა-
წერში ქებით იხსენიებს „ჩვენი მწერლობის“
მე-19 ნომერში გამოქვეყნებულ მის სტატიას

„ომრზე“: ძალიან მაგარიაო. ამ ძალზე ფეხმოკიდებული ჟარ-
გონული სიტყვით გამოხატავდა თავის აღტაცებას.

ეს სტატია „ჯანყი საკუთარი თავის წინააღმდეგ“ მცირე
მოცულობისაა, მაგრამ საკუთოდ ტევადი, მის არქიტექტონი-
კას კი განსაზღვრავს ზუსტად მიგნებული ლიტერატურული
ფორმულები, ამ ძარღვის ირგვლივ რომ გაშლილა:

— „ომრის“ მთავარი მოტივი და შინაარსიც ეს არის —
ეროვნული სულის არქეოლოგია, ქართველობის მძაფრი
განცდა, არსის განცდა და ეჭვი, რაღაცნაირი ისტორიული
ეჭვი და მოწინება დედასამშობლოს მიმართ აჭარული კაცი-
სა. „ომრი“ მართალი წიგნია, თუმცა იგი დაწერილია არა
იმისთვის, რომ მართალი იყოს, არამედ იმისთვის, რომ გა-
მობატოს გულის სათქმელი, რომელიც გამოხატვის არცერთ
ფორმას არ სცნობს სიმართლის გარდა.

იმავე წლის 29 ოქტომბერს კი თამაზ ჩხენკელის სიტყვე-
ბი ჩაუნიშნავს ფრიდონ ხალვაშს უბის წიგნაკში:

— ეს წიგნი, „ომრი“, არ გენყინოს და ყველას შენსას
სჯობია.

მანამდე — „ფრიდონობაზე“ — განეცხადებინა ავტორი-
სათვის: აუცილებლად დაენერ ამ წიგნზე, მინდაო, — და
აგერ კიდევ დაენერა და უთანხმდებოდა: სად გამოვაქვეყ-
ნოთო.

ფრიდონ ხალვაშს ახარებს „ომრის“ ასეთი შეფასება,
მაგრამ... გულსაც დაკლებია: ნუთუ მართლა ყველა ჩემს
წიგნზე უკეთესიაო?! ნუთუ გვერდით არც პოეტურ რჩეულს
დაიყენებს და არც რომელიმე რომანსო?!.

ეს გულნაკლულობა ამ ფრაზით მუდავნდება:

— არადა მიყვარს თამაზი.

და კიდევ უფრო მეტად ამით:

— დიდი უსტაა ქართულისა. ჩინური პოეზია თარგმნა
უგემრიელესად. ვიტყვი: აი, ეს ჩინური მის მიერ ქართულად
თარგმნილი ყველა მისას ორიგინალურს (პოეზიაში) ჯობია.

„სამაგიერო“ გადახდილია.

თუ „ომრი“ ასე გამოირჩევა ფრიდონ ხალვაშის მხატვ-
რულ მემკვიდრეობაში და ამის გამოკვეთა, საგანგებო აღ-
ნიშვნა ასეთი აუცილებელი გამხდარა, მამ თამაზ ჩხენკელ-
მაც „ინვინოს“, რას ნიშნავს ერთი ნაშრომ-ნაღვანის სამონე-
ვა... სხვათა ხარჯზე.

თვითონ ავტორი მაინც როგორ აფასებდა, რა ადგილს
მიუჩენდა თავის შემოქმედებაში ამ ავტობიოგრაფიულ რო-
მანს, რომლისაც მხოლოდ ერთი წიგნის დაწერას მოასწრებ-
და, მეორე წიგნის ბოლომდე გასრულება კი ოცნებად დარ-
ჩებოდა?!

არადა, მკითხველი ელოდა „ომრის“ გაგრძელებას, და ეს თვით ჩვენს გაგულგრძელებულ, ლიტერატურას მკვეთრად აცდენილ გარემოსა და სინამდვილეში.

ელოდა, რადგანაც რალაც სულ სხვა შთაბეჭდილება მოეხდინა ამ რომანს, რომლის თემატიკაც იმავე წრეში ტრიალებდა და იმავე სატკივარს წარმოსახავდა, რასაც ფრიდონ ხალვაშის სხვა რომანები: „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“, „შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი?!“ „საყვედური“ თუ „ჩემი და შენი“. მაგრამ იმათ თითქოს რალაც აკლდათ, უფრო სწორად, ყველგან მასალა უფრო სჭარბობდა მის მხატვრულ გაახრებებსა და სრულყოფილებას და ისერი-გად ამიტომაც ვერ აჰყოლოდა მკითხველი.

ავტობიოგრაფიულ ჟანრში კი მწერალი თავის ნამდვილ ასპარეზს ჰპოვებდა, თითქოს ხელახლა აღმოაჩენდა საკუთარ თავს და მთელი გატაცებითაც გადმოღვრიდა გულისნადებს, და ზოგიერთ ისეთ დეტალსაც, ეგებ თავის თავსაც რომ ვერ უმხელდა მანამდე.

ისე განა იმ რომანებსაც არ დატყობოდათ ერთგვარი ავტობიოგრაფიული იერი?

სწორედ ეს „ერთგვარი“ და „იერი“ არა კმაროდა, პირმინდად ავტობიოგრაფიული უნდა ყოფილიყო თურმე და... აჰა, კიდევ გაემართლებინა, დედასამშობლოს სამ საუკუნეს მონყვეტილი ერთი კუთხის ტრაგედია და მისი სწრაფა დედის წიაღში დასაბრუნებლად ექსპრესიულად და შთამბეჭდავად გადაგვეშლებოდა თვალწინ ერთი პიროვნების თავგადასავლის ფონზე.

თვითონ ავტორი რა ადგილს მიუჩენდა თავის შემოქმედებაში...

აგერ თითქოს სულაც არ მიაჩნია სხვა წიგნებზე უკეთესად — ის გულისტკივილიანი ფრაზა სხვაგვარად ანკი როგორ უნდა ნავიკითხოთ.

მაგრამ...

განა შემთხვევითია, რომ მის ჩანაწერთა კრებულის ფინალური მონაკვეთი ერთგვარი კოლექციაა თანამოკალმეთა მიერ „ომრზე“ გამოთქმული აღტაცებული შეფასებებისა?

მონონება სხვა დროსაც გამოუხატავთ მისი პოეტური თუ ბელეტრისტული ქმნილებების მიმართ და ამის კვალი ჩანანერებშიც დასტურდება, მაგრამ ამდენი? მაგრამ ასეთი?

და თვითონაც რომ არა ბეზრდება „ომრზე“ გაზიარებულ მოსაზრებათა ჩანიშნა?

მართლაც თავისებური კოლექციაა, სხვას ვერაფერს დაარქმევ.

გიორგი გიგაური ამ ავტობიოგრაფიული რომანიდან განსაკუთრებით გამოარჩევდა ბურსაში ახმედ მელაშვილთან ავტორის საუბარს: დამასვედიანაო („მისი გულისტკენა გულს ჩემს ეამაო“, აღნიშნულია პასუხად ჩანაწერში, რაკილა ის ძველი საუბარი თანამოკალმეს ასე ხელშესახებად შეეგრძნო).

იური ბიბილეიშვილი ასე შეუფასებდა: მართლაც შენებური, განსხვავებული, ხალვაშურიო. და ავტორის თავმდაბლური კომენტარი: „არი მართლა ვითომ მართლა ჩემიული, ღირებული?“ თუმც მკითხველი მაინც გრძნობს მის ფარულ სიამაყეს ამ წიგნის შექმნით.

ნოდარ ჯალალონია აღტაცებას გამოთქვამდა „ომრის“ კითხვის პროცესშივე.

გიორგი ცოცანიძე — დამთავრების შემდეგ: რაც „ომრმა“ მითხრა, ვტირი ახლაც. ეს საკითხავი კი არა, თავქვემ სამყოფი წიგნიაო.

რევაზ მიშველაძე მხოლოდ ფრიდონ ხალვაშისთვის კი არა, საერთოდაც საუკეთესო წიგნად მოიხსენიებდა: ძალიან საჭიროა, აი, ახლა ჩავიკითხე ბოლომდე და გირეკავ. დედის გაცილების ამბავი საოცრად მომხიბვლელი და ცრემლმომგვრელია. ბევრგან ასეაო.

რეზო ჭეიშვილიც ძალიან შეუქება.

ირაკლი სამსონაძეც ტელეფონით შეეხმინებოდა: „ომრი“ ნავიკითხე და ამისთანა სიამოვნება კაი ხანია არ მიგრძენიაო.

გიგა ლორთქიფანიძე რასაც ეტყოდა ამ წიგნის გამო, ავტორი თავისთვის ჩანიშნასაც მოერიდებოდა იმ აღმტაცი ეპითეტებისა, მხოლოდ იმ ფრაზებს აღნიშნავდა: ძალიან დიდი მადლობა ამ წიგნისთვის, აი, ეს ვთქვათ, სხვა აღარ გვინდაო.

და თავის მხრივ დასძენდა: ესე იგი რა გამოდის, „ომრი“ მთელი ჩემი ცხოვრების უმთავრეს წიგნად იქცა, სხვა დანარჩენი თითქმის აღარავის ახსოვსო.

გული წყდება?

იმ წამს ნამდვილად ასეა, მაგრამ... კოლექციის შეგროვება კვლავაც მოუწყინრად რომ გრძელდება?!

2008 წლის 27 ივნისის ჩანაწერს ამ სიტყვებით რომ გახსნიდა:

— მე მიყვარს ის, რაც არის. გუშინდელი დღეც დამრჩა სახსოვრად. მადლობა. — აი, რასაც მთხოვს გონი და გული, ვთქვა.

სამების ტაძარში „ომრის“ დალოცვას გულისხმობდა, მაცვალა გონაშვილსა და რევაზ მიშველაძეს რომ მიჰყავდათ და სიტყვით გამოვიდოდნენ თამაზ ჩხენკელი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი შაჰნაზარი, გიზო ზარნაძე, გიორგი გიგაური, ჯანო ჯანელიძე, გენო კალანდია, ნოდარ ჯალალონია. წაიკითხავდნენ მუხრან მაჭავარიანის წერილს ამ წიგნზე. თავიანთ სიტყვას იტყოდნენ სასულიერო პირებიც, მეუფეები — თადეოზი და სპირიდონი. ავტორს საოცრად ააღელვებდა ზაირა არსენიშვილის სიტყვა, არათუ მოხიბლავდა, აამალებდა კიდევ.

ის საღამო დაენანებოდა ამ ერთბენო ჩანაწერისათვის და გულში გაივლებდა: ზედმინევეთაა მოსაგონებელიო.

რეზო ესაძე ეტყოდა: „ომრი“ ალაგ-ალაგ ორ-სამჯერ ნავიკითხე, — და ტელეფონით უკარნახებდა წერილს ამ წიგნზე. ნოდარ ტაბიძესაც შეეტყობინებინა: რეცენზიას ვწერო.

და იმავე დღის, 2008 წლის 18 ივლისის, შეგულიანება საკუთარი თავისა.

— მგონი ჯობს შევკრიბო ეს წერილები და ვცადო გამოცემა.

არა ყველა ის წერილი, რაც მასზე გამოქვეყნებულიყო ამდენი წლის განმავლობაში, არამედ ამ და მხოლოდ ამ ავტობიოგრაფიულ რომანზე.

იქნებ ეს ეგონოს ვინმეს შემთხვევითი ანდა ნუთიერი განწყობილების ნაყოფი?

თავს არ უტყდება, მაგრამ შინაგანად უკვე თვითონაც დაბეჯითებით სწამს, რომ „ომრი“ გვირგვინად დადგომოდა მთელს მის ნამოღვანარს.

გენო კალანდია რომ შეეხმინებოდა სამეგრელოს სოფლიდან, „ომრით“ შთაგონებულ ლექსს ნაუკითხავდა, მისებურს, და ძალიან გაახარებდა.

გიორგი კალანდია, თურქეთიდან დაბრუნებული, შეატყობინებდა, რომ „ომრი“ გადაეცა იბერია მელაშვილისთვის, ოსმან მერჯინისა და კიდევ სხვებისათვის, და იბერიას დიდ კმაყოფილებასაც ამცნობდა.

გოგი წერეთელი მადლიერებას გამოთქვამდა ამ რომანით და მოხიბლვასაც გაუმჟღავნებდა: მართლაც ასეთი კარგი წიგნი კაი ხანია არ წამიკითხავსო.

და კვლავ ავტორის მინაწერი:

— რა ხდება, ნუთუ მართლა ასეთი დამინერია?

და კვლავ ფარული სიამაყე გამოკრთის ამ სიტყვებიდან, რასაც ადასტურებს ავტორის ერთგვარი გულნაკლულობა: ისე, მგონია არცერთმა მაქებარმა ის არ თქვა, რითაც ეს წიგნი, მე მგონია, არის ახალიო.

„სიხლისა არ უნდათ აღიარონ. სტილი, აგების ხერხი, ფორმა, უანრული მრავალფეროვნების გამოყენება.

ახლანდელობის ძველთან ერთად ჩვენება.

ვილაცები უკვე მბაძავენ, მაგრამ ძალიან მალულად“.

ჭაბუა ამირეჯიბის მეუღლე თამარ ჯავახიშვილი ამცნობდა: ჭაბუამ მოიკეთა, უკვე ჯანზეა და „ომრიც“ ნაიკითხაო.

სოსო სიგუა ამ ხნის კაცის მიერ „ომრის“ შექმნას გმირობის მაგალითად მოიხსენიებდა პირად წერილში და ავტორს სთხოვდა, ეგებ როგორმე შეძლოთ მეორე ნიგნის დანერაცო.

სატელევიზიო სიუჟეტში გურამ დოჩანაშვილი რომ თავმოყრიდა თავის მაგიდასთან, წინ „ომრი“ ედებოდა.

გურამ ბათიაშვილი მადლობას მოახსენებდა: რა მშვენიერი ნიგნი დაგინერიაო.

გივი სიხარულიძეც ბევრ საქებას ეტყოდა და შესთავაზებდა: რადიოში ხუთდღიან გადაცემაში მინდაო.

გენო თებაძე („რა გულიანი ბიჭია, რა სპეტაკი“) გახუცხადებდა: „ომრი“ ნავიკითხე და ბედნიერი ვარ. ამისთანა მართალი ნიგნი ჩვენთვის სხვა არ მეგულებათ.

თამარ დავითაძე („არსიანის“ თანამშრომელი. ჩვენებურია, უურნალისტობს“) დალოცავდა „ომრს“.

წოდარ შენგელია აცნობებდა, თურქოლოგი, „გორგვალას“, XVII საუკუნის ხელნაწერის მიკროფილის, პირველი ტომი გამოვეცი და წინასიტყვაობაში „ომრიდან“ შევიტანე მონაკვეთიო.

მარიკა ლორთქიფანიძე დიდ მადლობას გადაუხდოდა „ომრისათვის“ და ბევრსაც ელაპარაკებოდა: ეს ნიგნი ყველამ უნდა ნაიკითხოსო.

და კოლექციაც აქ მოთავსებოდა.

ეს პირადად ავტორი რასაც ჩაინიშნავდა.

თუმც ეს მხოლოდ საფუძვლად ვიგულებოთ, რადგანაც „ომრის“ შეფასებათა კოლექცია კიდევ არაერთი „ექსპონატი“ შეივსება და გამდიდრდება, ზოგი თვითონ ავტორს რომ გამოჩვენებდა უნდობლივით, ზოგიც მისი გარდაცვალების შემდგომ მიემატებოდა.

„ომრი — მთელი ცხოვრება“: რომანის სახელწოდების სხარტ ლექსიკონურ განმარტებას სტატიის სათაურშივე გაიტანდა ქეთევან ტომარაძე („ჩვენი მწერლობა“, 2010, 22 იანვარი) და დასძენდა, რომ თურქულიდან შემოსულ და ქართული ენის აჭარულ დიალექტში დამკვიდრებულ ამ სიტყვას ფრიდონ ხალვაშის ნიგნში ფილოსოფიური ელფერი შეეძინა, ხოლო შემოქმედი ადამიანის განცდათა მრავალფეროვანი სპექტრი, სათუთად მონოდებული „ომრში“, ხშირად პოსტიმპრესიონისტული აქცენტებით ივსებოდა, და გარესამყაროს რბილი და თბილი ტონები, რომლითაც კამერულ განწყობას ქმნიდა ავტორი, დროდადრო ისეთ ჟღერადობასა და სიღრმეს იძენდა, რომ მკითხველი ძალდაუტანებლად ითავისებდა აჭარის უმშვენიერესი კუთხის მკვიდრთა სადღეისო პრობლემებს.

და კიდევ ერთი საგულისხმო ამონარიდი ამ პროფესიული კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯიდან:

— თხრობის მიმზიდველი მანერის ფონზე თვალწინ წარმოგიდგებათ ორი კონფესიის, ორი სამყაროს გადაკვეთაზე ჩამოყალიბებული გამრჯე კაცის ხასიათის თავისებურებები, პიროვნებად ფორმირების პროცესი, მწერლის მთელი შემოქმედებითი ლაბორატორია.

იქ კი, მაშინ:

წერე დღიურებიო, — შვილი შეეხვეწებოდა, მზია ხალვაში, — ყოველი დღე ჩაინერე და შენთვის შეინახე, ეს ძალიან კარგი იქნებაო.

ფრიდონი არ გამოუტყდებოდა, რომ დღიურ შთაბეჭდილებებს კარგა ხანია ინიშნავდა და „ომრი“ სულაც იქიდან ამოზრდილიყო.

დანარჩენი ჩანაწერების მასალაც უკვე ავტობიოგრაფიული რომანის მეორე ტომს წაადგებოდა, ერთბაშად რომ მიეტანებოდა და... დადრკებოდა.

ვერ დავინყე ისეთი გზებითო, — ამ წუხილსაც უბის ნიგნაკს მიანდობდა.

პირველი ნიგნის წარმატება თან აიყოლიებდა და თან დაბრკოლებაც გადაექცეოდა. თამასა თვითონვე აენია ისეთ სიმალღებზე, მისი განმეორება ვაითუ კიდევ გაძნელებოდა. არადა, არა სურდა, რომ „ომრი-2“ პირველი ნიგნის უბრალო შევსება-გაგრძელება ყოფილიყო და ლამობდა განცდა და შთაბეჭდილება არ განელებულიყო. ამიტომაც უტორიალებდა გულდასმით და დღიურში სულ უფრო ხშირად გაისმის მისი ხსენება, ამ მეორე ნიგნის.

აგერ რალაც ნაწილს კიდევ მოათავსებდა და გადასაბეჭდადაც მიიტანდა, თხრობის შუაშიც მიაღწევდა და ღმერთს შესთხოვდა: მამუშავე შთაგონებულ, ახლისმთქმელის მაძიებელი ჭკუითო.

ფიქრად სულ „ომრი-2“ დაჰყვებოდა, მისი ჭიანჭველები უზუზუნებდნენ გონებაში და ისე როგორ იქნებოდა, დროდადრო თვითდაეჭვებასაც არ ეჩინა თავი: ვისთვის ღირს მისი დანერაო?!

სიცოცხლე მთავრდებოდა.

დღიურის ჩანაწერებიდან ამ მეორე ნიგნისა მხოლოდ ნაწილი ამოიზრდებოდა, ვედარ მივიდოდა განზრახვა ბოლომდე, ფრიდონ ხალვაშის ცხოვრების მთავარი თხზულება დაუსრულებელი რჩებოდა. თუმც არაერთი იცის მსოფლიო კლასიკურმა მწერლობამ დაუმთავრებელი შედეგრიც, თორემ ჩინებული ნიგნი კიდევ უფრო მეტი. და თუმც გული გწყდება, ავტორებს რომ არ დასცალდათ ჩანაფიქრის აღსრულება, რაც ხელთ შემოგვრჩენია, ისიც ხომ თავისთავადი ლიტერატურული ღირებულებაა, და ამ წრეში უნდა ვიგულისხმოთ ამიერიდან „ომრიც“, რომლის მიმართაც მკითხველის აღტაცება ნამიერი ტალღა არა ყოფილა და მძაფრ ანაბეჭდად შემორჩება ჩვენს კულტურას, ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას, ჩვენს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ბედისწერას.

ანუხებდა, ძალიან ანუხებდა ფრიდონ ხალვაშს, არაერთხელ რომ მისდგომოდა დიდი სიმართლისა და გულახდილობის კარიბჭეს, მაგრამ... უკან გამობრუნებულიყო. ეს სადარდებელი ჩანაწერებშიც გამჟღავნდებოდა, 1983 წლის 7 ოქტომბრის დღიურში, და მიზეზიც იქვე განიმარტებოდა:

— ამუშავდა გონებაში ჩაპროგრამებული მუხრუჭები საზოგადოების, ტრადიციების, ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული მორალური ნორმების გავლენით.

და გულსატკენი დასკვნა:

— არა, ჩვენ განწირულები ვართ. ჩვენ ვერ შევძლებთ ვიყოთ დიდნი; ვერ შევძლებთ არა უნიჭობის გამო, არამედ ვერ შევძლებთ გაბედულების უქონლობის გამო.

გონებაში ჩაპროგრამებული მუხრუჭებიო...

მაგრამ სამუდამოდ არ ჩარჩებოდა ამ მოჯადოებულ წრეში და საზოგადოებისა და ხელისუფლების მუხრუჭებსაც დააღწევდა თავს „ომრით“ და იმ მორალურ ნორმებსაც, ეროვნულ ტრადიციებს კი არა, მის მოჩვენებით ორეულს რომ დაუმკვიდრებია და მწერალი რასაც გულისხმობს ამჯერად ამ სიტყვაში, თორემ „ომრი“ მტკიცედ ამოზრდილა იმ ტრადიციებიდან, ქართული მოდემის თვითმყოფადობას რომ განსაზღვრავს.

დააღწევდა თავს ამ მუხრუჭებს და... ამიტომაც აღარ მოყოლილა ეს ავტობიოგრაფიული რომანი განწირულთა შორის.

ეს საწუხარი კი, რალაცის წინაშე მორიდებისა თუ ბოლომდე ვერგახსნის, უბის ნიგნაკში სხვაგანაც იჩინდა თავს, და აგერ 1986 წლის 22 დეკემბრის ჩანაწერი მთლიანად ამ

ფიქრითა და განცდით განიმსჭვალეზოდა: მართალია რალა-ცას ჩემთვის ჩავინერ ხოლმე რვეულში, მაგრამ ვილაც დიდი ხნის მერე ხომ ნაიკითხავს და ნეტა რა შობაქედლება დარჩებაო.

— აი, იმ ვილაც ნამკითხველის რიდი გადამელობება და შევიზორკები. დიახ, აქ, ჩემს პირად რვეულში მაინც მინდა სრულიად თავისუფალი ვიყო, მაგრამ არ გამოდის. აქაც ვერ ვარ ყველაფრისგან და ყველასგან თავისუფალი. აქაც თან მდევს, არ მცილდება თვალი და ყური ადამიანისა. სრულიად თავისუფალი ვერა ვარ.

და ამ განცდას განაზოგადებდა:

— ვერც იქნება ვერავინ სრულიად ყველაფრისგან თავისუფალი... ყველა მწერალი ასე იყო ალბათ. თითქოს თავისთვის, მაგრამ მაინც ვილაცისთვის წერდა.

და მამ ყოველი დღიური მართლაც შეზღუდული მორალითა და ქცევით უნდა შეეფარდებოდეს დროის ნორმას, და ოდნავ მომავალსაც გულისხმობდეს.

ის პოლიტიკური რეჟიმი, რომლის გარემოცვაშიც მოუხდებოდა ცხოვრება, გაუმძაფრებდა ამ შეგრძნებას, ვილაცის მოდარაჟე თვალსა და ყურს უფრო მეტად დალანდავდა, ვიდრე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შვილი, მაგრამ ეს ფიქრი უპირველესად მაინც ზოგადადამიანური და ლამობს ჩანვდეს ადამიანური სინრფელისა და გულახდილობის არსსა და მიჯნას. დიახ, მიჯნასაც, რადგანაც — არის კი გულწრფელობა უსაზღვრო თუ ეს მაინც პირობითობაა? ფიქრი ყოველთვის შეუფერადებლად, „ჩაუსწორებლად“ გადანიცვლებს დღიურის ფურცლებზე? თუ იქაც ნართაულები, მინიშნებანი, ქვეტექსტები უნდა ვეძიოთ და სტრიქონებზე მეტად სტრიქონებსშორისი სივრცით დავინტერესდეთ?

იგულისხმება, ცხადია, დღიურის ჟანრის უკეთესი გამოვლინებანი, რის სიმცირესაც ნამდვილად არ განვიცდით, და არა დღიურისა და მემუარების ფორმით მონვდილი სიცრუე და ყალბისმქნელობა, რისი მონმენიც არაერთხელ გავმხდარვართ, და რომელიც ისეთივე ამაზრზენია, როგორც სასულიერო პირის ნინაშე ნარმოთქმული ცრულსარება.

ივანე ამირხანაშვილი ვრცლად რომ ამოინერდა მწერლის თვითდაქვების ამ მღელვარე ფიქრთა ნაკადს, თავის მხრივ დასძენდა, რომ ფრიდონ ხალვაში შეხედულებებისა და შეფასებების გადმოცემისას პირდაპირი და პრინციპულია, არ იცის დანდობა და შელავათები.

— კაცმა რომ თქვას, სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ამ თვალსაზრისით დღიურები მარგინალური ჟანრია და მისი ხიბლიც სწორედ ამაშია.

ზოგჯერ ავტორის სუბიექტურობა უკიდურესობასაც რომ აღწევდა?

თუმც შეუძლებელია სავსებით არ დაეთანხმო ნინასიტყვაობის ავტორს, რომ მისი ეს სუბიექტურობა შორსაა ბოდმისა და სიძულვილისაგან, არ კარგავს მიტევებისა და შენდობის უნარს, და რჩება ისეთად, როგორსაც ვიცნობდით და როგორც გახლდათ — თბილი, სულგრძელი, გულისხმიერი.

სხვა ადგილას მწერალსაც და მის ამ სულიერ ბიოგრაფიასაც ამ ეპითეტებით შეამკობდა: შეულამაზებელი, უბრალო, სადა, გასაგები და მახლობელიო.

და ამ პიროვნული ღირსებების კაცი ნუთისოფელს გაღევდა იმ განცდით, როგორც უნდა გაელია — საერთოქართული ფიქრითა და სადარდებით. თუმც ამ დიდ დარდასა და სევდას შეერეოდა ის ტკივილიც, რომ თბილისისათვის კვლავ და კვლავ სტუმრად რჩებოდა, ეგებ სხვაზე საპატიო, მაგრამ მაინც სტუმრად. საზოგადოებრივი ყოფა მონყობილიყო ისე, რომ თუნდაც იგი — არაერთი ჩინებული პოეტური თუ ბელეტრისტული ნიგნის ავტორი — გახლდათ არა ბათუმში მცხოვრები ქართველი მწერალი, არამედ ბა-

თუმელი მწერალი, რაც გინდა-არგინდა გულისხმობდა მის შედარებით დაბალ რანგს. და ეს ის ფრიდონ ხალვაში, ვინც სხვა თანამოქალაქე შემოქმედებთან შედარებით მეტი გავლენითაც გამოირჩეოდა და მეტი დაფასებითაც თბილისური გადასახედიდან, მაგრამ ეს გადასახედი... მაინც იოლად მიაკერებდა პროვინციელის იარლიყსაც.

სამწუხაროდ, ასე იყო, ასე...

აჭარაც, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, პროვინციად რჩებოდა, და იქ არსებული სამწერლო ნაკადი — პროვინციულ ლიტერატურად, რომლისთვისაც შეიძლება შემწყნარებლურად შეგეხედა, მაგრამ რალაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას კი არაფრისდიდებით არ მიანიჭებდა.

ეს თვალთახედვა თავის მანკიერ ზეგავლენას ახდენდა კუთხეების ფსიქიკაზეც და იქაური ლიტერატორებიც საკუთარ ნაჭუჭში სულ უფრო იკეტებოდნენ და მართლაც ემწყვდებოდნენ პროვინციის არტახებში.

ეს სატკივარი გამოსდევს ხან შეფარულად და ხანაც მწვავედ ფრიდონ ხალვაშის დღიურებსაც, რომელიც პროვინციული სამწერლო ცხოვრების თავისებური ანარეკლია, საბჭოურ-სოციალისტური გაგების პროვინციულისა, პოლიტიკური სარჩულიც რომ ამოკერებოდა და დედასამშობლოსთან ძლიერდობით შემოერთებულ მხარეს უღვთოდ იმეტებდა — ავტონომიურობის სტატუსს ანიჭებდა და... განცალკევებულად ტოვებდა.

ხილული და უხილავი ბარიერები აღმართულიყო ჩოლოქზე და ხელს უწყობდა თბილისურ სნობურ მორალს, დედაქალაქში აჭარელი მწერლები სტუმრებად დაეგულებინათ და არა ისეთივე მასპინძლებად, როგორც სხვა თბილისელები იყვნენ.

ამ ბარიერების მოსაშლელად იღვწოდა ფრიდონ ხალვაშიც.

და დღიურის ჩანანერებიც ამ სწრაფვით განმსჭვალულა, როგორც მწველი, დაუოკებელი ძახილი თანამგრძობთა და თანამოაზრეთა მოსაპოვებლად დედაქალაქში.

ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნება რასაც მოითხოვს და გვავალდებულებს, თორემ იმპერიულ ძალადობაზე არანაკლებ სნობური შეხედულებანი დაგვაზარალებს.

საბჭოურ-სოციალისტური გაგების პროვინციულისაო...

პოლიტიკური სარჩულიც რომ ამოკერებოდაო...

კიდევ კარგი, დღესდღეობით ეს შეხედულება მკვეთრად და შემოტრიალებული და სულ უფრო ხელშესახებად მკვიდრდება ის მრწამსი და შეგრძნება, რომ საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა თუ დასახლებაში — არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი, ახალციხე თუ ზუგდიდი იყოს — მწერალმა, საერთოდ ხელოვანმა, თავი იგრძნოს საერთოქართული კულტურული მდინარების სრულუფლებიან მონანილედ, ისევე, როგორც ნიუიორკელი უოლტ უიტმენისათვის ყველაზე ძვირფასი გახლდათ რომელიღაც პანია დასახლებაში — სახელდობრ, კონკორდში — მცხოვრები რაღვ უოლდო ემერსონის მოსაზრება მის პოეზიაზე, და რომელიღაც ჯეფერსონში ჩაფლული, ვაშინგტონსა და ნიუ იორკს სრულიად მონყვეტილი უილიამ ფოლკნერი კი განსაზღვრავდა ამერიკული მწერლობის რანგსა და ღირსებას მთელი მსოფლიოს თვალში.

თუმც რად გვინდა ეს ამერიკული მაგალითები, როდესაც ქართული ლიტერატურის მდინარებასა და ღირსებას საუკუნის ნინათ ბევრწილად განსაზღვრავდა ქუთაისი — იქ ამოდრავებულ-აბობოქრებული სამწერლო ნაკადი, პროვინციიდან დაძრული, მაგრამ არა პროვინციული. პროვინციული სულისკვეთება აქ უფრო დახვდებოდა ამ ნაკადს — თბილისში.

დღეს ეს შეხედულება მკვეთრად და შემოტრიალებული...

და ამ სასიკეთო, საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ასერიგად მნიშვნელოვან პროცესს თავის ნაყოფიერ კვალს დააჩვენე და აღექსანდრე ორბელიანის საზოგადოება, ჟურნალი „ომეგა“ და გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, და მათი მემკვიდრე ჟურნალი „ჩვენი მწერლობაც“ თავისთავად — და კიდევ დარჩება ეს მკვეთრი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურული ცვლილება ამ ორგანიზაციისა და გამოცემების მონაპოვრად, თუმც მოპოვებაზე მეტად მისი შენარჩუნება ყოფილა ძნელი და ამ მიმართულებითაც მიზანსწრაფულ საქმიანობას თუ არ გავაგრძელებთ, ხელში შემოგვეფხვინება და დარჩება სასიამოვნო მოგონებად და... გაუნელებელ ტკივილად.

ფრიდონ ხალვაშიც მოესწროდა ამ შემოტრიალებას და თუნდ „ომრის“ ხვედრიც, მისი ასეთი ატაცება ფარზე — თბილისში არანაკლებად, ვიდრე სხვა ქალაქ-კუთხეებში, სწორედ ამ სასიკეთო პროცესის ამრეკლავი და დამადასტურებელია.

და დღიურები, რომელიც ამჟამად იწერება თუნდაც ბათუმში, აღარ განიმსჭვალება ამ ტკივილით: მხოლოდ ჩვენს წვეწმინდა ვიხარებთ და თბილისს ჩვენი სიტყვა ვერა და ვერ გავაგონეთ და მოვასმენინეთ, მოწონებას ვილა ჩივისო, — რაკილა ბათუმიც უკვე საქართველოს სამწერლო ცხოვრების სრულფასოვანი მონაწილეა.

და ფრიდონ ხალვაშის ჩანაწერების კრებული „გუშინ“ ამ თვალსაზრისით დარჩება გარდასული დროის სურათად, უსიამოვნო მოგონებად, რომელიც გამუდმებით შეგვახსენებს, რომ ასეთი რამ აღარასოდეს აღარ უნდა განმეორდეს, თუკი მივალნევთ, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა ნამდვილი იყოს, ნამდვილი და არა მოჩვენებითი.

სამოცდაათს გადაცილებული კაცი ფრონტის წინა ხაზზე ხარ გასულიო, — ასე შეიგრძნობდა საკუთარ ასაკს ფრიდონ ხალვაში და განზოგადებულადაც აღიქვამდა, დრამატიზმში ფარულ იუმორსაც რომ ჩააქსოვდა და ამით გაანათებად მრუმე ფიქრს:

— ყოველ დღე, ყოველ საათში, ყოველ წამს, ყოველი მხრიდან მოელი უკანასკნელ გამოსროლას, რითაც ყველაფერი დასრულდება.

ოთხმოც წელზე რალა ითქმის?!

ოთხმოცს გადაცილებულ კაცს მამ ის წინა ხაზიც აქვს გადაკვეთილი და ეგაა, და სროლის მოლოდინიც გაცილებით უფრო მძაფრიცაა და რეალურიც.

არ დაგიდევდა ამ შეგრძნებას ფრიდონ ხალვაში, „ომრის“ წარმატებით შეგულისანებული მის გაგრძელებასაც გულმოდგინედ რომ ჩაჯდომოდა, თუმც ჩანაწერების ციკლი კი შეეჩერებინა და აღარ ინიშნავდა ახალ-ახალ შთაბეჭდილებებს.

ველარ იცილიდა?

გაბეზრებულიყო?

ფაქტების აღნუსხვას განა რა დაუდგებოდა წინ?

ნუთუ ესეც გაძნელებოდა?

გაძნელებოდა და ძალიანაც, ისეთ ადგილას შეჩერებულიყო დღიურის ფურცლები — 2010 წლის 17 მაისზე, უჩვეულო გულისშემძვრელობით რომ ჩარჩენოდა ცნობიერებაში წინა დღე.

რუსთაველის თეატრში ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამოა.

გუნდი მრავალჯამიერით ხსნის იუბილეს.

იუბილარი ამბობს ლექსს თბილისზე და მადლობას იხდის ზეიმის მოწყობისათვის.

მეოთხე ორატორად მუხრან მაჭავარიანს მიიწვევენ.

ეს წამოდგებოდა და შეეგებებოდა, ის ფურცლებს მოიმარჯვებდა და დაიბუხუნებდა: ნავიკითხავო.

და სამ-ოთხ ნუთში, როდესაც ფრიდონის ამ სტრიქონებს დაიმონებდა: ღმერთმა ნუ ქნას, სადმე ქართველს ქართვე-

ლობა არ უნდოდესო, — უეცრად შემობრუნდებოდა, ხმა გაუქრებოდა და... მოჭრილ ხესავით დაენარცხებოდა სცენაზე. ფურცლებიც იქვე დაეფინებოდა.

იუბილარს გაუელვებდა: ეტყობა ფეხი წამოკრა რალაცას და წაიფორხილაო, — და მიიბრუნდა, რათა სასწრაფოდ წამოეყენებინა და ფურცლებიც მიეწოდებინა, მაგრამ... ხროტინი მოესმოდა.

ხალხი ამოცვივდებოდა და მიანყდებოდა ძირს დაცემულს.

მაგრამ... მუხრან მაჭავარიანი უკვე გათავებულყო.

ასეთი აღსასრული პოეტისა თუ მოღვაწისა შარავანდით შემოსება ხოლმე, რომანტიკული ათინათი გადაელვრება და ლიტერატურისა თუ კულტურის ისტორიაც სათანადო ადგილს მიუჩენს — და არამარტო შემოქმედის ბიოგრაფიაში, ცალკე ეპიზოდადაც შემოინახავს, ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამორჩეულად რომ აზიდულა თუნდ ივანე ჯავახიშვილის ნაქცევა ტრიბუნასთან, საჯარო ლექციის კითხვისას.

და თუმც ფრიდონ ხალვაში არავისზე ნაკლებ არ იგრძნობდა ამგვარი აღსასრულის რომანტიკულობას და კიდევ გაემეტებოდა მუხრან მაჭავარიანისათვის, მის მღელვარე განცდებში მაინც ის გრძნობა გადასძალავდა, ამ ტრაგიკულ აქტის უშუალო საბაზი მისი საიუბილეო საღამო რომ გამოდგა, და ამ კომმარული შთაბეჭდილებიდან ველარც გათავისუფლდებოდა.

— სუნთქავს? — მხოლოდ ამას კითხულობდა სადღაც კუთხეში მიმჯდარი. და ეს გულამოსკენილი შეკითხვა მთელ დარჩენილ სიცოცხლეს გამოჰყვებოდა თან, ისევე, როგორც ის განცდა, დღიურში ამ სტრიქონებით რომ აღიბეჭდებოდა:

— ეს იყო უბედური საღამო. საიუბილეო სამგლოვიაროდ იქცა.

მთელ დარჩენილ სიცოცხლეს გამოჰყვებოდა თანო...

და თუ „ომრის“ მეორე ნიგნს ველარ ასწევდა, დღიურის გაგრძელებას წინ რალა გადაუდგებოდა?

რა და... ის მწარედ მოსაგონებელი ეპიზოდი და გონების გამბურღავი შეკითხვა: სუნთქავს?

„ომრს“ უტრიალებდა მაინც, ავსებდა, აგრძელებდა, უბის ნიგნაკის ჩანაწერებზე კი ერთხელაც ვერ გადაინაცვლებდა — აქ გაეყინებოდა კალამი, გაუხევედებოდა. ...ეს ტრაგიკული სურათი, ეს გულისშემძვრელად მოსაგონებელი დღე შეინირავდა მომავალ ჩანაწერებს.

ბედისწერა თვითონვე უკარნახებდა მის შეწყვეტასა და სამგლოვიარო აკორდით დასრულებას.

დასაწყისი დღიურისა აკი თვითონვე გაენადგურებინა.

ფინალური მონაკვეთი ნაადრევად გამწყდარიყო, მაგრამ რაც რჩებოდა, თვალსაჩინოდ გამოჰკვეთდა მის პორტრეტსაც და სულიერ ბიოგრაფიასაც — თავისთავადი მხატვრულ-დოკუმენტური ღირებულებაც რომ აქვს და თავისებურ ექსკურსებადაც მოუხდება „ომრს“, ფრიდონ ხალვაშის შემოქმედების გვირგვინს, თვითონ თან რომ ეამაყებოდა და თან ის ეჭვიც არ ეშვებოდა: ნუთუ მართლა ასეთი დამინერიია, მართლა ჩემეული და ხალვაშურიო? — და ღმერთს შესთხოვდა: მაცალე, ვიდრე წამიყვანდე, ეგებ მომასწრებინო ლექსის შექმნა ამ დუნიიდან წასვლის სევდაზე, იმ დუნიას მხოლოდ მაშინ გამგზავრებაზე, ოდეს საკუთარი თვალით ვინილაგ ისეთ მემლექეთს, ნატვრასა და ოცნებაში რომ მესახებოდაო.

ისე მაინც რაოდენ ძნელია, როდესაც გამორიდებინარ ყველასა და ყველაფერს, შენთვის რალაცას ინიშნავ რვეულში და... არა და არა გშორდება მოდარაჯე სმენა და თვალი.

უჩა ზაქაშვილი

„ეს დროც გავა!“

— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როდესაც ხუთი ძირითადი შეგრძნებიდან არ გაჩნია თუნდაც ერთი.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ქალაქის გარეუბანში — სიმშვიდეში, ხანდახან მამლის ყვილიც რომ ჩაგესმის განთიადზე — იქ, სადაც ისედაც ვცხოვრობ.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— სიცოცხლე არის უმაღლესი ბედნიერების უპირობო წინაპირობა, დანარჩენი რეჟისურასა და ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ნაგელი ჰამსუნის „მისტერიებიდან“, ტალიერი პალანიკის „მებრძოლთა კლუბიდან“, გურამი რჩეულიშვილის ნაწარმოებიდან „ირინა და მე“.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— მეფე სიმონ პირველი, გიორგი მახინიაშვილი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— გუსტავ კლიმტი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მუსიკა და მისი შემქმნელები ხასიათის ცვალებადობის მიხედვით მომწონს, შესაბამისად, დასახელება რთულია.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— უანგარობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ძიება.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— რეინოლდ მესნერი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— საკუთარი თავისთვის პრობლემების შექმნისა და მისი მოგვარებისკენ დაუოკებელი სწრაფვა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მიგობრობაში?

— ერთ ნამდვილ სიტყვას, თქმულს ყველაზე საჭირო მომენტში.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— საკუთარი თავისთვის პრობლემების შექმნისა და მისი მოგვარებისკენ დაუოკებელი სწრაფვა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერება სულ ჩვენს გვერდითაა, უბრალოდ ხანდახან მას კორპუსები ეფარებიან.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რომ არ მეხილა სამყაროს ფერები და ვერ მეელო ჩემი საკუთარი ფეხებით.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უფრო ახოვანი და სიმპატიური. მოკლედ, ჰოლივუდურ ფილმში მეორადი როლის შესრულება მინც რომ შემძლებოდა.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ყველა-ფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მარიამი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ფრინველებს ძირითადად ქართულ კერძებში ვაფასებ.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— პეტერ შტამი — არა საყვარელი, არამედ მისაბაძი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ლუკა ბაქანიძე და სხვები.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ვაყვებით?

— ერნესტ ჰემინგუეი ავტობიოგრაფიული რომანიდან „განუყრელი დღესასწაული“ და შაშა გურამ რჩეულიშვილის რომანიდან „შაშას რევოლუცია“.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— გიგლა ოჩიაური. მდინარე ასას ხეობაში, სოფელ ჭიშლაში ცხოვრობს სრულ სიმარტოვეში. მისი აზრით, ასე საქართველოს ერთ სოფელს უნარჩუნებს და იცავს ქვეყნის საზღვარს, სადაც მესაზღვრეებს იარაღიც არ გააჩნიათ (გახშირებული თვითმკვლელობების გამო ჩამოართვეს), ზამთარში ისინიც ტოვებენ იქაურობას. გიგლა კი რჩება...

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მათე-ბიჭი.

— საყვარელი სახელები?

— უშიშა, მათე.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— სიყალბეს, ფასადურ „ყველაფერი კარგადაა“.

— ისტორიული პიროვნება რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— შესაძლოა განვიცდიდე ვინმეს მიმართ „არ მოწონებას“, მაგრამ ზიზღს — არა! „არ მოწონების“ სექტორში მოვათავსებდი იოსებ სტალინს და ყველას, ვისაც საქართველოს დღევანდელი რუკის ფორმირებაში უარყოფითი წვლილი მიუძღვის.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— ყველა ომზე ჩემი აზრი იმეორებს ბუკოვსკის: „ომი, აუნერგელი, შემოღობის განცხრომა, ვერდაკაცებული მამაკაცების ბოლო არგუმენტი.“

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ილია ჭავჭავაძისეულ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობას, რომელსაც შეგვიძლია განათლების რეფორმის მცდელობა ვუნოდოთ. მომავალში ნამდვილი და ეფექტური განათლების რეფორმა თუ გატარდება, იმასაც დავაფასებ.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— ამას უფრო უნარს დავარქმევდი — ერთ სიცოცხლეში შეგეძლოს განიცადო არა ერთი, არამედ ათასობით ადამიანის სამყოფი სიცოცხლე.

— როგორ გინდა გარდაიცვალოთ?

— მინდა საგარმატჰას (იგივე ჯომოლუნგმა, თარგმანში ღმერთების დედა), რომელიმე კალთაზე გავიყინო.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— დაგუბებული.

— ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ევთანაზია.

— თქვენი დევიზი?

— ეს დროც გავა!

— თუკი ოდესმე შეხვდებით ღმერთს, რას ისურვებდით რომ მას თქვენთვის თქვა?

— უჩა, ერთ თვე დავარჩა, დროა ნეპალისკენ ბილეთი შეიძინო, საგარმატჰა გელის!




ზურაბ ლავრელაშვილი კენტავრების დაბრუნება

ისინი ნამდვილად კენტავრები იყვნენ, თუმცა არც ისეთი, როგორც მათ დედამიწელი მხატვრები ხატავდნენ.
ფილიპ ხოსე ფარმერი, სამყაროს შემოქმედი

იქ, უმონყალეს ღმერთთა და განდჰარვათა შორის...
მაპაპარატა

მსგავს იყვნენ ცხენთა, განმზადებულთა ბრძოლად... და აქუს მათ ზე-
და მეფედ ანგელოზი იგი უფსკრულისაი... სახელი მისი აბადონ...

გამოცხადება, 9.7-11



მაგიდის მარჯვენა მხარეს ჩრდილი დაეცა. კორა იყო: კაფეში შეუმჩნეველად შემოსულიყო და ახლა თავს მადგა... მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ კორას ასე შემპარავი სიარული სჩვეოდა, ავაზასავით, ფეხაკრეფით, როგორც უხმაუროდ, თითქოს მინას არ ეხებოდა...

— ჰელო, ლუკას... დიდი ხანია მიცდი?

როგორ შემოხვედი, რომ ვერ დაგინახეთ? ვკითხე... კორამ გაიცინა და მაშინვე საქმეზე გადავიდა, მისტერ ჩედვიკი ახსენა...

— ოფისში გველოდება, — მითხრა სულმოუთქმელად, — შენი ამბავი რომ მოვუყვი, ძალიან შენუხდა, ჩვილი გული აქვს და მაშინვე შემპირდა, საკონსულტო მოთხოვნას დღესვე გავაგზავნი... იქ ნაცნობები ჰყავს, პასპორტს ალბათ ორ კვირაში დაგიბრუნებენ... მანამდე სამუშაოსაც გამოგიძებნის...

ამდენს ვერ შევანუხებ-მეთქი, ვუთხარი... კორამ უცნაურად შემომხედა.

— თუ გინდა, ფულსაც ვესესხები... დედაჩემის ხათრით უარს ვერ მეტყვის...

— ოჰ, კორა, არც კი იცი, რას გადამარჩინე...

კორამ მაგიდაზე დადებული ხელი უკან წაიღო, რომელზეც კოცნას ვუპირებდი, და წამოდგა.

— მისტერ ჩედვიკს ნუ ვალოდინებთ, — მითხრა მერე, — მალე წამოდი...

დახლთან მივედი, ფული ზედ დავდე. თვალის იხევი მონიტორისაკენ გამექცა: ტელეკამერა უმიზნოდ დახტილებდა აქეთ-იქით, მერე კარგა ხანს ფილაქანზე გაწოლილ მოკლულზე შეყოვნდა. მიცვალებული როგორცა უცნაურად, კისერმოლრეცილი ეგდო და მის ახლო სისხლი შემპარავი, მუქ ლაქად ჩანდა... ჟოკების მაგიდას როცა ჩავუარე, ისინი უკვე სხვა რამით იყვნენ გართულნი და, როგორც ჩანს, სანაძლეო აღარც კი ახსოვდათ...

— ბარმენ, ლუდი!

ონკანიდან მუქი, ქარვისფერი ჭავლი ჩამოედინება, ჩხრიალით ავსებს მინის ფსკერს, ქაფს იკიდებს, ფუფუნება, შხამიანი ყვავილივით იწვევს მაღლა. კათხას ვიღებ და კუთხის მაგიდისაკენ მივდივარ. კორას მოსვლამდე კიდევ ნახევარი საათია დარჩენილი, მაგრამ მაინც გამოსაჩენ ადგილას ვჯდები, კორამ რომ დამინახოს, თუმცა ნაშუადღევს, ჩვეულებრივ, კაფე „ჰიპერიონში“ ძალზე ცოტა ხალხია — აქ ხომ ძირითადად ჟოკები და იპოდრომის თანამშრომლები იკრიბებიან. კაფე პატარაა, მყუდრო... სიღრმეში, კედელზე მონიტორი ციმციმებს: რომელიღაც პროვინციული ამერიკული ქალაქიდან ბანკის ძარცვას გადმოსცემენ. ორი ტელეკამერა რიგ-რიგისად მოძრაობს ბანკის შენობასა და ჩასაფრებულ პოლიციელებს შორის; მსხვილი პლანი მაინც შენობის წინ, ფილაქანზე, ყოვნდება დიდხანს. ფილაქანზე მოკლული მძარცველი გდია, იქვე სისხლის შემხმარი ლაქა...

დროდარო დიქტორის ხმა ისმის კადრში — დაყენებული დიქციით მაყურებელს მძარცველებსა და პოლიციელებს შორის მოლაპარაკებების შედეგებს აცნობს, თუმცა მოლაპარაკებლები კადრში არ ჩანან, ეკრანზე მარტო მაღალი, ჭორფლიანი წამყვანი დადის წინ და უკან კევის ლეჭვით, ბრიჯები აცვია, სპორტული უმკლავო მაისური, მხარზე სვირინგი მოუჩანს, მიკროფონს დაათრევს და პოლიციელებისაგან რაღაცის შეტყობას ლამობს, მაგრამ პოლიციელები ზანტად იშორებენ თავიდან... ორი მათგანი საპატრულო ავტომობილის უკან ჩაცუცქულა და სენდვიჩს ილუკმება, ზედ ყავას აყოლებენ პლასტმასის ჭიქით.

ლუდი მოვსვი და ჯონი გამახსენდა. ჯონი წყნარი, შეუმჩნეველი ბიჭი იყო, დედასთან ერთად ჩემს მეზობლად ცხოვრობდა და ინსტიტუტის შემდეგ ელექტროტექნიკის მარკეტში გამყიდველად მუშაობდა, მაგრამ, ეტყობა, კლიენტებთან ურთიერთობა ეძნელებოდა, რაკილა ერთხელ გასახდელში დამალული შაშხანა გამოიტანა და ვიღაც წარმოსადეგ, პენენიკად ჩაცმულ მყიდველს ტყვია მუცელში დაახალა, მერე იქვე თავით, ჭირისუფალივით ჩამოუჯდა მიცვალებულს და სიგარეტის ნევით მშვიდად ელოდა პოლიციის პატრულს. ვინც ამ ამბავს შეესწრო, შემდეგ ირწმუნებოდა, იმ კაცს ჯონი არაფრით გაუღიზიანებია, ეგ იყო, რომ დიდხანს სასურველი ნივთი ვერ შეერჩია და ჯონიც თურმე დაუღლია ყუთებიდან ტელევიზორების ამოლაგებით...

— ეგ რა ჰქენი, ჯონი, — ვკითხე ციხეში, სადაც დედამისთან ერთად ვინახულე, — იმ კაცმა რამე განწყენინა?

ჯონი მშვიდად იჯდა მინის ბარიერს იქით და წყნარად მიცქეროდა.

— ადამიანები თავს მახეზრებენ, — მითხრა შემდეგ, — მინდა დავისვენო...

— ყველას ხომ ვერ დახოცავ, ჯონი? ხომ იცი, რა მოგელის.

— მინდა დავისვენო, — გაიმეორა გულგრილად, — აღარავის დავინახავ...

იმ პატარა ამერიკული ქალაქიდან მალევე წამოვედი და ჯონი აღარ მინახავს; არც ის ვიცი, მართლა დაისვენა თუ არა... აი, პოლიციელები კი ბანკის წინ ნამდვილად ისვენებდნენ. უტყვი შეთანხმებით, შენობიდან სროლა შეწყდა და აბეზარი ტელენამყვანიც თვალს მიეფარა. ეკრანზე საინტერესო აღარაფერი იყო და კაფე მოვათვალიერე. ერთ მაგიდასთან ჟოკები იმაზე ბჭობდნენ, რამდენ ხანში დახოცავდნენ პოლიციელები მძარცველებს. სანაძლეოს პირობა, რაღა თქმა უნდა, კათხა ლუდა...

კუთხის ვიტრინიდან ეზოში ვიყურები. იქ რამდენიმე ავტომობილი აყენია. კორას „სმარტი“ კი ჯერაც არ ჩანს. იქნებ არც მოვიდეს! თითქმის შემეშინდა ამის გაფიქრებისას...

კორას თავისი „სმარტი“ კაფეს უკან დაეყენებინა და ამიტომაც ვერ შევნიშნე წელან. სალონში გრილოდა. კარი მივხეუ- რე თუ არა, კორას მივწვდი და ტუჩებში ვაკოცე.

— ნუ სულელობ, დაგვინახავენ...

ძრავი ჩართო, ავტომობილი დასძრა და მოედინიდან ვინრო ნაკაფში გავედით. კორა ოსტატურად მართავდა ავტოს: ვტკბებოდი მისი სიმარჯვით, სიმსუბუქით... რალაცნაირ გამ- ქვირვალელებს ასხივებდა თითქოს, და მოძრაობაც ნათელი და გრაციოზული ჰქონდა, უსხეულოს ჰგავდა...

— მისტერ ჩედვიკი ნაშუადღევ დამკრძალავ ბიუროში ხოლმე, — სიტყვა ბანზე ამიგდო კორამ, როცა ჩემი დაფინებუ- ლი მზერა შენიშნა, — შენ იცი, თავი როგორმე უნდა მოაწონო...

ვეცდები-მეთქი, შევპირდი, მაგრამ გული კი უსიამოდ მო- მენურა... ამ ნუთას კორა საოცრად შემებრალა...

— შესაძლოა ცოტა უხეში და მყვირალა გეჩვენოს, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევ, ოქროს გული აქვს, გაჭირვებულ ადამიანს არასოდეს მიატოვებს...

— შენ, კორა, შენ თუ მიმატოვებ?

— ნუ სულელობ, ლუკას, ახლა ამის დრო არ არის... მის- ტერ ჩედვიკს თუ რამე უცნაურობა შეამჩნიო, ნურაფერს ჰკითხავ, მერე მე აგიხსნა... ბევრსაც ნუ ილაპარაკებ, რადგან მისტერ ჩედვიკს ყბედები და უილბლონი არ უყვარს...

დამკრძალავი ბიურო „ჰერმესი“, სადაც მისტერ ჩედვიკი გვე- ლოდა, ზეთისხილის კორომში, ორსართულიან კოხტა შენობაში განეთავსებინათ, რომელსაც გარს საკმაოდ მაღალი გალავანი ერტყა. კორამ ავტომობილი ღია ალაყაფში შეიყვანა და პირდა- პირ პარმალს მიაყენა. მარმარილოს კიბით მეორე სართულზე ავედით და კორამ მისტერ ჩედვიკს კაბინეტის კარზე მიუკაკუნა.

— შემოდით, — მოისმა შიგნიდან მგრგვინავი ხმა, თითქოს რამდენიმე ადამიანმა ერთდროულად დაიძახაო. კორამ კარი შე- ალო და მე მისტერ ჩედვიკი დავინახე: უზარმაზარ მაგიდას უჯ- და და ისე გაჩაჩხულიყო, თითქოს ადგილი არ ჰყოფნიდა. ვეება თავი ჰქონდა, ნაგრძელბული ყბები, მსხვილი კისერი, კინკრი- ხოზე კი ნაბლისფერი, უხეში თმა ბურქად ადგა. ნითური ბაღით დაფარული ტორები მაგიდაზე შემოეწყო და ხვნიშით წერდა რა- ლაცას. მსხვილ თითებზეც უსიამო, ჟღალი ბალანი მოსდებოდა.

— ოჰ, კორა, მიხარია შენი ნახვა, — მასპინძელი არ წა- მომდგარა, ხელის გაქნევით გვანიშნა დავმსხდარიყავით, — დედა როგორ არის?

— გმადლობთ, მისტერ ჩედვიკ, ახლა არა უშავს...

— დიდებული ქალია, — თავისთვის ჩაიფრუტუნა „ჰერმე- სის“ მფლობელმა, მერე მე გადმომხედა, — ვხედავ, თან ყრმა ოდისევის მოგიყვანია... გამარჯობა, ყმანვილო, აბა მომიყვი, აქეთ და ქარმა გადმოგაგლო!

მისტერ ჩედვიკის მჭექარე ხმამ, ცოტა არ იყოს, შემაკრ- თო; მაინც ვუთხარი, არქეოლოგიურ კონგრესზე ჩამოვედი ათენში და ჩემს კოლეგა მავროკორდისს მინდოდა ვწვეოდი კიკლადებზე, მაგრამ აეროპორტის ოპერატორის შეცდომის გამო სულ სხვა ადგილას მოვხვდი-მეთქი...

მისტერ ჩედვიკმა დაეჭვებულმა გადმომხედა.

— რალაც ზღაპარს ჰგავს ეგ ამბავი, — მითხრა მერე, — ხომ არ სტყუი, ბიჭო...

შევვბი. ასე პირდაპირ შეურაცხყოფას არ ველოდი, მაგ- რამ მუხლზე კორას წვივის შეხება ვიგრძენი და ენას დროუ- ლად კბილი დავაჭირე, უხიაგი არაფერი მეთქვა...

— მე კი მგონია, აქ ქალებთან საკურკუროდ ხარ, — გადა- ინახარა მისტერ ჩედვიკმა, — კორა, განა მართალს არ ვამ- ბობ? ეგ ბიჭი ხომ გეარშიყება, თქვი, აღიარე!..

გავნითლდი და თავი დავღუნე, რათა კორასათვის არ შემე- ხედა, და უცებ მაგიდის ქვეშ მისტერ ჩედვიკის ფეხი დავინახე: შავი ლაქის ფეხსაცმელში გაჭირვებით ჩამალულ უზარმაზარ

ტერფს ზემოთ „ჰერმესის“ მფლობელს წვრილი კანჭი მოუჩან- და და ის კანჭიც სველი, ნითური ბაღით იყო დაფარული...

— გეხუმრე, — მითხრა მისტერ ჩედვიკმა, — ოლონდ იცოდე, კორას თუ აწყენინებ, მერე შენს თავს დააბრალებ, რაც მოგივა... გაიგე?

მგრგვინავი ხმით ლაპარაკობდა, თანაც, ეტყობა, ცოტა ყურს აკლდა და დროდადრო თავს წინ ხრიდა, რათა პასუხი მოესმინა; ამ ნუთას ნამდვილად თოხარიკ უღაყს ჰგავდა, მო- უსვენრად რომ ტოკავს და ლაგმის გაგლეჯას ცდილობს... ისიც კი დავინახე, თუ როგორ ერხეოდა ფაფარი შუბლზე...

— კორამ მითხრა, სამუშაოს ეძებ, — მისტერ ჩედვიკს ზე- მოთა ტუჩი ჩიჩვირით ძირს ჩამოეწია და მართლა ცხენით აცმაცუნებდა; პირი დაალო, ჰაერი ფილტვებიდან ამოუშვა და დაიჭიხვინა, — ჩემთან გამოგიძებნი რამეს, მაგრამ მანამდე უნდა მითხრა, რა შეგიძლია!

— ყველაფერი, სერ, რასაც დამავალბებ.

მისტერ ჩედვიკმა ისევ დამაყრუებლად გაიცინა.

— თქვენი აბსურდული აზროვნება მაცოცებს, ყმანვილო, — მითხრა შემდეგ, — საფლავების მომვლელებად თუ იმუშავებ?

უმნეოდ შევხედე კორას, მან კი თავი უხმოდ დამიქნია. მისტერ ჩედვიკი გამომცდელად შემომცქეროდა.

— თანახმა ვარ, სერ.

„ჰერმესის“ მფლობელმა თითქოს შევებით ამოიოხრა.

— ხვალ აქ მოდი და ჩემს თანაშემწეს გაგაყოლებ, ბინას და სამსახურს მოგცემს... ნუ მემადლიერები, კორას წყალო- ბაა, ჩემთან რომ მოხვდი... ახლა ნადი, არ მინდა შენნაირ უილ- ბლოს კიდევ დიდხანს ვუყურო...

მან ხელი ამიქნია და მანიშნა გავშორებოდი... ადგომისას თვალი უნებურად კვლავ მაგიდის ქვეშ გამეცქა და შევეკრთი: არა, მზერა როდი მატყუებდა, მისტერ ჩედვიკს მართლა ცხე- ნის ფეხი ჰქონდა...

კორა არ ტყუოდა: კუნძულზე ბედი ნამდვილად არ მწყა- ლობდა... ალბათ, იმიტომ, რომ მანამდე არცკი ვიცოდე, თუკი საერთოდ დედამიწის ზურგზე ასეთი კუნძული არსებობდა; მარტო წიგნებში ამომეკითხა რალაც...

საერთოდ, საბერძნეთში ნაჩქარევად წავედი. ჯერ იყო და ათენის კონგრესზე მიწვევა გვიან მივიღეთ არქეოლოგიის ინსტი- ტუტში, მერე მე ძლივს მომძებნეს, — უკვე ორი თვეა პირიქითა კავკასიაში ძველ ნასოფლარებს ვიკვლევდი (აკი აქ აღმოვაჩინეთ კიდევ უცნაური ქვა-ჯვარი, ზედ ამოტვიფრული ცხენ-კაცით, თავზემთო, მარჯვნივ, ვარსკვლავი რომ უკიაფებდა). თბილისი- დან მავროკორდისს დავურეკე, აღმოჩენა ვამცნე; ისიც ვუთხარი, ფოტოპირს კონგრესზე წამოვიყვანე-მეთქი, მაგრამ მავროკორ- დისი ათენში არ დამიხვდა — კიკლადების რომელიღაც პანია კუნძულზე პრეისტორიულ სამაროვნებს დაეძებდა... როცა უკვე ათენში ჩასული კვლავ შევეხმიანე, თავისთან მიმინვია...

— ყოველკვირა აქეთ თვითმფრინავი დაფრინავს, — მითხრა ტელეფონში, — საათნახევარში ჩემთან იქნებით... მერწმუნეთ, ბევრ საინტერესოს ნახავთ...

კონგრესის განაწესში ორი დღე უქმე იყო. მავროკორდისის ნახვა კი ძალიან მსურდა, რადგან ჩვენ ერთად ვმუშაობდით წი- ნამიკენური ცივილიზაციის საკითხებზე და შეედლო მართლაც ბევრი საინტერესო მასალა მოეწოდებინა ჩემთვის. კიკლადებ- ზე ნახვა-წამოსვლას ორ დღეში თავისუფლად მოვასწრებდი ისე, რომ კონგრესის გაცდენა არ მომიხდებოდა... მყისვე აერო- პორტის სააგენტოს ბილეთი შევუკვეთე... რა ვიცოდი, თუ ოპე- რატორის უმნიშვნელო შეცდომა ასე ძვირი დამიჯდებოდა...

ათენიდან პატარა, ოცკაციანი თვითმფრინავით დილით გა- მოვფრინდით და ორმოც ნუთში კუნძულ პითაკოსზე ვიყავით. ზემოდან კუნძული ლურჯ-ლილისფერ წყალზე ამობურცულ თვალის გუგას ჰგავდა და მეგონა ის თვალი მე შემომცქეროდა. თვითმფრინავი ძირს ვეება კალიასავით დაემგა. აეროპორტის

გასასვლელთან ყვითლად შეღებილი „ფორდები“ ჩამწკრივებულიყო. შავტუხა მძღოლმა უკანა კარი გაძლია.

არქეოლოგიურ გათხრებზე წამიყვანე-მეთქი, ვუთხარი...

მძღოლმა გაკვირვებულმა გადმოხედა წინა სავარძლიდან. ეტყობა, ინგლისური არ იცის და ნათქვამი იმიტომ ვერ გაიგო-მეთქი, ვიფიქრე და სამგზავრო ჩანთიდან ათენიდან წამოღებული რუკა ამოვიღე, თითოთ ვუჩვენე ის ადგილი, სადაც უნდა მივეყვანე...

— დიას, სერ, მესმის, მაგრამ ეს ითაკოსია და არა პითაკოსია...

გემლება-მეთქი, შევედავე, მძღოლი კი დარწმუნებით აქნევდა თავს და მიმეორებდა, ეს კუნძული პითაკოსია და აქ არანაირი არქეოლოგიური გათხრები არ მიმდინარეობს... დაექვებულმა ახლა ბილეთს დახედე: მართლაც ითაკოსი იყო...

მძღოლმა მირჩია, ითაკოსამდე კატარლით მივსულიყავი, და ნავსადგურში წაყვანა შემომთავაზა. ოცი დოლარი მივეცი, მაღლობა ვუთხარი და ნავსადგურის წინ გულთბილად დავემშვიდობე. სამგზავრო ბორანი ითაკოსზე სამი საათის შემდეგ გადიოდა. მშიოდა, სიცხემ მომანყურა კიდეც და ნავსადგურის კაფეში წასახემსებლად შევედი. ღია ტერასაზე ოფიციალტმა აქაური ლუდი და ყავა მომიტანა. ვიჯექი, ლუდს ვწრუპავდი, ყავას ვაყოლებდი და აზრადაც არ მომდიოდა, ათიოდე წუთის შემდეგ კიდეც რა განსაცდელი მელოდა...

მოგვიანებით ხშირად მიფიქრია ამაზე... ადამიანი ხომ ვერ გრძნობს, რას უმზადებს ბედისწერა, რასაც ჩვენ, ურწმუნო საუკუნის შვილები, შემთხვევითობას ვეძახით!.. მაშინაც ასე მეგონა, ოპერატორს შემთხვევით შეეშალა კუნძულის დასახელება და ითაკოსზეც ამიტომ გავემგზავრე-მეთქი, მაგრამ შემდეგომმა განსაცდელმა დამარწმუნა, რომ ვილაც განგებ მიწყობდა ოინს, რათა უცნობ კუნძულზე იობივით განაძრეული და უმწეო დავრჩენილიყავი... ოინის ეშხი და მარილი კი ეგ იყო, რომ გადამწყვეტ წუთებში გონება მიბნელებოდა და მარტივ და იოლად დასანახ რამესაც ვერ ვხედავდი, ან ისე გაუგონრად წინდაუხედავად ვიქცეოდი, როგორც იმ დღეს, როცა ღია ტერასაზე სამგზავრო ჩანთა წუთით სკამზე დავტოვე და კაფეში შევედი დანახარჯის გადასახდელად... შიგნით ორიოდე წუთიც არ შევყოვნებულვარ — ოფიციალტს ფული გადაუხადე და გამოვბრუნდი, მაგრამ ჩანთა ადგილზე აღარ დამიხვდა...

ჰო, ეგ იყო — ჩემი ბედისწერა... აღარ ვიცოდა, რა მექნა; იმის გააზრებაც ვერ მომესწრო, ამ ერთ დღეში უცებ ამოღენა უბედურება რად შემემთხვა!.. კაფეში შევბრუნდი და მეპატრონეს შევჩივლე, რაც დამემართა.

— აქაურობა ჯიბგირებით არის სავსე, — მითანაგრძნო იმან, — პოლიციაში თუ განაცხადებთ, იქნებ დაკარგული საბუთები მაინც მოგიძებნონ... ხომ ხვდებით, ნაცნობობით ყველაფერი შესაძლებელია...

და მან თვალის ჩამიკრინტა. მივუხვდი, რასაც გულისხმობდა: ჯიბგირებთან გარიგებას... იქნებ თვითონაც მათი მამასახლისი იყო და მცდიდა, წავიდოდი თუ არა პოლიციაში... მაღლობა ვუთხარი და უახლოეს საპოლიციო განყოფილებაში წავედი. იქ ჩემი ჩვენება ჩაინერეს და დამპირდნენ, გავერკვევითო...

— რამდენიმე დღეში გამოიარეთ, პასუხს გეტყვით, — მორიგე პოლიციელმა პარმალზე გამომაცხილა, — ზაფხულია და ოპერატიული მუშაკები არ გვყოფნის; ბევრი ახლა შვებულებაშია, საქმე კი უამრავია...

ინტერნეტი თუ გაქეთ-მეთქი, ვკითხე... მინდოდა, კონფერენციის მდივანს დავკავშირებოდი, ჩემი ამბავი მეცნობებინა; თან მავროკორდისს შევეხმინებოდი და იქნებ ისიც როგორმე დამხმარებოდა, მითუმეტეს, შორს არ იყო აქედან...

— ამ კუნძულზე ინტერნეტი მარტო მისტერ ჩედევიკს აქვს, — მითხრა პოლიციელმა, — უარს არ გეტყვით, თუ სთხოვთ...

მისტერ ჩედევიკი ვინ არის-მეთქი, ახლა ეს ვკითხე...

პოლიციელმა ისე შემომხედა, თითქოს ჩემივე სახელი არ მცოდნოდეს და იმას ვეკითხებოდი.

— მისტერ ჩედევიკი ამერიკელია, აქ იპოდრომი და სასტუმროები აქვს. მდიდარი კაცია, მაგრამ გაჭირვებული ხალხის დახმარება უყვარს...

მორიგე იპოდრომის მისამართი მიმასწავლა და კიდეც ერთხელ დამპირდა, თქვენს ამბავს გულმოდგინედ გამოვიძიებთო... დიდი იმედი არ მქონდა, რასაც ამბობდა, ისე მომხდარიყო, მაგრამ მაინც მაღლობა გადავუხადე და მისტერ ჩედევიკის სანახავად იპოდრომისკენ წავლასლასდი... ძალიან ცხელოდა, მე კი ლუდმა და განცდილმა მღელვარებამ გამასავათა და გამაღვალტებული გზიდან ზეთისხილის ნაკაფში გადავუხვიე. იპოდრომი ამ ნაკაფს იქით იყო, ზეთისხილის კორომში. აქ გრილოდა, ტვიის ბუჩქებში ჩიტები სტვენდნენ. წამით ყურადღება მომიდუნდა და ალბათ ამიტომ ვერ გავიგონე უკნიდან გამაფრთხილებელი შეძახილი. უცებ რაღაც უზარმაზარმა და საშინელმა გვერდით ჩამიქროლა. მხარში დარტყმა ვიგრძენი, დაჯახებამ გზიდან გადამაგდო. ფეხი მომიცურდა და გვერდით თხრილში გადავეშვი. ზემოთ რაღაც მუქმა სანამმა გაიქროლა ქარიშხალივით. წამოვდექი, მაღლა ასვლა ვცადე, მაგრამ ამერიკული ფეხსაცმლის ლანჩა თიხნარზე მისრიალებდა და ისევე ხრამის ფსკერზე ვეცემოდი.

ცას უკვე ბინდი ეპარებოდა, მე კი კვლავ ხრამში ვეგდე და სულს ძლივს ვიბრუნებდი. იმდღევანდელმა ჩემა უიღბლობამ ძალა გამომაცალა და ხრამის ძირას ჩაეჯექი, მოხდეს, რაც მოსახდენია-მეთქი...

— ჰეი, — მომესმა ზემოდან და ხრამის პირას ახალგაზრდული სახე დავინახე. ვილაც ქალიშვილი ხეებს შორიდან ხელს მიქნევდა.

ვინა ხარ-მეთქი, შევძახე... გოგო უფრო გადმოიხარა და ინგლისურად მკითხა, რამე ხომ არ დაიშავეთო...

— მაღლა ამიყვანეთ, — შევძახე ისევ, — ვინმეს დაუძახეთ...

გოგო გაქრა და მეგონა მიმატოვა-მეთქი, როცა ჩემს ახლო თოკის წვერი დავინახე. მოვეჭიდე და უცებ თოკი თავისით ასრიალდა ზემოთ.

ხრამის პირას სუსტი, ტანკენარი ქალიშვილი იდგა. ხელი შემომავლო. ღონემიხილი ხეს მივეყრდენი, ძლივს ვსუნთქავდი. ქალიშვილმა გზაზე გაჩერებულ ცხენს უნაგირიდან თოკი მოხსნა, რითაც ცხოველმა ხრამიდან ამომწია, და დაგორგლა, დაახვია.

— ბედი გქონიათ, — მითხრა შემდეგ, — ყველა კი არ დიდის თოკით საჯირითოდ...

არც ყველას ეჯახება-მეთქი სავალ გზაზე უხეირო მხედარი, მივუგე...

გოგომ უცნაურად შემომხედა და მის მზერაში ავაზას ნაპერწკალი გაკრთა.

— ხმამაღლა გეძახდით, ვერ გაგაგონეთ... წამოდე, დაიბანეთ, თორემ თიხის კაცს ჰგავხართ...

ხრამის ფერდობზე ფორთხილით მთლად თიხით ვიყავი გაგლეხილი. ასე მოთხუპნული მისტერ ჩედევიკთან ვერ მივიდოდი. გოგოს ვკითხე, სად მიგყავარ-მეთქი... მან ისევ შემომხედა, დაფიქრებულმა, თითქოს მიუხედედრობას მზერით მსაყვედურობდა, არაფერი უთქვამს, ცხენს ალვირში წაავლო ხელი და უხმოდ გაუძღვა.

— მოიცადეთ, — შევძახე გაკვირვებულმა, — მტოვებთ? ქალიშვილი შედგა, შემობრუნდა.

— სასაცილო ხართ, — მითხრა უკვე ღიმილით, — მართლა თიხის კაცს ჰგავხართ.

რა გქვიათ-მეთქი, ვკითხე... ის კი ისევ უხმოდ, ღიმილით მიყურებდა.

— ხრამში რად ჩავარდით? — მკითხა პასუხის ნაცვლად, — ნუთუ ასე უიღბლო ხართ?

— ჰო, — ვუთხარი მე და ჩემი იმდღევანდელი თავგადასავალი მომაგონდა, — მაგრამ ახლა ამას არ ვჩივი, რადგან თქვენ გაგიცანით...

— ნუ მემლიქნელებით, — მითხრა იმან, — ეს-ესაა კი-ნალამ საიქიოს გაგისტუმრეთ...

მაგისტვისაც მზად ვარ-მეთქი, შევძახე...

ალარ ილიმოდა, თვალეები დაუსევიანდა.

— მოესწრებით, რა გეჩქარებათ, — ისევ მიბრუნდა და ცხენიც გაჰყვა. გვერდივერდ მიდიოდნენ და ამაზე უფრო სანეტარო სახილველი არაფერი მინახავს...

ითაკოსზე ყოფნისას ვერაფრით მივხვდი, ქვეყნიერების რომელ მხარეს მდებარეობდა სასაფლაო, სადაც მისტერ ჩედვიკის წყალობით მომვლელად ამიყვანეს. კუნძული იმდენად პატარა იყო, სივრცით ორიენტირებას აზრი არც ჰქონდა, რაკილა მზის მოძრაობითაც კი ვერ გაარკვევდი ხეირიანად, საგნებს ჩრდილი საით ეზრდებოდათ... თითქოს წრის შიგნით ვიყავი მომწყვდეული, სანაპირო კლდეებს რომ შემოესაზღვრათ რკალისებურად, და ეს რკალიც თითქოს ურჩხულს ჰგავდა, თავი კუდთან რომ უძევს; კლდე, რომელსაც აქაურები ოფიონს ეძახდნენ, მართლა ნააგავდა დრაკონის თავს, თუმცა ნამდვილად კი ქვის ჭორტი იყო და მეტი არაფერი... ადრე აქ სანაპირო შუქურა იყო თურმე, მაგრამ ახლა იმისგან აღარაფერი დარჩენილიყო და მხოლოდ ხალხის წარმოსახვას ექცია ეს ადგილი ურჩხულის თავად...

კორამ, მართალია, აქაურობა მომატარა და კუნძული გამაცნო, მაგრამ დარჩენას არ ვაპირებდი და მეხსიერების შენახებად არც კი ღირდა, ჩემი უნებური საპატიმრო უფრო მეტად დამემასსოვრებინა, ვიდრე მჭირდებოდა; მას შემდეგ, რაც კორამ იპოდრომზე მიმიყვანა და მე საშხაპეში მინის მნიკვლი ჩამოვირეცხე, მან ჩემზე ზრუნვა ითავა... დავალბეული ვარ, ჰუნეთი რომ დაგეჯახე და ხრამში გადაგავადეო, ამბობდა... თუმცა ჩვენს შორის უფრო ღრმა და უცნაური ურთიერთობა დამყარდა... უცნაური იმიტომ, რომ კორას ეძნელებოდა ეს ურთიერთობა, ალბათ, გათხოვილი რომ იყო, ამის გამო, მაგრამ ვერც თავის წარსულზე ვაქტივეინე ბევრი რამ... ერთი ეგ იყო, რომ ჩრდილოეთის ცივ და პირქუმ ქალაქს ახსენებდა ხანდახან, სადაც ადრე ქმართან ერთად ცხოვრობდა დიდ და უსიხარულო სახლში... წელიწადში რამდენიმე თვით აქ დედას სტუმრობდა ქმრის მამიდის, ავგულა და ენაჭარტალა მის ჰარპერთან ერთად, კორას რომ მეტავალყურებოდა, რათა ქმარი არ მიეტოვებინა და აქ არ დარჩენილიყო...

— ნუთუ ეგ ძნელია, კორა? — მიკითხავს არაერთხელ.

— ქმარი არ მიყვარს, მაგრამ ვერ მივატოვებ, — მპასუხობდა ისიც, მაგრამ მიზეზს კი არ იტყოდა. ვიცოდი, რომ შვილი ჰყავდათ, რაღაც გაურკვეველ ვითარებაში დაკარგული... კორას კი ეიმედებოდა, ქმარი ბავშვს მაპოვნივსო... მის ქმარს თურმე უზომო გავლენა ჰქონებია შვილებზეც და თვით კორაზეც და კორა ამ მიზიდულობას მოენუსხა.

— მთელი დღე სარდაფის ლაბორატორიაში ზის და ალქიმიურ ცდებს ატარებს... მეშინია მისი...

თუმცა შიშის გარდა ქმარი რაღაცით მაინც იზიდავდა კორას...

— ასე მგონია, არასოდეს მოკვდება, — უთქვამს ხშირად, — ყოველნამს ველოდები, რომ ჩემი ცხოვრების მსაჯულად იქცევა და დამწყევლის, შემაჩვენებს... რაღაც საზიზღარი სავარძელი უდგას კაბინეტში და როცა იქ ზის, მოსამართლეს ჰგავს...

მოკლედ, ქმართან ცხოვრება სულს უხუთავდა კორას; თითქოს ჯოჯოხეთში ვარო, შემომჩიოდა... დედასთან ამ კუნძულზე სტუმრობა თუ შველოდა მცირე ხნით, ლაყვარდი ზღვის ნაპირას, მწვანობში...

ალბათ, ქმრის უხიაკობა იყო მიზეზი, კორამ რომ თავის მოკვლა სცადა: ლაბორატორიაში შეიპარა თურმე და ექვსი მენამული მარცვალი, შხამის აბები რომ ეგონა, სწრაფად გადაყლაპა, მაგრამ ამ ამბავს ფრიად უცნაური სკანდალი მოჰყვა. კორა არ მოკვდა, ქმარმა კი სასამართლოში უჩივლა ცოლ-ქმრული ერთგულების ღალატის გამო. კორას სასამართლომ ქმრის გვერდით ყოფნა მიუსაჯა. აი, რად ვერ განშორებოდა ქმარს, ვისი ერთგუ-

ლებაც ოფიციალურად ჰქონდა დავალებული. ასეთ ყოფას შვილის დაკარგვის მუდმივი მწუხარებაც უძძიმებდა კორას, რაკილა თავს იდანაშაულებდა, ბიჭი ჩემი მიზეზით გაიტაცესო...

— ბავშვი როგორ დაკარგე, კორა? — ვეკითხებოდი ხშირად, რადგან ეს ამბავიც უცნაურად მომხდარიყო: კორა თურმე საყიდლებზე გასულა და ბავშვი ძიძისთვის დაუტოვია საძინებელ ოთახში, უკან მობრუნებულს კი შვილი საწოლში აღარ დახვედრია. ძიძა იფიცებოდა, სახლში არავინ შემოსულაო, და მართლაც, უცხოთა კვალი პოლიციამ ვერსად ნახა, ამიტომ ძიძაზე ეჭვიც ველარ მიიტანეს, თუმცა ბავშვის ეგრე კვალმინდად გაქრობა დაუჯერებელი ჩანდა... რამდენიმე თვის შემდეგ კორამ დაზღვეული წერილი მიიღო, კონვერტზე ცხენის თავი იყო აღბეჭდილი მარკის ნაცვლად.

— მთხოვდნენ, აქ სასწრაფოდ ჩამოესულიყავი. მპირდებოდნენ, შვილის ამბავს შეგატყობინებთო... ჰოდა, მეც წამოვედი...

ისევ გამოდიოდა, კორას შვილი რომ არ დაეკარგა, ჩვენ ვერასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთს; უცნაური იყო, ძალზე უცნაური...

— მისტერ ჩედვიკი დედაჩემის ძველი ნაცნობია, ძალიან მეხმარება რაც შეუძლია, მისი დიდად მადლობელი ვარ...

მეც მადლობელი ვარ მეთქი, ვუთხარი... ცხენების სასაფლაოს მომვლელად რომ დამაყენა...

— ნუ დასცინი, მართლა კეთილი კაცია.

— არ დავცინი, კორა, მაგრამ არ გეჩვენება, რომ ცოტა უცნაური ვინმეა?

კორამ გვერდულად შემომხედა.

— ცხენების სასაფლაო რომ აქვს, უცნაურად იმიტომ გეჩვენება? — მკითხა მერე.

— ვიცი, რომ ცხენები უყვარს და მათზე ადამიანებზე მეტად ზრუნავს, ალბათ, ეს სასაფლაოც იმიტომ მოაწყო, ცხენები ჩვენზე უკეთესნი რომ ჰგონია... როდი მწყინს, მე რომ დახოცილ პირუტყვების საფლავებს ვუვლი, მაგრამ მისტერ ჩედვიკი აშკარად ნორმალური არ არის... ერთი მაგის ფეხები განახა, რას უგავს...

— მისტერ ჩედვიკს ფეხები დაუნახე?

— ჰო, მაგლის ქვეშ ვიყურებოდი, როცა ბრიყვულად მეხუმრა... ცხენის ბალანი აქვს კანჭებზე... მგონი, დისტროფია...

კორას უცებ ღრმა ნაოჭი დააჩნდა შუბლზე, თავი გადააქნია და თითქმის სიბრაღულით შემომხედა.

— მისტერ ჩედვიკი კენტავრთა დიადი და უძველესი მოდგმის წარმომადგენელია, — თქვა შემდეგ. მე კი გამეცინა.

— კორა, რას ამბობ...

— არ ვხუმრობ, ლუკას, და შენც მალე დარწმუნდები...

— გინდა, რომ ეგ ზღაპარი დავიჯერო? კაცს თუ ატავიზმის ნიშნები გამოჰყვა, სულაც არ ნიშნავს, რომ ის მართლა კენტავრია.

კორა ისევ სინანულით მიყურებდა.

— ადამიანს ხშირად ის არ სჯერა, რაც არ უნახავს, — მითხრა მერე, — თუმცა ის კი უეჭველი სწამს, რომ ქვეყნიერება ისეთი იყო და იქნება, როგორსაც ხედავს.

— ჰო, მაგრამ, კორა, ეს ხომ მეტისმეტად დაუჯერებელია!

— არც იმდენად, ლუკას, აბა, მისმინე...

და კორამ მართლა დაუჯერებელი და გაუგონარი რამ მამო კენტავრთა ძღვევამოსილი და მრავალრიცხოვანი მოდგმის შესახებ, რომელიც ოდესღაც დედამინაზე უფლობდა და მერე მოულოდნელად გადაშენებულა... სკოლის მერხიდან ყველამ იცის ეს ამბავი, მაგრამ კორა მარწმუნებდა, კენტავრთა ცივილიზაცია არც მითია და არც ზღაპარი, და ისინი ნამდვილად დედამინის გონიერ ბინადართა უძველეს და კეთილშობილ რასას მიეკუთვნებიანო...

— გინდა დამარწმუნო, რომ კენტავრები ახლაც არსებობენ? კორა ცოტა ხანს დუმდა და მერე მკითხა, ნუთუ ვერ ხვდები, თუ რატომ ზრუნავს ასე თავგამოდებით მისტერ ჩედვიკი იპოდრომის მკვდარ ცხენებზეო...

— იმიტომ, რომ ცხოველები უყვარს... სხვაგანაც არის, კორა, ვთქვათ, ძაღლების სასაფლაო, და ეს გასაკვირი როდია...

— გინახავს მერე აქაური მკვდარი ცხენი? — მკითხა კორამ, — რა გგონია, მაინცდამაინც იპოდრომი რატომ ააგო მისტერ ჩედვიკმა ამ ერთიბენო კუნძულზე, სადაც ცხენები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ადამიანები?

— აბა, რა ვიცი, კორა, კაცია და გუნება... თანაც მისტერ ჩედვიკი ამერიკელია, და იმათი ექსცენტრიულობა ხომ კარგად არის ცნობილი...

— ეჰ, ლუკას, რა მიაბიტი ხარ, მარტო შენივე თვალსა და გონებას ენდობი!.. არა უშვავს, დრო მოვა და თავად ირწმუნებ ჩემს ნათქვამს... ახლა კი ის მითხარი, რა გჭირდება.

— შენი სიყვარული, კორა, სხვა რა...

კორა უცებ ისევ დასევდიანდა.

— ლუკას, უნდა შეეგუო, რომ მე გათხოვილი ვარ და ქმარს ვერ გავყვრები.

— ჩემთან ნაგიყვან, კორა, მაგრამ ვხედავ, არ გიყვარვარ.

კორამ პირი მიიბრუნა, თუმცა მზერა მაინც შევასწარი, თვალში ცრემლი უკიაფებდა.

— არაფერი გესმის, ლუკას, და მეც მანამებ...

— რატომ, კორა, რატომ არ გინდა, ჩემთან იყო?

კორა გაჩუმდა და ხმა არ გამცა. საერთოდაც, უცნაურობა სჩვეოდა, ანაზღად მოინყენდა ხოლმე და კითხვაზე არ მპასუხობდა. ახლაც ვერაფერი ვათქმევინე, იმის გარდა, დრო მოვა და ყველაფერს გაიგებო... უცნაური ჩანდა მისი ქცევა, მაგრამ ვიცოდი, ვერაფერს გავხდებოდი, და უხმოდ მოვეხვიე, ცრემლი კოცნით ამოვუშრე, თან კი ჩემს უკუღმართ ბედისწერაზე ვფიქრობდი, ასეთ ქალს რომ შეემყარა მაინცდამაინც და ისიც ამ მიკარგულ კუნძულზე, საიდანაც ვერაფრით გამომდენია, რადგან ადამივით უსახელო და შიშველ-ტიტველი ვიყავი აქ დარჩენილი... მართალია, მისტერ ჩედვიკი კი მპირდებოდა, ათენის საკონსულოში ნაცნობები მყავს და პასპორტს მალე მოგიხერხებო, მაგრამ აქაური ჩინოვნიკები საქმეს აჭიანურებდნენ; მისტერ ჩედვიკმა მითხრა, მოთხოვნა უკვე გავგზავნე და, მგონი, დაბრკოლება არ უნდა შეგვხვდესო, მაგრამ დიდი დრო თურმე პასპორტისათვის საჭირო ჩემი ოფიციალური მონაცემების გადმოგზავნას სჭირდებოდა და მეც ამოო ლოდინით ვიხერხებოდი... ისე კი რა უშავდა, სასმელ-საჭმელი მქონდა და თავგესაფარი... ეგ არის, მეცნიერთა კონგრესზე დასწრების ნაცვლად სარეველა ბალახს ვგლეჯდი გარდაცვლილი ცხენების საფლავეზე... უფრო სასიერო კორას ნათქვამი იყო, ამ სამაროვნებში კენტავრები განისვენებენო... მერწმუნა თუ არა? სიგიჟე იყო, მეტი არაფერი... და მაინც კენტავრებზე ფიქრი არ მშორდებოდა... ცნობისნადილს ვეღარ გავუტელი და კორას ვუთხარი, მისტერ ჩედვიკს სთხოვე, ცოტა ხნით ინტერნეტი დამითმოს, ათენში წერილი მიწადა გავგზავნო-მეთქი... ბედად, მისტერ ჩედვიკი იმ დროს კუნძულზე არ იმყოფებოდა, რალაც საქმეზე გამგზავრებულყო აქედან და მეც ვიდროვე და კენტავრებზე რალაც-რალაცების გავება მოვახერხე... ერთ ინტერნეტ-მისამართზე თითქოს უწყუარ ცნობას წავაწყდი: კორას არ იყოს, აქაც ამტკიცებდნენ, კენტავრები ნამდვილად არსებობდნენო:

„კენტავრი — უჩვეულო, პარადოქსული არსებაა, ბუნების გამოუცნობი საიდუმლო. დიახ, ნამდვილად ბუნებისა — ეს შეგვიძლია სრული სიზუსტით ვამტკიცოთ. მეცნიერებს დიდხანს არ გააჩნდათ მეტ-ნაკლებად სარწმუნო მტკიცებულებანი კენტავრების არსებობის თაობაზე. შეცდომით ფიქრობდნენ, ვითომ ისინი პირწმინდად მითოლოგიური პერსონაჟები არიან, რომელთაც არასოდეს უარსებიათ.“

შემდეგ სტატიის დამწერი რიტორიკულ კითხვას უღრმავდებოდა: განა უცნაური არაა, რომ გამოგონილი არსება ასე ხშირად იხსენიებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ თხზულებებში და ასე ხშირად გამოსახავდნენ ფერმწერები და მოქანდაკენი? განა ფართოდ არ არის ცნობილი, რომ ზღვის სირენის პროტოტიპი ასეთივე სახელის მქონე რეალური ცხოველია, ხოლო კუნძულ კომოდუსზე შემორჩენილია ჭეშმარიტად დრაკონული ზომის ვარანი.

„ახლახან კენტავრთა რეალურობის მომხრეებმა თავიანთი სიმართლის უეჭველი მტკიცებანი მოიპოვეს, — განაგრძობდა ავტორი, — ელ-აიუმის (დასავლეთი საჰარა) მახლობლად არქეოლოგი-



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

ურმა გათხრებმა ყოველგვარი ეჭვი და ყოყმანი კვამლივით გაფანტა — აღმოჩენილია კენტავრის ათზე მეტი ჩონჩხი, რომელთაგან ბევრი კარგადაა შემონახული. კალიფორნიის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების პროფესორმა ჯ.რ. ეშპტინმა აღადგინა კენტავრის გარეგნული სახე.

კენტავრის ზომა არცთუ გიგანტურია: გავადან მინამდე — ერთ მეტრამდე, წინა ჩლიქებიდან თხემამდე — დაახლოებით მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი. ტვინის მოცულობა ადამიანისაზე რამდენადმე ნაკლებია, მაგრამ მეტია შიმპანზესა და გორილას ტვინზე. მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია საკითხმა, თუ როგორ იყო განლაგებული შინაგანი ორგანოები ორ სიღრუეში. გაირკვა, რომ წინამხარი (ადამიანისმავარი) შევსებული იყო სუნთქვის ორგანოებით. მძლავრი ფილტვები დიდი ბრონქებით კენტავრთა უჩვეულო გამძლეობას მონიშნავდა; გარდა ამისა, ამკარაა, რომ კენტავრები მეტისმეტად ხმამაღალი იყვნენ, შესაბამისად — სმენადაქვეითებულნი. ქვემოთა უკანა ნაწილი, კიდურების სარტყელში, იყო უზარმაზარი გული. გულის შემდეგ — დიდი კუჭი და გრძელი ნაწლავური ტრაქტი, რაც მიუთითებს, რომ კენტავრები უმთავრესად ბალახეულით იკვებებოდნენ. გვერდებზე, ნეკნების სიახლოვეს, კენტავრებს ჰქონდათ საჰაერო ბუშტები, იმის მსგავსი, როგორც ფრინველებს. ჩასუნთქვისას ისინი ჰაერით ივსებოდნენ, რათა მოგვიანებით, ამოსუნთქვისას, ამ ჰაერით ფილტვები მოემარაგებინათ. ამგვარად, კენტავრები იყვნენ ერთადერთი ძუძუმწოვრები ორმაგი სუნთქვით.

კენტავრთა კლასიფიკაცია ძალზე ძნელი აღმოჩნდა. ალბათ, ეს ექვსფეხა ხერხემლიანთა განსაკუთრებული კლასია — ჩიხური ტოტი ევოლუციის ხეზე. კენტავრთა ისტორიამდელი წინაპრები, უეჭველია, ტყეში ბინადრობდნენ, გადაადგილდებოდნენ ექვსივე კიდურით და მეტისმეტად ნელა მოძრაობდნენ. პროტოკენტავრები (პროტოცენტაურუს ვულგარის) სულ სხვაგვარად გამოიყურებოდნენ: კიდურები მოკლე და მოხერხებული ჰქონდათ და წინა ნაწილი სრულებითაც არ მიუყავდათ ადამიანისას. ბუნებებში ცხოვრობდნენ და ყველაფერს

ჭამდნენ. კლიმატის ცვლილებასთან ერთად პროტოკენტავრები სტეპის ცხოველებად იქცნენ, რამაც მათ გადაადგილების უფრო მაღალი სიჩქარე განუვითარათ. ამასთან, სხეულის წინა მხარი მინას მოსწყდა და დამსუბუქდა, უკანა — პირიქით, უფრო მასიური გახდა, შუა და უკანა კიდურები შესამჩნევად დაგრძელდა. შემდეგ, ევოლუციის პროცესში, სხეულის უკანა ნაწილი უფრო მეტად დამსუბუქდა ცხენისას, რაკილა მათი ცხოვრების პირობები და წესი სავსებით იგივე გახლდათ, რაც ველური ცხენებისა. წინა ნაწილი კი, შემსუბუქებული და ვერტიკალური, გამოთავისუფლდა სასარგებლო შრომისათვის. წინა კიდურები ნელ-ნელა გვაგონებდა ადამიანის ხელებს. შეიძლება სრული დამაჯერებლობით განვაცხადოთ, რომ შრომამ პროტოკენტავრი (ცენტაურუს ცენტაურუს) ნამდვილ კენტავრად აქცია.”

ამის შემდეგ ავტორი კვლავ რიტორიკულ კითხვას უბრუნდებოდა: „გამოცანად რჩება, იყვენ თუ არა კენტავრები გონიერი არსებანი? მითოლოგია ამბობს, რომ „კი“ (აქვე ავტორი მითხვებს სთავაზობდა მოეძებნა ამის დამადასტურებლად მითი იაზონის, ლაპითების და ა.შ. შესახებ.). მაგრამ მეცნიერებს არ გააჩნია უცილო დასაბუთება. სამწუხაროდ, ეს გამოცანა ამოუხსნელია, რადგან ყველა კენტავრი დაიხოცა — უნდა ვიფიქროთ, ადამიანთა გამო. ბევრი ლიტერატურული წყარო, მაგალითად, მითი ლაპითებზე, მოგვითხრობს ადამიანთა და კენტავრების შუღლზე. ამკარაა, რომ ვეება და მოუხემავემა კენტავრებმა კონკურენციას ვერ გაუძლეს მარჯვე და მობილურ ადამიანებთან. სავარაუდოდ, ჩვენს ერამდე უკვე პირველ ათასწლეულში კენტავრები სრულებით გადაევეს ძველი საბერძნეთის ტერიტორიიდანაც და ევროპიდანაც. საპარის ქვიშობებში შერეკილნი, კენტავრთა შემცირებული ჯგუფები ალბათ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნემდეც არსებობდნენ. ბოლო ხსენება კენტავრებთან შეხვედრის შესახებ მოიპოვება კაპალიას ტრაქტატში „ჩემი მოგზაურობა უშორეს ნაპირებზე.”

სხვა ინტერნეტ-მისამართზე კენტავრები შედარებულნი იყვნენ განდჰარვებთან, რომლებიც მთის მწვერვალზე გაშენებულ ქალაქში ცხოვრობდნენ და სომას წვენით ლაღობდნენ. ვინ იყო მართალი? როგორ დამეჯერებინა კორას მონაყოლი? ინტერნეტი მავროკორდისის ტელეფონის ნომერი გავიგე და კორას მობილურიდან დავურეკე.

— ცუდი ამბავი მოგსვლიათ, — მითანაგრძნო კოლეგამ, — იმედია, ათენში მაინც გნახავთ... მისტერ ჩედვიკს კი ჩემი მოკითხვა გადაეცით.

გამიკვირდა, მავროკორდისი რომ „ჰერმესის” მფლობელს იცნობდა.

— გათხრებს ის მიფინანსებს, — განმიმარტა იმან, — სხვათა შორის, კოლეგა, მანდაც არის თქვენთვის საინტერესო ადგილი, ოფიონი ჰქვია... როცა მოიცლით, აუცილებლად ინახულეთ: ვგონებ, ძველი წარწერები უნდა იყოს ზედ შემორჩენილი...

შევპირდი, კონცხს ვნახავ და შედეგებს შეგატყობინებთ-მეთქი... ისედაც ვაპირებდი იქით გასეირნებას, რადგან ეს ადგილი უცნაურად მიზიდავდა; რამდენჯერმე კორას შევთავაზე, ძველი შუქურისაკენ წავსულიყავით, მაგრამ კორამ სიცხე მოიმიზეზა და არ წამომყვა.

— რა მოგდის, კორა? — ვკითხე. სიზმრები მანვალუბსო, მიპასუხა... თურმე მკვდარი თევზები უნახავს, რვიანის სახეე გაკვანძულნი; თევზებს კი რატომღაც ადამიანის სახელები ერქვათ...

— ვილაც მოკვდება, ვგრძნობ, ვხვდები... დავამშვიდე, მაგრამ კორა მაინც სანყლად შემომყურებდა... ძალიან სჯერა სიზმრის, წინასწარმეტყველების, ქარაგმის... ქვეყანა მისთვის რეზუსებით არის სავსე. თვითონაც, მგონი, სიზმრად უფრო არსებობს, ვიდრე ცხადში. მიცვალებულის სიფითრე მოსდებია სახეზე.

— ბრონეულის წვენი დალიე, ტონუსს შეგმატებს. ჭიქა გამომართვა და კედელს შეანარცხა.

— არ მინდა, სისხლს მაგონებს... სანაპიროზე წასასვლელად ვერც ახლა დავიყოლიე, იმის მიუხედავად, რომ მავროკორდისის ნათქვამი გავუმეორე, იქ შესაძლოა წინამინოსური წარწერები იყოს-მეთქი...

— მის ჰარპერს საყიდლებზე უნდა გავყვე... თანაც ძალიან ცხელა...

სიცხით კი მართლა ჯოჯოხეთურად ცხელა ამ პატარა კუნძულზე. დღისით სასაფლაოს ხეების ჩრდილში ვემალევი პაპანების, საღამოთი, კორასთან შეხვედრამდე, „ჰიპერიონში” ვგრილდები (ცივი ლუდით ან შუშხუნა სასმელით; მავროკორდისთან საუბრის შემდეგ კი თავი გავიმეტე და სანაპიროსკენ გავუყევი კიბირჭიან ბლიკს, თან კორასაგან ნათხოვარი ფოტოაპარატი გავიყოლე წარწერების გადასაღებად. მართალია, საღამო იდგა და თითქოს უნდა აგრილებულიყო, მაგრამ მზე მაინც გაშანთებული აჭერდა მინას და მხურვალე ლამის მათრობდა. ლოდებს შორის კლდემდე ავალნიე და დასასვენებლად იქვე ჩამოვეჯექი. ქვემოთ ზღვა იყო, ნაპირის გასწვრივ მეთევზეთა პატარა გემი მიცურავდა. ვიჯექი, წყალს დავეყურებდი და არაფერზე ვფიქრობდი. უცებ სანაპიროზე ავტომობილმა შემოუხვია. „სმარტი” იყო... ნუთუ კორაა? მინდოდა, წამომდგარიყავი და კორას დავნახებოდი, მაგრამ ანაზდად გულმა რეჩხი მიყო: კორამ აკი მითხრა, რომ საყიდლებზე მიდიოდა!..მამ აქ რა უნდა? ლოდს ამოვეფარე და დაველოდე, ვიდრე კორა ავტომობილიდან გადმოვიდოდა, მერე კი უჩუმრად ავედევე უკან... პატიოსანი ქცევა არ იყო ჩემი მხრიდან, მაგრამ ალღო რაღაც უცნაურ საიდუმლოს მკარნახობდა და მეც ნაკუზული, ქვევს შორის ზემოდან მივიპარებოდი დაბლა გაჩერებული ავტოსაკენ... კორამ კარი გასაღებით დაკეტა, ცოტახანს იქვე იდგა, ალბათ ამომნებდა, ვინმე ხომ არ უთვალთვალედა, შემდეგ პირდაპირ კონცხისაკენ გაემართა... უკან გავყევი. კორა წვალებით მიინეგდა ქვა-ლორლიან ბლიკზე და უცებ გაუჩინარდა. ეტყობა, აქ გვირახი ან გამოქვაბული იყო და მართლაც, კონცხს რომ მივატანე, ხახხადლებული ვინრო ხვრელი დავინახე. კორა, ალბათ, შიგნით მიიმალა...

ფეხსაცმელები წავიძვრე და გამოქვაბულში ფრთხილად შევყავი თავი. შიგნიდან კორას ქუსლების კაკუნის ექო მესმოდა. ლიპი ჩასასვლელით ქვემოთ დავეშვი... გრძელ ტალანში მივდიოდი და უცებ მივხვდი, ეს სამალავი იყო: გვირახის ბილიკი, როგორც ჩანს, საგანგებოდ მოესწორებნათ და იოლად მივალნიე განათებულ დარბაზს, რომლის შუაშიც კორა იდგა... ფეხაკრეფით მივუახლოვდი: დარბაზი რკინის ცხაურით იყო გაყოფილი და კორა ახლა ამ ცხაურთან იდგა...

უკვე ორ ნაბიჯზე ვიყავი მისგან, მინდოდა შევხმინებოდი, მაგრამ ცხაურს იქით რაღაც უცნაური არსება ამოძრავდა და მე ენა დამემა, ხავილილა ამომივიდა ყელიდან: გისოსებს მიღმა სუსტ შუქზე პატარა კენტავრი ცდილობდა წამოდგომას, ფეხები ეკეცებოდა, ხელებს კორასაკენ იწვდიდა... უცებ ძახილი გავიგონე — კენტავრი დედას უხმობდა...

კორა გისოსებს ჩაეჭიდა, ხელები შიგნით შეჰყო. მხრები უცახცახებდა.

— კორა!

შეკრთა და მყისვე შემობრუნდა. ჩუმად შევეყურებდით ერთმანეთს, მერე კორამ წყნარად თქვა:

— ლუკას, ეგ ჩემი შვილია.

ცხაურთან მივედი. შიგნით ჭილობზე პატარა არსება იწვა, წინა ფეხები გამოეშვირა და სინათლის შუქზე ფლოქვები უელავდა. ლამაზი სახე ჰქონდა, დიდი, მშვენიერი თვალები, ნატიფი ნაკვთები და კონტად მოხაზული პირი. ქერა, ნაზი ფაფარი ფიქალივით შუბლზე ურჩად ჩამოშლოდა.

— გათხოვებამდე სხვა კაცი მიყვარდა, გემის კაპიტანი იყო, ადმირალი...

გვერდით დავუდექი და ხელზე ხელი მოვიკიდე. ყინულის სიცვიე ვიგრძენი. კორამ სანყლად შემომხედა.

— ქმარმა რომ შემირთო, ორსულად ვიყავი, დედაჩემის მეთვალყურეობით ვიმშობიარე. აი, ეს გაჩნდა...

პატარა კენტავრმა დაიხავლა. ხმა სუსტი ჰქონდა, უმწეო... კორას თვალები აუცრემლდა.

— ვერ გამეგო, რა მოხდა და ჩვეულებრივი ბავშვის ნაცვლად ეს რატომ ვშობე, მაგრამ შვილს ხომ ვერ გადავაგდებდი და ძიძა ავუყვანეთ, ის ანოვებდა ჭუჭუს, თან ყველაფერს მკაცრად საიდუმლოდ ვინახავდით. ქმარს ვეუბნებოდი, პატარას ავადმყოფობა სჭირს და დედასთან მიინდა-მეთქი გავგზავნო, მან კი დაიჟინა, ბავშვს მამობას გავუწევო... ვიდრე ჩვილი იყო, ჩემი შვილი დიდად არ განსხვავდებოდა ადამიანის ნაშიერისაგან, მითუმეტეს, სახვევებში გამოკრული დამყავდა და ქმარს მარტო სახით ვაჩვენებდი, ჩაფუთულსა და დოლბანდმემოხვეულს, მაგრამ ნამოიზრდებოდა და ჩემი ქმარიც ყველაფერს მიხვდებოდა; სხვა გზა არ იყო, მოტაცება გავითამაშეთ, პატარა აქ დავმალეთ, მისტერ ჩედვიკი ძალიან დაგვეხმარა.

— მისტერ ჩედვიკს მანამდეც იცნობდი?

— ჰო. მან თავისი ხალხი გამოგზავნა პატარას ნასაყვანად, მე კი ვითომ დედის სანახავად წელიწადში ერთხელ და ისიც მცირე ხნით აქ ჩამოვდივარ.

— რატომ აქამდე არაფერი მითხარი, კორა?

— შემეშინდა. მეგონა...

კორა გაჩუმდა და მივხვდი, არ მენდობოდა. წყენა მაინც არ შევიმჩნიე.

— ნუთუ ქმარს რომ ყველაფერი გაუშხილო, არ გააპატიებს? ცხაურს იქით კვლავ გაისმა უსასოო ხავილი. პატარა დედას უხმობდა.

— მისტერ ჩედვიკი ამბობს, რომ პატარა ცხენ-კაცთა დიად მოდგმას ეკუთვნის და მათი წინამძღოლი იქნება, როცა კენტავრები დაბრუნდებიან...ოჰ, ლუკას, არც კი იცი, რა განვიცადე!..

— მოიცა, კორა, კარგად გამაგებინე, რა ხდება! ნუთუ მისტერ ჩედვიკმა შვილი წაგართვა?

კორამ თავი ხელისგულებში ჩამალა და აქეთინდა. მშვიდად ველოდი მის დაწყნარებას.

— კორა, მითხარი, რით დაგვეხმარო.

— არა, ლუკას, წინასწარმეტყველებას ვერ ვაჯობებთ, ნურც ეცდები.

— რა წინასწარმეტყველებას, კორა, რას ამბობ?

მან თავი აიღო და შემომხედა. სახე ცრემლიანი ჰქონდა.

— ძველი ქრონიკები კენტავრთა ხელახალ მეუფებას წინასწარმეტყველებენ დედამიწაზე. ოდესღაც ისინი ადამიანებმა ამოწყვიტეს, მაგრამ საუკეთესონი გადარჩნენ და ახალ მოდგმას დაუდეს სათავე... როცა გამრავლდებიან, ადამიანებს განდევნიან და სამართლიან მეფობას დაამკვიდრებენ...

— კორა, რას ამბობ...

— ჰო, ლუკას, ასე იქნება... მისტერ ჩედვიკი არ ცდება.

უცებ თითქოს გონება გამიწადა.

— მაშასადამე, მისტერ ჩედვიკი... — ველარ დავასრულე, რადგან ის აზრი, რის თქმასაც ვაპირებდი, წარმოუდგენელი და სამიმიც კი მეჩვენა.

კორამ თავი დამიქნია.

— ამას ადრევეც უნდა მიმხვდარიყავი, აკი გეუბნებოდი კიდევ, — მან თვალები შეიმშრალა და გისოსებს მოშორდა, დარბაზის შესასვლელისაკენ გადმოინაცვლა, — წამოდი, ლუკას, და შემომფიცე, რომ არავის ეტყვი, რაც აქ ნახე!..

— კარგი, კორა, სამარე ვარ, მაგრამ პატარა აქ რად დაგიმწყვედევიათ? განა რაიმე საფრთხე მოეღის?

— მისტერ ჩედვიკი შიშობს, ადამიანები კენტავრების არსებობას თუ შეიტყობენ, მყისვე მათ განადგურებას მოინდომებენ, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა... ხომ იცი, რა დაუნდობლები არიან, თუკი ვინმე ძალაუფლებას შეეცილებათ... ალბათ იცი, რომ არის ასეთი ორგანიზაცია — მსოფლიოს არქეოლოგთა ასოციაცია... ჰოდა დიდი ხანია ეს ორგანიზაცია კენტავრთა კვალს დაეძებს, მაგრამ მისტერ ჩედვიკმა მოხერხებულად აურია გეზი, როცა საჰარის უდაბნოში ადამიანთა და ცხენების ძვლები ერთად ჩაფლა და მერე კი საზეიმოდ განაცხადა, როგორც იქნა, კენტავრთა ჩონჩხი აღმოვაჩინეთო...

ინტერნეტით წაკითხული სტატია გამახსენდა და კორას მხრებში ხელები წავავლე, მივიზიდე.

— მე, კორა, მე რატომღა მენდობი, ამას რომ მიყვები? ხომ შეიძლება გაგცე, მეც ხომ ადამიანი ვარ!..

— ჯერჯერობით, ლუკას, მერე ვნახოთ...

როგორც სჩვეოდა, უცნაურად შემომხედა და მივხვდი, მასზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ მყავდა.

— ვერ მიგიხვდი, კორა...

მან ხელი გამაშვებინა და უკვე მშვიდად მითხრა:

— ოდესღაც კენტავრები და ადამიანები ერთნი იყვნენ, შემდეგ კი ეს მოდგმა გადაგვარდა და ისინი დაშორდნენ, მაგრამ ადამიანთა ხსოვნაში მაინც შემორჩა საერთო ჰარმონიის გრძობა... ადამიანთა შორისაც ჩნდებიან, ლუკას, სულით კენტავრები, ვისაც სამყაროს ერთიანობის შეგნება არ დაუკარგავთ და ოდინდელ ჰარმონიას ელტვიან; მათ ხომ მარტოოდენ თავიანთი ადამიანური გარსი ეცოტავებათ და ყველა არსების ყოფიერებასთან ზიარება უნდათ; მისტერ ჩედვიკსაც ამნაირი ხალხი ეიმედება, რალაი კენტავრები ჯერჯერობით ცოტანი არიან და ადამიანები თუ მოინდომებენ, ნუთმი გააჟღერებენ მათ...

კვლავ რალაცას ვხვდებოდი.

— მაშასადამე, კორა, შენ... შენ მისტერ ჩედვიკის დავალებით შემიყვარე? გინდოდათ, გადაგებირებინეთ და თქვენი მიზნებისათვის გამოგეყენებინეთ? თქვი, მიპასუხე!

— გამიშვი, ლუკას, მტკივა, — კორამ ხელი გაითავისუფლა და განზე გადაგა, — თქვენ, ადამიანები, სიყვარულსაც ადამიანური თვალსაზრისით უცქერით.

— მატყუებდი!

— ლუკას, მე ახლაც მიყვარხარ, მაგრამ შენ სიყვარული სხვანაირად გესმის...

— არა, მატყუებდი... ცხენითაც განგებ დამეჯახე, ალბათ, მისტერ ჩედვიკის ბრძანებით, რათა გაგეცანი და მერე თქვენს ნებაზე გეთამაშებინეთ...

— ლუკას, მოიცადე...

ალარ ვუსმენდი. კორა ჩემს შეჩერებას ლამობდა და მკლავები მომხვია, მაგრამ გაუუსხლტი და გვირაბიდან ამოვედი. თითქმის მოვრბოდი, თან კი სუსტი უძლური ხავილი მომყვებოდა უკნიდან — პატარა კენტავრი კვლავ დედას უხმობდა...

* * *

ჩემი შემდგომი ქცევა იმ გეჟისას ჰგავდა, ვისაც ჰგონია, რომ ძალზე ჭკვიანურად მოქმედებს და არაფერი აეჭვებს; ეს გონის დაბნელება იყო... სხვა რა უნდა დაერქვას აბა ჩემს განზრახვას, მისტერ ჩედვიკის კაბინეტში შევპარულიყავი და საიდუმლო ქრონიკები მომეპარა, რომელშიც კენტავრთა ისტორია და წინასწარმეტყველება იყო ჩანერილი... განა არ უნდა მეფიქრა, რომ „ჰერმესის“ მეპატრონე ესოდენ მნიშვნელოვან დოკუმენტს პატარა სეიფში არ შეინახავდა?! მაგრამ მაშინ, როგორც ვთქვი, ეს არც მაეჭვებდა; დალამდა თუ არა, სასაფლაოდან კიბე და დახვეული თოკი წავიღე და დამკრძალავი ბიუროს გალავანზე გადავძვერი. კუნძულზე მისტერ ჩედვიკს იმხელა ავტორიტეტი და ნდობა ჰქონდა, მის გაქურდვას არავინ იფიქრებდა, ამიტომაც „ჰერმესი“ ცუდად იყო დაცული. დანესებულებას დარაჯი კი ჰყავდა, მაგრამ მარტო ფორმალურად, რალაი ჩვეულებრივ ბუღალტერსავე თვლებში მთავარი ალყაფის წინ... კიბით იოლად ავედი ლავგარდანზე და ნიხლით ფანჯრის მინა ჩავაგსვრიე, კაბინეტში გადავძვერი. სეიფის სახელური საკმაოდ დიდხანს ვაბრუნე — ამაო იმედით, იქნებ კომბინაცია გამოვიცნო-მეთქი... ვერაფერს გაეხდი, დავილაღე, გავიოფლე და მაშინ ვიფიქრე, სეიფი ეზოში გადამეგდო და როგორმე სხვაგან წამეღო, რათა მისი გაღება მოგვიანებით მეცადა... რკინის ყუთი ფანჯარამდე წვალეებით მივათრიე და დაბლა გადავუშვი; ყრუ ბრაგუნით დაეცა, დარაჯი ვერ გაიგონებდა... რაფაზე ავძვერი, მეც ეზოში ჩავხტი: ფანჯარა არცთუ მაღლა იყო... სეიფს დავეჯავჯავრე, გალავანზე ატანა მსურდა, როცა უკნიდან ყეფა შემომესმა და კობი უზარმა-

ზარი ქოფაკი დავინახე, სალამოს ბინდში ჩემკენ მოგელავდენი არდღელებით... რა ეციოდი, მისტერ ჩედვიკს ძაღლები თუ ჰყავდა! გალავანს მიყუდებულ კიბეზე ავძვერი და გალავანს იქით ჩავხტი, მაგრამ უხერხულად დავეცი და კოჭი ვიტკინე... მაინც წამოვდექი, იქაურობას დროულად უნდა გავცლოდი... ორი ნაბიჯიც არ გადამდეგა, ალაყაფი გაიღო და ქოფაკები ისევ ჩემკენ გამოქანდნენ; ეტყობა, დარაჯმა დამინახა და ძაღლები მომისია... ვერ გავიქცეოდი, ამიტომ მიწაზე ჩავჯექი და თავზე ხელები წავივლე, როგორც ეს ფილმებში მქონდა ნანახი...

პოლიციის განყოფილებაში თავაზიანად მომექცნენ: ფეხი შემახვევინეს და სალბუნიც დამადეს, მაგრამ ნაშუალამეს კოჭი შემისივდა და ჯოჯოხეთურად ამტკიცდა. საკანში ცხელოდა, სულს ძლივს ვიბრუნებდი... მორიგემ, სწორედ იმან, ვისაც რამდენიმე დღით ადრე ჩემი გაქურდვის ამბავი შევატყობინე, დასველებული ზენარი შემომიტანა... ვთხოვე, მისტერ ჩედვიკთან დამაკავშირეთ-მეთქი; მორიგემ არაფერი მიპასუხა, მარტო ის მითხრა, კომისარს გავაგებინებო, და გავიდა. ღამე საშინელი წვალებით გავლიე, დილით კი კომისარმა მინახულა და ჩემი ჩვენება ხელახლა ჩაინერა... ისიც თავაზიანად მექცეოდა, მაგრამ მასაც რომ ვთხოვე, მისტერ ჩედვიკთან დამაკავშირეთ-მეთქი, დამცინავად გაელიმა.

- თქვენ ხომ მასთან მუშაობთ? — მკითხა.
- დიახ, საფლავებს ვუვლი.
- მისი გაქურდვა რატომ განიზრახეთ?
- არაფერი მომიპარავს. მისტერ ჩედვიკს უხმეთ და თავად დაადასტურებს, რომ მისი გაძარცვა არც მიფიქრია.

პოლიციის კომისარს ისევ ჩავლიმა.
— სეიფის გატანა განა ქურდობა არ არის? სხვათაშორის, ცარიელი აღმოჩნდა; უნდა გვითხრა, რა გინდოდათ, რომ მოგეპარათ.

- მაგას მარტო მისტერ ჩედვიკს ვეტყვი.
- კომისარი დადუმდა და ცოტა ხანს ეგრე მიყურებდა.
- მისტერ ჩედვიკი მენდობა, მას ჰკითხეთ, უდანაშაულო ვარ, — ვუთხარი მისი დუმილით გაბზერებულმა.
- იქნებ მისტერ ჩედვიკი უდანაშაულოდაც გთვლიდეთ, მაგრამ კანონით ბრალდებული ხართ, — მითხრა დაფიქრებით, — გამოვიკვლევ, რას აკეთებდით იმ სალამოს მისტერ ჩედვიკის კაბინეტში და უდანაშაულობაზეც მერე ვილაპარაკოთ... სხვა არაფერი გაქვთ სათქმელი?

არაფერი-მეთქი, მივუგე... პოლიციის კომისარმა თავაზიანად მკითხა, პოლიციელები ხომ კარგად გექცევიანო, და გავიდა, მორიგეს კი უფლებამოსილი მისცა, დღისით სამორიგეოში ვყოლოდი, სადაც ისე ძალიან არ ცხელოდა და ტელევიზორიც იდგა... დღიური ულუფაც იქ მომიტანეს, მაგრამ უარი ვთქვი ჭამაზე — ფიქრით ისევ კორასთან ვიყავი და მისტერ ჩედვიკისაც მეიმედებოდა, დამიხსნის-მეთქი; მერე კორას ნათქვამი მომაგონდა, მისტერ ჩედვიკი აქ არ იმყოფება, სხვაგან არის წასულიო, და გუნება წამიხდა... ლოდინის მეტი არაფერი დამრჩენოდა... ცოტა ხანში მორიგე შემოვიდა და ჩემი ცალი ფეხსაცმელი უკითხავად გაიტანა... სხვა აღარაფრით შევუწუხებვიარ, ვიჯექი და აქაურ გადაცემებს ვუყურებდი... ანაზღად გველნაკბენივით შევხტი, რადგან ეკრანზე ისეთი რამ დავინახე, გული ლამის გამიჩერდა: ის იყო, კორას შვილი... პატარა კენტავრი გალიაში იწვა და გარშემო უამრავი ცნობის-მოყვარე შემოხვეოდა... მორიგეს ვკითხე, რა ხდება-მეთქი, და იმანაც ინგლისურად

რად მითარგმნა, ვინც ეპოვნათ და ხალხს რა სენსაციასაც უჩვენებდნენ... პოლიციელის ნალაპარაკვიდან იმასაც მივხვდი, რომ კომისარი ფრიად გონივრულად გარჯილიყო, რაკი ჩემი ფეხსაცმელი თურმე მძებარ ძაღლს აყნოსინა და სასაფლაოდან გაჰყვა ჩემს კვალს, რომელმაც გვირახში მიიყვანა... რალა კითხვა უნდოდა, რაც მომხდარიყო! ვხედავდი, რა გამოენვია ჩემს დაუფიქრებელ ქცევას, მაგრამ რალა შემეძლო! დამწუხრებული შევეყურებდი მოზიზიმი ხალხს, კენტავრს რომ ეხვეოდა გარშემო, და კიდევ ერთი ნაცნობი დავლანდი; მართალია, გარეგნობა კი შეეცვალა, მაგრამ შელებილი თმისა და შავი სათვალის მიუხედავად მაინც ვიცანი მისტერ ჩედვიკი, ბრბოში რიგითი მნახველივით რომ გარეულიყო და აქეთ-იქით ვითომ უყურადღებოდ დაალაჯებდა... ტელენამყვანმა მიკროფონი მიუმარჯვა და ალბათ, აზრი ჰკითხა; მისტერ ჩედვიკიც დადგა, ფეხები გაჩაჩხა, თავი დალუნა და ინგლისურად რამდენიმე სიტყვა თქვა (ალბათ, იმიტომ, უცხოელი ჰგონებოდათ)... ტელენამყვანმაც მყისვე ინგლისურად გაუმოხრა კითხვა, კენტავრების შესახებ რას ფიქრობთო...

— როგორც ჩანს, ისინი არ გადაშენებულან, — დაიბუბუნა მისტერ ჩედვიკმა და კამერას ისე დაჟინებით შემოხედა, არც მიეჭვია, იცის, რომ ვუყურებ და ჩემს გასაგონად ამბობს-მეთქი ამას...

რას გულისხმობთო, არ მოეშვა ტელენამყვანი და მისტერ ჩედვიკმაც თავი ააღირა, ფართო პირი დაალო, ცხენის კბილები გამოაჩინა და კამერას თვალი ჩაუკრინტა.


— ისინი არ გადაშენებულან და მალე დაბრუნდებიან, სენსაციაც, აი, ეგ იქნება! — დაიჭიხვინა და კიდევ ერთხელ ჩაუპაჭუნა თვალი კამერის გუგას; თითქმის დარწმუნებული ვიყავი, მე მომმართავდა და თვალის ჩაკერაც ალბათ ნიშანი იყო, რალაცას რომ მოასწავებდა...

...და ისინი დაბრუნდნენ.

ღამით, როცა პოლიციელებმა კამერის კარი ჩამიკეტეს და ნარზე მივეგდე, თავს გადახდენილი ამბავს კიდევ ერთხელ ჩავუყვირი და მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს ვიმტვრიე თავი, მაინც ვერაფერი დავასკვინი... ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს, სად ან ვინ ვიყავი, ან რა მელოდა... მეღირსება კი აქედან გასვლა?! ვინ დამიხსნის, ვინ დამეხმარება? შესაძლოა, კოლეგებს პროტექცია კი გაენიათ ჩემთვის, მაგრამ კუნძულზე რალაც ისეთი მომხდარიყო, რასაც სახელი ვერ მოვუძებნე; ვგრძნობდი, აქედან გასვლის შემდეგ ისეთი ველარ ვიქნებოდი, როგორიც აქამდე ვიყავი, თუმცა არც ის ვიცოდი, რა მოხდებოდა... მწუხარე და შეურვებული ვინეკი ნარზე და გარედან შემოღწეულ ხმაურს ყურს ვუგდებდი. ნაშუალამეს ხმაურმა უცნაურად იმატა. ნარზე ავფოფხდი და ვინრო სარკმელში გავიჭვრიტე...

ქალაქი წარღვნას წაელეკა, ოლონდეს წყლის სტიქიონი როდი იყო: ქუჩებსა და მოედნებზე ათასობით კბილდაკრეჭილი, თვალეხანთებული მხეცი მოჰქროდა და ღამეს დაუჭედავი ფლოქვების ექო აყრუებდა... კენტავრები გრიგალივით მოსდებოდნენ პატარა ქალაქს, ამტვრევდნენ და ლენავდნენ წინ დახვედრილ ყოველ საგანსა თუ წინალობას, ფრუტუნითა და ჭიხვინით ახმიანებდნენ სიბნელეს... ბევრი ავტომანქანებს ზედ ახტებოდა და ზედვე ილენებოდა, ზოგიერთი კედლებს ასკვებოდა და ეს მუქად მოზიზიმი მდინარე შავი მორევივით, ნიაღვარივით მიედინებოდა საიდანაც...

ისინი ჩემს დასასხნელად მოეშურებოდნენ...





ჰანგს, შუაზე გადატეხილს
დაჰყავს წყვილი ჩახლართული,
გამოცანა, თავსატეხი,
მზე — სამყაროს დასასრული.
ტანგოს ცეკვას ოთხი ფეხი,
ორი ტანი,
ერთი
გული.

გიორგი
კობახიძე

* * *
ყველაფერს ლექსის ნიშანი ადევს,
კენწერო ზღაპრის, ზღაპრისვე ძირით,
გუგუნებს ზარი და ფხიზლობს მნათე,
იქ ბოროტს სული უჭირავს კბილით,
იქ პოეზია ღამეებს ათევს,
იქ ვერ იცხოვრებ ვალით და ქირით,
დგას საოცარი და აფრქვევს ნათელს
კოშკი, ნაგები
ქათქათა კირით.

* * *
არსად იყო ნამალი, გადარჩენის რეცეპტი,
გიყურებდი ჩუმად და
შენში ჩემს თავს ვეძებდი.
ესხა სანამლაგვივით თასში თრობის მიქსტურა,
გულმა ისევ გაბედა — ზღვაში
წვეთად იცურა.
იყო ერთი ნაბიჯი სიზმარიდან ცხადამდის,
მეც ნიავის ფუნჯებით ნელა-ნელა გხატავდი.
სურდათ, თუმცა ჩემს გარდა
ვერ გწვდებოდა ვერც ერთი,
გიყურებდი ჩუმად და
შენში ჩემს თავს ვეძებდი.

* * *
გახსენებს თავს, რაც დაკარგულია,
ის, რაც შენსავით არ სურს არავის,
უსველებს თვალებს, ვისაც გული აქვს,
შორს ჩანს იმედის თეთრი
კარავი
და სასწაულის მოლოდინიც
სასწაულია,
ასე არ არის?

* * *
ჭკუა — ქანაობს საქანელით,
სტილი — ამღვრეული ანტიკა,
ქალი — ერთი ღამის საყვარელი,
კაცი — გაყიდული კაპიკად.
ქალის ტანსაცმელი — აკვარელი,
კაცის სამოსელი — გრაფიკა.

* * *
ვანთებდით მზით და ვიქრობდით ნამით,
ვცნობდით და ვგრძნობდით ავად თუ კარგად,
სურნელი მისი გაფრინდა საით,
ის სიყვარული სად დაიკარგა.

მყოფი მინაზე, შექმნილი ცისთვის,
რაც შეადარა ცისა ფერს ტატომ,
იმ დღეებს ფერი გაუქრათ რისთვის,
ის სიყვარული აღარ ჩანს რატომ.

ბესიკის სიტყვას რამ მისცა ეშხი,
როგორ აქცია ცრემლი მდინარედ,
ბრძანებდა რასაც მეღეექსე მესხი,
ადგას კვლავ რასაც შუქი ბრწყინვალე.

რაც გულში ვერ ძლებს და ზეცას ეძებს,
რაც განასხვავებს მიზეზს და საბაბს,
რაც მილოსელში მოსწონდათ ბერძნებს,
სიტყვა — კონაში რაც ჩასვა საბამ.

ვანთებდით მზით და ვიქრობდით ნამით,
ვცნობდით და ვგრძნობდით
ავად თუ კარგად,
სურნელი მისი გაფრინდა საით,
ის სიყვარული
სად დაიკარგა.

* * *
ხასიათს აკლდება სიფიცხე,
კაცია — დაღვეს და ისვენებს,
ქალია — თავისკენ გიბიძგებს,
ნისლიან თვალელებში — სისველე,
კაცი სვამს — ყველაფერს იფინყებს,
ქალი სვამს — ყველაფერს იხსენებს.

* * *
ე. ჰემინგუეი — „მოხუცი და ზღვა“
მოხუცის ნატვრა

ხან სხვებზე გვიან, ხან სხვებზე ადრე,
თევზიც მქონდა და თევზის ქვირითიც,
ახლაც საკუთარ სიბერეს ვკადრებ
ფიქრს, ტალღებში
თავს რითიც ვისჯიდი.

იქნებ, ეს კითხვა თოვლივით დადნეს,
მე მაინც ჩემსას ვკითხავდი პადრეს —
„ნეტავი ბედს თუ ჰყიდიან სადმე?
სხვასავით, ცოტას
მეც ვიყიდიდი“.

* * *
იდგა ტაძართან, ღამეს ათევდა,
როგორც დაღამდა, ისე გათენდა,
წარსულის ჩანდა ფერფლი მინიდან,
ფიქრობდა ბევრს და ჩუმად იცდიდა,

შუქი შიგნიდან ახლაც შველოდა,
თითქოს გავიდა მზეზე ჩეროდან,
სხვა არაფერი სურდა იქიდან,
რასაც დასთესდა — იმას იმკიდა,
სითბო წვეთავდა ოქროსფერიდან,
შეხედა, შეკრთა და მოერიდა,
იდგა ტაძართან, ღამეს ათევდა,
როგორც დაღამდა, ისე გათენდა,
ჰგავდნენ ტოტები ხელებს ქალისას,
ხვალ, ალბათ, ქარი დანებს ალესავს,
ათას ცდუნებად მოქსოვს არჩევანს,
ის კი — საკუთარ თავთან დარჩება,
ამოსახსნელი ელის ამოხსნას,
დაელოდება კვლავ მზის ამოსვლას,
ზეცა — რა ფერის, კაცი — რა ჯურის,
ერთი პატრონის,
ერთი მსაჯულის.

* * *
შენ, ჩემო შთამომავალო,
ამ სისხლის თანახმად,
მზემ, შენ რომ უნდა გინათოს,
არასდროს დაიგვიანოს,
ცას, შენ რომ უნდა ახედო,
ვერ დავთმობ ვერასდიდებით,
იმედს, დიდსა თუ პატარას ცრემლივით დავეკიდები,
ამ ოქროსავით მიწაზე კაცად რომ უნდა იარო,
გავიფიქრებ და ვწყნარდები,
გავიფიქრებ და ვმშვიდდები.

* * *
ელვარე თასებს გადადიან
პირამდე სავსეს,
დაფრინავს სიტყვა, ერთი კაციც
არ არის მოცლით,
ოცდაცამეტი მუცელზე იცნობა ხმაზე,
გუგუნებს სუფრა, ერთიანი — სისხლით
და ხორციით,
მონყობილია საოცარი ეს სახლი ასე —
ხუთი თამამით ხმოვანდება
ოცდარვა მორცხვი.

* * *
მიდიან, მიაქვთ საგზალი,
მერე სხედან და გველიან,
სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარი
როგორი დაუცველია.

გალმიდან ჩქამიც არ ისმის,
ხმას ვერ მიანვდენ შენიანს,
ხე არ დგას ჩვენი ქარისთვის,
იმ ქვეყნად დარდს ვერ შევლიან.

ხე იწვის, რჩება ნაცარი
უკვე რამდენი წელია,
ცრემლი არი და არც არი,
თვალი კი მაინც სველია.
სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარი
როგორი დაუცველია.

* * *
გაქრა ოცნება ზღვას ჩაძირული
და საუკუნეც უცებ გავიდა,
იყო შხამიც და იყო ყინულიც,
რასაც ხვალ, ალბათ,
კიდევ აიტან,
ფიქრი მკრთალი, თუ ფიქრი ხილული,
ის, რაც არ იყო ზედაპირული
ზედაპირული
ჩანდა
თავიდან.

* * *
ბედნიერება დადის ურმით, ძველისძველით,
საოცრად ნელით,
გინდა, არ გინდა, შენც მასავით ნელა ირჯები,
და გახსენდება ტკბილი ხანა
მზესავით მწველი,
ნაწვიმარ ბაღში ფოთლები და ნაძვის გირჩები,
შენ კი შვილებზე აქეთ-იქით გეკიდა ხელი —
მიაბიჯებდით!

* * *
**Ты говорила шопотом —
А что потом, а что потом?**

თითების კაკუნის მსგავსი პერკუსია,
კარგია — ევგენი ევტუშენკოსია.
ამბობდა ჩურჩულით — აცადე, ენდე,
და მერე, და შემდეგ?..

* * *
წვიმა ეტლით შემოუძღვა მაისს,
დგახარ სველი — ამოუცნობ
განძივით,
შორს მივდივარ,
გშორდები და მაინც
მისხალითაც არ იცვლება
მანძილი.

* * *
წელს უცნაურია მაისობა,
წვიმებმა სახლებში გამოგვეკეტეს,
ქალები მაინც ხალისობენ,
ქალებზე ამინდი არ მოქმედებს.

დღეებს, დაყოფილებს სეზონებად
მგზავრები რელსებზე ატარებენ,
სადგურში საღამო იზმორება,
ისიც ელოდება მატარებელს.

ახლოს გეჩვენება ვაგონები,
როდესაც ელოდები შენიანს,
კაცები თუთუნს აბოლებენ,
ეტყობა, სიმარტოვეს შევლიან.

გულს არ მეხატება, ვაღიარებ,
ირგვლივ ცარიელი მაგიდები,

ერთი ჭიქა მადგას არყიანი,
ცას კოპერნიკივით ვაკვირდები.

ქარი ტოტებს მწვანედ აფრიალებს,
ფერი მისცემია სიცივეს,
მერცხლები დაბლა დაფრინავენ —
ინვიტებს!

და მაინც უცნაურია მაისობა!
წვიმებმა სახლებში გამოგვეკეტეს,
ქალები მაინც ხალისობენ,
ქალებზე ამინდი არ მოქმედებს.

* * *

ექვთიმეს დაბრუნება

ბორბალმა ბედისწერის იგორა, იგორა,
იგრძნო გაზაფხული ძარღვებში სისხლმა,
დაბრუნდა იმიტომ, რომ ხმა გაიგონა,
დედის ხმა რომ ჰგავდა, მოესმა ის ხმა.

შეეხო მინას დიდი ხნის შემდეგ,
ამ მინას მალე უნდა შეერიოს,
ძნელია — ქართულად ფიქრობდა დღემდე
ძნელია, სამშობლოს ადვილად შეელიო.

ჰოდა, ველარ გაძლო და წლებს შეუტია,
ისევ გაიღვიძა დამზრალმა ვენახმა,
ენვის ხელისგული, თითქოს მზე უნთია
გონება დანისლული განათდა ხელახლა.

შეკრთა თბილისი და ზარები დაირეკა,
წყენა მიაყენეს, ჭირს არ გაეცალა,
სითბო თითო-თითოდ
ყველას დაურიგა
სანამ საბოლოოდ, სულ არ დაიცალა.

ბორბალმა ბედისწერის იგორა, იგორა...

* * *

მიყვარხართ! — ეს სიტყვა
გასროლას ჰგავს,
არ ეთქმის მერყევს და ლაჩარს!
დავბრუნდი — მწყურვალ
შეგყურებთ წყალს,
წყალი კი არა და არ ჩანს.
ისევ მოვაკითხე საკუთარ თავს —
გუშინ აქ, თქვენთან რომ დამრჩა.

* * *

ჩემამდე ბევრი, კარგიც და ცუდიც
იჯდა და წვიმას ელოდა ციდან,
ელოდა შრიალს მტრედების გუნდის,
გაფრენილ დღეებს გასცქერდა მშვიდად,
სჯეროდა მიწის, კაცის და გუთნის,
ეძებდა მოყვასს გაჩენის დღიდან,
ფიქრობდა ჩვენსას,
მართალს და მუდმივს,
უსმენდა დილით სიჩუმეს ტყიდან,
ეჭირა ხელში გამთბარი წუთი

რისთვისაც ალბათ სიცოცხლე ღირდა,
ეხურა ნაბდის უბრალო ქუდი,
იჯდა და წვიმას ელოდა ციდან.

* * *

ანა ახმატოვას

იარა ქალის ნაბიჯით და პოეტის ხვედრით,
მთელი ცხოვრება სხვისი ხელის ეჭირა მაჯა,
მარტოსულს მუდამ,
ჩაუქროლა ეპოქამ გვერდით,
წავიდა ყველა, ის კი დარჩა —
მდიდრულად
დარჩა.

* * *

ზოგის — წაკითხვაც არ მინდება,
ზოგი — მენატრება მწყურვალს,
ყველა ვერ იფეთქებს კვირტებად,
ყველა ვერ ახერხებს ცურვას.

სიტყვა — ყურის ერთი მიდება
ქვევით მიუყვება ბულვარს,
რომანს — ხასიათი სჭირდება
ლექსის ხასიათზე
სულ ვარ!

* * *

დილაა ჩუმი — ჩრდილივით,
ხასიათს ჩემსას ცდის,
ბოლავს ბუხარი — ჩილიმი —
— ცრის —

თოვლს შემორჩენილს ირეკლავს,
საქარე ღრუბლის მწკრივს,
ზემო რაჭისკენ მირეკავს —
— ძლივს —

მთამ თავზე ნისლი დაისვა,
ისიც უხდება შოვს,
სადღაც გრუხუნნი გაისმა
— შორს —

ელვა მიმძაფრებს კაეშანს —
ცაზე ჩამობმულ ძაფს,
პირველი წვეთი დაეშვა —
— წკაპ! —

* * *

ანზორ ერქომაიშვილს

ჩანს გურია — ეს სამოთხის ასლი,
ზეციური შეხამება ფერთა,
ენა ურჩი, გამოხედვა ბასრი
და სიმღერა, აყვანილი ღმერთთან.

ასე მოსდგამს — რალა შეცვლის ანი,
ერთგულება უნდა ძმობით ზომოს,
რას უჩივი — მართალია კაცი,
სიმღერაშიც მთელი გულით შრომობს.

თუ იწვიმა, არ აღეშინებოდი დედა,
ცაზე ჰყოფნის ღრუბლის ერთი ქულაც,
მასპინძელი ილიმება მშვიდად,
ყველა ხმა ხომ გვერდში უდგას სრულად.

არ სჭირდება ამ საუნჯეს დათვლა,
სიჭაბუკეც ჩქეფს, ჭარმაგის სიბრძნეც,
გაიშალა ხმები, გულში დათბა
და ძარღვებმა გაზაფხული იგრძნეს.

სამი ხმაა, დალოცვილი ერთად,
თუმცა, ერთი დანაწილია სამად,
მარტოკაცი არასოდეს მღერდა,
გურულობა ძნელი არის, ძამა,
კაცი მსგავსი, ან სად უნდა იშვას,
ხმაში ამდენ სიყვარულს რომ ატევეს,
„ჩვენ მშვიდობა“ გურიში ნიშნავს
ანანიას, ვლადიმერს და არტემს.

ასე იყო საუკუნის წინათ,
ნაღდს მაშინაც სჭირდებოდა პოვნა,
ბაბუებმა ცად დაიდეს ბინა,
შვილიშვილებს დაგვიტოვეს ხსოვნა.

მგალობელი ჩიტი უნდა ხესაც,
აქ მართალნი, იქ სუფევნი ნათლით,
მათ საოცარ ჰანგებს
ვისმენთ დღესაც
და იმ დღეებს ემატება მადლი.

მზე აცილებს დღეს მშვიდსა და რიგითს,
მერე სიო დაამშვიდებს ნაზი,
ჩაბრძანდება მზე ჰორიზონტს იქით
და საღამოს დაედება ფასი.

თუმცა ნამის მარგალიტით მორთეს,
მაინც წვიმას ელოდება ყანა,
აქ ფესვები პატრონობენ ყლორტებს,
აქ კაცები ღირსეულად დგანან.

მარტო აქ თუ შეიძლება იშვას,
ხმაში ამდენ სიყვარულს ვინც ატევეს,
„შავი შაშვი“ გურიში ნიშნავს
ანანიას, ვლადიმერს და არტემს.

* * *
ღრუბლის კალთა იწეოდა ფრთხილად,
მოდოდა გაზაფხული ფრენით,
ბრწყინდებოდა სიხარულის დილა,
ირღვეოდნენ სიძულვილის ბჭენი,

მაგრამ მაინც ყველაფერი ცისქვეშ
ინწყებოდა, თავდებოდა
შენით!

* * *
ქარი იქროლებს ქარად,
გაიყოფიან გზები,
ციცინათელას დარად
ხან ვინთები, ხან — ვქრები.

აბა, ვინ დამიჯერებს? —
ყინულშიც ვეძებ სითბოს,
მუდამ დავყურებ ხელებს,
თუმცა, არაფერს ვითხოვ.

სიყვარულით რომ ჟღერდა
სულ ველოდები იმ ხმას,
ნეტავ, რა ხდება შენთან,
იმ შენი კარის მიღმა.

ზურმუხტისფერი წვიმა
ხავსიან კრამიტს რეცხავს,
სახლში რომ ფიქრი მიმაქვს,
იმ ფიქრში, თურმე, შენც ხარ.

ხან ვფიქრობ ბევრს, ხან — არა,
როგორც გაუძლებს მხრები,
ციცინათელას დარად
ხან ვინთები, ხან — ვქრები.

* * *
დავდივარ თელავის ბაზარში,
შოთი, გუდის ყველი, ნუშები,
კომში შეყვითლების ფაზაში
კასრზე კახელების ფურშეტი,
მთლად ინანიშვილის პასაჟი —
„მიშემოდგომებული თუშეთი“.

* * *
თაფლივით მოხუცი, თაფლისვე თვალებით,
უხდება კახეთს და პაპების თაობას,
ხელები მზიანი, სიბერის ხალხით,
ნელა ჩამოასხამს და იწყებს საუბარს —


„ამაზე უკეთესს, აბა, რას შეირგებ,
ურწყავი ფერდობის შვილია — წარაფი!“
თავს არა, შეფარვით ღვინოს თუ შეიქებს, —
„მადლობა!“ — „არაფრის!“

* * *
იცი, ორეული რომ ჰყავს,
ხვდება — ბოლოს რაში გაცვლის,
ქარს ავდრის ღრუბელი მოჰყავს,
ქარი ხეს ყვავილებს აცლის.

გაჰყურებს დაყრდნობილი ლოყას
სიცოცხლეს, სხვის საცერში გაცრილს,
ზის კაცი — სიკვდილზე ფიქრობს,
არ იცის — სადამდე აცდის.

* * *
თეთრს ეხამება ვარდისფერი, ჰგავს რძეში ნაბანს,
უხდება ბაზარს და დგას უცხო სანახაობად,
სავსე ტურებით ეძებს ჩუმად არყოფნის საბაბს,
ერთი სული აქვს, საუბარი ვინმეს გაუბას.

ასკდება ტანზე მოტმასნილი წითელი კაბა,
ალუბალივით მწიფე ქალი
ყიდის ალუბალს.



„ჩემი ბიჭი კომპიუტერს მიეჯაჭვა“. ყოფითი ფრაზაა, მეტისმეტად ყოფითი და ნაცნობი, მაგრამ, ამავე დროს, ლექსის სათაურია, შთაგონებით წარმოქმნილი და გააზრებული.

ერთი შეხედვით რთული თემაა. როგორ გინდა ტექნიკურ-საყოფაცხოვრებო პრობლემა პოეზიის საგნად აქციო, ბანალურ, გაცვეთილ ამბავს ახალი შთაბეჭებით რაკურსით წარმოაჩინო. მეორე მხრივ, ისიც მართალია, რომ ზოგჯერ ტრევიანურ საგნებში იმალება რეალური მიზეზები პოეტური მოტივაციებისათვის. ოღონდ მოძებნა უნდა იმ მიზეზს, საწყისს, მარცვალს, საიდანაც აღმოცენდება სათქმელი თავისი სალექსო სტრუქტურითა თუ ფორმით.

ემზარ კვიციანი იცის, როგორ აქციოს საგანი იდეად, ეპიკურა მეტაფიზიკად, მოვლენა შინაარსად. მას ჰყოფნის ოსტატობა, გამოცდილება და ტაქტი, რომ კერძო საკითხი წარმოადგინოს საზოგადო პრობლემად, რომელიც ბევრ საფიქრალს აღძრავს.

ჯერ კიდევ როდის ამბობდნენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ექსპერტები, მანქანა ბატონობს ადამიანზეო. მაგრამ ეს ეგზოტიკურ პარადოქსად მიგვაჩნდა და სერიოზულ ყურადღებას არ ვაქცევდით, ვიდრე ჩვენსავე თვალწინ გამოიზრდებოდა homo computeris, რომლის მთავარი სიმპტომებიცაა ციფრული ნირვანა და ელექტრონული ნეტარყოფა.

წავიდა ჯინსების თაობა, მოვიდა კომპიუტერის თაობა, რომლის ფასეულობითი უნარიც ჯერ საკმაოდ ამორფული და ბუნდოვანია.

ციფრული ტექნოლოგიები თანამედროვე ახალგაზრდის მენტალური მდგომარეობაა. თუმცა შეიძლება ეს იყოს აპათიისაგან თავის დაღწევის საშუალება, ან სულაც ასკეტიზმის ულტრათანამედროვე ფორმა. ვინ იცის. ის კი ცხადია, რომ პიროვნება სტანდარტმა შეცვალა, დაირღვა რაღაც მნიშვნელოვანი, არსებითი, მეტისმეტად საჭირო და ადამიანური.

ემზარ კვიციანი

ჩემი ბიჭი კომპიუტერს მიეჯაჭვა

(მაცდური მოზაიკა)

ნუთუ სხეული არ გეფიტება,
შენს დაძინებას ამაოდ ველი;
მაგიდაზეა ავლა-დიდება:
ორი ყუთი და მავთულთა ქსელი.

ზნე, ადრეული, ვერ დაიღვინე,
ბოგინში, ნღები დასწვი, დაბუგე...
ფაფარმოკვეცილ კვიცის ქიხვინი —
შენი სიშლეგე და სიჭაბუკე.

გადაჭიმული რა სანავარდო —
დაყოფილია მინდორ-პარკებად;
თავს განონებენ: რითი გავართოთ?! —
ირთვება მინა და იქარგება.

როკვა ფერების... რა გზა, რა ფონი!..
არ მოაკლდება თუ არ ემატა,
სააბატონი და საგრაფონი,
გვირგვინი გერბთა და ემბლემათა.

ერთმანეთს ეხლართება და ეწვნის
წვრილი ხაზები და ჩუქურთმები,
ზედმეტი, აქ არ გაკრთება ბენვიც,
ბევრს ვამბობ, ბევრიც მრჩება უთქმელი.

ტყე და მდინარე,
ჯებირი, რიყე...
ქვისგან ნაგები კოშკი რუხია;
შუალამისას მატულობს რიხი,
ნანყვეტ-ნანყვეტი, ყრუ რუყრუყია.

აგუბებს ყური ყორნების ჩხავილს,
იმ კოშკში ღამე არ გაითვავ;
ჩაგთვლიმოს,

ვერსად ვერ მისდო თავი,
არც შენს საცოლეს ერგოს მზითევად.

თვალი მოგიკრავს მისთვის ადრევე,
მოლანდებული თუ განაგონი —
ტანდასალტული,
ყელის მლადრავი,
ფიქალზე ბრჭყალებს ლესავს დრაკონი.

გასკდომაზეა, სიმწრისგან, შუბლი,
დამარხულია, ოხრავს ოცნება,
ტყვეობაშია სამარე უფლის,
გაშალეს დროშა, მძლე, ჯვაროსნებმა.

გადაჭრელდება ეკრანი, სუფთა
მკენკავს კაკანი ღილაკ-ფოლაქთა;
კრიალი ხმლების,
ნაკრავი შუბთა,
სპა, დახოცილი, მილაგ-მოლაგდა.

შმაგდები, ბლუჯავ დანას თუ კასტეტს,
ვისაც ეწვევი, დასდევ, მოგლისავ;
გათენებამდი მირაჟებს დასდევ,
არ გინელდება ჟინი მოკვლისა.

გაურბი დილას —
მენამულს, სისხამს,
შავად ნანყობილს, ათევ ას ღამეს;
ვაპთუ შვინდისფრად შეღებოს სისხლმა
კალთები შენი წამოსასხამის.

გახვეულია ცეცხლში გონება,
დულს, ბორგავს,
ემალება სამართალს;
პირბნელ ნაპრალში მიექანები,
ემშაკმა შენი თავი წამართვა.

მოიწვეს ბინდი,
უსიტყვოდ შფოთავ...
ოქრო, ჩამავალ მზეში შენწული...
უცხოს დაეძებ ქვაბსა თუ ქოთანს,
ბუდეს დაიდებ, შიგ, სეფენწული.

გარჩევა უნდა ბოროტს და კეთილს,
ურჩობ, თითონაც ახლად იშობი;
გახდი მეუფე ათასთა ბედის —
თითების რბოლა და კლავიშები...

რა უნდა გიყოს ისარმა, მეხმა,
ველარც სავალი გადაგირაზეს;
ვინ შეგაკავეს —
ავარდნილს, ფეხმარდს,
გასნი ვარდები გელის შირაზის.

ზრიალში, რა არ მოგივა აზრად...
მათხოვრის ფუთით ღამე დადიან
მეფენი, ნახავ ბუხარას, ბასრას,
დასაკარგავში არც ბაღდაღია.

მალრიბის ქვეყნებს დაუყევ, საშიშს,
მაგ სიჯიუტით კლდესაც დაშლიდი...
ოფლშეუმშრალი,
მიგაფრენს რაში,
მიადექ ფუნდუკს — ჰარუნ რაშიდი.

განძთა საცავის შეხსნი კარებსაც,
თვლა არ ექნება მარგალიტს, ბივრიტს;
ლალმა, მარჯანმა მოგიალერსა,
გადატენილი, გაბრმავებს სკივრი.

კუპრის მორევი რით გინდა გასძლო,
როს შიში გსრისავს,
თანვე — მამაც ხარ?!
ეგებ ჩემთვისაც იზრდება სარძლო,
ხორციელს, ცოტას ნახავ გამაძლარს.

ტევრში ბილიკის გიჭირს გაგნება,
გიცდი, გიხილო ძილთან მიგვრილი;
ასაგრილებლად, ცა იგრანება,
ლურჯი ყვავილის ხარ პილიგრიმი.

საკურთხევილიდან კვამლი არ ადის,
დამხრა ნალველმა, ვიცი, მე რადაც —
გიჭირს, ინამო შუქი მარადი,
დაგლალა დევნამ ცრუ ქიმერათა.

სულ მინდა, მეგულებოდე გვერდით,
დანაინებულ სულის ნაწილო;
სამიზნე, გადახსნილი მაქვს მკერდი,
ყველა ხიფათი რომ აგაცილო.

შვილს გაუტოლდეს, ვინა ჰყავს მამას,
თუნდ დავდიოდეთ მშიერ-შიშვლებად...
რა გადააქცევს ნაცრად და შლამად,
რაც არაოდეს არ დაიშლება.

დადგაო, ძნელად იტყვიან ჩემზე,
რეტდასხმულს, რალა მექნა სხვა მეტი?!
სვეგამნარებულს, ჯერ ძალა შემწევს,
გავცრიცო ბინდი და ყიამეთი.

ვილვევი, ალვის, ელვის სადარო,
ნუხილი, ვერსად შევძელ, დამეფლა,
ღმერთმა წაღმართად, ლალად გატაროს,
გლოცავ გაჩენილს ჩემს სანამებლად.

ამ თარგმანის მიხედვით 2013 წელს საქართველოს რადიო თეატრ-ში ზურაბ კანდელაკის ინიციატივით განხორციელდა რადიოდადგმა, რომელიც ჯიმ მორისონის 70 წლისთავს მიეძღვნა.

ჯიმ მორისონი

ავტონტერვიუ

ინტერვიუ ხელოვნების ახალი ფორმაა. ვფიქრობ, ავტონტერვიუში შემოქმედების არსი: კითხვების დასმა საკუთარი თავისათვის და მათზე პასუხების პოვნა. მწერალი მხოლოდ წარმოსახულ კითხვებზე ეძებს პასუხებს. ეს ყველაფერი იმას ჰგავს, მონში რომ პასუხობს სასამართლოს შეკითხვებს.

უცნაური გრძნობაა, როცა ყველაფერს აკავშირებ, რაც წარსულში იყო, და ცდილობ გაიხსენო ის, რის გაკეთებასაც ეცადე. გონებისათვის ეს მნიშვნელოვანი სავარჯიშოა. ავტონტერვიუ მოგცემს უნიკალურ საშუალებას, საკუთარ თავს შეკითხვები დაუსვა და მგონი სწორედ ესაა ხელოვნების აზრი. ინტერვიუ გაიძულებს ყველაფერი ზედმეტი გამორიცხო: აზრები ნათლად უნდა გამოხატო, ყოველგვარი სისულელის გარეშე. ინტერვიუს განხილვით მხოლოდ აღსარება, კამათი და დაკითხვა არსებობდა. აქ საკმარისია რაიმე თქვა, რომ მერე ძალიან გვიანია სიტყვების უკან წაღება. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი რამაა.

თითქოს მთლიანად ხელოვნებითა და ლიტერატურითა ვარ შეპყრობილი. ჩემი გმირები მხატვრები და მწერლები არიან. წერა ყოველთვის მიტაცებდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ აქედან ხეირიანი არაფერი გამოვიდოდა, ვიდრე ხელი თავისით არ აიღებდა კალამს და მოძრაობას არ დაიწყებდა ჩემდა დაუკითხავად — როგორც სპირიტუალში. მაგრამ ეს არ მეღირსა, თუმცა რამდენიმე ლექსი კი დავწერე. ასე მეხუთე თუ მეექვსე კლასში შევექმენი სწორედ „პონი ექსპრესი“ — ჩემი პირველი ლექსი, რამდენადაც მახსოვს. ეს თითქოს ერთგვარი ლირიკა იყო. საბოლოოდ, მაინც ვერ შევექმე აქედან რაიმე გამომეყვანა.

„ცხენ[წ]დრები“, სკოლას რომ ვამთავრებდი, მაშინ დავწერე. სკოლაშიც და კოლეჯშიც უამრავი დღიური მქონდა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გავანადგურე სისულელით... ან იქნებ ეს ბრძნული საქციელიც იყო?! გათენებამდე ვწერდი ხოლმე. ისინი რომ არ გადამეყარა, იქნებ არაფერი ორიგინალური არც შემექმნა, რადგან იქ ძირითადად იმ იდეების გამოძახილი იყო, რასაც ვკითხულობდი ან მესმოდა. მგონი ეს ყველაფერი რომ არ მომემორებინა თავიდან, თავისუფლებას ვერ მივალწვედი. ნამდვილი პოეზია არაფერს ამტკიცებს, ის მხოლოდ შესაძლებლობებს არჩევს, ყველა კარს აღებს და რომელშიც გინდა, იქ შეხვალ.

ამიტომაც მიზიდავს პოეზია, ასეთი უსაზღვრო რამაა. ვიდრე კაცობრიობა არსებობს, სიტყვებიც იარსებებენ. ვერაფერი გადაურჩება სამყაროს აღსასრულს — მხოლოდ პოეზია და მუსიკა. არავის ძალუძს დაიმახსოვროს მთელი რომანი, ფილმი, ქანდაკება ან ნახატი, მაგრამ ვიდრე ადამიანი იარსებებს, ლექსიც და სიმღერაც იარსებებს. თუკი ჩემს პოეზიას რაიმე აზრი აქვს, მხოლოდ ის, რომ გაათავისუფლოს ადამიანები — დაანგრის მათი აღქმის საზღვრები.

თვალი. ის გამოსვლას ელოდა და მილიონობით მოღრეცილო, ელამი, ჩამქრალი თვალის წინაშე მითის ხორცშესხმის მცდელობით გამონვეულ ტანჯვას განიცდიდა. აგენტებს ყური არ ათხოვდა და თვითმფრინავიდან ჩამოსული პირდაპირ მავთულხლართებს მიღმა გამონვდილი ხელებისკენ გაემართა. ასეთი ახლო კონტაქტი თავყვანისცემისა თუ საფრთხის გამო აღაგზნებდა და იზიდავდა. წლების მანძილზე ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისი სხეული სამიზნეა. ირგვლივ სიკვდილის წყურვილის ცხოველი ყინი იგრძნობოდა. ამ დროს უცნობი ნერვიული გრძნობები იღვი-

ძებნენ, მისი ხერხემლის თვითმედი მალაში. ამბობენ, ის თუ დაჟინებით მოგაჩერდა, ბოლომდე ჩამოგხსნის ნილაბსო. მართლაც და, ადვილია თაყვანისმცემლის აღფრთოვანებული ბროლის ღიმილით სიკვდილის შენიღბვა. არც პარანოია და არც შეშლილობა, ეს ზუსტად გააზრებული ძალადობაა.

ციკლოპი. როგორც წესი ადამიანებს, ხელიკებივით თავში ერთი საგანძური აქვთ. მას „ფარისებრი ჯირკვალს“ ეძახიან, რომელიც ტვინის ნახევარსფეროთა ზღვარზე მდებარეობს. ზოგი მას ატროფირებულ, მაგრამ სინათლის აღქმელ მესამე თვალად მიიჩნევს. თვალი არავითარ ანალიზს არ ექვემდებარება. წარმოდგინეთ, სინამდვილეში ეს მხოლოდ ძვლებში მოთავსებული ორი რბილი სფეროა. შთაბეჭდილებანი აღმავსებენ. ვისაც გნებავთ ჰკითხეთ, ყველაზე მეტად რას უფრთხილდება თავის თავში. უმრავლესობა თვალის ჩინს დაგისახელებთ და თქვენც დაეთანხმებით. რათქმუნდა, დაბრმავების მიუხედავადაც განვადგინებთ სიცოცხლეს და შესაძლოა გასხვივსებასაც მოვალნიოთ. და მაინც, შეგრძნებათა გარეშე კუნძად გადავიქცევით.

თვალი მშვიდი პირია, რომელიც სამყაროთი იკვებება. წარმოსახვების შემოქმედი რეალურ სამყაროს უპირისპირდება. თავში ტყუპების პლანეტაცაა. თვალი ღმერთიცაა და სამყაროც, რომელსაც თავისი ეკვატორიც კი აქვს. ამოგლიჯეთ პირუტყვის თვალი სიბნელეში და რაიმე ნათელთან დადეთ, ვთქვათ, განათებულ სარკმელთან. გამოსახულება თვალის ჩინზე მაშინვე აღიბეჭდება, რასაც შეუიარაღებელი თვალითაც კი დაინახავთ. თვალი პრიმიტიული კამერაა, თვალის ჩინი კი — ემულსია.

მისტერ კუნს, კურდღლების შემდეგ, გილიოტინით მოკვეთილი ადამიანის თავის შესწავლა მოუხდა. მან თვალი ამოიღო და ეკვატორზე გაკვეთა. ოპერაცია სპეციალურ ნითელ-მენამულ ოთახში ჩატარდა. მარცხენა თვალის ჩინზე მკაფიო, თუმცა ამოუცნობი ფორმები აღმოჩნდა. მომდევნო წლები დოქტორმა ამ მოვლენის შესწავლას მოანდომა.

ფანჯრები სახლის თვალებია. ამ სხეულ-საკნებიდან გარეთ ვიყურებით, ზოგი კი შიგ იხედება. ხედვა ყოველთვის უიმედო განმარტოების შესაძლებლობას გულისხმობს. რადგან თვალები უკიდევანო შინაგან სამყაროს წარმოადგენენ, ისინი ხელმისაწვდომს ხდიან მას სხვებისათვის.

რა ემართებათ თვალებს ძილისას. ისინი განუწყვეტილად მოძრაობენ, როგორც მსახიობები თეატრში. ანომალურ მდგომარეობაში თვალის გუგა ფართოვდება; ნარკოტიკებით, შეშლილობით, სიმთვრალით, ჰიპნოზით, თავბრუსხვევითა და სექსუალური აღზნებით, თვალი თვითონ პოულობს მხედველობის არეალს, რომელიც შემდეგ უკვალოდ ქრება.

ენქიდაუ საკმაოდ უხეში ადამიანი იყო — მგელი მგელთა შორის. ერთხელ ჭასთან ერთმა ქალმა თავისი სიშიშვლით თავგზა აუბნია და ისიც აღეგზნო. იმ დღეს ისინი განმარტოვდნენ, ცივილიზაციისათვის პატივი რომ მიეგოთ. მეუღლეებს, უპირველეს ყოვლისა, გარეგნული მიმზიდველობით ირჩევენ. არა სუნისა თუ კანის ფერის მიხედვით. მცდარია ის აზრი, თითქოს თვალთ ქალის ალერსი შეიძლებოდეს. განა ის სინათლისაგანაა შექმნილი? თვალთ მისი აღქმა არასოდეს არის რეალური, ის მხოლოდ თითებით შეიგრძნობა.

უკვდავ „არს მაგნა“-ში ალქიმისკისი სამყაროს ნამდვილ არსს გვიხატავს. თვალები ალქიმის სასქესო ორგანოებია და ისინი თავის უპირატესობას ამჟღავნებენ და გრძნობის სხვა ორგანოებს ჩრდილავენ. საბოლოოდ სხეული მათ მოუქნელ შემადგენელ საყრდენად გადაიქცევა. რატომ უნოდებენ თვალს სულის სარკეს და ადამიანის სულის ანარეკლს, როცა სხვა შეგრძნებანი მხოლოდ სხეულის ბუნებრივი თვისებებია.



სხეული სახლი არ არის, არამედ — სახლის არსი. ბრმებიც ელტივან ერთმანეთს. თვალი გარინდებული სინათლეა (ვინ ქმნის ამ შუქს, ჩვენ თუ ვინმე სხვა?). ეგვიპტურ მითოლოგიაში თვალი ოსირისის, იზიდას, გორისა და მზის ღმერთის — რას სიმბოლოა. პტამ ადამიანი თავისი პირიდან შვა, ღმერთები კი — თვალებიდან. ჩვენს ნელთალრიცხვამდე 3000 წელს არსებულ უღელის საყდარში ათასობით თეთრი და შავი ალებასტრის მცირე ნილაბი აღმოაჩინეს, რომლებსაც არც ცხვირი, არც პირი და არც ყურები არ გააჩნიათ, მხოლოდ გულმოდგინედ გამოკვეთილი, მეტყველი თვალები. ამიტომ მას თვალთა საყდარი უწოდეს, ღმერთებისთვის შენიღული თვალების გამო.

ოიდიპოსი. გაშიშვლებული მკერდის რეალობა. „შენ შეხედე იმას, რისთვისაც არასოდეს უნდა შეგეხედა.“ მკვდარი იოკასტას სამოსზე წასული თვალი. თვალის სასჯელი. მოხუცი ქალის დამჭკნარი მკერდი. ყმანვილი მას კარდაკარ დაატარებს და ყოველ ჯერზე ამ სასჯელს ამართლებს. ამბობენ, რომ ტირესია შვიდ წელიწადს ქალი იყო და ბოლოს მობანავე ათენა იხილა, რომელმაც მას თვალი დაუბნელა.

დამასკოში მიმავალი ტარსუსელი საველ დაბრმავებამ წმინდა პავლედ აქცია. რატომაა სიბრმავე წმინდა? ალქიმია თავიდანვე სთავაზობს ადამიანს იყოს გმირი. მანი ასწავლიდა, რომ ადამიანი სინათლის უზენაესი ღვთაების წარმოგზავნილ მსახურად შეიქმნა, რათა თავისი ცხოვრების მანძილზე სინათლის გაფანტული ატომები შეეკრიბა და ისევ ზევით მიემართა, რადგან სინათლე ბნელს ანათებს და ნელა იხარჯება.

ადამიანს შეუძლია დახარჯული სინათლის აღდგენა. გარკვეული სახის ლითონთა ოქროდ გარდაქმნის პროცესს „პროექცია“ ეწოდება. სიბნელის ფორმა ენიერება სინათლეს. კაშკაშა შუქში კი სინათლე ფორმას ხმარდება. სინათლის ნიშნული დაავადებული თვალია. ამოიღე იგი და განაგდე შენგან. ექიმი თვალს კვეთს, რომ სხეული გადაარჩინოს. ამისათვის ოპტიკური ნერვი უნდა გადაჭრას, თვალს რომ ტვინთან აკავშირებს. ვიდრე ანესთეზიას მოიგონებდნენ, სკალპელის ჩარევის ტკივილს სინათლის მძლავრი ნაკადით აყუჩებდნენ. ობიექტები სხეულს მიღმა იქმნებიან თანმიმდევრობით. თვალი სინათლისკენ მიისწრაფის. დანარჩენი ორგანოები თავიანთ უნიკალურ ფორმებს იძენენ. თევზი წყლით საზრდოობს, ჩიტები — ჰაერით, ჭია — მიწით. თვალი კი სინათლის ქმნილებაა.

თარგმნა
მანუკა მაღულარიანი

ნაწული კუპატაძე

ქართული სუფრა და სულიერება

(„სტუმარი ღვთისა“)

ქართული სუფრა ხალხის მალალი სულიერი და ყოფითი კულტურის გამოხატულება (ვახტანგ ქელიძე, „ფიქრები ხვალისდელ დღეზე“). როსტომ ჩხეიძისათვის „ჩვენი ნადიმი — თავისი სრულყოფილი სახით — სწორედ ის ადგილია, სადაც ჭეშმარიტი ადამიანური ჰარმონია მიუწვდომელი არ არის და შესაძლოა, რუსთველურადაც მოგინდეს შესძახო: ცამცა გავიდარბაზე-თაო“ („ადამიანურ ურთიერთობათა პოეზია“). ქართველი კაცის ცხოვრების პრეამბულა — „ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ საქმეს“, რაღა თქმა უნდა, ქართულ სუფრაზეც ვრცელდება. რასაც თვით რუსთაველი გვასწავლის: — „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

ტრადიციულად სუფრას წარმართავს თამადა, რომელიც ერთმმართველი და სიტყვაშეუბრუნებელია; „ის არის ლხინის შვენება, ვით ოქრო-ვერცხლის სევა-და“ (აკაკი წერეთელი, „ჩვენებური ლხინი“). თამადა ასწევს სასმისს ანთებული სანთელივით და ფეხზე ადგომას სთხოვს ყველას, რათა ერთად ადიდონ უფალი: „პირველად ღმერთი ვახსენოთ, ის უფრო დიდებულია, ქვესკნელიცა და ზესკნელიც სულ მისგან აგებულია“ (ხალხური), — ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა! — „ამინ!“ დასტურს დასცემენ თანამეინახენი და იწყება ფრიად საკრალური ლოცვა-დალოცვის რიტუალი: „ყველას ღირსება-წოდების კვალად ამკობს თამადა, მას აწევს ვალად“ (გალაკტიონი); ვლოცავთ სამშობლოს, მშობლიურ მიწას, ენასა და სარწმუნოებას, ვლოცავთ წინაპრებსა და მომავალს. ღირსსაცნობია, რომ წინაპრების მოსახსენიებელს „სადღეგრძელო“ კი არა, „შესანდობარი“ ჰქვია. უცოდველი ხომ არავინ მიდის ამქვეყნიდან და ამიტომ უფალს შევეთხოვთ, შეუნდოს წასულებს შეცოდებანი; ვლოცავთ სიყვარულსა და მეგობრობას, მშვიდობასა და მომავლის იმედს, სიკეთესა და მადლს, ერთგულებასა და თანადგომას; ერთმანეთიც არ გვაყენიყვება და სიკეთესა და ჯანმრთელობასთან ერთად „დალოცვილი მყავდიო“ — უთუოდ ვუსურვებთ ურთიერთს. ამ ყოველივეს აღსრულება კი სანინდარია დღეგრძელობისა; სწორედ ამიტომაც, რომ ერთმანეთის დალოცვას სადღეგრძელოს ვუნოდებთ: „შევსვათ, ძმანო! დავამტკიცოთ ურთიერთსა სიყვარული“ (გრიგოლ ორბელიანი, „სადღეგრძელო“).

მინდა კიდევ ერთი გამორჩეული სადღეგრძელო შეგახსენოთ: „ჩვენს სალოცავებს გაუმარჯოსო“ — ბრძანებს თამადა და სუფრის ყველა წევრი, განურჩევლად აღმსარებლობისა, სვამს თავისი სალოცავის სადღეგრძელოს — იქნება ეს ეკლესია, სინაგოგა, მეჩეთი, პაგოდა, ხატი თუ ნიში.

ქართული სუფრა წარმოუდგენელია კეთილმოვანი სიმღერის გარეშე; ვმღერით „მრავალუამიერს“ და თუ რამ სიტყვებით ვერ გამოთქვით, სიმღერით ვუსურვებთ ერთმანეთს მრავალუამიერ სიცოცხლეს. „მრავალუამიერი“ ხომ ნამღერი სადღეგრძელოა!

როდესაც ყველა ლოცვა-დალოცვა აღვლენილია, დგება სუფრის აპოთეოზი: ერთხელ კიდევ ვიღებთ ხელში სასმისს და ვადიდებთ საქართველოს მფარველს, ყოვლადწმინდა, მარად ქალწულს — მარიამ ღვთისმშობელს და იწყება გალობა: „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი ედემში გადმორგული... ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული“. ამ სადღეგრძელო-სადიდებელ-საგალობელს ხალხმა **საყველამწმინდო** შეარქვა.

ამასთან დაკავშირებით უნებურად გვახსენდება გიორგი ლეონიძის ღვინჯუა, რომელმაც გემრიელად მოილხინა ნათლიამამასთან, დაემშვიდობა მას-პინძლებს და თოვლსა და ქარბუქში გაუყვა გზას შინისაკენ; მიდიოდა და თან მიილოცებოდა: „ღმერთო, შენ აუმართე ხელი ღვინჯუასო“. კონცხზე ღვთისმშობლის ეკლესია დაინახა და თვალი გაუშტერდა, მოსწყდა ადგილიდან და უკან გაბრუნდა „ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვალის მოსახდელად“. შუადამისას გაკვირვებული მასპინძლის ოჯახში მიბრუნებულმა ღვინით სავსე სასმისი აიღო და ლოცვასავით წარმოსთქვა: „ღვთისმშობელო, მიშველე, შენ მამაპტიე, რომ საყველამწმინდოდაულეველი გაგაქეცი!.. უნებურად მომივიდა! მა-



პატიე, აღთქმას გაძლევ, აღარ ჩავიდნო! ყველა წმინდა შეგენით თქვენს ოჯახს, საქრისტიანოს, საქართველოს“-ო, — შესვამს საყველამწმინდოს და დამშვიდებული, გამოცოცხლებული და ვალმობილი ღვინჯუა გაუყვება გზას შინისაკენ, თან კმაყოფილი ფიქრობს: „ღმერთი ახლა ჩემს მხარეზეა, თავი გავიმართლე, დავზავდი, შევრიგდითო!“ ...და თითქოს ბუნებამაც გაუგო, ქარიშხალი ჩამდგარიყო, ბუნება ჩამყუდროებულიყო.

ბევრმა ქარიშხალმა და ქართველი გადარა საქართველოსა და ქართველი ერის თავზე. კომუნისტური რეჟიმის დროს ხომ საერთოდ მრავალმა ტაძარმა შეაჩერა ღვთისმსახურება, მაგრამ წმინდა კანდელი — ოჯახი — მუდამ ინახავდა ღვთის რწმენას და ლოცვას ალაგლენდა საკუთარ ჭერქვეშ. საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საშობაო ეპისტოლეში გვმოდღვრავს: „საერთოდ, ოჯახი არის ერის სახელმწიფო! საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედი, იგი პატარა სახელმწიფოა, ქრისტიანული გაგებით კი — „მცირე ეკლესია“, რომელიც ღვთის მცნებებს იცავენ და თაობიდან თაობას გადასცემენ“.

სტუმრიანობის დროსაც და საოჯახო ტრაპეზზეც სტუმარს ღვთისკაცად თვლიან და ყოველი პურობა უფლის დიდებით იწყება და ყოვლადწმინდა მარიამ ღვთისმშობლის შეწევნით მთავრდება.

ღმერთმა ნუ მოგვიშალს ეს ლამაზი ტრადიცია, მუდამ გვეხსენებინოს უფალი, სადიდებელი აღგვევლინოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, ერთმანეთი კეთილი გულით დაგველოცოს, არც ფეხი აგვერედეს, არც გონება; ზომიერების გრძნობა ხომ ყველა კეთილშობილი ქართველის გზამკვლევა; „დავეხსნათ ჭირვეულობას, სუფრას ნუ ავარეინებთ, ნურცა ბევრს ვეტყვით ერთმანეთს, ნურცა ბევრს დავალევიებთ“ (ხალხური).

თქვენი გამარჯვებისა იყოს, ჩემო კეთილო მკითხველო! „პირმა დაგლოცოთ ღვთისამა!“ (ხალხური).

„ცოცხალი მუზეუმის“ ჩანაწერები: ბერლინური შთაბეჭდილებანი

(ეკა გუჯიაშვილს ესაუბრა ნინო დოლიძე)

ნინო დოლიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების არაბისტიკის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მკითხველი კარგად იცნობს მისი თარგმანებითა თუ სხვა საინტერესო პუბლიკაციებით. ამჯერად იგი თავის ბერლინურ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს. გერმანიაში ის ზაფხულში მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდიით იმყოფებოდა ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის არაბისტიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. ქალბატონ ნინოსთან დიდი სემიტური ენების შესწავლის გერმანული ტრადიციებით დაინფო და არაერთ საინტერესო საკითხს შეეხო.

— ბერლინში სემიტური ენების კვლევას საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. აღმოსავლური ენები, რომლებიც ჯერ კიდევ 1812 წლიდან შევიდა საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამაში, თავიდან თეოლოგიის ფაკულტეტს ეკუთვნოდა, 1876 წლიდან კი გაიხსნა ცალკე დეპარტამენტი, რაც გამოჩენილი სემიტოლოგის ედუარდ ზახაუს (1845-1930) დამსახურება გახლდათ. იგი მეცნიერულად იკვლევდა არა მარტო კლასიკურ წყაროებს, არამედ ცოცხალ სამეცნიერო ტრადიციებსაც, იყო იშვიათი დიპლომატი, ორგანიზატორი, ადმინისტრატორი. 1887 წელს ბერლინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტში მან აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დააარსა, რაც 1886 წელს რაინსტაგში ბისმარკის მიერ ცნობილი მოხსენების ნაკითხვის შემდეგ მოახერხა...

— მოხსენება აღმოსავლურ ენებს ეხებოდა?

— მოხსენების თანახმად, აუცილებელი იყო აღმოსავლური ენების შესწავლა კულტურულ კონტექსტში, რაც რელიგიის, ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის ერთობლივ კვლევას გულისხმობდა. მოგვიანებით სამეცნიერო მუშაობა აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით გაფართოვდა. უნივერსიტეტის გარდა ბერლინში რაბინთა იუდაური ორთოდოქსული სემინარიც არსებობდა, სადაც, 1874 წლიდან იაკობ ბარათის (1851-1914) დაუღალავი მოღვაწეობის წყალობით, შედარებითი სემიტოლოგია და ებრაისტიკა დანიშნაურდა.

— დღეს როგორ გრძელდება აღმოსავლეთის შესწავლის ეს ტრადიციები?

— დღეს ეს ტრადიციები გრძელდება ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1948 წლის 4 დეკემბერს გაიხსნა, მაშინ, როცა ბერლინის კედლის აშენების შედეგად დასავლეთ ბერლინელთათვის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი მიუწვდომელი გახდა. ახალ უნივერსიტეტს „თავისუფალი“ ამიტომ დაერქვა — თავისუფალი ყოველგვარი პოლიტიკური ზეგავლენისგან. ის ბერლინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აშენდა — იქ, სადაც ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში „გერმანული ოქსფორდის“ მშენებლობა ჰქონიათ გადწყვეტილი. დღესდღეობით თავისუფალი უნივერსიტეტი საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე გადაჭიმული პოპულარული უმაღლესი სასწავლებელია. მისი სტუდენტების 17% უცხოელია.

— აღმოსავლური ენები იქ თავიდანვე ისწავლებოდა?

— ფაკულტეტი გახსნისთანავე არ შექმნილა. აღმოსავლური ენების სწავლება 1950 წლიდან დაიწყო, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება კი 1963-იდან ჩამოყალიბდა. დღესდღეობით ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი ორიენტალისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად ითვ-

ლება. თუ ლაიფციგის უნივერსიტეტში არაბისტიკა უფრო ენასა და ლინგვისტიკაზეა ორიენტირებული...

— თუ არ ვცდები, სწორედ ამ უნივერსიტეტში შეიქმნა ყველაზე პოპულარული სახელმძღვანელოები არაბულ ენაში...

— დიახ, ენაში, აი, არაბული ლიტერატურის მკვლევარისთვის კი ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში მოხვედრა მართლაც რომ ხელსაყრელი, რადგან ის ლიტერატურის კარგ სკოლად ითვლება. არაბისტიკის ინსტიტუტში შეისწავლება როგორც ტრადიციული არაბული ლიტერატურა, ყურანი და ძველი ტექსტები, ისე თანამედროვე მწერლობა. სწორედ ამან განაპირობა ჩემი ინტერესიც ამ სასწავლებლის მიმართ, რადგან ამჯერად ჩემი ამოცანა უახლეს არაბულ ლიტერატურაში საუნივერსიტეტო სასწავლო კურსის მომზადება, უფრო ზუსტად, გაუმჯობესება იყო. პარადოქსია, მაგრამ დღესაც კი ამ მიზნით დასავლურ სამეცნიერო ცენტრში მოხვედრა უფრო უპრიანია, ვიდრე რომელიმე არაბულ ქვეყანაში.

— კარგი სკოლა უწინარესად კარგ პედაგოგთა მხრებზე დგას. რას იტყვით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებზე?

— თავისუფალი უნივერსიტეტის არაბისტიკის ინსტიტუტში მუშაობენ მეცნიერები, რომელთა სახელი დიდი ხანია გასცდა გერმანიის ფარგლებს. მაგალითად, რენატე იაკობი (ძველი არაბული პოეზიის მკვლევარი), ანგელიკა ნოივირტი (კლასიკური და თანამედროვე არაბული პროზის, ყურანის მკვლევარი), გოთჰარდ შტრომაიერი (ბერძნული მეცნიერების, ფილოსოფიისა თუ მედიცინის ისლამურ კულტურაში გავლენის მკვლევარი) და სხვა. ჩემი უშუალო მასპინძელი ანდრეას ფლიჩი თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში კითხულობს ლექციებს, ასევე პოსტმოდერნულ არაბულ ლიტერატურაზე დაწერილი წიგნის ერთ-ერთი ავტორიც გახლავთ. ამდენად, მისი რჩევები ძალზე საინტერესო იყო ჩემთვის. ბერლინში ხშირად ახერხებენ არაბი მწერლების მოწვევას, მათი შემოქმედების ახლოს გაცნობას, მეტად აქვთ შეხება არაბული ლიტერატურული ცხოვრების ცოცხალ პროცესთან, რაც შესაბამისად აისახება აღმოსავლური ლიტერატურის შემსწავლელთა ნაშრომებზე.

— ასეთები ბევრნი არიან? საინტერესოა, რამდენად პოპულარულია ეს სპეციალობა დღეს ევროპაში და თანამედროვე ახალგაზრდობა თუ იჩენს ინტერესს მის მიმართ?

— უნდა აღინიშნოს, რომ თვალმისაცემია სტუდენტების სიმცირე არაბისტიკის სპეციალობაზე, განსაკუთრებით ფილოლოგიის განხრით. სტუდენტები შედარებით მეტად ინტერესდებიან ისლამმცოდნეობის მიმართულებით, რასაც ალბათ უფრო პოლიტიკისადმი ინტერესი უდევს საფუძვლად. ისე კი „ფილოლოგიის კრიზისი“, ცხადია, გერმანიასაც შეეხო და აღმოსავლეთმცოდნეობასაც გერმანიაში. უნივერსიტეტში ჩემთვის საინტერესო ლექციებს დავესწარი. მათ შორის რამდენიმე ე.წ. კოლოქვიუმს, სადაც მაგისტრანტებს ასწავლიან სამეცნიერო ნაშრომის წერას. ერთად განიხილება უამრავი სკრუპულოზური საკითხი. ჩვენთან კი სამეცნიერო ხელმძღვანელები სტუდენტებთან ინდივიდუალურად მუშაობენ, პირადედ უხსნიან, რა და როგორ უნდა დაინეროს...

— და თანაც ჩვენთან ამას ლექტორი ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე აკეთებს, თუმცა ისიც უნდა

ითქვას, რომ მაგისტრანტებს, საერთოდ, მკვლევარებს იქ სხვაგვარ პირობებშიც უხდებათ მუშაობა, თუნდაც ის რად ღირს, რომ ბევრი საინტერესო მასალის მოძიება შეუძლიათ და ისინი იოლად ხელმისაწვდომია მათთვის.

— ეს მართლაც ასეა. პირადად მე, არაბისტიკის ინსტიტუტის გარდა, სადაც ასევე შესანიშნავი ბიბლიოთეკაა, ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაშიც ვმუშაობდი. ეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკაა. სასურველი ნიგნის, ჟურნალისა თუ ხელნაწერის შეკვეთა ონლაინ რეჟიმში მთელი გერმანიის მასშტაბით შეიძლება. თუ ბერლინში არ აღმოჩნდა, სხვა ქალაქიდან ჩამოიტანენ. აქ ჩემთვის საინტერესო ლიტერატურა მოვიძიე და მისი ელექტრონული ასლებიც წამოვიღე, რადგან ყველაფერის ნაკითხვის დრო არ მქონდა. თან ვფიქრობდი, ალბათ რა ადვილია აქაური ახალგაზრდა თუ სტაჟიანი მკვლევარებისთვის თემის დამუშავება-მეთქი. ჩვენ როდის გვექნება ასეთი პირობები?

— ბოლო დროს ინტერნეტმა ჩვენთანაც ბევრი რამ გააიოლა...

— კი, მაგრამ არსებობს რიგი სპეციალური ლიტერატურისა, რომელსაც სრულად ვერც ნაკითხვად ინტერნეტის მეშვეობით და ვერც სწორი და სრული წარმოდგენა შეგექმნება, ვიდრე უშუალოდ არ ნახავ და შეეხები. შეიძლება ის, რაც შორიდან საინტერესო ჩანს, სულაც არ აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი. ამდენად, მეტად საჭირო და აუცილებელია ასეთი კვლევითი სტაჟირება. უკვე მეორედ დამაფინანსა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურმა, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. მკვლევარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია აზრების გაცვლა, უცხოელი კოლეგების გამოცდილების გაზიარება. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ბევრი რამ უკეთ გავაკეთოთ, ცოტა მეტი ხელშეწყობა რომ გვექნებოდა და პირობებიც — სამუშაოდ. ჩვენ ხომ ამ თვალსაზრისით საკუთარი ტრადიციები გვაქვს...

— ხელშეწყობი პირობების გარდა, პერსპექტივაც არ არის გამოკვეთილი იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც სამეცნიერო მუშაობა სურთ. ამიტომ მათ მოტივაცია ეკარგებათ და სურვილიც, რომ ამ გზით გააგრძელონ პროფესიული კარიერა. იქ რა ვითარებაა ამ მხრივ?

— მაგალითად ბერლინის არასაუნივერსიტეტო სამეცნიერო ცენტრებს მოვიტან, რომელთა მონახულებაც მომიხდა. ერთ-ერთი მათგანია „თანამედროვე აღმოსავლეთის ცენტრი“ (Zentrum Moderner Orient). დირექტორმა, ულრიკე ფრაიტაგმა, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსმა, მოახერხა არაჩვეულებრივი სამუშაო გარემო შექმნა თავის ცენტრში, სადაც ის ახალგაზრდები არიან დასაქმებულნი, დისერტაცია (ე.წ. 3) რომ დაიცვენ. ჩვენთან ხომ ეს ყველაზე დიდი პრობლემაა?! ახალგაზრდა სწავლობს, იკვლევს, დისერტაციას იცავს და შემდეგ... ვითომც არაფერი — ბანკში ან სადაზღვევო კომპანიაში მიდის სამუშაოდ. უპერსპექტივობის გამო დოქტორანტებს არანაირი მოტივაცია არ გააჩნიათ დისერტაციის დასაცავად. შედეგად — უამრავი ნიჭიერი კადრი იკარგება. „თანამედროვე აღმოსავლეთის ცენტრს“ არა აქვს პირდაპირი სასწავლო დანიშნულება. აქ არაერთ საინტერესო თემაზე მუშაობენ, იმართება კონფერენციები, შეხვედრები, დისკუსიები, გამოცემა პერიოდიკა, ნიგნები, მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ცენტრალური, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ინტერდისციპლინური კვლევა ისტორიულ, სოციალურ თუ კულტურულ კონტექსტში. ცენტრს აქვს კონტაქტები წამყვან სპეციალისტებთან, შესანიშნავი ბიბლიოთეკა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა...

— და ამ ყველაფერს ფინანსურად ვინ უზრუნველყოფს, სპონსორები?

— არა მხოლოდ. შენობა მათ სახელმწიფომ გადასცა. მნიშვნელოვანია დაფინანსება სახელმწიფოს — გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის — მხრიდანაც, რომელიც სტაბილურია, თუმცა არასაკმარისი. ამის გამო ძირითადად ფინანსდება პროექტები და შესაბამის ანაზღაურებას კონკრეტულ სამეცნიერო პროექტებში დასაქმებულნი იღებენ. ცენტრს ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც მისი მუშაობის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს.

მეორე მსხვილი კვლევითი ცენტრი „ბერლინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ (Wissenschaftskolleg zu Berlin) ასევე სხვადასხვა ფონდის მიერ ფინანსდება და ყოველწლიურად აცხადებს აპლიკანტების მიღებას (ცხადია, ვისაც უკვე დაცული აქვს დისერტაცია). იმართება ლექციები, სემინარები, აქ მუშაობენ ის პროფესორებიც, რომელთაც უნივერსიტეტში ერთნაირი აკადემიური შვებულება აქვთ და სასწავლო პროცესისგან მოცალეობისას უფრო ინტენსიურად არიან ჩაბმულნი სამეცნიერო პროექტებში. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური კვლევა, თუმცა მომრავლდა ინტერდისციპლინური (მაგ., მთელი რეგიონის) ან შედარებითი კვლევები (მაგ., შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობაში), სადაც სხვადასხვა სპეციალობის რამდენიმე მეცნიერი ერთობლივად მუშაობს. ეს არ გახლავთ ინსტიტუტი ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული შტატებით. მთავარია საკვლევო თემები, შინაარსი და შესაბამისი საუკეთესო კადრების მოზიდვა...

— ალბათ არა მხოლოდ გერმანიიდან...

— ცხადია.

— თქვენ ახსენეთ აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც მეცნიერების პოლიტიზების საკითხი, კავშირი მის შესწავლასა და პოლიტიკურ ინტერესებს შორის. ამაში გასაკვირი არაფერია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ევროპისათვის ახლო აღმოსავლეთი, თუნდაც ღაზას სექტორში არსებული ვითარება, კვლავაც თავისტიკვილად რჩება; ალარაფერს ვამბობთ იმაზეც, რომ ევროპას აღმოსავლეთთან მიმართებით ალბათ თავისი ინტერესებიც აქვს. ამ პრობლემამ, ბოლოსდაბოლოს, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყველა სფერო დააფიქრა, მათ შორის, მეცნიერება და კულტურაც. ამის დასტურია ცოტა ხნის წინათ ბერლინში გამართული სამუშაო შეხვედრა ტრანსრეგიონული მულტიდისციპლინური კვლევითი პროექტის „ევროპა ახლო აღმოსავლეთში და ახლო აღმოსავლეთი ევროპაში“ ფარგლებში, რომელსაც თქვენც ესწრებოდით და ამ საკითხზე საინტერესო წერილიც გამოაქვეყნეთ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე...

— დიას, ეს პროექტი მოიცავს როგორც ლიტერატურას, ისე პოლიტიკურ ფილოსოფიას, ურბანულ ისტორიას, ფილოლოგიას, ისლამმცოდნეობას... ამ პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი სამუშაო შეხვედრა ბერლინში ჩემი ყოფნისას ჩატარდა და, ცხადია, დავინტერესდი. საუბარი არაბულ-ებრაული ურთიერთობის პერსპექტივებს, მათი თანაცხოვრების შესაძლებლობებს შეეხო. ნიუ იორკის, მანჩესტერის, კემბრიჯის, თელ ავივის, ჰაიფას, ნეგევის ბენ გურიონის უნივერსიტეტების, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის წარმომადგენელთა გარდა, შეხვედრაზე იყვნენ ლიბანიდან, ისრაელიდან და აშშ-დან საგანგებოდ მოწვეული ებრაელი და არაბი სტუმრები, რომლებიც დისკუსიაში მონაწილეობდნენ. გამოითქვა აზრი, რომ არაბებიც და ებრაელებიც უკეთ უნდა იცნობდნენ თარსულს. მათი კარგი ურთიერთობის, თანაცხოვრებისა თუ თანამშრომლობის მრავალი ფაქტი არსებობს.

— თქვენს წერილში ყურადღებას ამახვილებთ იმ მცდარ ტერმინოლოგიაზე, ისრაელის შექმნასთან ერთად რომ გაჩნდა. დღეს ყველა თანხმდება და თქვენც აღნიშნავთ, რომ ეს მართლაც არასწორი მიდგომა იყო, რომელმაც კონცეპტუალური უფსკრული წარმოშვა მომხდარის ანალიზსა და აღდგენით პროცესს შორის...

— ამის შესახებ ლიბანელმა მწერალმა ელიას ხურიმ აღნიშნა, რომ ისრაელი ვერასოდეს მოიგებს, ვიდრე ამ ქვეყანაში „ისრაელელი არაბი“ უმცირესობის წარმომადგენელი, მეორეხარისხოვანი მოქალაქე იქნება... არაბებსა და ებრაელებს შორის იშვიათი კეთილგანწყობა იგრძნობოდა შეხვედრაზე, რომელსაც სულ რამდენიმე დღეში ლაზაში გაუგებარი მიზეზებით გამწვავებული კონფლიქტი და ახალი მსხვერპლი მოჰყვა. ამიტომ აუცილებელია არაბთა და ებრაელთა ურთიერთობა გაიმიჯნოს დასავლური პოლიტიკისგან, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში მართლაც აქვს თავისი ინტერესები. განათვითონ ებრაელებს სურდათ ან სურთ, რომ იყვნენ კოლონიზატორები, როგორც დღეს მათ მოიხსენიებენ?

— ეს თემა შორს წავიყვანს. თანაც ჩვენი ჟურნალის მკითხველი თქვენს საინტერესო წერილსაც იცნობს („სტივილი, რომელიც არავის ახსოვს“, 2014, №17) მის ირგვლივ. ამიტომ ისევ გერმანიის კულტურულ ცხოვრებას დავუბრუნდეთ...

— შეუძლებელია ცხოვრობდე ბერლინში და ჩართული არ იყო მის კულტურულ ცხოვრებაში. იქ არსებული მუდმივმოქმედი გამოფენების გარდა, რომლებზეც უამრავი შედეგის ორიგინალია წარმოდგენილი (მათ შორის ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პერგამონის მუზეუმი აღმოსავლური კოლექციით), ბევრი დროებითი ექსპოზიციაც არის. ჩემს იქ ყოფნაში არტინ-როპიუს-აუ-ს ძველ საგამოფენო დარბაზს სტუმრობდა თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჩინელი ხელოვანი აი ვივეი. შინაპატიმრობაში მყოფმა მხატვარმა მოახერხა ბერლინში 3000 კვადრატულ მეტრზე, 18 ოთახში განთავსებული გამოფენის მოწყობა, რომელიც, მიუხედავად პოლიტიკური დატვირთვისა, უნდა ითქვას, მაღალი ესთეტიკური ხარისხით გამოირჩეოდა და ძალიან შთამბეჭდავი იყო.

— რაკი კულტურულ ღონისძიებებზე ვსაუბრობთ, იმასაც გკითხავთ, თუ როგორ აღნიშნა გერმანიამ 100 წლისთავი პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან — თარიღი, რომელიც ბევრმა ქვეყანამ გამოარჩია.

— ამ ფაქტთან დაკავშირებით ბერლინში არაერთი ღონისძიება მოეწყო. მათ შორის გამოფენები, ფილმების ჩვენება, გამოსვლები, მოხსენებები, დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაფასდეს ისტორიული მოვლენები, როგორ უნდა ისწავლებოდეს მსოფლიოს საგანმანათლებლო სკოლებში „მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს კატასტროფად“ შეფასებული ომი, რომელსაც 9 მლნ. ჯარისკაცი და 6 მლნ. მოქალაქე შეენირა და ა.შ. ბერლინის არაერთ გალერეასა თუ მუზეუმში ომის ისტორია სხვადასხვა კონტექსტში აისახა. ჩემი ყურადღება მიიპყრო შედარებით მცირე ექსპოზიციამ ბერლინის ცენტრში. ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის არქივის მხარდაჭერითა და თანამედროვე ხელოვნების კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გამართული გამოფენის კურატორმა, კულტუროლოგმა და ხელოვნებათმცოდნემ ლილი ფურესტენოვ-ხოსიტაშვილმა გამანდო, თუ როგორ გააუჩნდა გამოფენის ორგანიზების იდეა.

— ჩვენს ჟურნალსაც გაანდობთ?

— რა თქმა უნდა. როგორც გაირკვა, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის არქივში მოიპოვება ბევრი ისეთი რამ, რაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი საუკუნის გასვლის შემდეგაც კი ბოლომდე არ არის შესწავლილი და გამომზეურებული. სულ ცოტა ხნის წინათ ქალბატონ ლილის ერთ-ერთი გერმანელი მკვლევარი დაუკავშირდა და ქართულად ჩაწერილი ფონოგრამების გაშიფვრა სთხოვა. მსოფლიო ომის მსვლელობისას გერმანულ სამხედრო ბანაკებში მოხვედრილ ქართველ ტყვეთა ჩანაწერები აღმოჩნდა...

— მათი უმეტესობა ხომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება?

— ასეა, შთამომავლებმა დღესაც არ იციან, რა ბუდი ეწიათ ამ ტყვეებს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 100 წლის შემდეგაც კი ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი მასალა დატყვევებულთა შესახებ. ექსპოზიციანე წარმოდგენილია ტყვეთა ფოტოები, მათი ძალზე სკრუპულოზურად აღრიცხული დოკუმენტები, ანკეტები შემდეგი პირადი მონაცემებით — ნომერი, თარიღი, დაკავების ადგილი, ოთახი, გვარი, სახელი, დაბადების თარიღი და ადგილი, რომელი დიდი ქალაქი მდებარეობს დაბადების ადგილის ახლოს, მოქალაქეობა, სად ცხოვრობდა პირველი 6 წელი, რომელ სკოლაში დადიოდა, სად გაატარა 7-დან 20 წლამდე ხანა, სად ცხოვრობდა 20 წლიდან, მამის წარმომავლობა, ფედის დაბადების ადგილი, ეროვნება, მშობლიური ენა, რომელ უცხო ენებს ფლობს, იცის თუ არა წერა-კითხვა, რომელ მშობლიურ საკრავზე შეუძლია დაკვრა, თანამედროვე ევროპულ მუსიკას თუ უკრავს ან მღერის... დაბოლოს — რელიგია... თითოეულ ანკეტას ახლავს მოსაუბრე ტყვის ხმის, საუბრის შეფასება. ფონოგრამებისა და საარქივო მასალის გამოფენას ახლავს



ნინო დოლიძე

საგანგებოდ ამ პროექტისთვის მოწვეულ მხატვართა მიერ შესრულებული ფერწერული ნამუშევრები. უნივერსიტეტის არქივში დაცული ამ მასალების გაცნობისას მიღებული შთაბეჭდილება ხელოვანებმა — ქსენიაფინკმა, მარტა შფორნიმ, ლიმ რიჯინაშვილმა, ბარბარა გერაშმა, დიტერ აპელტმა, არიელ რაიჰმანმა, ნატალი ბრაუნ ბარენდსიმ და თომას ბრაკცემ — თავიანთ ნამუშევრებში გადაიტანეს და ერთ ექსპოზიციად წარმოადგინეს.

— რა მდგომარეობაშია ხმის ჩანაწერები, რომელ წლებში და რა მიზნითაა გაკეთებული?

— 1915-18-ში. ფონოგრამები საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. როგორც ჩანს, კარგად იყო დაცული და სიტყვების გარჩევა არ არის ძნელი. საუკეთესო ხარისხია. იმჟამინდელი გერმანიის სამხედრო ბანაკები კვლევით ცენტრებად იყო ქცეული. გერმანულ-ავსტრიული კვლევითი პროექტის წამყვანი სექციის წევრები — უმეტესად ეთნოგრაფები, ანთროპოლოგები და ლინგვისტები — „მსოფლიო არქივის“ ჩასაწერად შეკრებილიყვნენ. ამიტომაც ფონოგრამებისთვის, ფოტოების გადასაღებად საუკეთესო ტექნიკა გამოიყენებოდა. ქართულენოვანი ჩანაწერებიც როგორც სამომავლო პროპაგანდის, ასევე ეთნოგრაფიული და ლინგვისტური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზნით კეთდებოდა. ტყვეთა ბანაკის „ცოცხალი მუზეუმი“ მეცნიერებს უპრეცედენტო შესაძლებლობებს სთავაზობდა იქ თავმოყრილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ტრადიციების, ენებისა თუ დიალექტების შესასწავლად.

— მეტყველების გარდა რას აკვირდებოდნენ?

— აკვირდებოდნენ მათ სხეულებს, სკრუპულოზურად ზომავდნენ ტანს, ნაკვთებს, კი-

Exhibition Cycle
dedicated to the 100th Anniversary of the First World War
Körperschriften / Body Scriptures

PERSONALBOGEN
Lautliche Aufnahme Nr.: P.17.325
Kriegsgefangenenlager: Ohmannitz
Datum: 16/11.1916
Zeitangabe: 11 Uhr 25 Min
Dauer der Aufnahme: 1/4 Min
Durchmesser der Platte: 21 cm
Raum der Aufnahme: Hauptkonditorium
Art der Aufnahme: Sprechaufnahme, Gesangsaufnahme
Choraufnahme, Instrumentenaufnahme, Orchesteraufnahme: 1. Frauenchor
Dramaturg an einem Partiturband u. 1. Violoncell.
Name (in der Muttersprache geschrieben):
Name (lateinisch geschrieben): Ahmannitz
Vorname: Leon
Wann geboren (oder ungefähres Alter): 1891 oder 1892
Wo geboren (Heimat): Kausch
Welche größere Stadt liegt in der Nähe des Geburtsortes? Schalkhaleki
Kanton - Kreis (Ujeds):
Departement - Gouvernement (Gubernija) - Grafschaft (County): Tiflis
Wo gelebt in den ersten 6 Jahren? in der Kausch
Wo gelebt vom 7. bis 20. Lebensjahr?
Was für Schulbildung?
Wo die Schule besucht?
Wo gelebt vom 20. Lebensjahr? Bessarabien (Moldawien)
Aus welchem Ort (Ort und Kreis angeben) stammt der Vater? Schalkhaleki
Aus welchem Ort (Ort und Kreis angeben) stammt die Mutter? Schalkhaleki
Welchem Volksstamm angehörig? Rumänien
Welche Sprache als Muttersprache? Rumänisch
Welche Sprachen spricht er außerdem? Türkisch, Russisch
Kann er lesen? Ja Welche Sprachen? Rumänisch
Kann er schreiben? Ja Welche Sprachen?
Spielt er ein im Lager vorhandenes Instrument aus der Heimat? Tamburin
Singt oder spielt er modern europäische Musikweisen? Nein
Religion: rum.-griech. Beauf.: Klempner

document from the Lautarchiv, Humboldt Universität zu Berlin

curated by Dr. Phil. Lily Fürstenow-Khositashvili, ARE/Artistic Research Encounters
with kind support of the Humboldt University, Berlin and the Association Old Berlin Garrison Cemetery Museum
Participating artists: Marta Storni, Xenja Fink, Alim Rijinasvili, Barbara Gerasch, Bettina Müller, Natlia Braun Barends

ქართველ ტყვეთა ანკეტის ნიმუში

დურებს ტყვეთა ამა თუ იმ რასობრივ ჯგუფში გადასახარის-
ხებლად. სამხედროები ფრანგული და ინგლისური კოლონიე-
ბიდან „ბუნებრივი რასის“ ჯგუფში ერთიანდებოდნენ. ე.წ.
„ეგზოტიკურ ხალხებს“ კი გერმანულ-ავსტრიული პროპა-
განდა „კაციჭამიებად“ აღიქვამდა, რომლებიც „ევროპული
ცივილიზაციის არსებობას უქმნიდნენ საფრთხეს“.

რა ც შეეხება ქართველ ტყვეებს?

— ტყვეები მაშინდელი რუსეთის იმპერიიდან — ქართვე-
ლები, სომხები, ბალკანელი თათრები და რუსები — ძირითა-
დად ბერლინთან ახლომდებარე ვიუნსდორფისა და ვაინბერ-
გის ბანაკებში იყვნენ განთავსებულნი. რთულია იმის თქმა,
ზუსტად რამდენი ადამიანი იყო დაპატიმრებული ამ ბანაკებ-
ში. როგორც ე.წ. „ეგზოტიკური რასის“ წარმომადგენლები,
ისინი წლების განმავლობაში მეცნიერთა დაკვირვების ქვეშ
იმყოფებოდნენ. მათ სანახავად თუ „დასათვალისწინებლად“
რიგითი ბერლინელებიც კი ჩამოდიოდნენ. ავსტრიის უნი-
ვერსიტეტების არქივებში დღემდე ინახება მათ სხეულთა
თაბაშირის ყალიბები, ქართველ ტყვეთა მიერ ნამღერი ქარ-
თული სიმღერების ფონოგრამები...

— ძალიან მძიმე მოსასმენია ეს ყველაფერი, თუმცა
ალბათ უცნაური შეგრძნებაა, როცა საუკუნის წინანდელ
ქართულ ჩანაწერს ისმენ...

— მითუმეტეს, როცა იცი, რომ ამ პატიმართა უმრავლესობის
ბედი დღემდე უცნობია. ერთადერთი, რაც გადარჩა,
ხმებია, რომლებმაც, ქალბატონი ლილის თქმით, დიდი ხნის
შემდეგაც შეინარჩუნეს თავისებური, განუმეორებელი სუ-
ლი. იქნებ გამოჩნდნენ დაკარგულ ტყვეთა შთამომავლები,
რომლებიც, საარქივო მონაცემთა ნაკლებობით, ადვილად ამო-
იცნობენ თავიანთ წინაპრებს, შესაძლოა მათი ხმებიც მოის-
მინონ, ჩანერილი საუკუნის წინათ. ამის იმედი აქვთ გამოფე-
ნის ორგანიზატორებსაც, რომლებიც ამ ექსპოზიციის ჩამო-
ტანას გეგმავენ თბილისში.

იოსებ ჭუმბურიძე

ა(ღა)რა არს
დაფარული...

ეს არ მომხდარა ფაშისტებისგან დაპყრობილ ქვეყანაში.
არც ბოლშევიკურ იმპერიაში.
ეს მოხდა საქართველოში.
ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათეულში.
პროფესორმა დატოვა უნივერსიტეტი.

დაატოვებინეს.
შენწყვიტა ლექციების კითხვა.
შეანწყვეტინეს.
მაგრამ პროფესორი მეცნიერია, მკვლევარია.
კვლევას კი ვერ დაუშლიდნენ.
ფიქრს — მით უმეტეს.

„ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“.
კაცისთვის მით უფრო იქნება ფიქრი კაცობის გვირგვინი...

რაზე ფიქრობს ფილოლოგი (ლიტერატორი), რომელსაც
უნივერსიტეტი დაატოვებინეს?
რასაკვირველია, ლიტერატურაზე.

ფიქრი გაუნელებს ტკივილს.
ფიქრი გააძლებინებს.

არათუ გააძლებინებს, შესაძლოა, მიგნებათა სიხარუ-
ლიც განაცდევინოს.

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“...
ვისგან განაწირსა?

რიტორიკული შეკითხვა.

უნივერსიტეტის დატოვება, ცხადია, არა, ათწლიანი შე-
მოქმედებითი პაუზა კი ნამდვილად ღირდა იმ სიხარულისთ-
ვის, ამირან გომართელმა რომ განიცადა.

სიტყვა „შემოქმედებითი“ არ წამომცდენია.

ფილოლოგიური (ალბათ, ყოველგვარი) კვლევაც შემოქ-
მედებაა.

აქაც მუზა უნდა გენვიოს...

მუზა კი ის ჭირვეული ქალბატონია, რომელსაც ვერა-
ფერს უბრძანებ, თავისი ნებით უნდა გეახლოს.

ამირან გომართელს ეახლა და დაიბადა წიგნი, რომელ-
საც „კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა
ჰქვია“ (გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013).

სათაური (იდეა, თემა) უკვე მიგნებაა.

ზემოთ ნახსენები სიხარული მკვლევარმა, უწინარესად
(ანოტაციამოვით), იმას გაუზიარა, ვისთვისაც წიგნისმიერი
წიგნი იწერება:

„ძვირფასო მკითხველო!

ამ წიგნში, მე და თქვენ, ერთობ საინტერესო მოვლენაზე,
ილიასა და აკაკის ფარულ მხატვრულ პოლემიკაზე, მათი
თხზულებების კონცეფციურ დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ.

აკაკი წერეთლის თხზულებებში ვაჟა-ფშაველას მიმარ-
თაც შეინიშნება ფარული მეტოქეობის კვალი“.

„შენ ერთადერთი აკაკი ხარ“, — ასე მიმართავდა ილია.

„სწინს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტად
წამებული კახეთი, ჩვენთვის ბეთლემად დაუნიშნავს განგე-
ბას“, — ამას აკაკი ამბობს თელავში, ილიას სიცოცხლეში,
1897 წელს.

„კახეთში ქართველთა მესია იშვაო. მეტი რაღა უნდა ეთქვა აკაკის“ (ა. გომართელი).

მაგრამ „ამგვარი მაქსიმალური აღიარება აკაკის სრულიადაც არ უშლიდა ხელს, ჩვეული ენაკვიმატობა ილიას მიმართაც გამოეჩინა“.

თუ არ ვცდები, — წერს ამირან გომართელი, — გურამ ასათიანმა შენიშნა პირველმა, რომ აკაკის „პოეტი“ გაპაექრება ილიას „პოეტთან“.

„მე ცა მნიშნავს“...

„ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ“... (ილია)

„არც მიწისა ვარ, არც ცისა“ (აკაკი).

„მერე, როცა ილიას კვალდაკვალ ვაჟამაც დანერა:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდევ...“

ვლაპარაკობდი ღმერთთანა“.

აკაკის კიდევ უფრო მეტი საბაბი მიეცა ოხუნჯობისთვის: გადამრევს ეს ხალხი, ნახევარი საუკუნეა ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არ გამაჩნია და ერთხელაც არ მახსოვს, ღმერთი დამლაპარაკებოდესო“.

ეს — აკაკისთვის ჩვეული ოხუნჯობა და ენაკვიმატობაა, ანუ ის, რაც ყველასათვის ადვილად შესამჩნევია.

ეს წიგნი კი უფრო ღრმად დაფარულ პოლემიკას ეხება.

1859 წელს ყმანვილი აკაკი პეტერბურგში დანერს პომას, რომელსაც „მეუდაბნოეს“ დაარქმევს.

„პომის დედაზრი ნათელია. აკაკი მეუდაბნეობის (განდეგილობის) წინააღმდეგ ილაშქრებს: ამქვეყნიურ ყოფაზე უარის თქმა ტრაგედიის მომტანია. ოჯახის უფროსის განდეგილობამ იმსხვერპლა ცოლიცა და შვილებიც“.

თითქმის ოცდახუთი წლის შემდეგ ილია დანერს პომას, რომელსაც „განდეგილს“ დაარქმევს.

„განდეგილი, გარეგნული მახასიათებლებით, ძალიან ჰგავს აკაკის მეუდაბნოე ბერს, თუმცა... ამ შემთხვევაში, აკაკია ბიძგის მიმცემი და ილია უმართავს მას შემოქმედებით შეჯიბრებას“.

ამირან გომართელს უთუოდ „მეუდაბნოესა“ და „განდეგილის“ შეპირისპირებულმა ანალიზმა განაცდევინა მიგნების პირველი სიხარული, მაშინ, როცა ამ დასკვნამდე მივიდა:


„ასკეტიზმის საბოლოო მიზანი ადამიანის ნებისა და სიცოცხლის შერწყმაა ღვთაებრივ ნებასა და სიცოცხლესთან“.

ასეთ დასკვნამდე კი ადვილად და შემთხვევით ვერ მიხვალ — ბიბლიამ, რუსთაველმა, მერჩულემ, კანტმა უნდა „მიგაცილოს“... ასეთ დასკვნამდე ვერც ისე მიხვალ, განდეგილობის თემაზე კიტა აბაშიძის, გერონტი ქიქოძის, აკაკი ბაქრაძისა და სხვათა ნააზრევსაც თუ ღრმად არ გაიაზრებ.

...მაშ, ასე: „განდეგილით“ ილიამ ხელთათმანი ესროლა აკაკის. „აკაკიმაც მიიღო გამოწვევა. იგი მზადაა დუელისათვის. დუელის ასპარეზი, რაღა თქმა უნდა, ლიტერატურული თხზულებაა, იარაღი — კალამი. ბრძოლის ველად ისტორიული პომის „თორნიკე ერისთავის“ ერთ ვრცელ მონაკვეთს შეარჩევს აკაკი წერეთელი“.

რატომ „თორნიკე ერისთავს“?

„როგორც ილიასთანაა აშკარა აკაკის მიერ დახატული ბერის სახის მსგავსება „განდეგილთან“, ასევე აშკარაა მწყემსი ქალისა და განდეგილის დიალოგის მსგავსება აკაკის



კის „თორნიკე ერისთავის“ ძალზე მნიშვნელოვან და კონცეპტუალურ პასაჟთან: არსენ კათალიკოსისა და ბერი თორნიკეს საუბართან“.

აქ კი — დასკვნა უკვე აკაკის სასარგებლოდ:

„აქტიური ქმედებისაკენ, როგორც კათალიკოსი ბრძანებს, თვით მაცხოვარმა მოგვიწოდა...“

„ასე არ ბრძანა: „თვინიერ საქმის, სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?“

ეს უკანასკნელი ფრაზა, — დასძენს ამირან გომართელი, — ახალი აღთქმის ერთ-ერთ ძირითად დებულებას ემყარება: „სარწმუნოება თვინიერ საქმეთა მკუდარ არის“ (იაკობის ეპისტოლე, 2, 20).

ასეთი არგუმენტის წინაშე უძლურია ბერი და იძულებულია, დაეთანხმოს კათალიკოსს. აკაკიმ ისეთი კარგი არგუმენტი მონახა, რომელიც არ მოფიქრებია ილიას პომის მწყემს ქალს. „თორნიკე ერისთავის“ ავტორი სწორედ ამ არგუმენტით ეკამათება ილიას პომის კონცეფციას“.

1857 წელს, პეტერბურგში, სტუდენტი ილია დანერს ლექსს, რომელსაც „სანთელს“ დაარქმევს.

ლექსი დიდი ხნის შემდეგ, 1892 წელს გამოქვეყნდება.

გაივლის ექვსი წელი (ლექსის დაწერიდან კი — 41) და აკაკი „ილიას სიჭაბუკისდროინდელი ლექსის შინაარსს სრულიად სხვა, საპირისპირო აზრს მისცემს.“

თუ ილიასთან სანთელი შანდღღო ქრება, რაც სკეპსისის სიმბოლოდ აღიქმება, აკაკის ლექსის „პირველივე ფრაზა კონცეპტუალურად უპირისპირდება ილიას ლექსის აზრობრივ შინაარსს“.

რაც არ იწვის, არ ანათებს, უჩინარად ლპება ნელა...“

ილია და აკაკი გასაგებია, მაგრამ ვაჟაც?

დიახ, ვაჟაც:

„ფიქრი იმაზე, რომ „გამზრდელი“ გამოვლენილ რელიგიურ ტოლერანტიზმს ბიძგი ვაჟას პომეგმა მისცა, მთლად საფუძველსმოკლებული არ უნდა იყოს. რაც შეეხება ილიასთან ფარულ ლიტერატურულ მეტოქეობას, ფაქტია, როცა ილია ქრისტიან მოძღვარს აიდეალებს, აკაკი, თითქოსდა მისი გაჯიბრებით, მაჰმადიანი მოძღვრის არანაკლებ შთამბეჭდავ, მეტიც, მონამებრივი შარავანდედით შემკულ ხატსა ქმნის. რაც მთავარია, უმნიშვნელოვანეს ზნეობრივ პრობლემას აყენებს: შენდობა-მიტევებისა და ცოდვის გამოსყიდვისა“.

ამირან გომართელი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნანარმოებთა შექმნის თარიღებს.

მისთვის უბრალოდ „თარიღების ცოდნას“ არ ნიშნავს ის ფაქტი, რომ აკაკიმ „გამზრდელი“ 1898 წელს დაწერა, როცა ვაჟას „ალუდა ქეთელაური“ (1888) და „სტუმარ-მასპინძელი“ (1895) უკვე შექმნილი ჰქონდა.

ეს თვისება მკვლევარს იმდენად აქვს გამახვილებული, რომ ზოგიერთ თარიღს ლოგიკურად ასწორებს კიდევც.

მაგალითად, მისეული ანალიზის შემდეგ, ვეღარ დაეჭვებები, რომ აკაკის „ჩუ, ქართველო“, ილიას „ბედნიერი ერის“ შემდეგ არის დანერგილი და არა 1865 წელს, როგორც ხელნაწერზე, ლურჯი ფანქრით, სხვისი ხელითაა მინერული.

„ჩუ, ქართველო“ ილიას სატირული ლექსის კვალობაზე შექმნილი ვარიანტია, ოღონდ არც თუ წარმატებული და ამიტომაც არ მიიჩნია აკაკიმ გამოქვეყნების ღირსად“.

ამირან გომართელი შიგადაშიგ ქართული ლიტერატურის (და ჟურნალისტიკის) ისტორიის ზოგიერთ „თეთრ ლაქასაც“ აღმოფხვრის. და ჩვენთვის ცხადი ხდება, საიდან იცნობდა აკაკი ვაჟას გამოუქვეყნებელ ლექსს:

„სამეფო სიყვარულისა“ ავტორის სიცოცხლეში არსად დაბეჭდილა, მაგრამ ეს აკაკის მიერ დანუნებული სწორედ ის ლექსი (ან ორიდან ერთ-ერთი) უნდა იყოს, რომლის თაობაზეც აცნობა „კვალის“ რედაქტორმა ვაჟას და პოეტის საყვედურიც დაიმსახურა“.

მაგრამ მთავარი მაინც ვაჟას ხსენებული ლექსისა და აკაკის „სულიკოს“ შეპირისპირება-ანალიზია.

ვაჟა:
**სატრფო დაკარგე,
იმას ვეძებდი,
შემოვიარე მთელი ქვეყანა...**

აკაკი:
**საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო...**

მკვლევარი აქ უკვე აღარ მისდევს თარიღებს („შეგნებულად არ ვანიჭებ უპირატესობას ქრონოლოგიას, იმას თუ რომელი ლექსი უფრო ადრე შეიქმნა“), რადგან მისთვის, „არსებითი მნიშვნელობა იმასა აქვს, თუ რას ნიშნავს, რას გულისხმობს ვაჟას მიერ ნახსენები „სატრფო“ ან აკაკის „საყვარელი“ და „სულიკო“...“

ამ კითხვის პასუხს კი ის მიჰყავს დავით გურამიშვილთან, ვისაც ვაჟა ასე მიმართავდა:

**შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!..
შენის ცრემლებით მოვხარშე
ჩემის გრძნობების ფაფაო...**

და აქ — მიგნების კიდევ ერთი სიხარული:

„აკაკისაც ჰქონდა ამ სიტყვების გამეორების უფლება. სწორედ „დავითიანის“ ერთი კონკრეტული ფრაზაა აკაკის გენიალური „განთიადის“ ბიძგის მიმცემი — „გევედრები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძო დამმარხეო“ („დავითიანი“). შდრ. „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მინას მიმაბარეო („განთიადი“). გურამიშვილისეული ვედრება ღვთაებრივ წიაღში დაბრუნებისა აკაკის „განთიადში“ მშობლიურ წიაღში დაკრძალვის ნატვრად ტრანსფორმირდება. ვფიქრობ, შესანიშნავი მაგალითია ჩვენი კლასიკური მწერლობის უწყვეტობა-ერთიანობისა, რასაც რევაზ თვარაძემ თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა უწოდა“.

უთუოდ გურამიშვილი უადგილებს მკვლევარს, ასე დანდობილად შეხედოს ვაჟას ერთ ლექსს, სადაც მკაფიოდ ისმის აკაკის „განთიადის“ გამოძახილი:

**ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიყარეო,
არ მომეფარო თვალთაგან,**

**დამიცევ, დამიფარეო
მოვჰკვდე? კაცო ხელი მერიდოს,
ოცნებავ, დაგიბარეო:
შენ მნახე, შენა, მარტო შენ,
გულს მინა მომყარეო.**

(„სიმღერა“ — 1910 წ.).

ვაჟას უსაყვარლესი ფიგურა რომელ მკვლევარს არ განაიარაღებს. ამირან გომართელსაც დიდი სიყვარული ანერინებს:

„არ მინდა, ვაჟას ეს ლექსი ვინმემ აკაკის ეპიგონობად აღიქვას. საეპიგონო არაფერი სჭირდა ვაჟა-ფშაველას. ეს „სიმღერა“ უფრო საერთო სულისკვეთების დადასტურებაა, იმ საერთო სულისკვეთებისა, რომელიც 1908 წელს საიუბილეოდ დანერგულ ლექსში, გნებავთ, პოლემიკურ „დაგვიანებულ პასუხში“ გაუმჟღავნა ვაჟა-ფშაველამ აკაკის“.

დიდ სიყვარულსა და თაყვანისცემას, რასაკვირველია, ის მხატვრული პოლემიკაც გულისხმობს, ილიას, აკაკისა და ვაჟას ნაწარმოებებში რომ იმალება.

თუმცა, ეს პოლემიკა აქამდე იყო დამალული — ამირან გომართელის ორიგინალურმა ნაშრომმა ცხადი გახადა.

ჭეშმარიტად, „არა არს დაფარული, რომელი არ გაცხადდეს“...

„დამონმებულ ლიტერატურაში“ ავტორს სულ ათიოდე ნაშრომი აქვს მითითებული. ნუსხაში ვერც „ბიბლიას“ ნახავთ, ვერც რუსთაველს, ვერც მერჩულეს, ვერც ნიცშეს, მაშინ, როცა ტექსტში ისინი ნახსენებია და „უმათოდ“ ეს წიგნი ვერც დაინერგებოდა. დაახ, ეს ნაშრომი დიდ ცოდნაზეა დაფუძნებული, ამის მიუხედავად, კოლეგები ავტორს, ალბათ, ერთ საკითხში მაინც შეედავებიან. კერძოდ: მართლა იცოდა თუ არა ილიამ იტალიელი პოეტის ჯუზეპე ჯუსტის არსებობა?

მაგალითად, როსტომ ჩხეიძე გადაჭრით ენდობა რუსუდან ნიკოლაძის იმ მოგონებას, რომლის თანახმადაც, ილიამ, ცენზურისათვის თვალის ასახვევად, ნიკო ნიკოლაძის რჩევით მიანერა თავის უკვდავ „ბედნიერ ერს“ სათაურის ქვეშ: „იტალიანელი პოეტის ჯუსტის მიბაძვა“ — „ჯუსტი“ ფრანგულად „მართალს“ ნიშნავს და შენც ხომ სიმართლეს წერო.

ის ფაქტი კი, ასეთი იტალიელი პოეტი რომ მართლაც არსებობდა, მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი. იტალიურ ლექსიკონებში მის გვარს არათუ ილია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი და იოსებ გრიშაშვილიც არ ეძებდნენ — ზედმეტად მიიჩნევდნენ.

როსტომ ჩხეიძეს არც ეს შემთხვევითი დამთხვევა აკვირვებს და არც ის, რომ ჯუსტის „ლოკოკინასა“ და ილიას „ბედნიერ ერს“ შორის გარკვეული მსგავსება შეინიშნება: „ამგვარი ტიპოლოგიური მსგავსებანი ისეთ ლექსებთანაც შეიძლება აღმოაჩნდეს ილიას ამ სატირულ ქმნილებას, რომელთა არსებობაც არ უწყოდა“.

ეს ყოველივე ოდნავადაც ვერ გააფერმკრთალებს ამ ნიგნის დიდ ღირსებებს.

დარწმუნებული ვარ, მას დიდი ინტერესით გაეცნობიან ჰუმანიტარებიც და არაჰუმანიტარებიც...

ისიც მჯერა, რომ ან უკვე გაცხადებულ ფარულ პოლემიკას სიხარულით გააცნობენ მოწაფეებს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები.

ეს ნიგნი დიდი ტირაჟით უნდა გამოიცეს, რათა რაც შეიძლება ბევრისთვის იყო ხელმისაწვდომი.

დიდტანიანი არ არის და ძვირი არ დაჯდება.

სამაგიეროდ, ბევრს იტევს და ძალიან საჭიროა...

გურამ ყორანაშვილი

ფასეული სამეცნიერო-პოპულარული ნიგნი საქართველოს ისტორიაზე

საბჭოური პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ისტორიის პოპულარულ თხრობას ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ამასთანავე, ჩვეულებრივ, საისტორიო ხასიათის ნაშრომები ინერგებოდა სქემატურად, მშრალი ენით, რის გამოისობითაც მათ ნაკითხვას მკითხველთა ფართო წრე არ ეტანებოდა. ამ ნაკლის გამოსწორებას სათავე დაუდო დიდა ერუდიტმა და მაღალნიჭიერმა გეოგრაფიკმა ქიქოძემ თავისი მონოგრაფიით ერეკლე მეორეზე (დაიბეჭდა 1941 წელს). მოგვიანებით ეს ტრადიცია გააგრძელეს ისტორიკოსმა და მწერალმა ლევან სანიკიძემ თავისი „უქარქაშო ხმლებით“ და ცნობილმა ლიტერატორმა ვახტანგ ჭელიძემ „ქართლის ცხოვრების ქრონიკებით“. აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის თვალსაჩინო საისტორიო სახელმძღვანელოს (ის გახლდათ საბჭოთა კავშირში პირველი სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც ეროვნულ ისტორიას გადმოსცემდა) ბაზაზე შექმნა შექმნა საკითხავი ნიგნი. მამა-შვილმა აკაკი და პაატა სურგულაძეებმა გამოსცეს ამგვარივე ხასიათის ნაშრომი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საქართველოს შესახებ.

მდგომარეობა ამ თვალსაზრისით თითქოს გამოსწორდა, მაგრამ ნაწილობრივ, სასურველობამდე ჯერ კიდევ შორსა ვართ. ამით აიხსნება ჩვენი ისტორიის სუსტი ცოდნა მოსახლეობის ფართო ფენების მიერ, რაც აღნიშნა კიდევ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

მისასალმებელია, რომ აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას ცდილობს ქართული ბიზნესიც, კერძოდ, კომპანია „მაგთიკომის“ ხელმძღვანელობა, რომელმაც დააფინანსა „საქართველოს ისტორიის“ ოთხტომეული და ერთ ნიგნად გამოცემული ჩვენი ისტორია (დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის ავტორობით) (სხვა ამბავია, თუ რა სამეცნიერო ფასეულობას წარმოადგენენ ისინი). აღნიშნულმა კომპანიამ ასევე თავი გამოიღო „საქართველო და ქართველების“ გამოცემის საქმეშიც.

დასახელებული ნიგნი (ჩვეულებრივი ფორმატის 675 გვერდის შემცველი) დაწერილია ისტორიკოსების **ზაზა აბაშიძის, მიხეილ ბახტაძისა და ოთარ ჯანელიძის** მიერ, პირველის რედაქტორობით (VI თავი „მეფე თამარი და მისი დრო“ ეკუთვნის ისტორიკოს გვანცა აბდალაძეს).

ნიგნის დასაწერად ავტორებს მრავალი სხვა ისტორიკოსის ნაშრომი გამოუყენებიათ, რაც მითითებულია რედაქტორის წინათქმვაში (გვ. 11). რასაკვირველია, მასში გვხვდება ორიგინალური მოსაზრებებიც. მიუხედავად ამისა, ავტორები მოკრძალებით აღნიშნავენ ნიგნის პოპულარულ (საკითხავ) ხასიათს. ბოლოში დართულია ათი საისტორიო რუკა, შედგენილი სპეციალისტ მანანა შევილაძის მიერ.

თხრობა წარმოებს ჩვენი პირველყოფილობის ხანიდან მოყოლებული გასული საუკუნის 1990-91 წლების ჩათვლით, რაც, მოგვხსენებათ, მნიშვნელოვანი ნიშანს ეტია ჩვენს ისტორიულ პროცესში. თხრობა (ნარატივი) ძირითადად ეხება პოლიტიკურ ისტორიას, უფრო ნაკლებ — სოციალურს, და კიდევ უფრო ნაკლებ — ეკონომიკურს.

რაც შეეხება ნაშრომის კომპოზიციას (სტრუქტურას), ამ მხრივ ჩვენს შენიშვნას იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ისტორიის (ასე თუ ისე) თხრობის შემდგომ ადგილი აქვს უცხოეთში ბედის უკუღმართობით მოხვედრილ გამოჩენილ პირთა სვე-ბედს (გვ. 427-34), რაც, ცხადია, ფრიად საინტერესოა, მაგრამ ამჯერად „ამოვარდნილობის“ განცდას ტოვებს. ასევე ითქმის სულ ბოლო პარაგრაფზე, რაც საბჭოურ ხანაში საქართველოს ეკლესიის ისტორიას ეხება.

უპირველესი შთაბეჭდილება, რაც „საქართველოსა და ქართველების“ ნაკითხვისას გვიჩნდება, ესაა კარგი, გამართული და საინტერესო თხრობა, რაც ავტორთა წარმოსახვასაც გულსხმობს და რაც, ვიმეორებთ, ძალიან უჭირს ისტორიკოსთა უმრავლესობას. ნიგნში ვერ შეხვდებით ზედმეტ და მაღალფარდოვან ფრაზებს, არაფრისმთქმელ პასაჟებს. ერთი სიტყვით, ნიგნი ნამდვილად კარგი გამოვიდა და სერიოზულ წვლილსაც შეიტანს მკითხველთა ფართო მასის საისტორიო ცნობიერების ამაღლებაში.

თხრობისას ავტორები უთუოდ დიდ სიძნელეთა წინაშე იდგნენ. საქმე ისაა, რომ ჩვენი ისტორიოგრაფიის საბჭოური პერიოდის მემკვიდრეობა არცთუ ისეთი შთამბეჭდავი აღმოჩნდა, როგორც ეს თავის დროზე წარმოედგინათ და როგორც მავანთ ახლაც მიაჩნიათ. ვანყდებით მთელ რიგ გადაუჭრელ პრობლემებს. მაგალითად, სავალალო ვითარებაა ქართველთა ეთნოგენეზისის კვლევა-ძიების საკითხში, რაც, ცხადია, აისახა სარეცენზიო ნიგნშიც.

ავტორები იზიარებენ ჩვენში ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებულ წარმოდგენას ქვეყნის ტერიტორიაზე ქართული (უფრო სწორად, ქართველური) ეთნოსის იმთავითვე აბორიგენობაზე, მაგრამ ამ თვალსაზრისს დამაჯერებლობა აკლია. მყარი საფუძველი თითქოს გვაქვს ჩვენი ეთნოსის კოლხურ კულტურასთან (დასავლეთში) და აღმოსავლურ-ქართულ კულტურასთან დაკავშირებით (გვ. 38). მაგრამ, მოგვხსენებათ, ეს ეხება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას. გეტყვით იმასაც, რომ თვით ქართველ ისტორიკოსთა (გიორგი მელიქიშვილი, გიორგი ქავთარაძე და შოთა ჩართოლანი) შორისაც კი გვხვდება სხვაგვარი მოსაზრება ჩვენი წინაპრების მოსულობის თაობაზე ჩრდილო-აღმოსავლეთი ანატოლიიდან. აღარას ვამბობთ უცხოელ ისტორიკოსებზე (რუსებზე, აფხაზებზე და მისთ.).

ნიგნში თანდართულ რუკაზე (პირველ) კოლხები და ხალიბები მითითებული არიან ჭოროხის აუზსა და მის სამხრეთ-დასავლეთით. საკუთრივ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე კი, ისევე როგორც რუსულად და სხვა უცხოურად დაბეჭდილ ნიგნებში, ქართველთა (ქართველური მოდემის) ცხოვრების რაიმე მინიშნება არ ჩანს. არადა, აღნიშნულ რუკას აქვს პრეტენზია აჩვენოს ჩვენი ისტორია ძვ.წ. III-I ათასწლეულის შუახანებამდე.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ძალზე არადაზავურებლად არის წარმოდგენილი პირველი ქართული (ქართველური) სახელმწიფოების ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ე.წ. სამხედრო დემოკრატიის სახელმწიფოდ ტრანსფორმაციის საკითხი (კულხა//კოლხაში, მესხებში, ქართებში). გიორგი მელიქიშვილი (აგრეთვე რუსი ისტორიკოსი (აღმოსავლეთმცოდნე) იგორ დიაკონოვი) დიაუზ//დიაოხის ხურიტულ სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ. სარეცენზიო ნიგნში ის მითითებულია ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით და დასავლეთით მდებარედ (გვ. 39, ასევე გვ. 73). მაგრამ, ვიმეორებთ, ეს როდი ნიშნავს მის ქართულ ხასიათს. ნიგნის მიხედვით კი, ჩანს, სწორედ ასე წარმოედგინება.

25-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეულია (ნ. ხაზარაძე) მოსხების (მესხების) და მუშქების იგივეობა და ამდენად უარყოფილია მოსაზრება ეთნიკურად მათი დაკავშირებისა ფრიგიელებთან და სომხებთან“.

მაგრამ ჩვენ გავიჭირებოდა ამის კატეგორიულად მტკიცება. სინამდვილეში გვხვდება მეორე თვალსაზრისიც: უკვე მოხსენიებული იგორ დიაკონოვი და რიგი სომეხი ისტორიკოსებისა სხვანაირად ფიქრობენ და ქართველ ისტორიკოსებს (გიორგი მელიქიშვილს და ნანა ხაზარაძეს) მართებდათ ამ

თვალსაზრისის უსაფუძვლობის ჩვენება. სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღემდე ასეთივე მდგომარეობაა.

მოხდა ისე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საცილობელი გახდა კასკ//ქაშქების ეთნიკური ვინაობის პრობლემა. ნიგნში გატარებულია აზრი (ხეთოლოგოს გრიგოლ გიორგაძისა, სხვათ შორის, უნინ ასევე ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილიც), რომ ესენი ქართველური მოდგმისა (კოლხები) ყოფილან (გვ. 24). ესეც ძნელად შესაწყნარებელია.

ქართველ ისტორიკოსთა შორის საკამათოდ რჩება საკითხი აფხაზთა წარმომავლობის თაობაზეც. ჩანს, ავტორები იზიარებენ „ძველ აფხაზთა“ ქართველურობის მოსაზრებას და „ახალ აფხაზთა“ (აფსუების) მოსულუობას. მაგრამ ამგვარი მოსაზრებაც არ ჩანს საფუძვლიანი.

დღესდღეობით უკვე წყალი აქვს შეყენებული ვითომდა მარქსისტულ თვალსაზრისს საქართველოს გაერთიანებაზე უმთავრესად ეკონომიკური ფაქტორის საფუძველზე. საკამათოა ასევე საკითხი საქართველოში ფეოდალიზმის დასრულებულობის, სხვანაირად XII-XIII საუკუნეთა ჩვენი საზოგადოების ხასიათის შესახებ. ვიცით, რომ გიორგი მელიქიშვილმა მსგავსი მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა 1973 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ ნაშრომში, რასაც (მოსაზრებას) ისტორიკოსებმა მხოლოდ ნაყრუებით „უპასუხეს“.

მსგავსი საკითხების ჩამოთვლას ალარ გავაგრძელებთ, მითუმეტეს, როგორც უკვე აღვნიშნავდით, თვითონ ავტორებიც ამ მხრივ ფრიად მოკრძალებულობას იჩენენ. ასე რომ, ამ მიმართულებით ჩვენ არ გვაქვს პრეტენზიები.

მაგრამ პრეტენზიები გვაქვს რიგ ცალკეულ მტკიცებულობათა მიმართ, რაც საერთოდ მშვენიერ ნიგნში არცთუ იმე მტკირება. ჩვენ მათ არ გამოვტოვებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ნიგნის ახალი გამოცემისას (რაც დიდად უპრიანი იქნება) ისინი გამოხსნორდება. დავინყებთ თანმიმდევრობით, გვერდების მიხედვით.

26-ე გვერდზე ვკითხულობთ: „უან შარდენი, რომელიც XVII ს. მეორე ნახევარში იმყოფებოდა საქართველოში, მინგუელ იქნა ნადიმზე მეფე თეიმურაზ I-თან“. მაგრამ გვაქვს უფრო კონკრეტული ცოდნა ამ ხანაზე — 1672-73 წლები. ფრანგი ნეგოციანტის წყალობით ვიცით სხენებული ნადიმის დროც — 1673 წლის 16 თებერვალი. თეიმურაზ პირველი კი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო (1663 წელს). ნადიმი ადგილი ჰქონდა ვახტანგ V-ის, შაჰნავაზის სამეფო კარზე. ცხადია, საუბარიც ესპანეთის მეფესა და ა.შ. შედგა შაჰნავაზთან და არა თეიმურაზ I-თან.

თითქოს იროკეზთა ტომი, რომელიც ამერიკელმა ეთნოლოგოსმა ლუის ჰენრი მორგანმა გვაროვნული წეს-წყობილების კლასიკურ ნიმუშად წარმოადგინა, კანადაში ცხოვრობდა (გვ. 32). სინამდვილეში ისინი აშშ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ, ხოლო მათი ერთი ნაწილი კანადაში აღმოჩნდა მოგვიანებით, XIX საუკუნეში.

აფრიკიდან ევრაზიაში მიგრაციის დროს უძველესი ადამიანი პირველად რატომ უნდა განსახლებულიყო დღევანდელი დმანისის ტერიტორიაზე (გვ. 33)?

მშვილდ-ისარი ზედა პალეოლითის პერიოდში კი არ გამოუგობებიათ (გვ. 34), არამედ — მეზოლითში.

წანარმოები, რაც დასახლებულია 35-ე გვერდზე, დანამდვილებით არ ეკუთვნის დიდ ფილოსოფოსს არისტოტელეს და ამის თაობაზე დიდი ეჭვები.

ვერ გავიზიარებთ ლეონტი მროველიდან მომდინარე წმინდა წყლის ლეგენდარულ წარმოდგენას: „ქართლი ის ადგილია, სადაც დასახლდა ქართველთა მამამთავარი ქართლოსი. არაგვისა და მტკვრის შესართავთან არსებულ მთაზე დამკვიდრებულმა ქართლოსმა...“ (გვ. 47, 49).

რას ნიშნავს „ინდოევროპულ-სემიტური ენა“ (გვ. 48)? ფარნავაზის სახელის ეტიმოლოგიზებისას (იქვე) უფრო უპრიანი იქნებოდა მითითებულიყო ცნობილი ირანისტის მზია ანდრონიკაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ეს სიტყვა ნიშნავს „ხელბედიერს, ბრწყინვალე ხელის მქონეს“.

იულიუს კეისარმა ფარნაკე (მეორე) ზალესთან კი არ დაამარცხა (გვ. 57), არამედ ზელასთან.

მესამოცე გვერდზე ვკითხულობთ, რომ არგვეთი ქართლის შემადგენლობაში შევიდა ფარსმან ქველის (მეორის) დროს. მაგრამ ნიგნის 51 გვერდიდან ვგებულობთ, რომ ამგვარ ვითარებას ადგილი ჰქონია ჯერ კიდევ ფარნავაზის (პირველის) ზეობისას.

93-ე გვერდზე ვხვდებით მცდარ აზრს, თითქოს ირანი მხარს დიოფიზიტობას უჭერდა.

ნიგნში გვხვდება კატეგორიული (დაბეჯითებითი) სახის მსჯელობა, თითქოს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ დაწერილი ყოფილიყოს VII საუკუნეში (გვ. 103), მაგრამ უფრო საფუძვლიანი უნდა იყოს მოსაზრება IX-X საუკუნეთა თაობაზე.

116-ე გვერდზე წერია „ელინისტური ეპოქის პოემა „ალექსანდრა“ „ალექსანდრიანას“ მაგიერ.

თამარის გარდაცვალების თარიღად ნიგნში მითითებულია 1207, 1210, 1213 და 1215 წლები (გვ. 175, 196), თუმცა, 178-ე გვერდზე მტკიცებულობით ფორმალა ნაჩვენებია 1210 წელი.

ძნელი გასაზრებელია ამგვარი მსჯელობა: „შუა საუკუნეებში მწარჩუნებაში გადამწყვეტი იყო, მეფის პიროვნება განსაზღვრავდა ქვეყნის ბედ-ილბაღს, მის განვითარებას“ (გვ. 178-79).

უხერხულობის განცდა გეუფლება, როცა ლამა-გიორგის ხანასთან დაკავშირებით ვკითხულობთ „სამეფო კარის კლანებს“ (გვ. 183).

მონღოლთა ლაშქართან დავით ულუს ბრძოლის ადგილად აღნიშნულია გორი (გვ. 214), მაგრამ არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ამას ადგილი ჰქონდა თანამედროვე ხაშურთან („გორის შინდარასთან“).

გაზვიადებულია, ძველ ქართველ მემატინეთა დარად, თქმა იმისა, რომ XIII საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში „არ იყო არც თესვა, არც მკა“ (გვ. 225).

ქვათახევი (ლავრა) მდებარეობს არა თემის ხეობაში (გვ. 240), არამედ — კავთურისაში.

ლოკიკურად გაუმართავია „ჯავახეთი და ალასტანი“ (გვ. 226, 228). რა, განა ალასტანი ჯავახეთში არ მდებარეობს?

გიორგი VIII-ის ტრაგიკული ბედ-ილბალი გაიგება სასვებით ცხადი, კონკრეტული გარემოებებით და არა „ბედით და განგებით“ (გვ. 252).

„ყორლანას-ძე ქარაფინდა“ (გვ. 287), როგორც არაერთჯერ აღნიშნულა, გაუგებარია, გასაგები ხდება სიტყვის „ქარადიდან“ ჩანაცვლებით.

სოფლის სათანადო სახელი ქვენადარა კი არ გახლავთ (გვ. 304), არამედ — ქვენადრისი.

გაზვიადებულია თქმა (დანერა) იმისა, რომ ბახტრიონის აჯანყების ხანაში კახეთის მეურნეობას (ეკონომიკას) ძირითადად მევენახეობა და მეღვინეობა წარმოადგენდა (გვ. 332, 333). 358-ე გვერდის მიხედვით კი, ისევე როგორც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ, სასვებით სწორად აღნიშნულია ხორბლეულის წარმოება. ასევე დიდი უზუსტობაა კახეთის მევენახეობასთან დაკავშირებით „დაბლარი და მაღლარი“ ვაზის თქმა (გვ. 358), თანაც აჯანყება მოხდა არა 1660 წელს (გვ. 334), არამედ — 1659 წელს.

ვახუშტი აბაშიძეზე „იმერელი თავადის“ თქმა (გვ. 364) გაგვიჭირდებოდა, იგი გახლდათ ქართლის საბაშიოს მებატონე. ერეკლე II-ის მეორე მეუღლე ანა აბაშიძე მისი ქალიშვილი კი არ იყო (გვ. 435), არამედ ძმის (ზაალის) ასული.

შვიდწლიანი ომის დამთავრების თარიღია არა 1764 (გვ. 375), არამედ — 1763 წელი.

422-ე გვერდზე აღნიშნულია „ხანის ხეობა“, ორი გვერდის მოშორებით კი „ხანისწყლის ხეობა“, 463-ე გვერდის მიხედვით კი „მდინარე ხანისწყლის ხეობა“.

423-ე გვერდზე მოხსენიებულია სოფელი „ქოთელი“ ახალციხესთან. უნდა იყოს „კოთელია“ (უფრო ახალქალაქთან).

„მერვაშიძის ასული თამუნია“ (გვ. 345) საისტორიო წყაროში მოხსენიებულია „თანურიად“.

361-ე გვერდზე აღნიშნულია „მაღალანთ კოშკები“ „კავთურში“. უნდა იყოს „კავთურის ხეობა“.

თავი XIV-ის სათაური გახლავთ „გიორგი XII და მისი დრო“. საკითხავია, იმსახურებს კი ეს პიროვნება ასეთ პატივს?

439-ე გვერდზე დაუზუსტებელია სიტყვები „ქალაქ სიონის საყდარი“.

არ ვფიქრობთ, რომ ეგნატე ნინოშვილის „ჯანყი გურიისი“ „დიდი მხატვრული ნაწარმოები“ იყოს (გვ. 473).

ამავე გვერდზე მცდარადაა მითითებული მარტვილისა და ჯვრის მახრები.

დიდად უჩვეულოა „ანყურ-არტანის“ შეთანწყობა.

რას ნიშნავს მტკიცება იმისა, რომ ყირიმის ომის მიმდინარეობისას რუსეთი „სულ მცირე ორჯერ ჩამორჩებოდა დასავლეთს“ (გვ. 492)?

ფაქტობრივად სწორია, მაგრამ ფორმალურად არასწორია თქმა იმისა, რომ ილიამ „საერთო ნიადაგის თეორია გამოაცხადა (!“ (გვ. 502).

ნიგნშიც გამეორებულია საერთო აზრი, რომ ილია არ ყოფილა რევოლუციონერი. მაგრამ თუ მის აზროვნებასა და მოქმედებას დავაკვირდებით 1905-07 წლების რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, დავინახავთ, რომ იგი გამართლებულად, უპრინაოდ მიიჩნევა საერთოეროვნულ აჯანყებას რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენი დიდი წინაპრის აღსასრული ახსნილია „ეროვნული და კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობების შეურიგებელი წინააღმდეგობით“ (გვ. 503). არაა მინიშნებული მეფის ხელისუფლების ავბედითი როლიც. ჩანს, მკვლელობა კოორდინირებული იყო ორი, ერთი შეხედვით, ანტაგონისტური, მაგრამ ამ შემთხვევაში საერთო ინტერესის მქონე ძალის მიერ.

თურმე ამ პერიოდის საქართველოში უმსხვილესი მიწათმფლობელები ყოფილან ფალავანდიშვილები (ჯავახეთში?), ამირეჯიბები გორის მახრამი და მარაბლები... დუშეთის მახრამი (გვ. 504).

თბილისის გიმნაზია დაარსდა არა 1870 წელს (გვ. 517), არამედ — 1830 წელს.

მაინც რა შუაშია პეტრე ბაგრატიონის (ქიმიკოსის) აღმოჩენებთან რადიაქტიურობის დაკავშირება (გვ. 520), რაც იმხანად უცნობი იყო?

მასობრივი მკითხველი უთუოდ ძალზე განცვიფრდება სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიის“ ხუთტომეულით (გვ. 521) (ივანე ჯავახიშვილის მთავარი თხზულების მსგავსად). მაგრამ რეალურად მხოლოდ 5 ნიგნზე, უფრო ზუსტად 5 რვეულზეა ლაპარაკი.

ამავე გვერდზე ფიგურირებს მიხეილ ბარათაშვილის „საქართველოს სამეფოს რეპიზმატიკური აქტები“, რაც მკითხველებს, ცხადია, ასევე გაოგნებს. მაგრამ ნიგნის სათაურში აღნიშნულია „ფაქტები“.


მკითხველები უთუოდ შეიცხადებენ თუ როგორ გაითქვა სახელი ვანო სარაჯიშვილმა ჩელოზე დაკვრით (გვ. 530).

537-ე გვერდზე ცნობილ სახელთა შორის მითითებულია „ს. ჭარელიშვილი“. ცხადია, უნდა იყოს „სტეფანე ჭრელიშვილი“.

ამავე გვერდზე უნდა განმარტებულიყო თუ ვინ იყო ლეო შენგელაია.

სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერთა შორის ნახსენებია გიორგი რცხილაძე (გვ. 552). ამჯერად უნდა ყოფილიყო სახელი „გრიგოლი“.

რუსეთის ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად დამყარებული ხელისუფლება კვალიფიცირებულია როგორც „რუსეთის პროლეტარული რეჟიმი“ (გვ. 591), მე-600 გვერდზე კი ფიგურირებს „პროლეტარული რევოლუციის ვექტორი“. ამის აღიარება კი ბოლშევიკ-კომუნისტთა ილუზიის გამეორებას ნიშნავს (სხვათა შორის 615-ე გვერდზე წერია „საბჭოთა რეჟიმი“). იმავეს ვიტყვით რუსეთში და საერთოდ საბჭოთა



კავშირში „მარქსისტული იდეოლოგიის“ (გვ. 655) თაობაზე. სინამდვილეში ადგილი ჰქონდა უცნაურ „თეორიულ“ ამალგამას ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმის სახელწოდებით. შესაბამისად, არ არის გამოკვეთილი საბჭოთა ბიუროკრატია, როგორც მმართველი კლასი.

ტრაგიკულად აღსრულებულ გამოჩენილ ქართველთა შორის მითითებულია „გიორგი ნერეთელი“ (გვ. 616). თითქოს ნაგულისხმევი უნდა იყოს გრიგოლ ნერეთელი. ასეთთა შორის მოხსენიებულია ზ. ლორთქიფანიძე (გვ. 626), მაგრამ გაურკვეველია თუ ვინ იყო იგი.

618-ე გვერდზე აღნიშნულია ივანე ჯავახიშვილის „აღიარებულ სამეცნიერო სკოლა“, რაც უზუსტობაა. ამგვარი სახის სკოლა, გასაგებ მიზეზთა გამოისობით, არ ჩამოყალიბებულა.

631-ე გვერდზე ლაპარაკია 720 კილომეტრი სიგრძის ხიდზე (დენიბრზე), რაც, ცხადია, მეტრობით უნდა ყოფილიყო ნაჩვენები.

პოლიტიკური ემიგრაციიდან შალვა ქარუმიძე არ დაბრუნებულა (გვ. 636). ალბათ ნაგულისხმევია შალვა მალაკელიძე.

სარეცენზიო ნიგნი, კვლავაც გავიმეორებთ, ენობრივადაც კარგად არის გამართული, თუმცა, სამწუხაროდ, ამ მხრივაც გვხვდება შეცდომებიც. ასე მაგალითად, მასში ფიგურირებს სიტყვა „ავტოქტონები“ (გვ. 14) ავტოქტონების მაგიერ (ძველბერძნული ენის ელემენტარული ცოდნაც კი საკმარისია იმისათვის, თუ რა განსხვავებაა „ტ“ და „ქ“ (უფრო სწორად „ხ“-ს) მონაცვლეობისას. ნახმარია ხან „უთნოგენეზი“-სი“ და ხან „უთნოგენეზი“. „წვეტიანების“ (პირველყოფილობის ხანის იარაღი) ნაცვლად უნდა ფიგურირებდეს „წვეტიანები“. რა თქმა უნდა, ყურებს დიდად ესამუშება „კოლხური მონები“. ნიგნში ხან „გოთებია“ ნახმარი და ხან „გუთები“, ხან „ნახიჩევანი“ და ხან „ნახჭევანი“. იგივე ითქმის „ამირა“-„ემირის“, „ერზერუმ-არზრუმის“ შესახებაც. სიტყვა „აღმოჭირვებას“ (გიორგი ბრწყინვალეს ზეობის დასაწყისის მიმართ) (გვ. 227) მკითხველები ცუდად გაიგებენ, მაშინ როდესაც ამ კონტექსტში აღმობრწყინება ნაგულისხმევი. „აქტიურობას“, ალბათ, აქტიურობა აჯობებდა, ხოლო „სამხრეთ კავკასიას“ — ჩვენი წინაპრების ცნობიერებით აღქმული გეოგრაფიული ტერმინი „ამიერკავკასია“. არაზუსტია „თურქული იმპერია“ (ნაცვლად „თურქეთის იმპერიისა“). კიდევ უფრო უპრინაი იქნებოდა „ოსმალთა//ოსმალეთის“ იმპერია. სიტყვა „სწავლებას“ აჯობებდა ჩვენი ტრადიციული „მოძღვრება“. „სამცხელნი“, ცხადია, ხელოვნური სიტყვაა „მესხების“ ნაცვლად. „გააზნებულ მდაბიოს“, რასაკვირველია, „გააზნაურებული მდაბიო“ სჯობს. ჩვენი წინაპრები ხმარობდნენ „კონსტანტინეპოლს“ და არა „კონსტანტინოპოლს“.

თუ რას ნიშნავს სიტყვა „დახლილი“ (გვ. 466), მკითხველი ამას ვერ გაიგებს. სურამის ქედზე „გვირაბის გაჭრაზე“ (გვ. 513) განა უფრო ზუსტი არ იქნებოდა „სურამის ქედში“?

ფაქიზად მოვლილ ვაზს (გვ. 516) ალბათ „ვენახი“ აჯობებდა. „წინა სხდომა“ უფრო დაზუსტდებოდა სიტყვა „წინასწართი“, „წინასწარულით“. „ერთი სამღვდლო“ გაუგებარია, უნდა იყოს „სამღვდლო პირი“. „ფეხის მოდგმა“ (გვ. 533) უხერხული ქართულია, უნდა იყოს „ფეხის მოკიდება“ ან „მომაგრება“. აღარას ვიტყვით ამკარად კორექტული ხასიათის შეცდომებზე.

აღნიშნული შენიშვნების მიუხედავად, კიდევ ერთხელ დავძენთ, ზაზა აბაშიძის, მიხეილ ბახტაძისა და ოთარ ჯანელიძის ნიგნის „საქართველო და ქართველები“ სახით მკითხველებმა უთუოდ კარგი საჩუქარი მიიღეს. იგი ფრთხილად და უამრავ ცნობასთან, ფაქტთან, მოსაზრებასთან ერთად მკითხველებს საისტორიო აზროვნების უნარსაც უღვივებს. ასე რომ, სარეცენზიო ნიგნი ძალიან წაადგება ჩვენში მასობრივი საისტორიო ცნობიერების ამაღლების საქმეს.

დავით ქელიძე

„მფრინავი ვეფხვი“ და „ანსამბლის არნივი“

ასეთი ახოვანი, ასეთი ვაჟკაცურად ლამაზი, მომხიბლავი, რაინდი კაცი, როგორც **ომარ მხეიძე**, იშვიათია დღევანდელ საქართველოში და ამიტომაც მას ძველი დროის ხიბლიც დაჰკრავს, რაც ასე მოგვნატრება. ეს ამბროლაურელი, სოფელ სხვადასხვა დაბადებული კაცი მართლაც სიმბოლოა პატიოსნებისა და წესიერებისა, მას ჩოხაც ისევე უხდება, როგორც საცეკვაო თუ სამოქალაქო კოსტუმი.

შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, რომ ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა „ხევსურულ სუიტაში“ შესავალი ნაწილი, რომელიც ამ ქორეოგრაფიული სურათის გვირგვინია, საგანგებოდ ამ მართლაც საუკუნის მოცეკვავისთვის შექმნეს. რამიშვილ-სუხიშვილის ანსამბლმა 72 სახელმწიფო „დაიმონა“, ფეხზე ამდგარი სამყარო ტაშს უკრავდა ქართულ ცეკვას, ქართულ ქორეოგრაფიას, ქართველი კაცის სინდისსა და ნამუსს, რომელსაც, თავის მეგობრებთან ერთად, შეუდარებლად წარმოაჩინდა **ომარ მხეიძე**, იგივე „მფრინავი ვეფხვი“ და „ანსამბლის არნივი“, როგორც მას ხალხმა შეარქვა.

ერთი სიტყვით, ახლა **ომარ მხეიძეს** მოვუსმინოთ, რომელიც თავად გვიამბობს საკუთარ თავზე:

— მამა ადრე გარდაემცვალა, 1942 წელს, 7 წლისა ვიყავი მაშინ, თვითონ 37 წლისა იყო. ტიფი მძვინვარებდა და მამაც ამ დაავადებას ემსხვერპლა. ვერაფრით შევლოდნენ. დედას თავის სოფელში, ბებიასთან მიყავადი ხოლმე რაჭაში. მხეიძეებიდან იქ აღარავინ იყო. ბაბუაჩემის ძმა პეტრეშურში სწავლობდა, უკან უკვე სხვადასხვა პროფესიაში განსწავლული, 28-29 წლის ახალგაზრდობა ბრუნდებოდა. კავკასიაში რომ შემოვიდნენ, სმოკინგები და ფრაკები, ევროპული ტანსაცმელი გაიხადეს და ჩოხები ჩაიცვეს, მაგრამ ეს ჩოხები ყველა შავი ფერისა აღმოჩნდა. თბილისში დეპუტა მოვიდა, თავადიშვილები გასაბჭოებულ საქართველოში ტრაჟირის ტანსაცმლით შემოდიანო. არადა, ამ ბიჭებს პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ყველა იქვე მიახვრიტეს.

დიდბაბუას შეეშინდა და დანარჩენი შვილები დაქსაქსა — ერთი ქალიშვილი ხარკოვში გააგზავნა, მეორე — ოდესაში. ორივე ას წელს მიღწეული გარდაემცვალა, ისეთი კარგები იყვნენ, რუსულ-ქართულად რომ ლაპარაკობდნენ.

ასე რომ, სამხეიძო რაჭაში მოიშალა. იქვე ცხოვრობდნენ მაჩაიძეები, სულ რაღაც 100 მეტრში, დედა მაჩაიძის ქალი მყავდა.

ბებია-ბაბუებიდან მხოლოდ დედის დედას მოვესწარი, ციხისელის ქალი იყო. 10 წლისა რომ ვიყავი, ერთი წელი იქ დავრჩი, იქ ვიარე სკოლაში. ჰოდა, იმ ერთმა წელმა ისეთი ცხოველი შთაბეჭდილება დამიტოვა, რომელიც მთელი ცხოვრება გამყვა. გავიგე ამ ხალხის, ამ რაჭველების გულკეთილობა, პატარა ბავშვებივით იყვნენ, მოფერება ვიგრძენი. ქალაქელს მეძახდნენ და დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. ზოგმა ბანდულის მომიქსოვა, ჩექმასავით ჩასაცმელი იყო, ზოგმა — ქალამნები, ხოლო ტერფს ბალახით მიფარავდნენ, თომს ეძახდნენ ამ ბალახს. ძალიან თბილად ვიყავი ჩაფუთნული.

რაჭაში ვისწავლე თოხის ხმარება, პირველი თოხნა, მეორე თოხნა, თიბვა მასწავლეს, ზეინის დადგმა, მასწავლეს ხა-

რების შებმა უღელში, ტაბიკი, აპეური. მერე ნამიყვანეს ხინამთაზე, საიდანაც თივა მოჰქონდათ. მარხილს თვითონ უდგნენ და ასე მოაგორებდნენ მოჭრილ ხეებს. მათრახის ხმარება მასწავლეს, რომელიც მერე მთელი ცხოვრება გამომადგა. დილიდან საღამომდე ვწყემსავდით საქონელს, ცხვარს, ქალებს საძოვარზე საქმელი მოჰქონდათ. შაბათ-კვირას, ვისაც რა საქმელი ჰქონდა, ერთად მოვავროვებდით და ერთ-ერთ ოჯახში ვიკრიბებოდით, ერთად ვატარებდით დროს, ვმხიარულობდით. ამას ოჩხარი ერქვა.

ბუხართან დიდი ჩუქურთმებიანი ხის სანოლი იდგა (ახლაც არის) და იქ გამიშალა ბებია ლოგინი. ნამდვილი ბუმბულის საბანი იყო, თივის ქვეშაგები. იქ, ბუხრის ნინ ჩამოკიდეს შუაში გაჭრილი ორი ლორი. და ერთი ლორი მთლიანად მე შევჭამე მთელი ზამთრის განმავლობაში. ძალიან მიყვარდა. ლორის ნაჭრებს ლობიოში ავდებდნენ. ბებია დოში მიყრიდა პატარა პურებს, სხვათა შორის, ღვინოშიც ჩამიყრიდა ხოლმე და თვალებსაც მივლულავდი.

ულამაზესი ქალბატონი გვყავდა კლასის დამრიგებელი, ნინო გონაძე, რომელმაც შეგვასწავლა რაჭის სიმღერები. მაშინ ყოველ წელს იმართებოდა რაიონული ოლიმპიადები. მე პიონერთა სასახლეში დავდიოდი და მითხრეს, უნდა იცეკურო. მომარგეს ჩოხა და გამიყვანეს ოლიმპიადაზე. აზიურებს რომ ვეძახით, სად იყო მამინ და ამიტომ მომიქსოვეს მაღალი შავი წინდა, „ჩულქის“ მაგვარი. და პირველად ჩემს ცხოვრებაში ცერი ამბროლაურის სცენაზე დავარტყი, რის შემდეგაც მთელი მსოფლიო შემოვიარე, 87 ქვეყანაში ვიყავი. ნოსტალგიაა, ალბათ, ძალიან მიყვარს იქაურობა.

დედასთან დაკავშირებით ერთ მერმინდელ ამბავს მოვიგონებ. უკვე სუხიშვილების ანსამბლში ვარ და ერთ წელიწადს ცეკამ გვთხოვა, რაიონებში ჩაატარეთ კონცერტებიო. ჩავედით იმერეთში, სამეგრელოში, ორივეგან გადაგვყვნენ თავს. მერე რაჭაში ამოვედით, სცენაზე გასასვლელად რომ ვემზადებოთ, ადგილობრივი ქალბატონები მოვიდნენ, დედაშენი გეძახისო. კაცო, დედაჩემს აქ რა უნდა, თბილისში დავტოვე-მეთქი, არა და არ მომემვნენ, გინდა თუ არა, დედაშენი გეძახისო. გავედი და მართლაც დედა არ დამხვდა! რა არის, ხომ მშვიდობაა, რამ ჩამოვიყვანა-მეთქი? არა, შვილო, „აზიაცკები“ დაგრჩა და ჩამოგიტანე, არ შეირცხვინო თავიო. ვაიმე, დედა, მთელი გარდერობი სავესე მაქვს, ათი წყვილი მაქვს-მეთქი. საოცარი გული ჰქონდა.

მამა რომ გარდაემცვალა, დედა 34 წლისა იყო. ერთხელაც დაიკარგა დედაჩემი, არ ჩანს, მაშინ არც მუშაობდა, არც არაფერი. მერე ბიძაჩემმა, ცნობილი ფეხბურთელების — მანუჩარ და გოჩა მაჩაიძის — მამამ იაზრა, სასაფლაოზე ხომ არ იქნებო. მივედით და მამაჩემის საფლავზე ეძინა. მთელი ცხოვრება შავებს ატარებდა, რაღაც შალებს იკრავდა, ტელეგრებიკას იცვამდა, თავს იმახინჯებდა. მერე მივხვდი, რომ გავიზარდე: ამას განგებ აკეთებდა. არ უნდოდა მისთვის, როგორც ქალისთვის, ვინმეს შეეხედა.

ჩემს ქორწილზე ვთხოვე, დედა, დღეს უნდა გაიხადო-მეთქი შავები. კი, დედა, რაღა ამ დღეს მოვესწარი, აბა რას ვიზამო. შუა ქორწილში ჩამოვედით მე და ჩემი სიძე ქვემო სართულზე (იქ იყო ჩემი ბინა), ულამაზესი კაცი იყო, ისიც რაჭველი, ქურციკივე გვარად. დედა, აბა პირველი მითხარი-მეთქი, მრავალჯამიერზე, ბანი ჩემმა სიძემ მითხრა, მეორე მე ვთქვი, დედაჩემს ცრემლი სდიოდა და ისე მღეროდა. ასე ბოლომდე ერთგული იყო თავისი მეუღლის. ისე წყნარად წავიდა, არავინ შეუნუხებია...

— **მიძეა დედის მოგონება... ცეკვაში თქვენს პირველ ნაბიჯებზე რას გვეტყვით.**

— როგორც მოცეკვავე, პიონერთა სასახლეში ჩამოვყალიბდი, ძალიან პატარა ვიყავი, მარო თარხნიშვილის სახელმწიფო ანსამბლში რომ მიმიწვიეს, მერე იქიდან ცოტა ხნით ტალგაუ-

კოვის მედუღუკეთა ანსამბლში გადავხედი და ცეკვავედი, 16 წლისა რომ გავხედი, იმხანად ბუხუტი დარახველიძემ ჩამოაყალიბა ანსამბლი და იქ დაიწყო ცეკვა. სხვათა შორის, სადაც კი მივსულვარ, ყველგან მიწვევით, და ყველგან ნამყვანი სოლისტი ვიყავი. ბუხუტი დარახველიძე არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, მან დიდი გარდატეხა მოახდინა ჩემს ცხოვრებაში. ახოვანი კაცი იყო, ვაჟკაცი, კაცური სილამაზე ჰქონდა. ეროვნული თვისებებით გაუღენთილი კაცი გახლდათ. ეტყობა, რაღაც მონაცემები შემატყო და: ჯერ ჩემს მასწავლებელთან, ჯანო ბაგრატიონთან მიდი, მისი სკოლა გაიარეო, — მიჩნია. და მან ჩამომაყალიბა როგორც პროფესიონალი მოცეკვავე, ფილარმონიასთან არსებული სახელმწიფო საესტრადო ანსამბლი ჰქონდა და ნამყვანი სოლისტი გავხედი. ჯანო დიდი პიროვნება იყო, ძალიან პოპულარული კაცი. მაგრამ გვარისა და წარმომავლობის გამო სდევნიდნენ, გასაქანს არ აძლევდნენ და ერთ წელიწადში ეს ანსამბლიც დაუხურეს. მე და ბატონი ჯანო ოპერასთან ვდგავართ და ნიაზ დიასამიძე შეგვხვდა. რა მოხდა, ბატონო ჯანოო, ჰკითხა. დამიშალეს ანსამბლიო. კაცო, საქართველოში რაც ანსამბლი გქონდა — თბილისში ორი და სოხუმში, ყველა დაიშალა, მოდი რა, კომუნისტურ პარტიაში შედი და ეგეც დაშალეო, უთხრა ნიაზმა.

ამის მერე ბუხუტი დარახველიძემ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შექმნა ანსამბლი და იქ საგანგებოდ ჩემთვის დადგა თემატური ცეკვა „უცხო მონადირე“ და გმირის როლი დამაკისრა ქართულ ცეკვაში და მერე სულ მთავარი როლები მეკისრებოდა. თვითმოქმედ ანსამბლში თემატური ცეკვა უცხო ხილი იყო.

ინსტიტუტიდან წავიყვანეს მოსკოვში პოლიტექნიკური ინსტიტუტების საკავშირო ფესტივალ-დათვალიერებაზე. ჩვენმა ინსტიტუტმა პირველი ადგილი დაიკავა. გვყავდა არაჩვეულებრივი საესტრადო კვარტეტი, სიმფონიური ორკესტრი. იმ დროს, ძველ გეპეში, ასე ვეძახდით მაშინ, ძლიერი კოლექტივები იყო ჩამოყალიბებული, მერე ყველა პროფესიონალი გახდა. დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა.

ახალი ამოტივტივებული ვიყავი, ტელევიზია არ იყო, არაფერი, და რახან ნამყვანი სოლისტი გავხედი, ქორეოგრაფიულ სამყაროში იცოდნენ ჩემი ვინაობა. ფილარმონიასთან მაშინ იყო გოფილექტის ბალი, სადაც რესტორანიც გახლდათ. რესტორნიდან გამოვიდვართ მეგობრები და ვმღერით: „ბუბუბუბუს სტევენა, ვარდს სინაზე“... ნინო რამიშვილი იქვე ბაღში, სავარძელზე ისვენებდა და გვერდით დიდი მოცეკვავე, დიდი ხელოვანი „კოჯორა“, გვიკოჯორაშვილი ეჯდა. ის მომიგზავნა, და მაშინ მიმინვიეს სუხიშვილების ანსამბლი, რომელიც 7-8 წლის შექმნილი იყო. მთელი ჩემი ბიოგრაფია უკვე ამ ანსამბლთან არის დაკავშირებული. 30 წელიწადი ამ დიდებული ანსამბლის ნამყვანი სოლისტი ვიყავი.

ჩვენი სიმღერაც და ცეკვაც ეროვნული განძია, ანალოგი არა ჰყავს მსოფლიოში. და პირველად ეროვნული პროგრამით საქართველოდან საზღვარგარეთ გავიდა ჩვენი ანსამბლი. მსოფლიოს პირველხარისხოვან სცენებზე გამოვიდით, სადაც მანამდე საქართველოდან არავინ გამოსულა: ლასკალაში, მეტროპოლიტენ ოპერაში, ლონდონის სამეფო თეატრში და ასე შემდეგ. სანახაობრივი თვალსაზრისით ეს ცეკვები მსოფლიოსთვის უცხო იყო. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი ჩაცმულობა, ხასიათია, და ეს ყველაფერი ცეკვებში ავსახეთ. ამით ვზიზზავდით მსოფლიოს, ჩვენი მრავალფეროვნებით, ჩვენი ქართული სულით. ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლის მეშვეობით მსოფლიოში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, გაცნობა ხდებოდა, იმიტომ, რომ ჩვენ რუსებად გვთვლიდნენ. პირველ ხანებში საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ ორი ანსამბლი გამოდიოდა უცხოეთში, რუსეთის მოსიევის ანსამბლი, რომელიც რუსული კი არ იყო, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხთა ხალხური ცეკვისა, და ჩვენი კოლექტივი.

ძაან ბედი მენია! ამ ანსამბლში სამი ცეკვა დაიდგა ნინო რამიშვილისთვის და მე და გვიკო სურვილაძე ამ ქალღმერთის პარტნიორები ვიყავით. ასაკის სხვაობის მიუხედავად, ბატონი ილიკოსა და ქალბატონ ნინოს ოჯახის წევრით გავხედი, თენგიზი უმცროსი იყო, მაგრამ მაინც ერთ თაობად ვითვლებოდით, ერთად წამოვდიდით. თავხედი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ როცა მინდოდა, მაშინ მივდიდით, ამის უფლება მქონდა. ამ ოჯახში, მაგალითად, მე მძინებია, ნინო ჩემი მეორე დედა იყო. ჩემს ქორწილში პატარძალს ძვირფასი ძღვენი მიართვა, მოგვეფერა. მაშინ უთხრა დედაჩემმა ნინოს, მე ობლობაში გავზარდე ჩემი შვილი და ახლა თქვენთვის გადმომიბარებიაო.

პარტნიორობის დროს ნინო რამიშვილი ცეცხლოვანი იყო, შინაგანი წვა ჰქონდა, მწვანე თვალებს რომ შემოგანათებდა, რაც შეგძლო ყველაფერი უნდა ამოგენტხია, ამოგეფრქვია. მას ებარა ყველაზე რთული — ანსამბლის



ომარ მხეიძე

მხატვრული დონე. და მკაცრი კი არ იყო, არამედ მომთხონი. თუ რაიმეს მივალნიე, სულ ამ ანსამბლის დამსახურებაა.

— რა არის თქვენთვის ცეკვა, ბატონო ომარ?

— ქართული ცეკვა და სიმღერა საქურჭლე და ბელელია, ფარი და მახვილია, ერის თვითმყოფადობის დამცველია. თუ ეს მოიშალა, მაშინ ერი ფუნქციას კარგავს. ეს დიდი ეროვნული განძია, რომელსაც უნდა მოეფერო. შერკინებული მამაკაცები ფარ-ხმალით რომ „ვიბრძვი“, ამ დროს გამოდის ქალი, ჩვენს შორის აგდებს მანდილს და ვზავდებით და მუხლს ვიდრეკთ. ქართველი კაცი მუხლს იდრეკს სარწმუნოების, დროშისა და ქალის წინაშე. ერის თვისებები და წეს-ჩვეულებანი გადატანილია სცენაზე. ანსამბლის წარმატება, ოქროს მედლები კონკურსებში მოაქვს მთის რეგიონთა ცეცხლოვან ცეკვებს, ამაზე გიჟდება ხალხი! ქალის კდემამოსილება და მამაკაცის ცეცხლოვანი ცეკვა. ანსამბლის პროგრამაში ეს ძალიან ძლიერი მხარეა.

— ბატონო ომარ, თბილისელი კაცი ბრძანდებით, ჩუღურეთელი, მოდით, თქვენი უზანი, თქვენი თბილისური ბავშვობაც გაიხსენეთ.

— ჰო, ჩემთან ერთად იზრდებოდნენ სომეხი და რუსი მეგობრები, ჩემი ტოლი ბავშვები, უფროსები „ფართულებს“ ჩაგვაცვამდნენ და ხელიხელჩაკიდებული მივდიოდით საბავშვო ბაღში. სად იყო განსხვავება, ვინ იცოდა, ვინ სომეხი იყო და ვინ ქართველი, ძალიან თბილი ურთიერთობა გექონდა, ეს ახლა მოიგონეს ქსენოფობია-მენოფობია, არასდროს ასეთი რამ ჩვენში არ ყოფილა. ჩემი ტოლი გოგონები ერევანში გათხოვდნენ, რომ ჩავდიოდი, ზეიმი იყო იქ.

თბილისურ კანონებზე ვარ გაზრდილი პატარაობიდან, რაც თავი მახსოვს. ჩემი ქორნილის ამბავი ხომ საერთოდ... სომეხმა და ქართველმა მომიჯნავეებმა საერთო კედელი ამოიღეს და 100-კაციანი ქორნილი ისე გადავიხადე. მეორე დღეს დუღუკებით გამოვიდნენ და დიდებული სანახაობა გამართეს. ეს ხომ ხალხური რეჟისურაა! ხომ გეუბნებით, სხვა ურთიერთობები იყო, სხვა სიტუბო და სიყვარული. თქვენც ხომ კარგად იცით.

— დედა მანჩაძის ქალი გყავდათ, მანუჩარი, ჩვენი ცნობილი კაპიტანი და კაცური კაცი როგორ გენათესავენათ?

— ბევრი და-ძმანი იყვნენ, ისეთი კარგები... ჩვენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები ვართ, მანუჩარის მამა, დომენტი, დედაჩემის ძმა იყო. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით, მანუჩარის მამა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლობდა და ერთად ვცხოვრობდით. მანუჩარი და გოჩა უაღრესად განათლებული ბიჭები არიან, სალი აზროვნება აქვთ, ეროვნული თვისებებით. მანუჩარმა ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა. „დინამოს“ დუბლებში რომ აიყვანეს, წადი რა, ნახე, რამე არ შეეშალოს, სწავლას არ ჩამორჩესო, მანუჩარს დედა ექიმი ჰყავდა და უნდოდათ, ბიჭიც მეცნიერებას შესჭიდებოდა. ჩემი მეგობარე და მეგობარი იყო „დინამოს“ სახელგანთქმული კაპიტანი შოთა იამანიძე. დუბლების თამაში იყო და შოთას ვთხოვე, ნამოდი, რა, ერთი ჩემი ნაცნობი თამაშობს, შენსავით ოქროსმედლოსანია-მეთქი. თამაში რომ დამთავრდა, ოქროს კი არა, ბრილიანტისმედლოსანია ფეხბურთშიო, ბუნებისგან ყველაფრით დაჯილდოებულია, ბურთი ფეხზე აქვს მიწებებული, არწივივით არისო.

მანუჩარი რომ ამოიფრქვა, მე ხომ უკვე საზღვარგარეთ დავდიოდი და ასე თუ ისე მიცნობდნენ, „ამერიკის ხმამ“ გამოაცხადა: ერთი ბუდიდან აფრენილი ორი არწივიო. საწყალი ბიძაჩემი ისე გარდაიცვალა, რომ სულ უკვირდა, რატომ არ დაგვიჭირესო.

გოჩას ცუდი ამბავი შეემთხვა, 16 წლის ვაჟკაცი დაეღუპა და იმიტომაც არ ჩანს.

სხვათა შორის, სპორტული ოჯახი მაქვს — აქეთ ხომ მანუჩარი და გოჩა, ახლა ჩემი მძახლები ნახეთ — უმცროსი ბიჭის სიდდერი დიდი მოჭადრაკე და საჭადრაკო მოღვაწე ნინო გურიელია. ორი ბიჭი მყავს და ორი არაჩვეულებრივი ქალიშვილი შემძინეს თავიანთი მეუღლეების სახით. მძახლებს დიდი სიტუბო გვაქვს ერთმანეთში, შესანიშნავი პიროვნებები არიან. საერთოდ, ჩემს ოჯახში სიტუბო ტრიალებს. ამის თავი და თავი კი ჩემი მეუღლეა, მედეა გრიგორაშვილი, ფორტეპიანოს პედაგოგი. დედა მისი იყო ულამაზესი ქალი, უკანასკნელი მთავრის გიორგი შერვაშიძის დისშვილი. მე ჩემი მეუღლის დიდი მადლობელი ვარ, წელან რომ ურთიერთობებზე ვთქვი, სულ მისი შექმნილია, მისი დატრიალებულია ეს ოჯახური სიტუბო და ურთიერთგაგება.

— თქვენს თამაშობაზე ლეგენდები დადიოდა...

— ერთ დროს მართლაც ვთამაშობდი, ახლა გავურბივარ. ამაზე რა გამახსენდა იცით: ერევანში რომ გავიკეთე შუნტირება, ოპერაციაზე გასვლის წინ „მრავალჟამიერი“ წავიმღერე, გავაგაჟე ხალხი. მთელ მსოფლიოში არის ასეთი სტატისტიკა: ამგვარი ოპერაციის შემდეგ ყველა პაციენტს

ასეთი შეკითხვა ჰქონია: რამდენ ხანს ვიცოცხლებ? ქართველი ილვიძებს თუ არა, პირველი კითხვაა, როდის შემძლება ქეიფო. მე კი ვკითხვ: როდის ვიცეკვებ-მეთქი. ამან ახლა ცეკვა მომიხდომა აქაო...

— ბატონო ომარ, საცეკვაო ჩოხა რომ გიხდებათ, ამას რა ლაპარაკი უნდა, მაგრამ ჩვეულებრივი ჩოხაც რომ ზედამოჭრილია თქვენზე!

— ჩოხა სულ ჩემთან არის, ახლაც ჩემს საძინებელში მიკიდია და დღედაღამ ვუყურებ. თეთრი ჩოხა მაქვს, თავისი ნაბდით. უკვე კაი ხანია ჩოხოსანი გავხდი, უხუცესთა საბჭოს წევრი ვარ. უწმინდესი ჩვენი საპატრიო თავმჯდომარეა, მან ჩოხოსნებს ფიცი დაგვიწერა. ხანდახან ვხვდები ხოლმე და, თავზე რომ ხელს დამადებს, რაღაც საოცრება ხდება, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სხივი ამოისვეტა. ბედნიერი ვარ, რომ ამ პიროვნებას, ამ უდიდეს მოვლენას ჩვენი ერისა და ჩვენი ქვეყნისთვის, ვიცნობ და ხანდახან ვხვდები. თავისი ხელით ჩამოგვკიდა ჯვარი მე და ჩემს მეუღლეს, მე ძვირფასი სამაჯურიც გამიკეთა. და მუდამ ვატარებ. მართლაც დიდი ბედნიერებაა, მისი ბაგეებიდან ისეთი სიტუბო, ისეთი სიყვარული, ისეთი აზრები გამოდის, რომ სულ იმის გავლენის ქვეშ ვარ. უწმინდესი მართლაც ერის მამად მოგვევლინა. ამიტომ მივყვით მის სიბრძნეს, მის ბრძნულ დარჩევებს.

— 2011 წლის 8 მარტი თქვენს ცხოვრებაში დიდი დღეა...

— ჰო, იცით, რა მოხდა მაშინ? ვარსკვლავის გახსნას მანში ველოდებოდი, უცბად მითხრეს, მარტში უნდა გაიხსნასო. ისე ვინერვიულე, ვარსკვლავის გახსნის წინ სცენაზე რომ გამოვედი, საშინლად ცუდად გავხდი, თურმე სისხლდენა ამიტყდა კუჭიდან. სცენაზე დამიბნელდა თვალები, რაღაცა ვთქვი, აღარც მახსოვს, მერე ვარსკვლავი გაიხსნა და ბანკეტზე რომ მივედი, იქიდან საავადმყოფოში გამაქანეს და ერთი კვირა რეანიმაციაში ვინექი. თურმე ნერვიულობას ასეთი რამეებიც სცოდნია.

რასაკვირველია, მადლობის მეტი რა მეთქმის ასეთი დაფასებისთვის, ვარსკვლავზე დიდი ჯილდო რა არის! მე რომ აღარ ვიქნები, ჩემი შთამომავლობა მივა და ნახავს ბაბუის ვარსკვლავს. ეს ბედნიერებაა, ეს კაცის უკვდავება! და დიდი მადლობა ამისთვის ჩემს ხალხს, ჩემს მეგობრებს, ჩემს მასწავლებლებს.

უფალმა გამაჩინა, ბიძინა ივანიშვილმა კი თავისი კაცობით, ყურადღებით, ქველმოქმედებით სიცოცხლე გამიხანგრძლივა და არა მხოლოდ მე, უამრავ ჩვენს თანამემამულეს.

ისეთი მადლობელი ვარ ჩემი ბედის, ჩოხოსნებთან რომ მომახვედრა, მათი წევრი გამხდა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ეროვნულ თვისებებს ეფერებიან, ჩვენს წარსულს ეფერებიან, ადამიანებს. ძალიან ღირსეული ხალხია. მე პირადად სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ.

— ზაურ ტყეშელაშვილისგან გამიგია ჩოხოსანთა ძმობისა და მეგობრობის შესახებ...

— ოო, ზაური სხვა კაცია! ხშირად შეგვკრებს ხოლმე მეგობრებს, ჩოხოსნებს, სამაგალითოა თავისი შრომით, საქმის ცოდნით, ორგანიზაციული ნიჭით, ქართლში თავისი აშენებული ციხე მანახა, სანატორიუმი გეგონება, გავეხუმრე, აქ მოხვედრაზე რიგები დაგიდგება-მეთქი. ზაური ძალიან ყურადღებიანი კაცია, თქმა არ უნდა, თვითონ გრძნობს შენს მწუხარებასა თუ სიხარულს. ზურგს მიმაგრებს მისი მეგობრობა.

საერთოდ ძალიან გამიმართლა მეგობრებში, ძალიან ძლიერ მეგობრებთან ერთად ვიზრდებოდი, სულით, განათლებით, ინტელექტით ძლიერი სამეგობრო წრე მყავდა, ჭირშიცა და ლხინშიც სულ ერთმანეთის გვერდით ვდგავართ. სამწუხაროდ, ბევრი გამოგვაკლდა, ნათელში ამყოფოს მათი სული...

მარიამ თავამაიშვილი

ქარვისფერი იასამანი

შოპენის „პოლერო“

ლამაზი ყუყუნა წვიმა თითქოს იავუნდებით ამკობდა ნაირფერი ყვავილებით მორთულ მცენარეებს: ხეებს, ბუჩქებს, მთა-ველს. ოცდასამი წლის ფრიდერიკ შოპენი მუქ ღვინისფერ როიალთან „პოლეროს“ ტრიოლებს კლავიატურაზე ნიავისებრ მსუბუქად აცოცხლებდა, ასულდგმულებდა და იქმნებოდა მომხიბვლელი მუსიკა, ესპანეთის დაუმორჩილებელი სულის მელოდიური ხატებით შემკული...


დედით პოლონელი და მამით ფრანგი შოპენისათვის ცეცხლოვანი ესპანური „პოლეროს“ რიტმი ერთგვარი ამოსუნთქვა იყო იმ დიდი ტკივილის შემდეგ, რომელსაც მშობლიური პოლონეთის დატოვების გამო განიცდიდა. ის ხომ სულითა და გულით თანაუგრძობდა პოლონეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც, სამწუხაროდ, მარცხით დასრულდა.

შოპენს სწამდა, რომ მისი მუსიკა თავისებურად დაეხმარებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს; რომ პოლონეთი აუცილებლად გაბრწყინდებოდა და გახდებოდა ძლიერი, თავისუფალი. ქართველ მკითხველს, ცხადია, აქ მყისვე გაახსენდება ჩვენი რწმენა ივერიის გაბრწყინების თაობაზე და, ბუნებრივია, გუნებაში პარალელურსაც გაავლებს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ პარადიგმებთან.

ზოგიერთი მკვლევარი საზგასამით აღნიშნავს, რომ ფრიდერიკის მშობლებმა — ნიკოლა შოპენმა და იუსტინა კშიჟანოვსკამ — აჯანყების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე საგანგებოდ იზრუნეს, რათა თავიანთი ვაჟი ვარშაიდან როგორმე გაემგზავრებინათ, რადგან იცოდნენ, იგი აუცილებლად ჩაერთვებოდა საბრძოლო მოქმედებებში. გასამგზავრებლად ფრიდერიკის დარწმუნებაში მონაწილეობა მიიღო მისმა მასწავლებელმა იუზეფ ელსნერმა, რომლის აზრიც შოპენისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. ელსნერი და მათთან დაახლოებული არისტოკრატიული წრის წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასხვაგვარად იყვნენ საბრძოლო მზადყოფნაში, ფიქრობდნენ, რომ „პოლონელი მოცარტი,“ — ასე უწოდებდნენ პატარა შოპენს, — თავისი შემოქმედებით უფრო მეტს გააკეთებდა სამშობლოსათვის, ვიდრე თოფით. ამიტომაც სურდათ მისი დაცვა. ეს ასეც მოხდა. მისი მუსიკა მანათობელი ვარსკვლავივით ამშვენებს და ადიადებს არამხოლოდ მის სამშობლოს.

მართალია, ფრიდერიკი გაემგზავრა კონცერტების გასამართავად, ასე ვთქვათ, გასტროლებზე, მაგრამ როგორც კი გაიგო აჯანყების დაწყების შესახებ, სასწრაფოდ უკან დაბრუნება გადაწყვიტა. თუმცა აქ უკვე მეგობრებმა იმარჯვეს და არ გაუშვეს.

როგორც ცნობილია, აჯანყება სასტიკად ჩაახშეს და გულდანყვებილი „პოლონელი მოცარტი“, როგორც დაჭრილი ქორბუდა ირემი, საფრანგეთისაკენ მიმავალ გზას დაადგა. „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირემების გუნდს — წყარო ანკარა...“ — გალაკტიონის ეს სტრიქონი, ალბათ, ზუსტად გამოხატავს იმ განცდას, რომელიც მაშინ შოპენს დაეუფლა. და აი, ამგვარად, თავისუფლებამოსყურებული ახალგაზრდა კომპოზიტორი, უკვე არანაკლები რევოლუციური სულისკვეთების საფრანგეთში მყოფი, ესპანური ცეკვის, „პოლეროს“, ჰანგებით ამბობს სათქმელს, თავისი



თბილისის ფრედერიკ შოპენის საზოგადოების ლოგო მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი

ღვთაებრივი ნიჭიერებით აღბეჭდილს. ქარვისფერი სველი იასამანი იყო ჩუმი მონამე და კოსმიური მოკავშირე სიყვარულით სავსე ზღაპრული შემოქმედებისა.

„პოლერო“ ესპანური ხალხური ცეკვაა. ის მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან გახდა პოპულარული. „პოლეროს“ პირველ გამოჩენილ მოცეკვავედ სებასტიანო კარეზოს მიიჩნევენ. იგი ანდალუზიელი იყო, ქალაქ კადისიდან. ეს უძველესი ქალაქია, რომელიც ბიზანტიელებს ქვეყნის დასალიერად მიაჩნდათ.

კადისი ძველი ნელთალრიცხვით დაახლოებით 1100-1104 წწ. ფინიკიელებს დაუარსებიათ. საყურადღებოა, რომ იგი ესპანური იბერიის ტერიტორიის ნაწილია. როგორც ცნობილია, ძველთაგანვე არსებობდა აზრი კავკასიის იბერებთან მათი ნათესაობის შესახებ, მაგრამ ეს ჰიპოთეზა ესპანეთის იბერებისა და ქართველ ტომთა ნათესაობისა დღესაც ბოლომდე არ არის ვერიფიცირებული. თუმცა ნებისმიერ გამოკვლევაში ხომ ჰიპოთეზა ერთ-ერთი მთავარი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია.

„პოლეროს“ გიტარის, კასტანიეტების, ზოგჯერ კი დაირის/ესპანურად Pandereta/ თანხლებით ცეკვავდნენ და თან ცეკვის რიტმულ ნახაზს სიმღერასაც აყოლებდნენ. ლექსის ყოველი სტროფი ხუთ ან შვიდმარცვლოვანი სტრიქონისაგან შედგება, რათა იოლად აჰყვეს ტრიოლებს ყოველ მეორე თვლაზე.

„ფლამენკოსთან“ შედარებით „პოლერო“ უფრო მსუბუქი და მშვიდია, თუმცა ესპანური ცეცხლი მაინც ძალუმაღ იგრძნობა მასში. ამბობენ, რომ „პოლერო“ ესპანური სიტყვიდან volar/ფრენა/ არის ნაწარმოები. მართლაც, შოპენის „პოლერო“ თითქოს დაფრინავს. ის განსაკუთრებული ჰაეროვნებითა და სიმსუბუქითაა სავსე. ეს მისი მუსიკის მოყვარულ მკითხველს არც გაუკვირდება.

ვინც გაჰყვება ფრიდერიკ შოპენის მუსიკალურ მერიდიანებს და გულისყურით მოისმენს მის ნაწარმოებებს, ძალდაუტანებლად დარწმუნდება, რომ არა მხოლოდ ევროპა, არამედ მთელი დედამიწაა ჩვენი სახლი, რომ თავისუფლება სულისთვისებაა და მას ვერავინ შეელება. და მაინც „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას...“ დიახ, თავის უფლება ნიშნავს: ჰქონდეს ადამიანს იმისი ცოდნა, თუ რისი უფლება შეიძლება მისცეს საკუთარ პერსონას და რისი არა; რომ სხვისი თავის უფლება არასოდეს არ უნდა შეზღუდოს, რათა არ გახდეს მონა თავისივე ძალაუფლებისა.

შთაბეჭდილება იქმნება, რომ შოპენი, ისევე როგორც ყველა სხვა გენიოსი, არის მსოფლიო მოქალაქე და კოსმოსთან ჰარმონიული ურთიერთობის მაგალითი; იმ თავისი დიდი რწმენით, რომ



ფეი და ლაკრუა ფრედერიკ შოპენი

სწორედ მუსიკა ადამიანთა კეთილსასურველი და საამო არსებობისაკენ მიმავალი ბილიკების აღმო-საჩენად საჭირო გზამკვლევი.

ცხადია, პარიზში ჩასულ შოპენს კარგი ურ-თიერთობა ჰქონდა პოლონურ დიასპორასთან, მაგრამ, ამასთანავე, მის შემოქმედებით ცხოვ-რებაში ახალი ადამიანებიც შემოვიდნენ. მართა-ლია, თავდაპირველად, როგორც პიანისტი და კომპოზიტორი, სოლო კონცერტების გამართ-ვას ვერ ახერხებდა და სალონურ სცენაზე უკვე ცნობილ პედაგოგთა მოსწავლეებთან ერთად გამოდიოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარი-ზულმა ელიტამ მალევე გამოარჩია და დააფასა მისი განუმეორებელი ტალანტი.

იმ ხანებში საკმაოდ პოპულარული იყო ან-დალუზიელი ოპერის მომღერალი, კომპოზიტო-რი და ვოკალის პედაგოგი მანუელ გარსია. იგი სველიაში დაიბადა, დედაქალაქში ანდალუზიის-სა, სწორედ იქ, საიდანაც გავრცელდა „ბოლერო“. გარსია სასიმღერო კარიერის დასაწყისში კადისსა და მადრიდში მღეროდა. შემდეგ პა-რიზსა და ბერს სხვა ქალაქშიც. აღსანიშნავია, რომ იგი გრაფ ალმავივას როლის პირველი შემ-სრულებელია ჯოაკინო როსინის ოპერაში „სე-ვილიელი დალაქი“.

ოცდასამი წლის შოპენი ჯერ არ იყო ნამყო-ფი ესპანეთში. იქ ოთხი წლის შემდეგ გაემგზავ-რა. მანამდე კი ანდალუზიური მუსიკის მანუელ გარსიას ოჯახში შეიგრძნო. ეს იყო მუსიკალური ოჯახი. ორივე ქალიშვილი: 25 წლის მარია და 12 წლის პოლინი, აგრეთვე, ვაჟიშვილიც ვოკალურ-ი ხელოვნების ოსტატები, პედაგოგები გახდ-ნენ. მარია და პოლინი ქმრების გვარებზე გადა-ვიდნენ და ცნობილი არიან როგორც მარია მა-ლიბრანი და პოლინ ვიარდო.

ეს ის პოლინ ვიარდოა, ვისზეც სიცოცხლის ბო-ლომდე თავდავინებებით იყო შეყვარებული ივან ტურგენევი. ეს ცალკე ამბავია, რომელმაც დიდი სილამაზე შესძინა მათ ცხოვრებას და კიდევ ერთი ფურცელი ჩანერა სიყვარულის საოცარ ისტორია-

თა მრავალგვერდიან ნიგნში. „ვერასდროს ვიფიქრებდით, — წერდა ლევ ტოლსტოი პარიზში ივან ტურგენევიან შეხვედრის შემდეგ, — რომ მას (ტურ-გენევი) ასე ძლიერად შეეძლო ჰყვარებოდაო“.

მამინ კი, როცა შოპენი გაიცნო, პოლინი მხოლოდ 12 წლისა იყო და პი-ანისტობას აპირებდა. მამის, მანუელ გარსიას, წყალობით ჰქონდა ბედნიე-რება, ისეთი მასწავლებლები ჰყოლოდა, როგორებიც იყვნენ ფერენც ლისტი და ფრიდერიკ შოპენი. საბოლოოდ პოლინი ვერ გახდა დიდი პიანისტი, თუმ-ცა კარგი ხმა აღმოაჩნდა და არაჩვეულებრივი მომღერალი დადგა, ლამაზ კომპოზიციებს ქმნიდა და კარგი პედაგოგის სახელიც მოიხვეჭა. რაც მთავა-რია, ბავშვობიდან ისმენდა შოპენის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს და მცირე სალონურ კონცერტებზე მასთან ერთად დუეტშიც უკრავდა. ბუნებ-რივია, კონცერტზე რომ დაეკრათ, ერთად ბევრიც უნდა ემეცადინათ.

აქ მახსენდება XX საუკუნის დიდი პიანისტის, არტურ რუბინშტეინის, სიტყვები: „ათი წლის სიცოცხლეს გავილებდი იმის საფასურად, რათა მო-მესმინა, თუ როგორ ასრულებდა შოპენი თავის ნაწარმოებებსო“. მუსი-კოსთა მიერ არტურ რუბინშტეინი შოპენის თხზულებათა საუკეთესო შემ-სრულებლად იქნა აღიარებული. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ იგი პოლონეთის აღორძინების სახელმწიფო ორდენის კავალერია.

პოლინ ვიარდომ კი, გარდა იმისა, რომ შოპენთან დუეტში უკრავდა, მოგვიანებით უკვე ზრდასრულმა ქალბატონმა მისი თორმეტი საფორტე-პიანო მახურკა გადაიტანა/გადაამუშავა/ ხმისა და ფორტეპიანოსათვის. რაც მთავარია, ფრიდერიკსაც მოსწონებია და კიდევ დახმარებია ამ საქ-მეში. ეს ნიუანსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ვიარდოს ნამუშე-ვარს. მათი შემოქმედებითი კავშირი ორივესათვის საინტერესო იყო. შო-პენმა, თავის მხრივ, პოლინის მეშვეობით გაიმდიდრა წარმოდგენა ესპანურ-ი მუსიკის შესახებ.

თავისი პროფესიიდან გამომდინარე, შოპენი, სულიერი არისტოკრატის-ის ეს უდიდესი წარმომადგენელი, პარიზის არისტოკრატულ სალონთა ხშირი სტუმარი გახდა. ერთ-ერთ ამგვარ სალონში გაიცნო 14 წლის ფრან-გი გრაფინია მადამუხელ ემილი დე ფლაო და მისი ულამაზესი დედა, შოტ-ლანდიელი გრაფინია მარგრეტი.

მუსიკალური ნაწარმოები, ისევე, როგორც ლექსი, შთაგონებით იქმნე-ბა. სიტყვა შთაგონება სრულად გამოხატავს იმ პროცესს, რაც სინამდვი-ლეში ხდება. ანუ კოსმოსიდან მოდის ინფორმაცია ბგერის მეშვეობით და ეს ბგერა სხვადასხვაგვარად ესმის პოეტს, კომპოზიტორს და ა.შ. გააჩნია, ვინ რამდენად ნიჭიერია და გამგონი. „ღმერთთან მისთვის ვლამპარაკობ, რომ წარვუძღვე ნინა ერსა“ ... ყველა განსაკუთრებული ნიჭიერებით და-ჯილდოებული ხელოვანი თავისებურად ერის ნინამძლოლი და დამამშვე-ნებელია. მათ რიცხვშია ფრიდერიკ შოპენიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შოპენს სჯეროდა, რომ კეთილსასურველი იდეალების დამკვიდრებისათვის მის მაგივრად მისივე მუსიკა იბრძოდა. შო-პენის ნაწარმოებთა უმშვენიერეს ბგერათა ფოიერვერკები ნათელს ჰფენს ბნელს, სილამაზის, სინათლის ზემოთა. მგონი, მართლაც სილამაზე თუ გადა-არჩენს სამყაროს. მისი მუსიკა — ეს ღვთის საჩუქარი კაცობრიობისათვის — საოცარი სილამაზის ვარსკვლავით ადგას დედამიწას; ათასობით მისი სმე-ნით დამტკბარი სულიერ საზრდოს იღებენ ძალდაუტანებლად, თავისუფ-ლად. საჭიროა მხოლოდ, რომ მოიცალო და მოუსმინო. «Каждый стих мой душе зверя лечит» — წერს ესენინი. იგივე შეეძლო ეთქვა შოპენსაც: ყოვე-ლი ჩემი ბგერა მხეცის სულს კურნავსო. იქნებ სწორედ ის პატარა ემილი იყო იმ კოსმიური ინფორმაციის გამტარი, რომელმაც მუზის როლი შეასრულა „ბოლეროს“ შექმნის მომენტში. შოტლანდიელის თავისუფლებისათვის მებრ-ძოლი სული შესაძლოა მას ულამაზესი დედის მხრიდან გადაეცა, ხოლო დიდი ინტელექტუალური ნიჭიერება ბაბუისაგან. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ემილის მამა სინამდვილეში შარლ მორის დე ტალიერანის ვაჟი იყო.

ჩვენ აღვწერეთ ის ემოციური მოტივები, რაც წინ უძღოდა ფრიდერიკ შოპენის მიერ „ბოლეროს“ შექმნის პროცესს და შესაძლოა განაწყობი იგი ამ სტილის ნაწარმოების შესაქმნელად. მაგრამ „ბოლეროს“ ნოტებს აწერია, რომ მიეძღვნა გრაფინია ემილი დე ფლაოს...

ლამაზი ყუყუნა წვიმა თითქოს იაგუნდებით ამკობდა ნაირფერი ყვავი-ლებით მორთულ მცენარეებს: ხეებს, ბუჩქებს, მთა-ველს. ოცდასამი წლის ფრიდერიკ შოპენი მუქ ღვინისფერ როიალთან „ბოლეროს“ ტრიოლებს კლავიატურაზე ნიავისებრ მსუბუქად აცოცხლებდა, ასულდგმულებდა და იქმნებოდა მომზივლელი მუსიკა, ესპანეთის დაუმორჩილებელი სულის მელოდირი ხატებით შემკული.

ინგა მილორავა

სამყარო, რომელიც შექმნა წრფელმა და მშვენიერმა „მემ“

(თამარ მიქაძის მინიატურული პროზა)

რაც დრო გადის, მით უფრო ნათლად იგრძნობა, როგორ სჭირდება ადამიანებს სიტყვაში, ფერში, ბგერაში გამოხატული სამყაროს სიღრმეზე, სიკეთეზე, სინათლეზე, სიმშვენიერებაზე, სიყვარულზე, სიძველეზე... შესაძლოა, არც აღიარებდნენ ამას, ყველა იქნებ ვერც გრძნობდეს და აცნობიერებდეს, მაგრამ ადამიანს, ნებისმიერს, გულის სიღრმეში შენარჩუნებული აქვს სწრაფვა რაღაც იმაზე მშვენიერს, გულისხმიერს, სუფთასა და ამაღლებულისადმი, რაც მის ყოველდღიურობაშია. ამასთან აშკარად იგრძნობა, რომ როცა თავის მინიერ არსებობაზე ფიქრობს, მაინც ამ ხორციელი ბორკილების ტყვეობაში რჩება და ეძებს არა იდეალურს, მიღწურს, აბსტრაქტულსა და ზეადამიანურს, არამედ ამქვეყნიური ცხოვრების სითბოს და სიღრმეებს, თუნდაც რაფინირებულს, საერთო ნაკადიდან გამოცალკევებულსა და ახალ რეალობად ქცეულს, მაგრამ მაინც ნაცნობსა და ხელშესახებს. ასეთ სინამდვილეს კი ხშირად მხატვრული ტექსტი სთავაზობს ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ მასში შეიძლება კონცენტრირებული სახით იყოს წარმოდგენილი ყველაფერი, რისი ხილვაც ადამიანს ამქვეყნიურ სურდა და ალაგ-ალაგ, დროდადრო გადაანწყდებოდა კიდევ ცხოვრების გზაზე, ასეთი ტექსტი მაინც იძენს დიდ მხატვრულ დამაჯერებლობასა და შინაგან სისახეს, რადგან მასში ყველა ადამიანური გრძნობა და განცდა ზუსტადაა გაცხადებული. ეს თითქმის ინსტინქტური სწრაფვა სიცოცხლის სადმე მაინც მშვენიერებად და სიკეთედ დანახვისაკენ და ამიტომაც მგონია, რომ ეს განცდა ყველა ადამიანის გულშია ბავშვობიდანვე, იმთავითვე ჩადებული, მიუხედავად იმისა, შემდეგ როგორ განვითარდება მისი გზა და სული, რამდენად შეძლებს გაულოს კარი მძაფრ ემოციებს, მოძალებულ ფიქრებსა და სახეებს.



ბაბუაჩემის დის სახლში, დიდ მწვანე ოთახში, იდგა ძველისძველი პატარა შავი კარადა, ოქროსფერი ჩუქურთმებით შემკული. ჩემზე მაღალი არ იყო მაშინ, მე კი ოთხი-ხუთი წლისა თუ ვიქნებოდი და აღტაცებული შევცქეროდი ამ ოქროსფერ ჩუქურთმებს, რომლებიც მთლიანად ამკობდა დაგრეხილფეხებიან შავ სილუეტს. განსაკუთრებით მზიანულამდე ერთი მთავარი, ოქროსფერი ჩუქურთმა — მოხუცის წვერიანი ფიგურა კარადის კარზე. ასე მგონია, რომ ამ კარადის მიღმა იყო რაღაც საოცარი სამყარო, განსხვავებული და თან მსგავსი იმისა, რაც ჩემს ირგვლივ არსებობდა, თუმცა მაინც არაჩვეულებრივი და განსაკუთრებული. რა თქმა უნდა, მაშინ გარესამყაროც ძალიან თბილი და კეთილი იყო, როგორც ბავშვობის სამყაროა, ჩვეულებრივ, მაგრამ მაინც მქონდა ასეთი განცდა, რომ იქ, იმ კარადის უკან შესაძლოა ძალიან უცნაური ფორმით, დაკუმშული, ან უცნაურ ნივთებში არეკლილი, იყო ის, რაც გარშემოა, ოღონდ უფრო სხვანაირი, უკეთესი. ალბათ, ეს იყო მაშინ სახელდაურქმეველი და ფორმამიუცემელი განცდა, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი, როცა ილუზიით და ოცნებით დანახული ნაცნობია, რეალური და თან უკეთესი. დღემდე არ ვიცი, რას ინახავდა ჩემი პაპი იმ ძველ კარადაში, მაგრამ როცა თამარ მიქაძის პატარა ნიგნი „სევდიანიდან მხიარულამდე“ პირველად წავიკითხე, გამიჩნდა განცდა, რომ ის ჩუქურთმა-მოხუციანი შავი კარი გაიღო, ოქროსფერმა დარაჯმა ნება დამართო და შევიხედე იმ სამყაროში, სადაც ყველაფერი ნაცნობია, რეალური, მაგრამ დაკუმშული, ტკივილის, სიხარულის და ადამიანურობის ერთ გუნდად შეკრული და ამიტომ — უკეთესი.

ამ ნიგნში მინიატურებია თავმოყრილი. ძალიან საინტერესო, ტევადი და დიდ მხატვრულ შესაძლებლობათა მქონე ჟანრის ნაწარმოებები. ქართულ ლიტერატურაში მინიატურას საკმაოდ მყარი ტრადიცია აქვს: მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, ეპიკურობის კრიზისის პირობებში ის ლამის ქართული პროზის გადამრჩენის როლში აღმოჩნდა. შემდგომ უფრო ნაკლები ინტენსივობით განვითარდა, თუმცა საკმაოდ სტაბილურად და შედეგიანად. თამარ მიქაძე ქართული ლიტერატურის ყველა საუკეთესო ტრადიციის გამგრძელებელია, როგორც ამ ჟანრის, ისე უშუალოდ სახეობრივი სტრუქტურის აგების, ხასიათების ძერწვის, შინაგანი მძაფრი მუხტის, ეროვნული განცდის და სხვა მრავალი უმნიშვნელოვანესი ასპექტის თვალსაზრისითაც, მაგრამ ჩემთვის ამ მხატვრულმა სამყარომ განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ რაფინირებული, კონცენტრირებული

ადამიანურობისა და სითბოს გამო შეიძინა. ამ ხაზსაც აქვს ჩვენს მწერლობაში სათავე, რომელიც რეზო ინანიშვილის გამჭვირვაბამდე მიდის და მას ჰყავს ლიტერატურული მემკვიდრეებიც, რის გამოც ერთგვარ „ინანიშვილისეულ სკოლაზეც“ კი შეიძლება უკვე საუბარი, მაგრამ თამარ მიქაძეს ამ სკოლის წევრადაც ვერ ჩავთვლით, რადგან ის ცოტა სხვა გზით მიდის. მის სამყაროში, ჩემი აზრით, უკვე მომხდარი, რეალური კი არ არის სიყვარულითა და თანაგრძნობით ასახული, არამედ სიკეთითა და თანაგრძნობით სავსე ადამიანი ქმნის ახალ რეალობას, რომელიც უკავშირდება, განუყოფლად და მტკიცედ, ემპირიულ დროსა და სივრცეს, მაგრამ მასში აშკარად იგრძნობა მისი შემოქმედის სწრაფვა იდეალურისაკენ, წარმოსახვაში დაწმენდილი მშვენიერისაკენ და თუნდაც ტკივილით და ცრემლით ამაღლების გზაზე სვლისაკენ. ასე რომ, ეს არის თბილი, დარდიანი და ადამიანური ყოფის სიხარულით სავსე, ოღონდ სრულიად ინდივიდუალური, საკუთარ პრიზმაში გარდატეხილი და არეკლილი რეალობის ხატი.

მინიატურების გმირები თითქოს ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათი პრობლემებიც ერთი შეხედვით არაა ძალიან დიდი, გლობალურ-ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის, მაგრამ სწორედ ამ მოჩვენებითი უბრალოების მიღმა იმალება ადამიანური არსებობის უმთავრესი საზრისის, ალბათ, საკმაოდ მტკივნეული ძიება, რომელმაც მწერალი მიიყვანა იქამდე, რომ გამოსახა ის, რაც არის სევდასა და სიხარულს შუა. სწორედ ეს მონაკვეთი ამ ორ ამოსავალ წერტილს შორის, არის ადამიანის არსებობის საზრისი, აქ იყრის თავს ყველაფერი, რაზეც ფიქრობენ და რის კენაც ისწრაფიან ადამიანები.

მინიატურაში „გაუბედავი“ ერთმანეთს ესაუბრებიან ბაბუა და შვილიშვილი. ბავშვი სუფთა და ნათელია, როგორც უნდა იყოს ბავშვი... ბაბუაც სუფთა და ნათელია, როგორც ხშირად არიან, მაგრამ ხშირადვე... არ არიან ბაბუები. მაგრამ ეს ბაბუა ისეთია, როგორც უნდა იყოს, თამარ მიქაძის სამყაროში ყველა ბაბუა როგორც იქნებოდა. ბაბუის პანანინა ფანტასტიური სახე-სიმბოლო იქ, ჩემი ბავშვობის იდუმალი კარადის მიღმა, რაღაც სასწაულით მართლაც რომ არსებულყოფილ ჩუქურთმიანი კარის მიღმა პატარა

ქვეყანა. და ასეთი ნათელი ბაბუა შვილიშვილს განუმარტავს, რა არის თავხედი და ვინ არის გაუბედავი, და ეს მინიატურაში მოქცეული პატარა მძაფრი გაკვეთილი და მწერლის პოზიციაა.

ერთია, როცა მხატვრული ნაწარმოების ავტორს აქვს გამოკვეთილი, მსოფლმხედველობრივი, მყარი ზნეობრივი პოზიცია, მაგრამ მისი აზრი სიცოცხლეს იწყებს მხოლოდ მაშინ, თუ ის სრულყოფილი, თითქოს მუსიკალური, დიდი ემოციური ზემოქმედების უნარის მქონე სიტყვის საბურველში ეხვევა. „მიმოზა და ოცნება“ წარმავალი სილამაზის მკრთალი შუქით და დიდი ადამიანური სევდით სახსვს ნაწარმოებია, რომელშიც ცრემლებს მიღმა ილიმება მწერალი და ამ განცდას დახვეწილი, ზუსტი, ხატოვანი ფრაზებით, ლაქონიური და ზუსტი სტილითა და პერსონაჟის შინაგან სამყაროში ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით აღწევს. მიმოზასა და ოცნებას ამბავი თითქოს განზოგადებულიცაა, გარკვეულ ყოფით ნიუანსებსაც შეიცავს, მაგრამ ეს მაინც ის მშვენიერების საფეხლოა, სადაც მიმოზამ და ოცნებამ, სილამაზის დამჭყნარმა და ჩამქრალმა სიმბოლოებმა, მინიერი უხეში და ბლაგვი ხელებისთვის ვერ გაიმეტეს თავიანთი სილამაზე, შედეგად კი აქ, ამ მიწაზე უცხოები, სასაცილოები და მოუღებლები აღმოჩნდნენ და მწერალი ისე გადმოსცემს ამ ამბავს, რომ არც სიმართლის დაუნდობლად მთქმელ კონიეს უჭერს მხარს და არც ოცნებასა და მიმოზას. უბრალოდ, ესაა ცხოვრება, ასეთია ცხოვრების უღმობელი კანონები და მას ვერავინ გაექცევა, ადამიანის წინააღმდეგობრივი, მრავალშრიანი შინაგანი სამყაროს, ბუნების გრაფიკული სურათი იხატება მინიატურაში „გადაუხდელი დაბადების დღე“. თინა ერთი უბრალო სოფელი ქალია, მარტივი და უბრალო კაცია მისი ქმარიც, ვალიკოც, მათი ცხოვრებაც ვინაო ჩარჩოებშია მოქცეული — შრომა, დაბადების დღე, ფოსტიდან შორს, თინასთვის „უკეთეს“ ადგილას გადასახლება და შემდეგ... ვალიკოს სიკვდილი. თითქოს ბევრი არაფერი. მაგრამ მწერალი ნამდვილ ოსტატობას ავლენს ვალიკოს დატირების სცენაში, როდესაც თანდათან, ნელ-ნელა, თითქმის მუსიკალური ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი მელოდიის საფეხურებრივი განვითარებისა და დამახულობის ნაბიჯ-ნაბიჯ გაზრდის მეშვეობით მიიღწევა საოცარი ეფექტი მკითხველისთვის თვალწინ იშლება თინას შინაგანი სამყარო, მანამდე მისთვისაც გაუცნობიერებელი და გაუხსნელი სურვილები, ადამიანურ ურთიერთობათა და მათი ამქვეყნად ყოფნის სირთულე და ტრაგიაში.

ადამიანის სიცოცხლეს, ფიქრებს, არსებობას აზრს ანიჭებს სიყვარული. მხატვრულ ტექსტში თუ ირეკლება ორმაგი უნივერსალური იდეა: სიყვარული ქმნის შემეცნებას (პავლე მოციქული) — და შემეცნება კი წარმოშობს სიყვარულს (ლეონარდო და ვინჩი), მაშინ მას აქვს ის უმთავრესი მარცვალი, რომელიც აქცევს მხატვრულად და ფსიქოლოგიურად ღირებულ და ნამდვილ, ცოცხალ სამყაროდ. მინიატურებში „გრეტა და ოსტატი“ და „ბრავისიმიო“ სიყვარულის ტკივილიანი სილამაზე საოცარი სისადავით, სინატიფითა და ნათელი ტრაგიაშითაა დახატული და უცებ მთელი სიცხადით იგძნობა და, რაც მთავარია, დამაჯერებელი, უტყუარი ხდება ჭეშმარიტება, რომ, მიუხედავად იმისა, როგორია სიყვარული ბედნიერი თუ უბედური, გაზიარებული თუ ცალმხრივი, სიხარულით აკაკუშებული და მრავალი ბედნიერი დღით დაგვირგვინებული თუ მარტოობის სევდით სახსვს, მაინც ცხოვრების მარტივი მხოლოდ ესაა, მხოლოდ ამას აქვს აზრი, რადგან ადამიანი შეიმეცნებს სამყაროს სიყვარულით და, თავის მხრივ, იმიტომ უყვარს, რომ აქვს შემეცნება, ფანტაზია, აღმაფრენი, ფერები და ნატიფი ბგერები სულში და ეს აძლევს ფრთებს, როგორც აქვს ოსტატ იავოს, რომელსაც შეუძლია თავისი საყვარელი, საოცნებო მსახიობის, გრეტას, სამოცდადამრევ დაბადების დღეს მისთვის ისევე ძველებური სიმსუბუქით და შთაგონებით შექმნას, შეთხზას ახალი ვარცხნილობა. მისი სული არ იღლება, რადგან აქვს ფრთები, რომლებიც მისცა სიყვარულმა: „სპექტაკლის ბოლოს კი თვალისდახამამებაში მოწყდა ადგილიდან და ხელზე ეამბორა გაკვირვებულ გრეტას. ანკი როგორ აფრინდა სცენაზე? ალბათ, ძველებურად ფრთები შეესხა...“

თამარ მიქაძის მხატვრულ სივრცე რაღაცით ჭადრაკის დაფასაც ჰგავს, რომელზეც ადამიანები ზოგჯერ უცნაურად გან-

ლაგდებიან და უცნაურადაც იქცევიან, მაგრამ სწორედ ამ „საზოგადოებრივი აზრის“ საწინააღმდეგო, შესაძლოა, არამარტო ყბადაღებული, სოფელ-ქვეყნის აზრის საწინააღმდეგო, არამედ მყარად დადგენილი მორალური ნორმების რღვევაზე მოსალოდნელისგან განსხვავებული რეაქციის გამოსახვისას ჩანს მწერლის ოსტატობაც, ჰუმანიზმიც, ადამიანურობაც, მიმტეველობაც, ტაქტიც. ლამაზია ვენერა და პატიოსანი კაცი-ძუკუ („ვენერა მუხურიდან“). ლალატი ყველგან ძნელია და, მითუმეტეს, პროვინციაში, სადაც ათასი თვალი და ყურია დამარჯვებული. ძუკუმ გაიგო ვენერას ლალატი: რა დაემართებოდა ძუკუს, მაგალითად? მოგვკლავ ჩემი ხელითო — ამბობდა.

მაგრამ არ კლავს ძუკუ ლამაზ ვენერას, რადგან შვილების დედაა, ოჯახის რძალია, რადგან... ისევედასევე „ხალხს ხომ არ ალაპარაკებს“, თუმცა ალბათ არ კლავს იმიტომ, რომ ის, რაც ხდება, გარდაუვალია, ძუკუსა და ვენერას ნებაზე მეტია, უცნაური და შემადრწუნებელი, სისხლის ბნელ ხეულებში მიმავალი ფეხის და კანონის ძალით ხდება და ძუკუ, კაცი, რომელსაც ოდესღაც შეუყვარდა ჩვეულებრივი სიფრიფანა ვენერა, რომლის დეიდაც კაცებს დაჰყვებოდა მატარებლებში, არ გამოდგება მის ძალებზე აღმატებული ტრაგედიის შემოქმედად. თუმცა სწორედ ამ ყოფის ჩვეულებრივობაში იმალება ყველაზე დიდი ტრაგიაში. მწერალს აქვს ეს თვისება: ღიმილით, მწარე ნესტარმოცული ირონიით, განგებ გაუბრალოებულ ფაბულასა და სიუჟეტში რამდენიმე შტრიხში მოაქციოს ადამიანური ყოფის მთელი აბსურდულობაც, სიმწარეც და ღირსიზმიც.

მინიატურა ძალიან „სახიფათო“ უანრია, ასევე ნოველაც, თავიანთი მოზღუდული სამოქმედო სივრცითა და დროით, განსჯისა და ფილოსოფიური წილსვლებისთვის არცთუ საკმარისი ადგილით, თუმცა, როგორც ჩანს, თამარ მიქაძისთვის მინიატურის ფორმა იმდენად ორგანულია, რომ მას ბუნებრივად გამოსდის დიდი და ღრმა თემების ისე დაკუმშვა, დაწნხვა, მცირე, მოსხლეტილი ამბის ერთი ეპიზოდის ფარგლებში მოქცევა, ჩატევა, რომ ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი თემა სრულყოფილად, უდანაკარგოდ და ზედმინევიტით დამაჯერებლად გამოისახება. მინიატურაში „კაკლის ხე და ბუბიანჩის და ელისაბედი“ ასეთ პატარა ჩარჩოში მოექცა საქართველოს ისტორიის ერთი ეპოქის არსი, ცოდვა, რომელიც მოედო ჩვეულებრივ ადამიანებს, გაამრუდა მათი ცხოვრება, როგორც დურგალი რეზოსი, რომელმაც, ოდესღაც, პატარა ბიჭმა, მიხეილ ჯავახიშვილი აჩვენა ქვიშხეთში მის დასაპატრონებლად ჩამოსულ ადამიანებს და აქამდე გულს სტკენს ეს უნებური საქციელი. ამ ეპოქამ წაართვა ერთ დროს დიდებულ ქალბატონებს თავიანთი მამაპაპული მინა და სადავო გაუხადა ღობე და მესერი. ყველაფერი ამის შემსწრე არის პატარა გოგონა, რომელსაც ვარდისფერი სარაფანი აცვია და თმაზე ნითელი წკაპები უკეთია. და ეს პატარა გოგონა თავისი სუსტი მხრებითა და ძლიერი სულით შემდგომ იტვირთავს წინაპრების მადლსა და ტკივილს, გამოატარებს წლებში, შეავსებს და გაათბობს არდავინეების, ერთსულების, ამავედროს, მიტევეების ნათელი შერგძნებით და ასე გადასცემს თავის მომავალს, შვილს, და ეს ამბავი, ასეთი ღრმა, დიდი და სულისშემძვრელი, პანანა მინიატურის ფარგლებშია სრულად მოქცეული, ყველა სახე ზუსტია, მეტყველი და ამიტომ ამბავიც ზედმინევიტით დინამიური და სათქმელიც ემოციურად, მძაფრად აღსაქმელი ხდება. ასევე მინიატურაში „ის, რაც არ იყიდება“, სასაფლაოზე გათამაშებული ერთი პატარა სცენის ფონზე გამოხატული ცხოვრების საზრისი, რომელიც ადამიანმა მიიღო მყარი ფესვებიდან, წინაპრის სულიერი ძალიდან. ბუბიას საფლავზე მას ხვდება ე.წ. არარაობა კაცი, რომელსაც მხოლოდ ფული უნდა და არ ესმის, რაზე შეიძლება ელაპარაკოს საფლავზე მისული შვილიშვილი ბებოს:

- „რას ელაპარაკები ამდენს?
- მადლობას ვუხდი ვპასუხობ.
- რამე მოგცა?

მელდება.... ჰო, რაღაც, ვერც განახებ, ვერც გავყიდი, არ იყიდება...

- ვა!
- ფარი, ფარი მომცა! — ვიგონებ უცებ... — წამართვა

ხმალი, სამაგიეროდ მომცა ფარი, დავიცვა თავი არარაობისაგან და არ მეშინოდეს ცხოვრების...

იცოცხლე კარგა, როცა არ გეშინია ცხოვრება?! მე ისეთი ფარი მაქვს... არსად დავიკარგები!!!“

მართალია, არარაობას მთხრობელი გიჟი ჰგონია, მაგრამ მას მართლაც აქვს ფარი, რომელიც სამუდამოა და დაიცავს ყველგან და ყოველთვის ესაა სიცოცხლის ნამდვილი შინაარსის ცოდნა, საკუთარი ფეხვის და იმ სიყვარულის შეგრძნება, რომელსაც ვერც დრო ვერცა, ვერც განშორება, ვერც ბოროტება და ვერც სიკვდილი.

მწერალს აქვს უნარი, დიდი ტრაგედია და ყოვლისმომცველი დრამატული გრძობებიც ისე დაკუმშოს, ისე მჭიდროდ დაახვიოს, რომ შექმნას უფაქიზესი გორგალი, რომელიც არა უშუალოდ ტექსტში გაიშლება, არამედ მკითხველის გულში, იმ წუთებში, დღეებსა და საათებში, რომელიც გავა თამარ მიქაძის მინიატურების ნაკითხვის შემდეგ ამ პატარა ჩარჩოებში მოქცეულ დიდ ამბებზე ფიქრში. სწორედ მკითხველის თანამონაწილეობა იგულისხმება ამ ტიპის მინიატურათა მხატვრულ სამყაროში მთელი რომანის სიუჟეტი, ეპოქის დიდი და ღრმა ფესვ-საფუძვლის მქონე ტკივილები სხვანაირად აბა როგორ შეიძლება გახედეს ვრცელი სამყაროს პანანია ნამსხვრევის — მინიატურის — საგანი ისე, რომ სათქმელი სრულად ითქვას და ასევე სრულად აირეკლოს მისი შემეცნებლის გონებასა და გულში? მინიატურა „კაცების დედა“ ეხება ჩვენი ერის უდიდეს ტკივილს, აფხაზეთის ტრაგედიას. ჟურნალისტი გოგონა მიდის აფხაზეთიდან ლტოლვილებთან, ალბათ. სასტუმროში, ან საერთო საცხოვრებელში, მოკლედ, იქ, სადაც არიან ლტოლვილები... და ეს ადამიანები, უსაზღვრო დანაკარგით, ტკივილით და დარდით სახსენი, ჟურნალისტი გოგონას წინაშე წარსდგებიან ჩვეულებრივი სახით: ლუარსაბოვიჩი თავის დაკარგულ ქონებას იხსენებს, ასაკოვანი ხეობარი ომში დატოვებულ ცალ ფეხს... ამ ადამიანთა უკან და მიღმა დროის უფსკრულში გადაჩენილი მთელი ცხოვრებაა, თავისი სინათლითა და სიბნელით, სიხარულით და არსებობის სისავსით, ცოდვით და ბრძოლით... მაგრამ მწერლის მიერ საგულდაგულოდ ამოხვეულ ნერვს, მძაფრი განცდის ძაფის გორგალს მხოლოდ მაშინ გამოუჩნდა წვერი, როცა ჟურნალისტი გოგონას დაღუპული ბიჭების დედაზე მიუთითეს. ამ ქალის წინაშე ფერმკრთალდება ყველანაირი დანაკარგი და ზარალი. რაც მთავარია, უცებ, თვალის ერთ დახამხამებში გაიშლება ამბის და გრძობის გორგალი მკითხველის სულში და მხოლოდ ორი სიტყვა შეძლებს, რომ სრულად გადმოსცეს ამ ამბის ჭეშმარიტი არსი: საიამაყე სამშობლოსათვის ბრძოლის და სამშობლოსათვის კაცურად ცხოვრებისა და სიკვდილის:

„...დამწყები ჟურნალისტი, რომელსაც ცხელ ნერტილებთან შეხება არ ჰქონია, შეძრა ამ სურათმა.

თან კაცმა არ იცის, რა უფრო შემზარავია მოკლული მეომარი, თუ მოკლული მეომრის დედა?!?!...“

— დიდი მადლობა, ქალბატონო, თქვენი ტკივილი საქართველოს ტკივილია, თქვენ ისეთი შვილები გაზარდეთ, ისეთი ბიჭების დედა ხართ... და თვალცრემლიანი გაცილდა იქაურობას...

— კაცების დედა. — დადევნა დედის ხმა.“

სასტუმროში შეყრილი, გაძარცვული, დახეიბრებული, მარტოობით შეჭმული ადამიანები, რა დასამალია, ხშირად შეურაცხყოფის და გულგრილობის მსხვერპლნიც, უცებ იძენენ ჭეშმარიტად დიდებულ სახეს, მათი მძიმე გზაც ნათელი ხდება — ეს სამშობლოსთვის განწირული და ნამებუნი ნამდვილი კაცების გზაა — დიდებული და ამაღლებული და ამის შეგრძნება თურმე მხოლოდ ორი სიტყვის მიღმაც შეიძლება.

თამარ მიქაძე ძალიან კარგი ფსიქოლოგია. იგი ადამიანის სულიერ მდგომარეობას ლაკონურად, რბილი იუმორით, ძალიან ზუსტად აღწერს და თან არ წყვეტს სულისა და ყოფის იმ ძაფებს, იმ კავშირებს, რომლებიც გასაგებს ხდის ადამიანის სულის ჩუმ თუ ხმამაღლა გამოთქმულ ტკივილს, იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია ან ამგვარი უცნაური მდგომარეობა („პერსევერაცია“), ან ერთ შეხედვით უცნაური, მეტიც, დროებით და-

უნდობლად აღსაქმელი ქმედება, რომლის უკანაც, როგორც აღმოჩნდა, ადამიანის არსის ღრმა, მამისეული ინსტინქტივად გამდიდრებული და ცხოვრების გამოცდილებიდან ამოზრდილი ცოდნა იმალება („ამირანი და ნერტილები“).

მწერალი მართლაც არასოდეს წყდება ყოფით და მინიერ საფუძველს იმ ამბებისა, რომლებსაც მოგვითხრობს, მაგრამ მას არასოდეს ავინწყდება, ადამიანი იმიტომაც ადამიანი, რომ არ გაათელინოს თავი ყოფას, დარჩეს მარადიულ მემბოხედ, თუნდაც არც დრო და არც სივრცე, რომელიც მას ერგო თუ არგუნეს, არ აძლევდეს საშუალებას, რომ იყოს ნამდვილი გმირი. ამიტომაც მინიატურის „უტელევიზოროდ — უსამართლოდ“ გმირივით, შეიძლება მისი ამბოხი, პროტესტი, ტკივილი, სულის კვილი იმით გამოიხატოს, რომ მეექვსე სართულიდან გადმოაგდოს ტელევიზორი, რომელიც მისი სამშობლოს გაპარტახების, დაცემის ამბებს ყვება მხოლოდ და ამ ტკივილს, ამბოხს, პროტესტს და სულის კვილს მხოლოდ ისინი გაიგებენ სწორად, ვისაც ილია უყვარს (არაჩვეულებრივად მიგნებული, სხარტი და ლაკონიური ფრაზაა, დიდ დატვირთვის მქონე — „ისინი, ვისაც ილია უყვარს“):

„ნერვები აუშალეს ამ უმნიკვლო კაცსო!“ — ქვითინებდა მეორე სართულზე მცხოვრები ხანშიშესული ქალბატონი. ამ ტელევიზორს რაღა ეშველებაო?

„ეჰ, საქართველოს რა ეშველება ქალბატონოო?!“ — ამოიკენეს სხვადასხვა სართულებიდან — ეტყობა, ილია რომ უყვართ, იმათ.“

ამ წიგნის გმირები ჩვეულებრივებიც არიან და განსაკუთრებულიც... ერთდროულად. ყოფის პატარ-პატარა ნამსხვრევებს გვანჯდის მწერალი და ამ მოზაიკის ნამსხვრევებში იხატება ჩვეულებრივ ადამიანთა არაჩვეულებრივი სახეები, პორტრეტები, ბედი, ფიქრები და განცდები. ადამიანის სული ამოუცნობი და ღრმაა, უფსკრულია, რომლის სიღრმეშიც მიმალულია მრავალი ფიქრი და განცდა, რომლებიც შესაძლოა ისე საგულდაგულოდ იყვნენ ფერფლნაყრილი, რომ არც არასდროს ამოვიდნენ ზედაპირზე. მწერალიც სწორედ ამ ძალიან ადამიანურ განცდებს ეძებს, იჭერს და ქმნის მათი გამომჟღავნებისთვის, გამოშვებისთვის შესაფერის სიტუაციას თავის მხატვრულ ქსოვილში. ასე ხდება მინიატურაში „მივწყებული ბედნიერება“ მაროს ძროხამ ორი ხბო მოიგო. ეს დიდი სიხარულია სოფელში. მარო დიდი ხანია ქვრივია, 30 წელია... სიყვარულით გათხოვდა...სულ ორი თვე ჰყავდა ქმარი, მერე დაეხრჩო:

„დრომ ნელ-ნელა მიაძინა წარსული და გახარებული რომ იყო — ძროხამ ხბოები რომ მოიგო და შენატროდა მთელი სოფელი, სწორედ მაშინ გაახსენდა ნამდვილი ბედნიერების გემო, ქალის და კაცის ბედნიერება რომ ჰქვია სახელად, და რომ არ სჭირდება ფილოსოფია.

თვალცრემლიანმა გაიხსენა...
ნამით.

ვარსკვლავიან ღამეს.“

აი ასე, ძალიან მარტივად, სადად, უბრალოდ, მოქნილ ფრაზაში განითვდა, გაცოცხლდა ადამიანის მამაძრავებელი უმთავრესი განცდა — ბედნიერების და სიყვარულის წყურვილი, რომელიც დროის ფერფლიდან ამოიტაცა მწერლის მახვილმა თვალმა. ყოველდღიურობის ჭრელი საბურველის მიღმიდან მოესმა მის ყურს ადამიანის სხვა ყველაფრისთვის მოკვდავი, მხოლოდ სიყვარულისთვის უკვდავი გულისცემა. სიყვარულის უზენაესობის განცდა ისხამს ხორცს მინიატურაში „როცა ყვაოდა აკაცია“. გოგოს და ბიჭს უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ მათი გზები გაიყარა, იარეს ამ ცხოვრების მთა-გორებზე უსიყვარულოდ, უგულოდ, მაგრამ ისე, როგორც წესია და კანონი... და უცებ მკითხველის წინაშე მთელი სიცხადით წარმოსდგება უკვე ხანშიშესული ქალის და კაცის უსიყვარულოდ გასავლელი დარჩენილი წლების სიმძიმე და სიმწარე: „რა გრძელი ჩანდა უსიყვარულოდ გასავლელი დარჩენილი გზა!!!...“

არის კიდევ ერთი განსაკუთრებული ნაკადი ამ წიგნში, მწერლის მსოფლმხედველობის ერთი განსაკუთრებული და

სანტერესო ნაკვთი, რომელიც შეიძლება მიწიერის და ზეციურის ახალ რეალობაში შეერთების მართლაც რაღაც ახლებურ, განსაკუთრებულ სურვილად და მცდელობადაც კი აღვიქვათ.

ოდესღაც გრიგოლ ხანძთელს უთხრა გაბრიელ დაფანჩულმა შევეართოთ ჩვენი, ერისკაცების, ხორციელი ძალა, და თქვენი, წმინდა კაცების, სულიერი სიმდიდრე. თუ მკრეხელობად არ ჩაითვლება სასულიერო პირების გარდა სხვა სულიერი სიმდიდრის მქონე ადამიანების შემთხვევაში ამაზე საუბარი, შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ ესაა ქვეყნის და ერის გამძლეობის, შინაგანი სიმდიდრის და განვითარების ფორმულა სულიერი ძალის და ხორციელი ენერჯის მქონე ადამიანების გაერთიანება, და ეს ფორმულა იმუშავებს იმ შემთხვევაშიც, თუ სულიერ სიმდიდრეში ჭეშმარიტ სასულიერო პირთა მადლთან ერთად, ზოგადად, სულიერად განვითარებულ და ინტელექტუალურ და დახვეწილ საერო ადამიანებსაც ვიგულისხმებთ.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ სავალალოდ მივეჩვიეთ და შევეგუეთ კიდევ, მწარე რეალობის გამოსობით, რომ არის, ერთი მხრივ, ჯაყო და, მეორე მხრივ, თეიმურაზი, რომ მათ შორის უფსკრულია, რომ ხორციელს და სულიერს დაუკარგავთ ნამდვილი სახე და ერთი უხემ, ბოროტ ძალად, მეორე კი თავმოყვარეობა და კარგულ უსუსურობად ქცეულა, რომ აღარ არსებობს სულიერი სიმდიდრის და ხორციელი ძალის თანაარსებობა, აღარც იმედი, რომ ისინი ერთმანეთს შეავსებენ, გააძლიერებენ...

და ამ დროს ამ წიგნში ჩნდება სევდანარევი იუმორით სავსე მინიატურა „კრედო“. მოხუცი ინტელექტუალი, დახვეწილი და ფაქიზი, და გაუთლელი, მაგრამ მხიარული და გულბანი მძლოლი ხედებიან ერთმანეთს. მოხუცი კაცი ფაქიზია, განათლებული, უაღრესად კულტურული, მაგრამ სუსტი და მორიდებული. მას იოლად გათლავს ცხოვრება. მძლოლმა ისიც კი არ იცის, რა არის კრედო, ცუდი სიტყვა ჰგონია, სამაგიეროდ, მისი ფსევები მძლავრადაა მიწაში გადგმული, თავს არავის დააჩაგვრინებს...

და ეს ადამიანები ავსებენ ერთმანეთს, მათი შეხვედრა ადამიანურობის ხიდზე ხდება და, მიუხედავად იმისა, რომ ყველანაირად განსხვავდებიან, გონებითაც, წარმომავლობითაც, ზნეობრივ ხერხმადლითაც, მათ შორის მყარდება მჭიდრო კავშირი, ყველაზე კარგი და მძლავრი, რაც შეიძლება დამყარდეს ადამიანებს შორის — ისინი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ და ეს ერთიანობა ქმნის სიმშვიდეს და მომავალს.

ესაა იდეალი, რომელიც ასეთ მარტივ და მსუბუქ სცენაში გადმოსცა მწერალმა.

იგივე აზრი, განცდა და მოდელია ასახული მინიატურაში „მაღლე ახალი წელი მოვა“. აქაც დახვეწილი მუსიკის მასწავლებელი და ნიჭიერი პატარა ბიჭის მშობელი, მეძხვვე რობერტი დგანან ერთმანეთის პირისპირ. მეძხვვე რობერტისთვის ტრაგედიაა მისი შვილის მუსიკოსობა, რომ ვერ გადაიბარებს და ველარ გაუძღვება სამქროს, მასწავლებელს თავისი ყოფითი პრობლემები აქვს, მაგრამ იცის, რა ფასი აქვს ნიჭს და ცდილობს გზა გაუკვალოს მას.

უცებ, თითქოს ზღაპრის ჯადოსნური ფერიის წყალობით, ამ ახალი წლის წინა საღამოს მუსიკის მასწავლებელმა შეძლო მეძხვვე მამის სულში შეეტანა მუსიკის სინათლე და დაენახებინა შვილის გული და მომავალი, რობერტმა კი დახმარების ხელი გაუწოდა მის უმუშევარ შვილს. მინისა და ზეცის, თიხისა და ზეციურ სფეროთა მუსიკის სინთეზი მოხდა ამ პატარა მინიატურაში, მწერლის მიერ მხატვრულ ქსოვილში რეალობად ქცეულ ზღაპარში.

და მან აშკარად იცის, გრძნობს, რომ თუ ეს ზღაპარი რეალობად იქცევა ემპირიულ დროსა და სივრცეში, ცხოვრება იქნება ისეთი, ბევრად უკეთესი, ბევრად უფრო მძლავრი, კეთილი და მშვენიერი — ისეთი, როგორც არის მის პატარა წიგნში, და სამყარო კი ამ წიგნში ასეთი კეთილი და ღირსეული არის იმიტომ, რომ ის დაწერა ადამიანმა, თამარ მიქაძემ, რომელიც ჰგავს ამ სამყაროს და არის „მე“ და ეს ყველაფერზე მთავარია: „...აღარ მემინია არაფერი... ვიყო — არაფერი. მთავარია — მე — ვიყო — მე!!!“ („ავტობიოგრაფია“).

ორი გზა. ერთი შემოქმედი

„ბავშვობაში დიდი კაცივით იცოდა დარდი. კაცი გახდა და ცდილობდა ბავშვით უდარდელი ყოფილიყო“.

ეს მხატვარ გოგი ჩაგელიშვილის სიტყვებია მისი ალბომიდან, რომელიც კომპანია მაგთიკომის ინიციატივით გამოიცა.

უმალღეს პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული ალბომი ოთხი ნაწილისაგან შედგება: ფერწერა, გრაფიკა, ობიექტი, ინსტალაცია.

წინასიტყვაობის ავტორია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ანდრიაძე, გამოცემაზე მუშაობდნენ აგრეთვე



გოგი ჩაგელიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნანა შერვაშიძე (რედაქტორი), ციცო ხოცუაშვილი და ნინო ტორაძე (მთარგმნელები), გია ჩხატარაშვილი და ლეონიდ მუჯირი (ფოტოგრაფები), ქეთევან ალიხანაშვილი, ზურაბ მიმინოშვილი და პაატა ედილაშვილი (დიზაინერები).

2014 წლის 9 სექტემბერს მაგთის კლუბში (თბილისი, რუსთაველის 22) გაიმართა ალბომის წარდგინება.

რესპექტაბელური კლუბი, რესპექტაბელური საზოგადოება, ჯაზური მუსიკა, სასიამოვნო განწყობილება, გემოვნება და სისადავე ანუ ის, რაც სჭირდება ჭეშმარიტ ხელოვნებას.

— გოგის შემოქმედებაზე საუბარი ძნელია, რადგან უცნაური მოვლენაა, იოლად გედლევა, მაგრამ რომ ჩაუღრმავდები, ჭირს მისი წვდომა. გოგი არის არაჩვეულებრივი მასალა მხატვრობის არსის შესაცნობად, — თქვა დავით ანდრიაძემ.

მხატვრის შემოქმედებასა და მის ახალ ალბომზე ისაუბრეს ხელოვნებათმცოდნე ქეთევან კორძაძიამ და გალერისტმა ვანდა მუჯირმა. აღინიშნა გოგი ჩაგელიშვილის ფერწერის მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ავანგარდის განვითარებაში. სხვათა შორის, ითქვა ისიც, რომ გოგიმ მწერლობაშიც მოსინჯა ძალები და არცთუ ურიგოდ. მისი მოთხრობები არაერთხელ გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და კარგი გამოხმაურებაც ჰქონდა.

აღინიშნა ისიც, რომ კომპანია მაგთიკომი ერთგული რჩება თავისი ცნობილი დევიზისა „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ და ცდილობს საზოგადოებას სრულფასოვანი წარმოდგენა შეუქმნას თანამედროვე ქართველ მხატვრებზე. კომპანიის ხელშეწყობით უკვე გამოიცა ირაკლი ფარჯიანის, ედმონდ კალანდაძის, თემო ჯაფარიძის, რადიმ თორდიას, მერაბ აბრამიშვილის, კოკი მახარაძის, დიმიტრი ერისთავის, თემო გოცაძის, ჯიბოსონ სუნდაძის, ელგუჯა ამაშუკელის, ოთარ ჩხარტიშვილის, ემირ ბურჯანაძის, ბიძინა ავალიშვილისა და ლევან ცუცქერიძის ნამუშევართა ალბომები, ასევე არქიტექტორების — გიგა ბათიაშვილისა და გივი ჯაფარიძის შემოქმედების ამსახველი წიგნები.

გოგი ჩაგელიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება გრძელდება, ახლა უკვე ორ „ფრონტზე“ — სახვით ხელოვნებასა და მწერლობაში. ისევ ისე, ბავშვობაში დიდი კაცივით, დიდობაში ბავშვით.

მალხაზ ივანიძე

„კომპიუტერი ყველაფერს კლავს!“

(გივი გამრეკელს ესაუბრა ბაადურ ჯობავა)

მას შემდეგ, რაც ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა და სულ მალე პრაქტიკული გამოსვლები შეწყვიტა, ბაადურ ჯობავა საკმაოდ იოლად გახდა საქართველოს 1 მოჭადრაკე. ეს „საკმაოდ იოლად“ ჩვენ მაინცდამაინც არ ადგვავთოვანებს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მას მალე ჩვენი ქვეყნის სხვა დიდოსტატებიც ბანს მისცემენ და საქართველოს ნაკრებიც მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე თავის სიტყვას იტყვის.

ბაადური 30 წლისაა. ეს არც ისე ცოტაა და არც ისე ბევრი, რაიმე მნიშვნელოვან წარმატებებზე რომ არ ვიფიქროთ. გნებავთ ევროპის პირველობაზე, გნებავთ მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირებზე. ახლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე.წ. „სუპერტურნირებში“ მონაწილეობას. ისე, „ტყუილად“ იქ არავინ გინვევს, ე.წ. „ელიტას“ უნდა მიეკუთვნებოდეს. ამიტომ დიდად გავვახარა ბაადურ ჯობავას მონაწილეობამ მინსკში, დავით ბრონშტეინის მემორიალზე და, რაც მთავარია, მისმა პირველმა ადგილმა არაერთ ცნობილ დიდოსტატს შორის. ზოგიერთი ჩამოვთვალოთ კიდევ: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი, რომელიც ნიუ-იორკში წარმატების შემდეგ ერთი ხელის მოსმით მილიონერი გახდა (დიახ, იყო რამდენიმე წლის წინათ ასეთი პრიზები) და შემდეგ პეტერბურგში საჭადრაკო სკოლა გახსნა, რომელმაც დიდი სახელი მოიხვეჭა, ალექსანდრ ტივიაკოვი, ადრე რუსეთის ერთ-ერთი წამყვანი დიდოსტატი რომ იყო და ახლა ჰოლანდიაში ცხოვრობს, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის ყოფილი მონაწილე ვლადიმირ აკოფიანი (სომხეთი), იოსებ სმარინი (ისრაელი) და სხვები. აი, ასეთ მეტოქეებთან ბრძოლაში ბაადურ ჯობავამ 9 შესაძლებელიდან 7 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა, რაც მის პრაქტიკაში ჯერჯერობით ყველაზე დიდი გამარჯვებაა.

გივი ახლა უკრაინაში ცხოვრობს, ოდესასთან ახლოს, ქალაქ ილიჩევსკში. თბილისში ძალიან ხშირად ჩამოდის, ძირითადად აქ ემზადება საქართველოს ნაკრების სხვა წევრებთან ერთად. აქ ხომ მისი მშობლები და ძმა ცხოვრობენ. ისე რომ, ბაადურთან შეხვედრის საშუალება საკმაოდ ხშირად გვაქვს.

— უკრაინაში თქვენი ცხოვრება იმითაც აიხსნება, რომ ამ ქვეყანასთან ადრეც იყავით დაკავშირებულნი. გალიდან 1992 წელს ხარკოვში გადახვედით და სკოლაც იქ დაამთავრეთ. თქვენი ძმა ბეგლარი ახლა ნაკლებად თამაშობს ჭადრაკს, თუმცა ადრე უკრაინის ჩემპიონი გახდა 12 წლამდე ყმაწვილებს შორის.

— დიახ, სხვა ინტერესებმა გადასძლიეს, თუმცა საერთაშორისო ოსტატია და საჭადრაკო თეორიაშიც ზოგ რამეს აკეთებს. მე ადრე თბილისის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. დიდი მადლობელი ვარ ფა-



კულტეტის დეკანისა, რომ ძმასთან ერთად უგამოცდოდ მიგვიღო, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე ჩემი ცხოვრება მთლიანად ჭადრაკთან დამეკავშირებინა. ახლა, როდესაც სადმე არ ვთამაშობ, დიდ დროს მონაფეებს ვუთმობ. ზოგი ჩემთან მოდის შინ, ზოგთან მე თვითონ დავდივარ. მათი გვარები ჯერჯერობით არაფერს გეტყვით. სკაიპითაც მაქვს გაკვეთილები.

— როგორ ემზადებით ტურნირებისათვის?

— რომ გითხრათ, მომზადებას ძალიან დიდ დროს ვუთმობ-მეთქი, სწორი არ იქნება. კომპიუტერთან მუშაობას მომზადების დროს 10 პროცენტი თუ ეთმობა. საქმე ის არის, რომ კომპიუტერი ყველაფერს კლავს. კლავს ჭადრაკსაც, აზროვნებასაც, მხედველობასაც. რბილად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდი გამოგონებაა. ეს მხოლოდ მოჭადრაკეებს როდი ესება. ადამიანები პაემანზეც კი აღარ დადიან, აღარც ფეხბურთს

თამაშობენ, ერთმანეთს არაფერში ეჯიბრებიან. შინ სხედან და ერთმანეთს ტელეფონით უკავშირდებიან.

— თქვენ ძალიან აზარტულ ადამიანად მიგიჩნევენ. აზარტული თამაშებით კვლავინდებურად გატაცებული ხართ?

— ეს ადრე იყო, 3-4 წლის წინათ. ხშირად კაზინოსაც ვენვეოდი ხოლმე. ახლა ამაზე ხელი ავიღე და ამიტომაც არის, რომ ჭადრაკში კარგი შედეგებიც გამოჩნდა.

— რას აკეთებთ, როდესაც თავისუფალი დრო გიჩნდება?

- ვკითხულობ. წიგნები ჩემი მთავარი გატაცებაა.
- წიგნებს კითხულობთ თუ ინტერნეტით ეცნობით?
- რა ინტერნეტი, როგორ გეკადრებათ! ძალიან ვნერვიულობ, როცა საჭირო წიგნს ვერ ვნახულობ. რა სჯობს, როცა ნამდვილი წიგნი გიჭირავს ხელში, ფურცლავ და ნეტარებას განიცდი.

— კიდევ რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?
— ახლა ძალიან დიდი ენერჯია მაქვს, რაც უნდა გამოვიყენო, ადრე ათასგვარ სისულელეს ჩავდიოდი, ქალაქს ვთამაშობდი. ჭადრაკს რომ თავს დავანებებ, მთელ დროს ახალგაზრდებს დავუთმობ. რა სჯობს, როცა კარგ წიგნებს კითხულობ და ჭკვიან ადამიანებს უსმენ.

— რა თქმა უნდა სჯობს სხვების შეცდომებზე ისწავლო.
— შეცდომების მეტი რა მქონია. აი, ისინი რომ გავითვალისწინო, ძალიან ბევრ რამეს გავიგებ.

ბაადურ ჯობავას უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. მის მამას და ძმას, ერთი მოვალეობაც აქვთ დაკისრებული — საჭირო წიგნებით მოამარაგონ, ნამდვილი წიგნებით, რათა შორს იყოს ესოდენ საძულველი კომპიუტერისაგან, რომელიც ყველაფერს... კლავს!

მანანა ტურიაშვილი

მრავალნი არიან ნოდებულ და მცირედნი რჩეულ

აწუ

როცა ბუნების სიმღერას ნაპროფილავი ახშობავ

„ისე გააკეთე, როგორც არის, მხოლოდ უფრო ხმამაღლა იმღერე, ბუნება მღერის, იგივე იმღერე, მაგრამ უფრო ხმამაღლა!“ იაკობ ნიკოლაძის მიერ აღბეჭდილი ოგიუსტ როდენის ეს ფრაზა როსტომ ჩხეიძეს გამოუყენებია თავის წიგნში „გადამწვარი მზე“ და დაუნერია: „უშანგი ჩხეიძეც აღტაცდებოდა ფრანგი მოქანდაკის ამ რჩევით, იაკობ ნიკოლაძის წიგნში რომ ამოიკითხავდა, და ძალდაუტანებლად განაზოგადებდა. — ამ სიტყვებში ხელოვნების მთელი არსია მოცემული.“

ბუნებას თავისი კანონები აქვს, ხელოვნებას თავისი. ბუნებაში გამოხატულ ხელოვნებას ღვთაებრივი შემოქმედი ქმნის, ხოლო ხელოვნებაში ასახულ ბუნებას საკუთარი წეს-კანონით შეიარაღებული ღვთისაგან რჩეული ადამიანები ქმნიან. თუ ოდნავ ხმამაღლა არ იმღერე — ოღონდ არა აღმატებულად — ხელოვნება თავის არსსაც დაკარგავს და ადამიანზე ზემოქმედების ძალასაც. „ბუნების სიმღერის“ გარეშე ნატურალიზმი გააღარიბებდა ამ ქვეყანას. როსტომ ჩხეიძეს ხელთ უპყრია ხელოვნების იარაღი და თავისი ქმნილებების ხორცშესასხმელად დოკუმენტურ მასალას ბუნებად აღიქვამს და მწერლური ნიჭით აღბეჭდილი „უფრო ხმამაღლა“ მღერის, ისე როგორც მოუხდებოდა უშანგი ჩხეიძის გენიას.

სხვა ქვეყანაში რომ დაბადებულიყო უშანგი ჩხეიძე, უეჭველად „ცოცხალი ეროვნული საგანძურის“ სტატუსს მიანიჭებდნენ, რადგანაც თავისი შემოქმედებითა და ცხოვრების წესით სწორედ რომ ის საგანძურია, რომელიც ქართული ცნობიერების უმაღლეს ხარისხს გამოხატავს. სიცოცხლეში პერსონაჟად ქცეული უშანგი ჩხეიძის შემოქმედების გზა გვაერთიანებს იმ ზოგადსაკაცობრიო აზროვნებასთან, სადაც მსოფლიოს რჩეული ქვეყნების ღვთისაგან ხელდასხმულ ადამიანთა გული ბობოქრობს.

როსტომ ჩხეიძის „გადამწვარი მზე“ ქართულ ცნობიერებაში აღმართული მრუმე, სალ კლდეებში ამოხეთქილი უმშვენიერესი ჩანჩქერია — ახლოს თუ დადგებით ქართველთა მარადიული მუხანათური სველები სულს შეგიშფოთებთ, მოშორებით მდგომს კი უშანგი ჩხეიძის შემოქმედება მზესავით გაგათბობთ და გამორჩეული პიროვნების ბედკრული ისტორიის გზას იმ მანათობელივით გაგიჩინებთ, რომელსაც გადაწვარ ემუქრება. მზესთან ახლოს მისვლა და მისი მსურვლებისა არ ემინია მწერალს და არც შორს დგომა გაუჭირდა, ვინაიდან ასე უფრო კარგად დააკვირდებოდა იმდროინდელ ცხოვრებას და რელიეფშიც უამრავ დაფარულს შეამჩნევდა.

მკითხველი იფიქრებს, სად წიგნი და სად ჩანჩქერი!.. დიახაც რომ როსტომ ჩხეიძის სიტყვათა ნაკადი და შეწყობილ-ანწყობილი სადა წინადადებები იმ მშვენიერ ჩანჩქერს მიაგავს, რომელსაც დამორბა არ უნერია, ვინაიდან ფრაზებში ასახული მწერლის ნაფიქრი გულიდან ამოხეთქილი ტკივილია, შემოქმედებით აქტის შეცნობა-გათავისებაა, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრამდე მისული შიშველი გულწრფელობაა, დახვეწილი სისადავეა, რომელთა ერთობლიობაც ესთეტიკურ სიამოვნებას განიჭებთ.

„გადამწვარ მზეში“ როსტომ ჩხეიძე მეცნიერიცაა, რომელსაც საქართველოს უდიდეს მსახიობზე ყველა მასალა შეუსწავლია, და შემოქმედიც, რომელიც უშანგი ჩხეიძის ურიელ აკოსტას მემბოხე სულის მსგავსად ამსხვრევს ადამიანის ცნობიერებაში გაბატონებულ-გაჯერებულ საბჭოთა აზროვნების გერბიან ბეჭდებს და ამ ბრძოლაში პრომეთესავით გამარჯვებული გამოდის.

რატომ? იმიტომ რომ ის წვდება ადამიანთა სულს და კალმის მსუბუქი მონასმით, ძალდაუტანებლად ანალიზებს ადამიანის ცნობიერების იმ მოდელს, სადაც ბატონობს მხდალის ხელში ალაპ-ლაპებული ორლესურის ორპირობა, ხელოვნის მიერ მაყურებლის გულში აძგერებული ჰუმანისტური იდეებით წარმოშობილი სიყვარული, შურით განადგურებული პიროვნების დაშლა-გახლეჩა; შემოქმედებითი პროცესით გამოწვეული ვენებათაღელვა, რომლის იდუმალი ძალა კიდევ ერთხელ გააცოცხლა როსტომ ჩხეიძემ და, თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის სტრიქონებს მოვიშველიებთ, თამამად შეიძლება ვთქვათ: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.“

ძნელად მოძებნით და შესაძლოა ვერც იპოვოთ უშანგი ჩხეიძეზე დაწერილ ისეთ სრულყოფილ წიგნს, რომლის მთავარ ხაზს — დიდი მსახიობის შემოქმედებასა და პიროვნებას — ასე ტრავიკულად ერთვის ქართულ თეატრში განვითარებული 20-30-იანი და შემდგომი წლების მოვლენები: ქართული თეატრის კრიზისი, ქართული თეატრის რეფორმა, კორპორაცია „დურუჯი“, განხეთქილება დასში, მარჯანიშვილის თეატრის დაბადება...


როსტომ ჩხეიძის მიერ ბრწყინვალედ და ჩვეული პროფესიონალიზმით შესწავლილი ქართული თეატრის ეს უზარმაზარი თემა, სხვა სათეატრო ნიგუნისაგან განსხვავებით, ახლებური ხერხით არის გადმოცემული და ეს ახალი გზა, წიგნის მთავარი პერსონაჟის — უშანგი ჩხეიძის, მისი ნიჭის აღმოჩენისა და განმავითარების — კოტე მარჯანიშვილის და სხვა პერსონაჟთა ე. წ. ნამოცდენილ ფრაზებსა თუ ნააზრევზე დაყრდნობით ქმნის ამ ორი შემოქმედის ფსიქო-ემოციურ პორტრეტებს. სწორედ ეს გზა ანიჭებს წიგნს სიცოცხლეს, რაც ამგვარი სახის ნაწარმოებში, რომელსაც საფუძვლად უზარმაზარი და სხვადასხვა სახის დოკუმენტური მასალა უდევს, ძალზე რთული და ძნელად მისაღწევია.

როსტომ ჩხეიძე უდიდესი პატივისცემითა და მოწინებით მოიხსენებს იმ ადამიანებს, რომლებიც უშანგი ჩხეიძეზე ნერდენდ, არ ჩქმალავს მათ ღვაწლს, პირიქით, ეამაყება და უხარია, რაც მის პატიოსნებაზე მეტყველებს.

მწერალი განიხილავს მსახიობის ნათამაშებ ყველა როლს, ყოველ ნაბიჯს, დაწყებული სცენისმოყვარეთა წრიდან, დამთავრებული მარჯანიშვილის თეატრით. ამ 10-წლიან გზაზე კარგად მოჩანს უშანგი ჩხეიძის შემოქმედების განვითარების ეტაპები: ზესტაფონის სცენისმოყვარეთა დასში დაწყებული მისი სამსახიობო კარიერა, გატაცება, ახალგაზრდული დაუდევრობა და თავაშვებული ბოჰემური ცხოვრება, მისი ხუმრობებითა და იუმორით გაჯერებული აზროვნება, რაც ასე მნიშვნელოვანია შემოქმედისათვის, და ბოლოს ევერესტის მრავალჯერადი დაპყრობა: ჰამლეტი, ურიელი, იაგო, ჩენჩი, ყვარყვარე...

მსახიობის მიერ შესრულებულ ამ როლებსა და პიესის პერსონაჟებზე მსჯელობისას როსტომ ჩხეიძე ბრწყინვალე ერთუდიციას და დრამატურგიულ მასალაში წვდომის ნიჭს ავლენს, ოღონდ ეს ხდება ისე მარტივად და მსუბუქად, რომ ხვდებით, თუ როგორ ფლობს ავტორი დრამატურგთა მიერ შექმნილი ტექსტის პირველადი აღქმის ძალას, რაც თეატრალურ ხელოვნებაში რეჟისორისა თუ მსახიობისთვის ოსტატობის მანიშნებელია. უშანგი ჩხეიძის მოღვაწეობის დროს ქართული

მწერლობა აგრძელებდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სერგეი მესხის და სხვათა გზას და ქართული თეატრის მიმდინარე მოვლენებში ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ეს ფაქტი უყურადღებოდ არ რჩება როსტომ ჩხეიძეს და მის მონათხრობში შეიგრძნობთ სიამაყის განცდას, როცა გალაკტიონ ტაბიძე თუ გრიგოლ რობაქიძე თუ პაოლო იაშვილი თუ შალვა დადიანი თუ სიმონ ჩიქოვანი და სხვანი სიყვარულს, აღტაცებას, პროფესიულ შეფასებას გამოხატავენ და ნიგნის ტექსტში მათი ფრაზების ზუსტი ჩართვა, ახლა უკვე როსტომ ჩხეიძის მიერ შექმნილ ახალ პერსონაჟს — უშანგი ჩხეიძეს — უფრო მრავალფეროვნად და სიღრმისეულად წარმოაჩენს.



ცხოვრების ორომტრიალის ლაბირინთიდან თავდაღწეულ და ამბიონს მიახლოებული უშანგი ჩხეიძე მნიშვნელოვან თავს როსტომ ჩხეიძე სიმონ ჩიქოვანის ლექსის სტრიქონის ოდნავ, უმნიშვნელოდ შეცვლილი ფრაზით ასათაურებს: „ძმა ჰამლეტი, ბავშვი ურიელი, ბრძენი ყვარყვარე“ და ჩვეული სილაღით, ლოგიკაზე დაფუძნებული ფანტაზიითა და იმპროვიზაციით განიხილავს სიმონ ჩიქოვანის ტექსტის სიღრმეს, ვინაიდან საპრობილედ გადაქცეულ საქართველოში უშანგი ჩხეიძის ჰამლეტი, თავისი ფილოსოფიური და ზოგადდაცხადებრივ პუნქტურ იდეებით მაყურებლის ერთგული და ფასდაუფებელი ღვიძლი ძმა იყო; ურიელის კვება სალ კლდესთან მიამიტობის ელფერს ატარებდა, ვინაიდან ადამიანის თავისუფლების შემპოკავ კანონებთან მარტოდმარტო ბრძოლა ბავშვურ თავგანწირვას ჰგავდა, ხოლო ყვარყვარეს სიბრძნე ქართველებისათვის ნიშანდობლივ აზროვნებას გამოხატავდა და ირონიულად ჟღერდა.

როსტომ ჩხეიძე წერს: „როლებს როლები ემატებოდა, წარმატება წარმატებას მოჰყვებოდა, ეს რკალი კი აქ იკვროდა: ძმაო, ჰამლეტი, ბრძენო ყვარყვარე, ბავშვო ურიელი! — ზუსტ ეპითეტებში ჩანოვნი დიდი ვნებათაღელვანი და აღმაფრენანი, ღრმა სიმბოლიკაში და აზიდულნი, მეტეოროსი გადაღვევის სახიერი ნაკვალევი ზეცაზე...“

როსტომ ჩხეიძე თხრობისას ძალზე მსუბუქად გამოჰყოფს შემოქმედი ადამიანისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას — ინტუიციას, და, თვითონაც ინტუიციით დაჯილდოებული, ისეთ სფეროებს წვდება, რაც თითქოსდა თეატრალთა პრეროგატივაა. უშანგი ჩხეიძეზე არსებული მასალებიდან მწერალი აზრის გასაშლელად ოსტატურად იყენებს კულისების ცხოვრებას, სარეპეტიციო პროცესს და დრამატურგიულ მასალაზე დაყრდნობით ანალიზებს როგორც მსახიობის, ასევე რეჟისორის შემოქმედებას. იგი უშანგი ჩხეიძესა და კოტე მარჯანიშვილს სამართლიანად აღიქვამს ტოლ-სწორად და მიგვანიშნებს დასის სხვა წევრებს შორის მათი გამორჩეულობის მიზეზებსა და ამის გამო შექმნილ მათ აბსურდულ, მარტოსულ მდგომარეობაზე.

როსტომ ჩხეიძის მონათხრობში ნათლად იგრძნობთ მის ტკივილს ქართველთა სენის შესახებ, გრიგოლ რობაქიძეზე დაყრდნობით იგი აღნიშნავს: „...ქართველთა თანდაყოლილი სენისაგან (ანუ შინაგანად ვერდაძლეული საფრთხისაგან) წარმოშობილ შუღლს...“ სწორედ ეს სენი მიაჩნია როსტომ ჩხეიძეს საქართველოს ბედკრული ისტორიის განვითარების შემაფერხებელ ბნელ ძალად და უშანგი ჩხეიძის, ამ უდიდესი შემოქმედის, დაღუპვის მთავარ მიზეზადაც. როსტომ ჩხეიძე თვალს უსწორებს რეალობას, ის სიმართლისათვის იბრძვის, „ზოგიერთისათვის“ ჩვეული ჩახვეული, აღმატებითი შეძახილებითა და ე. წ. ტკბილ-ტკბილი, საამებელი სადღეგრძელოებით მოვლენებს არ აფერადებს და დიდი მსახიობის გარშემო

შექმნილი ინტრიგის ბადის მქსოველი ოსტატი ობობების საზარელ ქმედებათა შედეგს თვალნათლივ გვანახებს. და რა მწარეა ეს სიმართლე!

სულსწრაფად და სულმოუთქმელად კითხულობთ ნიგნის ბოლო თავებსაც, სადაც ეცნობით უშანგი ჩხეიძის მეგობრის — დოდო ანთაძის მიერ მოწყობილ ამბებს: უშანგი ჩხეიძის ავადმყოფობის გაბუქებით ფსიქიატრის მოტყუება — არიქა, საზღვარგარეთ მიგვყავს და შემადრწუნებელი დასკვნა (ლამის შიზოფრენია) დაწერეთო, — ამ მიზეზით უშანგი ჩხეიძის სამხატვრო ხელმძღვანელობის პოსტის ჩამორთმევა, თეატრის დასის დუმილი, დიდი მსახიობის 20-წლიანი კარჩაკეტილობა და სიკვდილი... უახლოესმა მეგობარმა, დოდო ანთაძემ, თეატრის წაღვეების ხელში ჩასაგდებად 30-იანი წლების პოლიტიკურ კურსს დამეგობრებულმა, კომუნისტური იდეოლოგიის „სწორი ხაზის გამტარებელმა“ ისე მოაწყო ყველაფერი, რომ, როგორც როსტომ ჩხეიძე წერს: „ექიმის ცნობა ხელთ ეპყრათ, ისეთი ნაჭედი ტექსტი, სამხატვრო ხელმძღვანელად კი არა, მგონი უშანგის გარეთ ყოფნაც კი საეჭვო უნდა ყოფილიყო. აგერ ამ თანამდებობისათვის აცხადებულნი კაციც თვალნი ედგათ, მარიფათთან ერთად გავლენაც რომ არასოდეს ჰქლებია. აიღებდნენ და დანიშნავდნენ.“

ფსიქიატრთან საქმის მოსაკვარახჭინებლად მისული დოდო ანთაძის თანმხლები — შალვა ლამბაშიძის — „უნებლიე გაბრიყვებაც“ მრავლისმეტყველი ირონიით არის აღბეჭდილი.

როსტომ ჩხეიძე წერს: „ვერ ეგუებოდნენ უშანგის ჩამოცილებას სცენიდან. რამდენიც უნდა ამტკიცონ და იფიცონ, თავისი ნებით ამჯობინა ასეო, ყველას კარგად მოეხსენება, მწვავე, დაუნდობელ ინტრიგებს რომ შესწირვია, უკეთურებას უზიჟიამა და ასე უღმერთოდ დაუზიანებია და ნაუხდენია არამარტო თეატრალური, არამედ საზოგადოებრივ-კულტურული ყოფა.“

მწერალი კოტე მარჯანიშვილის გარშემო ატეხილ დავიდა-რაბასაც ანალიზებს, მას ოსტატურად აქვს გამოყენებული ვახტანგ ტაბლიაშვილის წერილი, სადაც ტრაგიკულად გაისმის დიდი რეჟისორის შეძახილი, დასის შეკრებაზე შალვა ლამბაშიძეს რომ მიმართა: „დამიბრუნე ჩემი ოტელიო!“

„აეკლოთ „ზემდგომი ორგანოები“ კოტე მარჯანიშვილის ძრახვით და, ვიდრე არ გაისტუმრებდნენ, ვერ მოისვენებდნენ, რათა შემდგომ ნიანგის ცრემლებით გამოეთიერებინათ მისი გამოძევებაც და აღსასრულში.“

ამ საზოგადოებას როსტომ ჩხეიძე სამართლიანად უწოდებს „ნეკროფილურს“, რომელსაც სვავის მსგავსად მოსწონს გახრწნილი გვამების დაგემოვნება, ოღონდ სვავისგან განსხვავებით ნეკროფილი თვითვე კლავს და მერე სიამტკბილობს. გულშემატკივრის კითხვაზე, დაუბრუნდებოდა თუ არა სცენას უშანგი, აკაკი ვასაძეს განსხვავებული პასუხი ჰქონდა: „ასე დაემართება ყველას, ვინც ყველას მჯობნობას მოინდომებს.“ ამ წამოცდენილი ფრაზით აკაკი ვასაძე უშანგი ჩხეიძის უპირატესობას აღიარებდა.

მასხედება მიხეილ თუმანიშვილის ფრაზა: „ოიდიპოს მეფეში“ თუ არ არის სადღაც, რომელიღაც ეპიზოდში ოდნავი იუმორი, მაშინ ტრაგედია არ გამოჩნდება... ამაშია საქმე...“ როსტომ ჩხეიძის ნიგნის კითხვისას არის ეპიზოდები, როცა თვალს ცრემლი გადავება, მაგრამ არის კომიკური ეპიზოდებიც და იუმორისტული პასაჟებიც. ეს გახლავთ დახვეწილი, ზომიერი იუმორი. უშანგი ჩხეიძე შემოქმედებითი გზის დასაწყისში მიხეილ ქორელის დადგმაში ერთ-ერთ ემპაქს თამაშობდა, დააკვირდით მწერლის აგებულ ფრაზას: „ყოველ დღე პატარა-

ნად დაიარებოდა რეპეტიციებზე და ერთ და ხან ორ საათსაც სხვებთან ერთად დახტუნაობდა ჩაცუცქული, რის შემდეგაც ყველა „ემმაკს“ მუხლები საგრძნობლად სტკიოდა ხოლმე.“

ემოციური პასაჟებით ქმნის მწერალი კოტე მარჯანიშვილის ფიცხ, არაორდინარულ და ფეთქებად ხასიათს, რომელიც კარგად ჩანს რეპეტიციაზე, და ასკვნის: „კოტე რეპეტიციაზე ცეცხლია მარტო, რომელიც თავის თავს წვავს.“ და უცებ, მკითხველს სიცილი წაგსკდება: „მაგიდაზე ყრია ურიცხვი ნამწვავი პაპიროსის. ეს ალბათ „სიმბოლური ნიშნებია“ მისი ნერვების წვის.“ მოგეხსენებათ ეპიზოდი უშანგი ჩხეიძის ცულუ-ტობისა კულისებში, როცა თავის გამხიარულება გადაწყვიტა და პირში ჩაგუბებულ წყალ-ღვინოს მსახიობებს ასხამდა. როსტომ ჩხეიძე ამ ეპიზოდზე წერს: „რა სახალისოა, არა!.. თვითონ კი ძალზე კმაყოფილი დარჩებოდა და თავს მხოლოდ იმისთვის შეუწყნებოდა, აქამდე რატომ არ მომაფიქრდაო.“

ეს ისტორიული ამბავია, ვინაიდან ამ ეპიზოდის შემდეგ, და არა ამის გამო, დანიშნა კოტე მარჯანიშვილმა 25 წლის მსახიობი ჰამლეტის როლზე. მწერალი მოულოდნელი ბედნიერებით შეფიქრიაწებული უშანგი ჩხეიძის აზრთა ნაკადს სწვდება იუმორით: „საგულისხმოა, რომ ამ პიესაში მანამდეც ეთამამა, ლადო მესხიშვილის დადგამაში, ოღონდ ვერ გაეხსენებინა, გილდენსტერნის როლი თუ როზენკრაცისა.“ ეს ორი პერსონაჟი რამ გაჰყო, ლამისა კომედიური იდენტობით ასდევნიან ერთმანეთს. რაც უნდა გაგიკვირდეთ, ეს შექსპირის იუმორია, რომელსაც მარჯვედ ჩახვდა როსტომ ჩხეიძე.

უშანგი ჩხეიძის თავსდატეხილი დრამა იმდენად დიდი იყო, რომ იუმორმა ვეღარ უშველა მსახიობს და სცენას ჩამოშორდა... მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილი გმირს, უშანგი ჩხეიძის პროტოტიპს, მისივე თხოვნით თანამებრძოლები გულს ამოუღებენ — გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნის“ ამ სიმბოლურ ეპიზოდს როსტომ ჩხეიძე ძალზე ზუსტად და სამართლიანად გამოჰყოფს: „...მზისაგან ნაკვეთი ეს ჭურჭელი, რომელშიც გული მოეთავსებინათ, უშანგის უნდა სჭეროდა ხელთ, და პირველი სიტყვებიც მას უნდა წარმოეთქვა.“

„გრაალის მცველნის“ ეს ეპიზოდი უშანგი ჩხეიძის სცენური ცხოვრების დასასრულის ნინასწარმეტყველებაცაა; ეს ქართველთა ფსიქიკის მოდელია, რომელიც ღვთისაგან გამორჩეულ ადამიანს აიძულებს მკერდიდან გულის ამოგლეჯას და გაიფიქრებ: იქნებ და ამიტომ ვერ ვაღწევთ თავს იმ ბნელეთს, რასაც ქართული პროვინციალიზმი ჰქვია, სადაც კონკურენცია და პაექრობა კი არ წარმართავს ცხოვრებას, არამედ პროგრესული ძალებისა და აზროვნების შემუშავრით, ღვთის მიერ ხელდადებული ადამიანის ჩახშობით, ცივილიზაციას მოკვეთილი ქართული მრავალსაუკუნოვანი რიტუალის შესრულება უფრო გვართობს: ჯერ ვკლავთ და მერე გულიანად დავცხრობთ; სადაც ერთის გამარჯვება მეორის გლოვაა, სადაც საზოგადოება, რომელიც ვერ ხედავს ღვთიურ ნიჭს, ღმერთის ნების სანინააღმდეგოდ მოქმედებს.

როსტომ ჩხეიძე წერს: „და „გრაალის მცველთა“ ის ეპიზოდიც ამიტომაც დამუხტული შინაგანი ვნებითა და ამალღებულის განცდით, რომლის შუაგულიდანაც უნდა ამოიზარდოს უშანგი ჩხეიძე საკულტო ჭურჭლით ხელში, ქვეყნისათვის თავდადებული ჭაბუკის გული რომ ასვენია და ამიტომაც რჩება ის ჭურჭელი სინმინდის, შეუბღალაობის, თვითმყოფადობისა და გაუტყებლობის სიმბოლოდ.“

მოიყვანს თუ არა მწერლის მიერ მოთხრობილი უშანგი ჩხეიძის ტრაგიკული ისტორია, ქართველთა მიერვე გადახრულ-გახრიოკებულ ბრძოლის ველზე წვიმას? ალბათ კი, რადგან ეს კათარზისით გამოწვეული ცრემლების წვიმაა, რომელიც ქართველი ერის თვითგამორკვევის საფუძველს ასაზრდოებს და იმედს გიტოვებთ, შხამიანი გველებისა და ტარანტულების უდაბნოში ნიჭით გასხივოსნებულ მსხვერპლთა სასიცოცხლო ოაზისის ძალაზე. ამ ოაზისში ამაყად მდგარი როსტომ ჩხეიძე გვეუბნება: სირაქლემას სინდრომით ნუ დაი-

ავადებთ თავს, უღირსებზე დითირამბებს ბოლო უნდა მოვლოს და უჩვენეთ მომავალს, რანი ვართ და რანი ვიყავით. აღმოთქვით ის ვითომდა საიდუმლოებანი, რომელნიც ვიცით, მაგრამ არ ვაღიარებთ! აღმოთქვით ის, რაც ერის თვითგამორკვევას ხელს უშლის და სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მსვლელობის ჭეშმარიტ მისიას ჩრდილს აყენებს.

უნებურად მახსენდება ჟან-პოლ სარტრის პიესა „ალტონის ტყვეები“, სადაც ერთ-ერთი თემა ფაშიზმის შემდგომი პერიოდის ცნობიერების თვითგამორკვევაა. იტალიელი რეჟისორის ვიტორიო დე სიკას ამავე სახელწოდების ფილმში ერთ-ერთი გმირი ამბობს: „გახსოვთ გოეთეს სიტყვები: ვინც წარსულს ვერ ჩახვდა, მისი ხელახალი განცდისთვის არის განწირული.“ ხელახალი განცდა, ხელახლად შეცდომის დაშვებაა, რომელიც დემონური ძალებით ასაზრდოებს იმ ადამიანს, ვისაც სხვის ბედნიერებაზე გლოვა, სხვის გამარჯვებაზე წუხილი, ცხოვრების კრედოდ დაუსახავს — აბა სხვაგვარად ვერ ვიცოცხლებთ, ვერ ვიარსებებთ, ამბობენ ისინი და თანამედროვე ფაბრიკებში წარმოებული ხელოვნური ქსოვილით დაწნული დაფნის გვირგვინებით თავდადებული განაგრძობენ ბაკის ქალების გზას, რომელნიც ორფეოსის დასაგლეჯად ყოველთვის მზად არიან.

როსტომ ჩხეიძის წიგნის „გადამწვარი მზის“ პერსონაჟი უშანგი ჩხეიძე სწორედ რომ ის ორფეოსია, რომლის ჯადოსნური სიმღერა ჰადესის სამეფოსაც კი ატყვევებდა და გაიფიქრებ, მართლაც რომ არ ცდებოდნენ როდენი თუ მარჯანიშვილი, როცა იაკობ ნიკოლაძეს თუ უშანგი ჩხეიძეს თუ სხვათა მრავალთ „ბუნების სიმღერას“ ასწავლიდნენ. „მრავალნი არიან ნოდებულ და მცირედნი რჩეულ“ — ბიბლიის ამ ფრაზას შთაუგონებია როსტომ ჩხეიძე და რჩეული შემოქმედის რჩეული ხოტბაც გაუნდვია მკითხველისთვის.

P.S.

ფრიად მეამა, როცა ჩემი ნაქები წიგნის ფინალურ წერილთა ავტორების — ნოდარ გურაბანიძისა და ნინო ვახანიას — მოსაზრებანი ნავიკითხე „გადამწვარი მზის“ შესახებ. ნინო ვახანიას „ორი დღე იმერეთში“ სიკეთითა და სითბოთი გამთბარიყო და ავტორი წერილის დასაწყისში უშანგი ჩხეიძისა და ოთარ ჩხეიძის ერთი და იმავე დაბადების თარიღს — 28 ნოემბერს — დაეფიქრებინა სიმბოლური თვალსაზრისით. იმასაც აღნიშნავდა, იუბილეზე მზიანი შემოდგომის დღე იდგაო. როცა თქვენი მონა-მორჩილი უშანგი ჩხეიძის იუბილეზე ზესტაფონში გახლდით, მაშინაც მზიანი დარი იდგა და მეც გავიფიქრე — დღეს ხომ ბატონი ოთარ ჩხეიძის დაბადების დღეა!.. სიამაყით ამევსო გული, ვინაიდან ოთარ ჩხეიძე ჩემთვის წარმოადგენდა მოაზროვნეს, რომლის იქით ძე-ხორციელი არა იყო რა. იმ დღეს ძალიან მეამაყებოდა ჩხეიძეები, ვინაიდან ლეგენდადქცეულ უშანგი ჩხეიძის პორტრეტების შემყურე ხალხმა და მისი ხმით გაჟღერნილმა ოთარ-ტყემა ისეთი შემოქმედებითი ენერჯითი დამუხტა თავყრილობა, რომ თითქოს მთელი საქართველო იდგა ფეხზე და ტაშს უკრავდა სცენაზე მდგომ თავდახრილ მსახიობს.

გამოცდილი თეატრმცოდნე — ნოდარ გურაბანიძე — როსტომ ჩხეიძის წიგნის სახოტბოდ ჩვეულ პროფესიონალიზმს არ იშურებდა და მწერლის ღირსებებს, მამის — ოთარ ჩხეიძისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ნიშან-თვისებებში ეძებდა: „ყმანვილობიდან მოყოლებული ხედავდა სახელოვანი მამის, ოთარ ჩხეიძის, შეუდრეკელ ზნეობრივ სიმამაცეს, უკომპრომიზობას და მის ბრძოლას დროისა და თეატრალურ სამყაროში გამეფებული უკულმართობის წინააღმდეგ.“

ამ ფრაზის ნაკითხვისას გავიფიქრე: მართლაც ჭეშმარიტებას ლაღადებს ბატონი ნოდარი, მაგრამ ხალხს უთქვამს: კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოდინდებისო... როსტომ ჩხეიძეს ჭურჭელში სურნელოვანი ღვინო ჩაუხსამს და არა წყალი, თუნდაც ანკარა. და ამ ჭურჭლიდან შესმული მწერლის ფიქრები დიონისეს ძალით გასხივოსნებულ ადამიანს აჯერებს უშანგი ჩხეიძის ფერფლად ქცევისა და მისი ხელმეორედ დაბადების შესახებ.

პროექტი „მომავლის მწერალი“

2014 წლის 1 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ფონდ „საზოგადოებრივ თანადგომასთან“ ერთად საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში პროექტი „მომავლის მწერალი“ განახორციელა. პროექტი პირველ ეტაპზე საქართველოს შემდეგ რეგიონებში ჩატარდა: მცხეთა-მთიანეთში (დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის მუნიციპალიტეტები) რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში (ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტები) სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარესა (მესტია) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (ხულო, შუახევი, ქედა).

პროექტი ითვალისწინებდა ლიტერატურული კონკურსის ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამ რეგიონთა მე-10, მე-11 და მე-12 კლასის 200-მდე მოსწავლემ. კონკურსის წესების თანახმად, მონაწილეებს განსაზღვრულ ვადაში უნდა დაენერათ პროზაული ნაწარმოებები. თემები და სათაურები ცნობილი გახდა უშუალოდ კონკურსის დაწყების წინ.

ჰყავს თუ არა ყველა რეგიონს რჩეული, როგორ გაართვინა თავი კონკურსანტებმა ექსტრემალურ ვითარებაში მუშაობას, ვიპოვეთ თუ არა მომავლის მწერლები, ამაზე მონაწილეთა ნამუშევრები მოგვიყვებიან. უიუმრემ უკვე გამოავლინა 7 ფინალისტი:

გიორგი ჭინჭარაული — დუშეთი; მარი პატარაშვილი — დუშეთი; მარიამ ნინაშვილი — თიანეთი; ვიქტორ ჯვალაძე — ამბროლაური; ნინო ქუშაშვილი — ყაზბეგი; თემურ ზოიძე — ხულო; ნათია გოლეთიანი — ცაგერი;

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან: **ნათია ციგრიანი — დუშეთი; ომარ ჩხეიძე — ქედა.**

I, II და III ადგილზე გასულთა ვინაობა ცნობილი გახდა დაჯილდოების ცერემონიაზე. იყო კიდევ არაერთი სიურპრიზი და მოულოდნელობა.

I ადგილი — ვიქტორ ჯვალაძე.

II ადგილი — მარი პატარაშვილი.

III ადგილი — გიორგი ჭინჭარაული.

მათი მოთხრობები გამოქვეყნდა „ლიტერატურული გაზეთის“ წლებიდან 20 ივნისის ნომერში.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

პროექტის იდეა უცერად, ერთ დღეში არ გაჩენილა. ძალიან დიდი ხანია ვფიქრობ მთაზე, იქ მცხოვრებ ადამიანებზე, მთის პრობლემებზე. ყველაფერს თავისი დრო აქვს — სათქმელ სიტყვასაც და განსახორციელებელ საქმესაც.

ბატონი გურამ ოდიშარიას კულტურის მინისტრად მოსვლა ჩემთვის მისი ერთი მნიშვნელოვანი მესიჯით დაიწყო. სიტყვებით — „ძალიან სევდიანია ჩვენი სოფლები...“

თითქოს არაფერი თქმულა ახალი საქართველოს რეგიონების, მთისა და სოფლის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ახალი იყო აქცენტის დასმა და საკითხის პრიორიტეტად დაყენება. ამ შთაგონებით, ამ ბიძგიტო იქცა დიდი ხნის ფიქრი და იდეა კონცეფციად — პროექტად, სახელწოდებით — „მომავლის მწერალი“.

პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების თავისუფალი და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე ზრუნვა, საზოგადოებისთვის მათი მწერლური ნიჭის გაცნობა და ნახალისება, ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ მსგავს კულტურულ პროცესებში ჩართულობა მათ მშობლიურ სოფელში დარჩენის ან სწავლის შემდეგ უკან დაბრუნების სურვილს გაუღვივებთ. პროექტმა დაცლის პირას მყოფი სოფლების მიგრაციის პროცესს ოდნავ მაინც რომ შეუშალოს ხელი, ეს უკვე მართლაც დიდი და კეთილი საქმე იქნება. ამავე აზრისაა ადგილობრივი მოსახლეობაც; მათი თქმით, ასეთი საინტერესო ღონისძიებები უფრო ხშირად რომ ტარდებოდა, მთა არ დაიცლებოდა.



„მეშინია, როცა გავიზრდები, ქალაქში გავეთხოვდები, მეშინია რომ ჩემი შვილები ვერ იგრძნობენ იმას, რასაც მე ვგრძნობ ვალდებულებისას, სუფთა, კრიალა ჰაერის ჩასუნთქვისას — მზის სხივი რომ სახეზე მეთამაშება, ვერ მოუსმენენ არაგვის ხმას, ვერ დაინახავენ თოვლით დაფარულ მწვერვალებს, თეთრ ღრუბლებს ლურჯ ცაზე...“

ვერ იგრძნობენ... მე ვგრძნობ... ვგრძნობ თავისუფლებას... ის მხოლოდ მთებშია.

მეშინია და არ ნავალ, არსად არ ნავალ!!!“ — ეს ჩვენი კონკურსის ერთ-ერთი მონაწილის, 15 წლის გოგონას სიტყვებია. ამ ტკივილზე სხვა ბავშვებმაც დაწერეს, რაც ნიშნავს, რომ ეს პრობლემა ახალი თაობის ადამიანებსაც ანუხებთ და ფიქრობენ მასზე.

ყოველი ახალი იდეა დასაწყისში, ვიდრე საქმედ იქცეოდეს, უამრავ კითხვას ბადებს; საქმის დაწყების შემდეგაც არაერთი წინააღმდეგობა ჩნდება. ამ მხრივ არც ჩვენი პროექტი ყოფილა გამონაკლისი — ჩვენც ნავეანყდით მოულოდნელ პრობლემებს, გაუთვალისწინებელ წინააღმდეგობებს, გვექონდა ამა თუ იმ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ამ ბავშვების გულწრფელობამ და სიხარულისგან გაბრწყინებულმა თვალებმა დაგვანახეს, რომ სწორი გზით მივდიოდით და კარგ საქმეს ვაკეთებდით.

სხვა ლიტერატურული კონკურსებისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად დიდ ქალაქებში ტარდება (ასევე ონლაინრეჟიმში), „მომავლის მწერალი“ იმით განსხვავდება, რომ ამ პროექტში ორგანიზატორები თვითონვე მიდიან მონაწილეთთან, ეძებენ მათ საკუთარ სოფლებში, სკოლებსა თუ ბიბლიოთეკებში და ლამის სახლებშიც. გავითვალისწინეთ მაღალმთიანი რეგიონების პრობლემები — მატერიალური სიდუხჭირე, კომუნიკაციის სიმწირე, ინფორმაციული ვაკუუმი, ცენტრისგან მოწყვეტილობა და თვითვე ჩავედით მათთან, რომ გვეპოვა ისინი და მხარში ამოვდგომოდით. იმის მოლოდინი ნამდვილად არ გვექონია, რომ ამ პროექტით 21-ე საუკუნის ვაჟა-ფშაველას აღმოვაჩინდით (თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს), მაგრამ თუ ამ ბავშვებს გავუხალისებთ ყოფას, გავუღვივებთ იმედს, სწორი სურვილს, კითხვისა და ნიგნთან დამეგობრების ინტერესს გავუჩინებთ, ვფიქრობთ, ესეც დიდი საქმეა.

მითუმეტეს, რომ ზოგადი სურათი, და არცთუ სახარბიელო, უკვე გამოიკვეთა — ახალგაზრდები მთაშიც (ისევე როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით), ძალიან ცოტას კითხულობენ, არ იცნობენ არც ქართველ და არც უცხოელ მწერლებს; ამასთან, ნამუშევრებზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანდა, თუ რამდენად უარყოფით გავლენას ახდენს ტელევიზიონები მათ სულიერ განვითარებასა და აზროვნებაზე. ბევრ მუნიციპალიტეტში დახურულია ბიბლიოთეკები, მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება წიგნებსა და ლიტერატურულ პერიოდიკაზე.

სწორედ ამიტომ, იმ მოკლე დროში, ვიდრე ამა თუ იმ რეგიონს ვსტუმრობდით, სპონტანურად, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთგვარ აგიტაცია-პროპაგანდასაც ვენეოდით წიგნიერებისა და, ზოგადად, მხატვრული ლიტერატურის როლზე ადამიანის ცხოვრებაში; ბავშვებს ვესაუბრებოდით ქართველ და უცხოელ მწერლებზე, ვურჩევდით ავტორებს. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ პროექტი გაგრძელდება და ის ძალის-

ხმევა და მონდომება, რაც თითოეულმა მისმა მონაწილემ ჩავდეთ ამ პროექტში, უკეთესობისკენ შეცვლის არსებულ ვითარებას.

იმისათვის, რომ ბავშვებს წერის დროს ბუნებრივად და მყუდროდ ეგრძნოთ თავი, ყველაფერს ვაკეთებდით; ვეუბნებოდით, რომ ეს შემოქმედებითი ფორმატის კონკურსია, სადაც უნდა გათავისუფლებულიყვნენ „სასკოლო“ ჩვევებისგან, სადაც „სუფთა წერა“, კალიგრაფია და ორთოგრაფია კი არ განსაზღვრავდა წარმატებას, არამედ თავისუფალი აზროვნება, შემოქმედებითი უნარი; დაძაბულობისა და სტრესის მოსახსნელადაც სრული თავისუფლება მივანიჭეთ — შეეძლოთ, სურვილისამებრ, გასულიყვნენ ჩაკეტილი სივრციდან ეზოებში, სხვა ოთახებში (კონკურსი უმთავრესად სკოლის შენობებსა და ბიბლიოთეკებში ტარდებოდა და, საბედნიეროდ, ამინდიც საუკეთესო დაგვემთხვა), განმარტოებულიყვნენ და იქ მიეცათ გასაქანი თავიანთი ნიჭისთვის. საბოლოოდ, ვფიქრობთ, მთავარ მოთხოვნას კონკურსანტებმა მეტ-ნაკლებად გაართვეს თავი.

პროექტის განმავლობაში ბევრი საინტერესო და დასამახსოვრებელი ფაქტი მოხდა.

არ შემიძლია არაფერი ვთქვა იმ ორ რაჭველ თავხეხილ ბიჭზე, რომლებზეც ვერც მასწავლებლები და ვერც სკოლის დირექტორი ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ წერა შეეძლოთ; ამიტომ კონკურსზე არც მოუწვევიათ. არადა, თურმე ჩუმჩუმად წერდნენ თავიანთ ბიჭურ, კაცურ საფიქრალზე; იმაზე, რომ ბიჭობა ძნელია და თავის დამკვიდრებისთვის ბევრი ბრძოლა უნევთ; იმაზე, რომ მოწყენილ და სიცოცხლეჩამკვდარ დაბაში დიდი საშიშროებაა გახდეს ნარკომანი; რომ სწავლას უფულობის გამო ვერ გააგრძელებენ და ამიტომ წინასწარ ხელი აქვთ ჩაქნული; იმაზე, რომ იაპონური პოეზია ყველაზე ლამაზი პოეზიაა მსოფლიოში და რომ ორივეს ნითური და ჭორფლიანი გოგონები მოსწონს... მოვიდნენ და, თუ შეიძლება ჩვენც დავწეროთ გვთხოვეს. ყველა გაკვირვებული დარჩა, ხომ გეუბნებით — სკოლის, ამბროლაურისა და ლამის მთელი რაჭის ამკლებ ბიჭებზეა საუბარი.

ცხადია, სიხარულით ჩავსვით სიაში. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ადრე დაამთავრეს წერა, კონკურსის დასრულებამდე არსად წასულან, იქვე, სკოლის ეზოში ტრიალებდნენ, წამოსვლისას კი მადლობა გადაგვიხადეს და ინტერესით გვეკითხებოდნენ, როდის იქნება შედეგები, თქვენ დაგვირეკავთ თუ ჩვენ უნდა დაგვიკავშირდეთო.

ძალიან ბედნიერები წამოვდით, იმ იმედით, რომ მათ რაღაც ახლის და საინტერესოს მოლოდინი დავუტოვეთ... ხვალ იქნებ უფრო მეტის შეცვლაც შეეძლოთ ამ ბავშვების ცხოვრებაში. „მომავლის მწერლის“ მიზანიც სწორედ ესაა — მოზარდებს საკუთარი თავის ძიებასა და აღმოჩენაში დაეხმაროს, წახალისოს, მომავლის იმედი ჩაუსახოს, წიგნი შეაყვაროს და წერის სურვილი გაუჩინოს.

პროექტმა კიდევ სხვა ბევრ რამეზეც დაგვაფიქრა. თუნდაც იმაზე, რომ უფრო ფართო სპექტრით მოხდეს მთაში მცხოვრებ მოზარდთა ყოფის გაშუქება, იცოდეს ქვეყანამ, თუ რა ღირებულებანი აქვთ მათ, რას ფიქრობენ ანმყოზე, მომავალზე, საკუთარი სოფლის, მხარის განვითარებაზე; როგორ ესახებათ იმ პრობლემების მოგვარება, რომელსაც ხედავენ, არიან თუ არა ისინი მთაში შემორჩენილი ადათ-წესების გამგრძელებლები, რას ნიშნავს მათთვის სამშობლოს სიყვარული და ქვეყნის დაკარგული ტერიტორიები, ის ტერიტორიები, სადაც არასდროს დაუდგამთ ფეხი და არც თვალთ უნახავთ (მაგრამ თურმე როგორ ადარდებთ!)... ამ და კიდევ ბევრ სხვა საჭირობოტო თემაზე ალბათ ნამდვილად ღირს მათი აზრის გაგება და გათვალისწინება. „მომავლის მწერალი“, შეიძლება ითქვას, ამ კუთხითაც გადადგა პირველი ნაბიჯები. ვიმედოვნებთ, მას მიმდევრები აუცილებლად გამოუჩნდება და ის დროც ნამდვილად დადგება, როდესაც ჩვენი სოფლები „სევდიანი“ აღარ იქნება.

ირმა ბერიძე
*პროექტის „მომავლის მწერალი“
იდეისა და კონცეფციის ავტორი*

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია მომდევნო ნომერში მკითხველს შესთავაზებს **ომარ ჩხეიძის, მარიამ ნინაშვილის, შოთა ჩარქველიანისა და ნინო უგრეხელიძის** მოთხრობებს.

ნოდარ გურაბანიძე

სამყარო თეატრალის თვალთ

**„წანტასტიკური აღამიანი, პატრიარქი,
პალატის სამყაროს გიზანტი“**

ჟაკ დ'ამბუაზი

სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული ჯორჯ ბალანჩინი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. სახელგანთქმული მკურნალები ვერაფრით მიხვდნენ თუ რატომ იტანჯებოდა დიდი მანესტრო („E.F“) ესოდენ გაუსაძლისი ტკივილებით... რუხველტის საავადმყოფოში მომაკვდავს, მუდმივი კონვულსიებით უსასოოდ მწოლიარეს ხშირად ნახულობდნენ მისი ბალეტის ვარსკვლავები. პრიმა-ბალერინა მარია ტოლჩიფი იგონებდა: „შევედი მასთან პალატაში და დავინახე, რომ თითებს ათამაშებდა. შემომხედა და მითხრა: „მე „პა“-ს ვთხზავო“. მის სანახავად ყოველდღე დადიოდა მისი ალზრდილი, რომელიც თხუთმეტი წლისა უკვე დასის სოლისტი გახდა და შემდეგ — ბალანჩინის „ნიუ-იორკ სიტი ბალეს“ პრემიერი ოცდაათი წლის მანძილზე, ჟაკ დ'ამბუაზი. ერთ დღეს ჟაკი მის სანახავად მოვიდა, ბალანჩინის უკანასკნელ საყვარელ კარენ ფონ აროლდიგენტან ერთად. ბალანჩინი გაუნძრევლად იწვა სანოლზე, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. შემდეგ მოულოდნელად გაახილა თვალი, შეხედა თავის სოლისტებს და თქვა: „მე თქვენთვის ვთხზავ ბალეტს ვივალდის „ქორალის“ მიხედვით. სწორედ ამაზე ვფიქრობ ახლა. თქვენ იცეკვებთ ამ ბალეტში? — რასაკვირველია — უპასუხა დ'ამბუაზმა.

კარენმა და ჟაკმა ჰოსპიტლის პატარა პალატაში დაიწყეს ცეკვა...

„E.F“ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბალეტით ცოცხლობდა...*

ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან 110 წელი მსოფლიო საბალეტო სამყარომ დიდი მასშტაბით აღნიშნა, ხოლო ჟაკ დ'ამბუაზი ახლა ოთხმოცი წლისაა. კვლავ აქტიურ ცხოვრებას ეწევა, მინიჭებული აქვს თერთმეტი სადოქტორო ხარისხი, პროფესორია, დეკანი და ხელმძღვანელი მის მიერვე დაარსებული საბალეტო სკოლისა, წერს სტატიებსა და მონოგრაფებს. დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჯორჯ ბალანჩინზე მისმა მოგონებებმა, რომელიც უმაღლეს იქცა ბესტსელერად. სწორედ ამ მოგონებათა წყალობით შევიტყვე, რომ ბალანჩინი კიბოთი კი არ მომკვდარა, როგორც ვარაუდობდნენ ექიმები (ამის შესახებ წერდა ცნობილი ჟურნალისტი მელორ სტურუა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობდა),

* იხ. ნ. გურაბანიძე „დიდი ბი“-ს პარადოქსები და ვნებები“. „ომეგა“, №1, 2004


არამედ ე.წ. „ძროხის ცოფით“ (დიდი ვაჟა-ფშაველას სიკვდილის მიზეზი გამახსენდა).

სწორედ ჟაკი იყო ის მოცეკვავე, ვისაც გარდაცვალებამდე მცირე ხნით გონზე მოსულმა ბალანჩინმა უთხრა: „ჟაკ, ჩემს შემდეგ ყველაფერი სხვანაირად იქნება“, და ნებას რთავდა — თავისუფლად მოექცეოდა ჩემს ქორეოგრაფიასო. ამ მოგონების მიხედვით ჩანს ჯ. ბალანჩინის წარმოუდგენელი (ბალეტის სამყაროში წარმოუდგენელი) უანგარობა. იგი უსასყიდლოდ მართავდა „მასტერ კლასებს“, არ ითხოვდა ჰონორარს მათგან, ვინც მის ქორეოგრაფიულ ოპუსებს სხვადასხვა დასთან დგამდა. მეტიც, თვით ჟაკის აღიარებით, ბალანჩინის რეპერტუარით მთელ ამერიკას შემოვივლიდი გასტროლებით, ისე, რომ ხშირად არც ვეკითხებოდი მეტრსო. „ფულზე ლაპარაკი ზღუდავს ტალანტს — ამბობდა ბალანჩინი — არავის ძალუძს შემოქმედებითი პროცესის შეფასება დოლარებით. „მე რომ ჰოლივუდში და ბროდვეიზე დავრჩენილიყავი, ჯერომ რობინსივით მილიონერი ვიქნებოდი“ — ამბობდა ხოლმე: „ბალეტზე უნდა ვილაპარაკოთ ესთეტიკური პოზიციებიდან“.

ახლა ბალანჩინის ქორეოგრაფია დიდი ბიზნესის წყაროდაა ქცეული, მისი შემოქმედება ათასობით ადამიანს არჩენს. მაგრამ „ბალანჩინზაცია“ უკვე უკიდურეს ზღვარს მიახლნია. თითქმის მსოფლიოს ყველა დიდი საბალეტო დასის რეპერტუარში მისი ორი-სამი ქმნილება არის. მაგრამ საგულალო ისაა, რომ მაყურებელი უყურებს გენიალური ქორეოგრაფიის მხოლოდ „ტიქსტს“, ხოლო მისი სული გამქრალია. ამ საფრთხის შესახებ წერდა მთელ საბჭოთა საბალეტო სივრცეში აღიარებული პირველი „ბალანჩინისტი“ გოგი ალექსიძე მშვენიერ ნიგში „ბალეტი ცვალებად სამყაროში“.

ჟაკ დ'ამბუაზის აზრით ბალანჩინი ჩვენს ალტაცებას ინეგდა არა მხოლოდ იმის გამო, რომ მას შეეძლო ცეკვაში გამოეხატა ყველა ადამიანური გრძობა — ბედნიერება, სიხარული, სევდა, შურიანობა, არც იმიტომ, რომ მრავალი მოცეკვავის ნიჭიერება გაიხსნა და გაიფურჩქნა მისი ხელმძღვანელობით, არამედ იმიტომაც, რომ თავისი ხელოვნებით გვასწავლიდა ლამაზად ცხოვრებას, ქალის პატივისცემასა და გაღმერთებასაც კი. „კარგი ბალეტი რომ შექმნა — გვეუბნებოდა ხოლმე — ლამაზი ქალები უნდა გიყვარდეთ, ბალეტი ქალთა სამყაროა, სადაც მამაკაცი მხოლოდ საპატიო სტუმარია“. მისი სიყვარული ქალებისადმი განსაცვიფრებელი იყო. ქალში მას უყვარდა არა დედა ან სატრფო, მისი ხატი იყო ქალი-ბალერინა და თვითონაც ცდილობდა ამ ქალის შესაფერი ყოფილიყო. სიყვარული მისთვის რაღაც ნერტილი ან კულმინაცია კი არა, არამედ არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა გახლდათ“.

ბალანჩინის პირველი ბალეტი ამერიკაში — პ. ჩაიკოვსკის „სერენადა“, რაც სწორედ ქალის სხეულის, მისი პლასტიკის, ასკეტური სილამაზისა და მუსიკალურობის აპოლოგიაა, სადაც ყველაფერი ემორჩილება სიმეტრიასა და პროპორციებს და სადაც მოცეკვავე ქალის სხეულს დაკარგული აქვს მატერილობა უჩვეულო ჰაეროვნებისა და ანგელოზური განურჩევლობის გამო — სწორედ ზემომოყვანილ სიტყვებს ადასტურებს. ამ შედეგით მოხიბლული ვფიქრობდი — დავძენ ჩემი მხრივ, რომ ეს ბალეტი ერთი ამოსუნთქვით, გენიალური ეიზონითაა შექმნილი, მაგრამ თურმე ვცდებოდი. დ'ამბუაზი „სერენადის“ შექმნის ისტორიას ასე გადმოგვცემს: „ჯერ კიდევ არ იყვნენ დაოსტატებულნი მისი პირველი შეგირდები, გვაკლდნენ ბიჭები. „კლასის“ დამთავრების შემდეგ ჯორჯი ამბობდა „დარჩეს, ვისაც შეუძლია!“ პირველად მხოლოდ ხუთი გოგონა დარჩა. ძალიან კარგი! ამ მოცეკვავეებთან დგამდა ბალეტის ერთ ფრაგმენტს. მეორე დღეს უკვე ოცი გოგონა დარჩა, ახლა მათთვის დგამდა ახალ კომპოზიციას, მასობრივი სცენის ერთ მონაკვეთს. ერთხელ მხოლოდ ერთი ყმანვილი დარჩა და ბალანჩინმა შეთხზა ასეთი სცენა: მამაკაცი, თითქ-



მის ბრმა! ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს, მაგრამ მშვენიერი ქალის (რომელსაც დაჰყავს იგი სცენაზე) სილამაზის წყალობით სწავლობს თუ როგორ უნდა ჩასწვდეს სამყაროს საიდუმლოს. ეს უკვე დრამა იყო! მაგრამ არა პირდაპირ გამოხატული, არამედ მინიშნებებით, შეგრძნებებით... ვინც დარბაზში რჩებოდა მათთვის იდგმებოდა „სერენადა“. ამიტომ შედგება მთელი ბალეტი განწყობილებათა სინკოპისაგან. მასში ნაკლებია რთული, ვირტუოზული მოძრაობანი, ძირითადად მსუბუქი, ჰაეროვანი გადარბენები დიაგონალზე და ხელების რაღაც მიუწვდომელი სილამაზის მოძრაობა, კორპუსის პლასტიკა. ყველაფერი ეს კი შეთხზულია უებრო გემოვნებით, ულამაზესი მანერებით და... ქალის სიყვარულით“.

ამიტომაცაა განუმეორებელი ჯორჯ ბალანჩინი. მისი ბალეტების შენარჩუნება შეუძლებელია, დაბეჯითებით ამბობს ჟაკ დ'ამბუაზი, რომელსაც ბალანჩინმა ყველაზე მეტი ბალეტი დაუდგა, და ამის დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითი მოჰყავს. ერთი ასეთია: „ბალანჩინმა დადგა წარმოუდგენელი სილამაზის ცეკვა — პ.ჩაიკოვსკის პა-დე-დე, შესასრულებლად ძალიან რთული. მოცეკვავეები განუწყვეტელივ მოძრაობენ, ისინი დაფრინავენ და ხტიან მსუბუქი ბრუნვებით. ახლა ყველას უნდა იყოს „მოხტუნავე ბურთი“ მაგრამ ცეკვა აღარაა, არის მხოლოდ მოძრაობათა წყება. ჯორჯი იყო რომანტიკოსი და კეთილშობილური მანერების მაგალითი. დღეს ერთიც გამქრალია და მეორეც“.

ჰქონდა კუზი რიჩარდ მესამეს?

ინგლისის ქალაქ ლეისტერის ავტოსადგომის კეთილმონყობის სამუშაოებისას, მინის სიღრმეში აღმოაჩინეს ინგლისის ძღვევამოსილი მონარქის, რიჩარდ მესამის ჩონჩხი (2012 წელს). ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ ეს სწორედ რიჩარდის ჩონჩხი იყო. ექსპერტიზამ კი დაამტკიცა: თურმე რიჩარდი საესებით ჯანმრთელი გარდაიცვალა, მხოლოდ სკოლიოზით ყოფილა დაავადებული ანუ ერთი მხარი მეორეზე მაღალი ჰქონია. მას არც გამხმარი ცალი ხელი ჰქონია და არც კუზი. თავის ქალის და სახის რეკონსტრუქციამ კი ცხადჰყო, რომ იგი ერთობ სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი ყოფილა.

შექსპირი, როგორც ჩანს, ეყრდნობოდა ოფიციალურ ჟამთაღმწერთა ცნობებს რიჩარდის, ამ „სისხლით გაუმადლარი ტახის“, მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო და ტომას მორის აღწერილობას, რომლის მიხედვითაც იგი ვითომ საშინელი გარეგნობის მამაკაცი ყოფილა.

სინამდვილეში ჯერ კიდევ ვიქტორიასეულ ეპოქაში აღმოჩნდა ცნობები, რომელთაც დაამტკიცეს, რომ ტიუდორთა ერთგულმა ისტორიკოსებმა საშინლად გააყალბეს სინამდვილე და ყველა ავკაცობა, რაც მისმა ძმებმა — ედუარდმა, კლარენსმა, ლორდმა რიჩმონდმა, შემდგომ მეფე ჰენრი VIII-ემ (რობერტ სტურუას სპექტაკლში ჩრდილივით რომ დაჰყვება რიჩარდს და ფინალში კი ორთაბრძოლისას ჰკლავს) ყველაფერი მას მიაწერეს.

ტირანისა და უზურპატორის სახის შესაქმნელად კი შექსპირს რიჩარდის სწორედ ისეთი პორტრეტი აძლევდა ხელს, როგორც მურისა და ტიუდორთა ცნობებში იყო დახატული...

...ლონდონში რუსთაველის თეატრის გასტროლებისას შევიტყვეთ, რომ ბრიტანეთში არსებობს რიჩარდ მესამის საზოგადოება, რომელიც ყოველწლიურად ცდილობს გონიერი და მებრძოლი მეფის ღირსების დაცვას. ამ საზოგადოების წარმომადგენლები გვეწვივნენ ლონდონის „რაუნდ ჰაუზში“ პრემიერამდე ორი დღით ადრე და თავიანთი პოზიციები და პრეტენზიები გაგვაცნეს... როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ისინი საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას წარმოადგენენ და თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც თავიანთ მიზანს აღწევენ კიდევ, რამაც ლოურენს ოლივიეს ათქმევინა: „ძალზე საწყენი იქნება თუ შექსპირის ამ პიესის დადგმასა და ეკრანიზაციას აკრძალავენ. ეს ხომ შესანიშნავი პიესაა“. იენ მაკელენის თქმით კი: „შექსპირი არ წერდა სარწმუნო ისტორიებს, არ აინტერესებდა დოკუმენტალისტიკა... რიჩარდი ყველაზე საშინელია არასოდეს არსებულ ადამიანთა შორის. ამიტომაც იქცა არქეტიპად, მითოლოგიურ ტირანად. იგი დესპოტია და, ყველაფრის მიუხედავად, კვლავ იქნება სამაგალითო მომავლის არაერთი რეალური დიქტატორისთვის“.

...„რაუნდ ჰაუზში“ სპექტაკლს დაესწრნენ „რიჩარდ მესამის საზოგადოების“ წევრები და, რა საოცრებაც უნდა იყოს, პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. ჩემი ვარაუდით ამის ახსნა ასე შეიძლება... რ. სტურუას სპექტაკლის დასაწყისშივე, რჩიკვადის რიჩარდი შემოდის ნელში გამართული, მხნე, მომხიზვლელი ღიმილით სახეზე. მაყურებლისკენ მოემართებოდა ძლიერი მამაკაცი, მეომარი, შავი ჩექმების რკინის ქუსლების ძლიერი ცემით, შემდეგ სწრაფად დაიხრებოდა, იატაკიდან აიღებდა რკინის ხელჯოხს და მყისიერად გადაიქცეოდა მახინჯ და კუზინან მამაკაცად, ასე რომ, რ. სტურუა — რ. ჩიკვადე ამ დადგმაში ტომას მურის და ტიუდორთა ისტორიკოსების ერთგულიც იყო და, განსაკუთრებით, შექსპირის პოეტური გენიის. აქ შეიძლება გავიმეოროთ ვოლტერის სიტყვები რაბლეზე „აი, რატომ არის ჭეშმარიტად პოეტური უფროვე ჭეშმარიტი, ვინემ ჭეშმარიტად ისტორიული, და პოეტნი საერთოდ, ნაკლებ ცრუობენ, ვინემ აღმწერენ, ანუ, ისტორიკოს-მემატეანენ“.

სწორედ შექსპირის განსაცვიფრებელმა წარმოსახვამ და უნაკლო პოეტურმა ნიჭმა აქცია რიჩარდის სახე მსახიობთათვის ყველაზე მიმზიდველ როლად და, საოცარია, ამ მახინჯ უზურპატორს სწორედ ის მსახიობები თამაშობდნენ შეუდარებლად, რომლებიც მოუგერიებელ ქარიზმატულ მომხიზვლელობასაც და სექსუალურ ძალმოსილებასაც ფლობდნენ ამავდროულად. ასეთი იყო, გადმოცემის თანახმად, ამ როლის პირველი შემსრულებელი, შექსპირის „გლობუსის“ პროტაგონისტი, რიჩარდ ბერბიჯი, ჩვენ დროში კი — ლოურენს ოლივიე და რამაზ ჩიკვადე. შემთხვევითი არც ის არის, რომ გარეგნულად მახინჯი ადამიანის როლის შემსრულებელი ყველაზე მეტად იზიდავდნენ მშვენიერ ქალებს. სხვათაშორის, თუ პიტერ აკ-

როიდს დავუჯერებთ, შექსპირსაც „მოსწონდა ამ კუზინანის დანაშაულებრივი ბოროტებანი. იგი ტკბებოდა ამ გმირით. აქ იქმნებოდა ატმოსფერო იდუმალებისა და წინასწარმეტყველების, უძველესი არქიტექტურისა და მითიური შეხვედრებისა. ეს კი ინგლისის ისტორიას ანიჭებს ახალ მნიშვნელობას და აზრს. ეს იყო ის ერთერთი უძვირფასესი განძი, რომელიც შექსპირმა ინგლისურ დრამას შესძინა“. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ თუკი თვით შექსპირი „ტკბებოდა ამ გმირით“, ქალებიც მოხიზვლელიყვნენ და „დამტკბარიყვნენ“ ამ როლის შემსრულებელ მსახიობთან ურთიერთობით. თეატრის ცნობილი ისტორიკოსი ტომას უილიკი „თეატრის ზოგად მიმოხილვაში“ მოგვითხრობს ასეთ საინტერესო ამბავს. ერთი მშვენიერი და დიდგვაროვანი ქალბატონი ისე გაიტაცა და მოიხიზლა რიჩარდ ბერბიჯის თამაშით რიჩარდის როლში, რომ სთხოვა, შემხვედო, მხოლოდ იმ პირობით, თუ რიჩარდის სახით (ანუ როგორც სცენური რიჩარდ მესამე) მენვევიო. ამ საუბარს ყური მოჰკრა შექსპირმა, სასწრაფოდ გადაიკცა, დაასწრო ბერბიჯს და სათანადოდ დაჯილდოვა კიდევ... მოვიდა ბერბიჯი, დააკაუნა კარზე... მსახურმა მოახსენა ქალბატონს, კართან რიჩარდ მესამე დგასო. შექსპირმა უკან გააბრუნა მსახური და დააბარა, ასე უთხარა „რიჩარდ მესამეს დაასწრო უილიამ დამპყრობელმა“.

მუსიკა — საუკუნის კარდიოგრაფა

სამი ოსკარისა და ხუთი გრემის მფლობელი ფრანგი კომპოზიტორი (აგრეთვე პიანისტი, დირიჟორი, მომღერალი, არანჟირების ოსტატი) მიშელ ლეგრანი არ იზიარებს მუსიკალურ წრეებში მოარულ მოსაზრებას, რომ „კლასიკური მუსიკა მიიცვალა ბუნებრივი სიკვდილით საკუთარ სარეცელზე“, პირიქით, ამბობს იგი, „სასიკვდილო სარეცელზე განისვენებს თანამედროვე მუსიკა“ (მაგალითისათვის ასახელებს პიერ ბულეზს და იანის კსენაკისს).

არ ვიცი, მისი თანამემამულე ბულეზის, 1950-იან წლების ავანგარდიზმის ლიდერის, ტოტალური სერიალიზმის ერთერთი თვალსაჩინო მუსიკოსის (ავტორი მუსიკალური პიესისა „ჩაქური უოსტატოდ“) შემოქმედება რამდენად ახდენს ზეგავლენას XXI საუკუნის მუსიკაზე, მაგრამ დღეს რასაც ვისმენთ (“ვისმენთ” ზრდილობის გულისათვის ვთქვი, თორემ ამის მოსმენა შეუძლებელია) ესტრადიდან, ამას შეუძლია თავისი მჭექარე აგრესიით ადამიანი გადარიოს და შეშალოს.

თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მუსიკა ქმნის ადამიანის აზროვნების მოდელს, აყალიბებს მის მენტალიტეტს ანუ ქაოსს გარდაქმნის ჰარმონიულ სამყაროდ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელი „ავანგარდული“ მუსიკა (ვგულისხმობ უპირატესად ე.წ. „პოპსას“) სწორედ ჰარმონიის დამანგრეველია, იგი ადამიანში აღვიძებს შავბნელ ინსტინქტებს და დაუოკებელ აგრესიას. თანამედროვე რუსმა კომპოზიტორმა ვლ.დამსკევიჩმა დაწერა ნიგნი, ფრიად საგულისხმო სათაურით, „დიდი კულტურული გავლენა“, სადაც სწორედ ამგვარ მუსიკაზეა გაშლილი მსჯელობა. იგი წერს, რომ „მუსიკა კაცობრიობის კარდიოგრაფაა. XVIII, XIX, XX საუკუნეებში გვეკონდა ამგვარი კარდიოგრაფა. XXI საუკუნეში კი არ გავგაჩნია“.

დამსკევიჩი ავტორია მრავალი სიმღერის, სიმფონიის, საკონცერტო ნაწარმოების, ერთი ოპერის. განსაკუთრებული წარმატება მოუტანა შერლოკ ჰოლმსსა და დოქტორ უოტსონზე შექმნილი მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმის მუსიკამ, მ.ბულგაკოვის პიესის „ზოიკას ბინის“ საფუძველზე დაწერილმა მიუზიკლმა, აგრეთვე კინომუსიკამ (“ზუმბარაში”, „ძაღლის გული“) (სხვათაშორის, შერლოკ ჰოლმსის მემორიალურ სახლ-მუზეუმში — ლონდონის ბეიკერ-სტრიტზე, ფოიეში ჟღერს მისი მუსიკა ჰოლმსისადმი მიძღვნილი ტელე-სერიალიდან). და,

აი, ამ კომპოზიტორს მიაჩნია, რომ ე.წ. „პოპსა“ „ჩვენს სამყაროს გადააქცევს სიძულვილის მოთუხთუხე ქვაბად“.

ვლ. დაშვევიჩის აზრით კომუნისტური იდეოლოგიური რეპრესია მუსიკაზე ისე მძლავრად არ გავრცელებულა, როგორც ხელოვნების სხვა სფეროზე, ვინაიდან სტალინის გამორჩეულად უყვარდა კლასიკური მუსიკა და ფიქრობდა, თუ გვსურს გვყავდეს დიდი, მოაზროვნე ადამიანები, რომელთაც დიდი პრობლემების გადაწყვეტა შეეძლებათ, მათ ხშირად დიდი მუსიკა უნდა ვასმენინოთო. „სტალინი ამგვარი პრობლემისადმი განსაკვიფრებელ ალღოს ფლობდა. იგი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქვეცნობიერების გენია. მას შესანიშნავად ესმოდა — მუსიკა ამშვიდებს ადამიანთა ფსიქიკას, იცავს მას სოციალური აფეთქებათაგან, ადამიანისათვის აუცილებელია სიმშვიდე, ამასთანავე მას უნდა ჰქონდეს არა ზარმაცი, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე მომუშავე გონება“.

ერთ ჩემს ეტიუდში ვწერდი, რომ ცნობილი კომპოზიტორი ტიხონ ხრენიკოვი (სსრკ კომპოზიტორთა კავშირის უცვლელი თავმჯდომარე მრავალი ათეული წლის მანძილზე) გაოცებული იყო სტალინის დამოკიდებულებით მუსიკისადმი. იგი არ აცდენდაო სტალინური პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის (რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო) მუსიკალური სექციის სხდომებს, ყოველთვის ნათლად აყალიბებდა თავის მოსაზრებას ამა თუ იმ ქმნილებაზე. როგორც ჩანს, კარგად ემზადებოდა ამ განხილვებისათვის და წინასწარ უსმენდა საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაწარმოებებსო.

კონტრასტული ფოკუსი

ლეგენდარული ფოტოგრაფის გრაფინია ვერა-გოტლიბ ანა ფონ ლენდორფის (ფსევდონიმი — „ვერუშკა“) ცხოვრება ისე საესტეტიკო მოულოდნელი ფათერაკებით, გარდასახვებით, გადაცემებით კომედია დელ არტეს სტილში, რომანტიკული და სატრაგიკო თავგადასავლებით, რომ იგი შეიძლება თანამედროვე ავანტიურისტული რომანის პერსონაჟადაც კი მივიჩნიოთ. ჩამოქნილი სხეული, მოუგერიებელი მიმზიდველობა, ენერჯია, სექსუალობა, შემოქმედებითი ბუნება მას მძაფრი ცვლილებებისაკენ უბიძგებდნენ. ნიუ იორკში გამოცემული მისი ალბომი „ავტობიოგრაფი“ ამას ნათლად ადასტურებს. ამ ალბომში მოთავსებულია უამრავი ცნობილი თუ უცნობი ადამიანის პორტრეტი, მაგრამ ყველა „პერსონაჟი“, ანუ ყველა ფოტომოდელი, თვითონაა. „ვერუშკა“, როგორც ჩანს, სიმულაციისა და თეატრალური იმიტაციის უდიდესი ნიჭით იყო დაჯილდოვებული. ეს მშვენიერი ქალი ხან გრეტა ვარბოდ გადმოქცეოდა, ხან მარლენ დიტრიხად, ხან ქუჩის მხატვარ პერფომანსტად და არავის ეპარებოდა ეჭვი მათ იდენტობაში. მაგრამ მთავარი სხვაა, იგი წინასწარმეტყველური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული — ერთ ფოტოსურათში ვერა გოტლიბი გარდასახულია ამერიკელ შავკანიან პრეზიდენტად და იმპოზანტურ პოზაში ზის „თეთრი სახლის“ პრეზიდენტთა სავარძელში. ასე იწინასწარმეტყველა მან დიდი ხნის წინათ ამერიკაში შავი პრეზიდენტის „მოვლინება“.

ეს ქალი იმდენად პოპულარული გახლდათ და იმდენად მიმზიდველი სხეული ჰქონდა, რომ თვით ცნობილმა ცვლადანმა, მაგრამ გენიალურმა სალვადორ დალიმ მისი შიშველი სხეული მოხატა და ამგვარად ე.წ. „ბოდი-არტის“ ერთადერთ პირველ დამფუძნებლად იქცა.

ამ მდიდარი, პრეტენზიული, არისტოკრატიულ სალონებსა და მილიონერთა ვილებში ყურადღებით განებივრებული ქალის ფონზე შესაბრალოსად გამოიყურება მეორე დიდი ფოტოხელოვანი ქალი ვივიენ მაიერი, სრულიად მოკლებული პრე-

ტენზიებს ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. ვივიენი მთელი სიცოცხლე ძიძა იყო და არავინ იცნობდა საკუთარი ნათესაებისა და იმ ოჯახის წევრთა გარდა, სადაც ბავშვებს უვლიდა. არ გათხოვილა, არც მიჯნური ჰყოლია, ამ ქვეყნიდან შინაბერა წავიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ შემთხვევით აღმოაჩინეს ერთად შეკრული, გულმოდგინედ დალაგებული ფოტონეგატივები (1000-ზე მეტი). კაციშვილმა არ იცოდა, რომ ეს შინაბერა ფოტოხელოვნებით იყო გატაცებული. ეს აღმოჩენა კი დიდ სენსაციად იქცა. იგი უმალ აღიარეს ფოტოხელოვნების კლასიკოსად. გამოიცა მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ორი დიდი ალბომი. გაიმართა თერთმეტი გამოფენა, უკანასკნელი — ძმები ლუმერების სახელობის ფოტოგრაფიის ცენტრში. ვივიენის ფოტოსურათთა პერსონაჟები არიან ლარი-ლატაკნი, მოხუცები, ბავშვები, იგი აღბეჭდავდა დიდი ქალაქის ყოველდღიურ ყოფას, უბრალო ხალხის ცხოვრების სიუჟეტებს, იქ მომხდარ ინტრიგებსა თუ კონფლიქტებს. ყველა სურათში, უფრო სწორად, „ჩანახატში“, იგრძნობა დიდი ხელოვანის სულიერი სინაზე და თანაგრძნობა ადამიანებისადმი, მათში სუფევს დამატყვევებელი უბრალოება და უცდომელი თვალთ დანახული ყოველდღიურობის განუმეორებლობა.

ცხოვრების სხვადასხვა პოლუსზე მდგარი ორი დიდი ქალის ხელოვნება ამ პოლუსთა ყველაზე კონტრასტულ სახეებს გვიჩვენებს და სამყაროს მრავალფეროვნებას სულ სხვადასხვა რაკურსით წარმოგვიდგენს. შემთხვევითი არაა, რომ ვივიენ მაიარს უტოლებენ აღიარებულ ფოტოკლასიკოსებს — კარტიე ბრესონსა და კერტესს.

სევდიანი განმორება

პერიოდულმა გამოცემამ „ეკრანი და სცენა“ (2014 წ. №1) ასი წლის წინათ (ანუ 1914) გამოსული „მოსკოვსკიე ვესტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალი საინტერესო ფაქტი, კურორიზი, ხუმრობა თუ უცნაური მოვლენა გააცნო დღევანდელ მკითხველს.

ერთ-ერთი ეხება კოტე მარჯანიშვილის მიერ მოსკოვში დაარსებული „თავისუფალი თეატრის“ უკანასკნელ, სამწუხარო ამბავს, მის გაუქმებას. სეზონის დახურვისთანავე (1914 წ. 20 აპრილი) ამ თეატრს რესტორანში გაუმართავს თავისი „სულის მოსახსენებელი“ საღამო... ეს იყო ნაღვლიანი გამოთხოვება. ლაპარაკობდნენ ცოტას, ტიროდნენ ბევრს. ტიროდნენ არა მხოლოდ ქალები, არამედ მამაკაცებიც. ზოგს ისტერიკაც კი დაემართა. როცა კ.მარჯანიშვილი თავის დასს ეთხოვებოდა, მას მჭიდრო კაბოვალდ შემოერტყენენ და რესტორნიდან ხელში აყვანილი გამოიყვანეს. თუმცა ეს სევდიანი განმორება გაახალისა სასიხარულო ცნობამ, სპექტაკლ „სოროჩინსკის ბაზრობის“ მონაწილე ცხენმა ანტრეპრენიორს კვიცი აჩუქაო. ეს ცნობა იქ მყოფებმა მიიჩნიეს მეტად სასურველ ნიშნად. ამგვარად, კვიცი ანტრეპრენიორს ანუ მილიონერ სუხოდოლსკის 700 000 მანეთი დაუჯდა. ასეთი იყო სეზონის შედეგი...

სევდიანი შედეგი...

ჰამლეტი — გლობალიზაციის მსხვერპლი

ფეისბუქის შემქმნელმა მარკ ცუკერბერგმა, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიონერმა, თქვა, „ახალ ციფრულ ცივილიზაციაში ყველა ჩვენი საიდუმლო გამხელილი იქნება! ცნება „პირადი ცხოვრება“ გაქრება. მე არ გამოვრიცხავ, რომ ერთხელაც დაინყოს ომი ვირტუალური და რეალური ცხოვრების მომხრეთა შორის“. კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნე

ნაწილს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შეჩერება შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს მასში შემოჭრებას ინვესტორების გლობალიზაციის თანმდევი პროცესები. Twitter-ებისა და facebook-ების ქსელში გახვეულ სამყაროში ადამიანი კარგავს იდენტობას, ინდივიდუალობას, ცხოვრების ავტონომიას, ბოლოს — ღვთით ბოძებულ იდუმალებას. იგი თითქმის „გადასროლილია“ კოსმოსურ სივრცეში, მოწყვეტილია ეროვნულ ნიადაგს. ყველაზე მძიმე შედეგი კი ისაა, რომ არამარტო „პირადი ცხოვრების“ ცნება ქრება, არამედ „სამშობლოს“ ცნებაც. ცნობილი ფრანგი მწერალი ზებედეტი წუხს, რომ ბევრი რამ, რამაც დიდება მოუხვეჭა საფრანგეთს, თანდათან ქრება. „ფრანგული ხასიათის თვისება იყო სიმსუბუქე, ცხოვრების განსაკუთრებული ხელოვნება, რომელთაც ვკარგავთ. მე ვიცავ ჩვენს ფრივოლურობას... გლობალიზაციის ეპოქაში ბევრი ადამიანი თავს გრძნობს „პლანეტადედამინის“ და არა თავისი ქვეყნის მაცხოვრებლად“.

სახელგანთქმულ ფრანგ რომანისტს მიშელ უელბეკს კი მიაჩნია, რომ იგი სამშობლოში კი არ ცხოვრობს, არამედ „ოტელში“. დიდად სახელმძღვანელო რეჟისორის, რობერტ ლეპაჟის მიერ მოსკოვში დადგმული სპექტაკლის „ჰამლეტი-კოლაჟი“ მთავარი იდეა ანუ, როგორც სტანისლავსკი იტყოდა, „გამჭოლი მოქმედება“ სწორედ ადამიანის იდენტობის, მის განუმეორებლობის ძიებაა. ეს მონოსპექტაკლია. ყველა როლს უნიჭიერესი და მრავალმხრივი ევგენი მირონოვი თამაშობს (მე იგი ნანახი მყავს პეტერ შტაინის „ჰამლეტში“). ლეპაჟის ჩანაფიქრის მიხედვით, ჰამლეტი შეშლილია (ეს იდეა ახალი არ არის. მრავალგზის წარმოუდგენიათ ამ სახით მსოფლიოს სცენებზე. მაგ. ცნობილ რეჟისორსა და მხატვარს ნ. აკიმოვს ლენინგრადში, თავის თეატრში).

მოქმედება მიმდინარეობს ოთახ-კუბში, რომლის კედლებიც ბამბით გატენილი დერმატინითაა დაფარული. შეშლილის დამანყნარებელ სამოსშია გახვეული ჰამლეტი. მარტოა და ბოლომდე მარტო რჩება. იგი თითქოს თავისი ავადმყოფური ცნობიერებიდან გამოიხმობს შექსპირის ტრაგედიის გმირებს (ვიმორებს, ყველა როლს ე. მირონოვი თამაშობს) და გარე სამყაროს (დეკორაციებიც მისი ხილვებია). ისინი ფანტომებისგან გარს ეხვევიან „საბრალო ჰამლეტს“ (აკი თვითონვე ამბობს: „საბრალო ჰამლეტს მტრად ჰყოლია თვისვე სიგიჟე“).

განსაცვიფრებელი კომპიუტერული ეფექტების წყალობით, აქ ერთმანეთშია არეული სიზმრისეული ხილვები და სინამდვილე; ვირტუალობა და რეალობა — ის, რაც წამდვილი ჰგონია მაყურებელს, ვირტუალური აღმოჩნდება, ხოლო ის, რაც რეალობაა — კომპიუტერული სურათი ყოფილა (“არასოდეს გვინახავს ასეთი კომპიუტერული შედეგები... იგი უეჭველად ტექნოლოგიური შედეგია. ...გამაოგნებელია კუბის მეტამორფოზები. იგი ხან ციხის საკანია, სადაც ჰამლეტია გამომწყვედი, ხან შეშლილთა პალატა ან აკლდამა, სადაც წევს უკვე მკვდარი ჰამლეტი, და მასთან მოდიან იმ ადამიანთა აჩრდილები, რომელთაც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ხვდებოდა” — ნერს ცნობილი შექსპიროლოგი ა.ბარტოშევიჩი. ჰამლეტი იბრძვის რეალურ-ფანტასმაგორიულ სამყაროში. ერთ მომენტში იგი აფრინდება ოთახ-კუბის ყველაზე მაღალ ნერტილში და თითქოს შეერწყმის ვარსკვლავებით მოჭედილ ცას).

ჩემთვის მთავარი იყო მეჩვენებინა — ამბობდა რ. ლეპაჟი — რომ გლობალიზაციის მიერ გაბმულ ბადეში ჰამლეტი მარტოსულია, რომელიც ბოლომდე ცდილობს შეინარჩუნოს მარტოობა და იდენტურობა; მაგრამ სჯობს თვით ჰამლეტს მოვუსმინოთ:

“ოჰ, ღმერთო ჩემო! მე თუნდა კაკლის ნაჭუჭში მომწყვდიული ვიყო, ჩემი თავი დაუსრულებელი სივრცის მფლობელი მეგონებოდა, ოღონდ ცუდ სიზმრებს არა ვხედავდე“.

P.S.

სხვათაშორის, ეს არის პირველი მონოსპექტაკლი. თავის დროზე ვლადიმერ რეცეპტერმა რუსეთში და მურმან ჯინორიამ თბილისში („ვერიკოს თეატრში“) გაითამაშეს ჰამლეტის ტრაგიკული ისტორია. მაგრამ, განსხვავებით მირონოვისაგან, ისინი მხოლოდ ჰამლეტის როლს თამაშობდნენ. „მირონოვი საუკეთესო ჰამლეტია ჩვენ უჰამლეტო დროში“ — ფიქრობს ა.ბარტოშევიჩი.

ეს ეტიუდი დამთავრებული მქონდა, როცა პრესაში გამოვეყენა ცნობა, რომ სოციალური ქსელის შემქმნელი — მარკ ცუკერბერგი — ბარაკ ობამას შეხვდა. როგორც ცნობილი გახდა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ „ფეისბუკზე“ ფიქტური გვერდი შექმნა, რათა სოციალური ქსელიდან ინფორმაციები მიიღოს და ამით სოციალური ქსელის სივრცე შეზღუდოს. სწორედ ეს იყო მათი შეხვედრის მიზეზი. პრეზიდენტი ძალიან კარგ გუნებაზედ გახლდათ, მაშინ როცა მარკ ცუკერბერგი ძალიან ღელავდა. სტუდიაში შესვლისთანავე პრეზიდენტმა ნახევრად ხუმრობით თქვა: „მოგესალმებით. მე ბარაკ ობამა ვარ! ის ადამიანი, რომელმაც ცუკერბერგი აიძულა, ჰალსტუხი გაეკეთებინა და პიჯაკი ჩაეცვა“ (ცნობილია, რომ ცუკერბერგი ჩაცმის სპორტული სტილის მიმდევარია).

სილამაზე და ნიჭი

ბრიტანული სცენისა და ეკრანის მშვენიერებაზე, ვივიენ ლიზე, ამბობდნენ: „ისეთი ლამაზია, რომ ნიჭს არ საჭიროებს. ისეთი ნიჭიერია, რომ სილამაზე არ საჭიროებს“. თვით ვივიენ ლი კი ასე გამოეხმაურა ამ ფრაზებს: „სილამაზე და ჭკუა-გონება დიდ ბრიტანეთში ერთად არ აღიქმება. ეს ერთობ ექსტრავაგანტური რამ იქმნებოდა“ (გაიხსენეთ რ.ჩიკვადის აკოვას რეპლიკა რ.სტურუას „ხანუმადან“: „ჭკუას თბილისში რა უნდა, კანტარბანდაა!“). ეს თითქოს სუსტი აღნაგობის ქალი წარმოუდგენელ შინაგან ძალას ფლობდა, თუ რომელიმე როლი მოეწონებოდა, არავის და არაფერს ზოგავდა მის მისაღებად. მსახიობის თვითდაჯერება ფანტასტიკურ ზღვარს აღწევდა. მისი მეუღლე, სერ ლოურენს ოლივიე, ხშირად შეწუხებული იყო ამ ქალის, როგორც თვითონ ამბობდა, „დემონური“ „მიმწოლობის“ გამო. როცა ვივიენმა ნაიკითხა მ.მიტჩელის რომანი „ქარნაღებულნი“, მაშინვე გადაწყვიტა, აუცილებლად მე უნდა შევასრულო ქალის მთავარი როლი. ნავიდა ამერიკაში, წარსდგა კომისიის წინაშე: „გამარჯობათ, მე ვარს სკარლეტ ოჰარა!“ (ანუ მთავარი გმირი ქალი ამ რომანისა, რომლის საფუძველზეც რეჟისორმა ვ.ფლემინგმა კინოშედეგის შექმნა. დაიმსახურა „ოსკარი“ 1939წ.) და გამარჯვა, მიუხედავად იმისა, რომ ისინჯებოდა ათას ოთხასი მსურველი ამ როლზე, მათ შორის უკვე აღიარებული ვარსკვლავები — ქეთრინ ჰეპბერნი და ბეტ დევისი. თვით ვივიენ ლი კი სწორედ ამ ფილმის შემდეგ გახდა პოპულარული მთელს მსოფლიოში.

მანაბა მაჰომედოვას ხალი

იშვიათად შემხვედრია ისეთი მოკრძალებული, თავმდაბალი, თვინიერი შემოქმედი, როგორც ცნობილი ოქრომჭედელი და ტიხრული მინანქრის ოსტატი მანაბა მაჰომედოვა გახლდათ. ქართული იცოდა შესანიშნავად. ლაპარაკობდა წყნარად, პაუზებით და ხმადაბლა. შესახედავად სუსტი ქალი იყო და ვერ წარმოიდგენდით, რომ ასეთ ადამიანში დიდი შემოქმედებითი ცეცხლი ენთო. ერთხანს გამოცემლობა

„ხელოვნების“ დირექტორი ვიყავი და ე.წ. „ცისფერ გალერეაში“ გამართულ რესპუბლიკურ გამოფენაზე ვნახე მის მიერ შექმნილი სამკაულები, გულსაკიდები, სამაჯურები, ვერცხლით გრავირებული ლითონის სურები, ფიალები, რომლებმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. მაშინვე გადავწყვიტე მისი უნიკალური ხელოვნებისადმი მიძღვნილი ალბომის გამოცემა და, ჩემდა გასაკვირად, უარი მითხრა — ჯერ ერთი, მე ცოტა ნამუშევრები მაქვს, და მეორეც, არაფერი შემიქმნია ისეთი, ცალკე ალბომის გამოცემა დავიმსახურო. ბოლოს მაინც დავითანხმე და ფერად სლაიდებზე (ეს იყო 1964 თუ 65 წლები, როცა სლაიდებით ბეჭდვა ის-ის იყო ფეხს იკიდებდა საქართველოში) გადავიღეთ შერჩეული ნიმუშები. მანაბა ხშირად ვოდოდა გამომცემლობაში და, რომ მეგონა, თავის თავში ჩაკეტილი ქალბატონი ბრძანდებოდა, ძალიან სასიამოვნო, თუმც თავეკავებული, მოსაუბრე აღმოჩნდა. იმხანად გამოსაცემად ვამზადებდით დიდ ალბომს — „ხახულის კარებს“ (აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ვრცელი წინასიტყვაობით). მანაბა უჩვეულო ყურადღებით და აღტაცებით ათვალიერებდა დასაბეჭდად ვამზადებულ მაკეტს: „პირველად რომ ვნახე მუზეუმში ხახულის ტრიპტიქი, განცვიფრებისაგან ენა ჩამივარდა. აქ ერთად იყო ტიხრული მინანქარიც და ოქროზე ქედურობაც, სწორედ ამან განმაკვიფრა“.

თანდათანობით ბევრი რამ შევიტყვე მასზე... მისი და მისი წინაპრების ბედი გულისშემძვრელი აღმოჩნდა. დაღესტანში, სოფელ კუბაჩიში, რომელიც სახელგანთქმული ოსტატებით იყო განთქმული, მანაბას შეძლებულმა ოჯახმა სამგზის გადაიტანა ე.წ. „განკულაკება“. ოჯახს წაართვეს ყველაფერი, რაც თვალში მოუვიდათ, ხალიჩები, ოქროს და ვერცხლის ნაკეთობანი, სხვა ძვირფასი ნივთები — მანაბას მამისა და მის წინაპართა უნიკალური ნამუშევრები, რომლებიც ოჯახის რელიკვიად ითვლებოდა და თვალისჩინვით უფრთხილდებოდნენ. ოჯახი აიყარა და თბილისში გადაიხსნა. მანაბა მაშინ შვიდი წლის იყო. მამამისმა, სხვა გამოქცეულ დაღესტნელებთან ერთად, მუშაობა დაიწყო თბილისში ე.წ. „პესკებზე“ ჩამწკრივებულ სახელოსნოებში, სწორედ იქ, სადაც დღეს „სააკაშვილის ტრუბებს“ დაუფრენიათ პირი. პატარა მანაბა ამ სახელოსნოთა მუდმივი სტუმარი იყო და ყველას აკვირებდა ფერადი ქაღალდებისაგან გამოყვანილი ორნამენტებით, იმდენად, რომ ბოლოს ოსტატებმა ამ ორნამენტების გადატანა დაიწყეს მეტალზე. მეტალის პირველი საჭრელი ბიძამ, აბუდუშლილ იბრაგიმოვმა აჩუქა. მაგრამ მანამდე, უმამო ოჯახი რომ ერჩინა, ჯარისკაცის ფარაჯისაგან ქალის ჩუსტებს კერავდა. ერთხელ ცნობილ თბილისელ მკერავთან „სამაპარტნოსთან“ მუშაობდა. ძველ თბილისელებს კარგად ახსოვთ „სამაპარტნოს“ ატელიე რუსთაველის გამზირზე, სასტუმრო „თბილისის“ — ამჟამად „მარიოტის“ — პირდაპირ, სადაც მრავალი ცნობილი ადამიანი დადიოდა, ვიტრინაში გამოფენილი იყო რამდენიმე „კლიენტის“ დიდი ფოტოები, რომელთაგან გამოირჩეოდა გალაკტიონის შთაგონებული სახე, შემდეგ ოსტატობის დახვეწის მიზნით, დაბრუნდა აულ კუბაჩიში და ისე ჩასწვდა ამ ხელოვნების საიდუმლოებებს, რომ ოცი წლისა უკვე სრულყოფილად ფლობდა მეტალზე გრავირებას (დღემდე მამისეული იარაღებით ვმუშაობ — თქვა).

მანაბას სახელთან არის დაკავშირებული თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთი საინტერესო ამბავი. როგორც ცნობილია, ნიკიტა ხრუშჩოვს განზრახული ჰქონდა აკადემიის გაუქმება (მხატვრებსა და მოქანდაკეებზე იყო ძალიან გამწყრალი) ანუ სამი უმაღლესი სახელოვნებო სასწავლებლის (კონსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი, სამხატვრო

აკადემია) გაერთიანება, რაც ფაქტობრივად მათ გაუქმებას უდრიდა. მაშინ კი დატრიალდა სამხატვრო აკადემიის რექტორი აპოლონ ქუთათელაძე (ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი, საუკეთესო რექტორი აკადემიის ისტორიაში, უნიკალური ადმინისტრაციული ნიჭით დაჯილდოებული მხატვარი-მონუმენტალისტი), სასწრაფოდ გადაფრინდა მოსკოვში, თან იახლა პროფესორი დავით ციციშვილი (ხალხური რენვის უდიდესი სპეციალისტი, ზედმიწევნით განათლებული და ბრწყინვალე პიროვნება, თუმც რუსულად მეტყველებდა, მაგრამ სამაგალითო პატრიოტი იყო. სწორედ მან დააარსა „სოლანი“, რომელმაც ახალი სიცოცხლე შთაბერა ქართულ ხელოვნებას) და... მანაბა მაშომედოვა (თავისი შემოქმედების რამდენიმე ნიმუშით). ეახლა მაშინდელ საკავშირო კულტურის მინისტრს ეკატერინა ფურცევას, ნ.ხრუშჩოვის ფავორიტს. თავი ისე მოიკატუნა, ვითომც არაფერი სმენოდეს აკადემიის შესაძლო გაუქმების თაობაზე, და მოახსენა ყოვლისშემძლე მინისტრს: „აკადემიაში მხოლოდ სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, აუცილებელია აქვე გაიხსნას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების განყოფილება, მიუთმეტეს, რომ საამისო ფართობი აკადემიას აქვს. თქვენ კი აი, ამ ქალიშვილის მიერ შექმნილი სამაჯური საჩუქრად“, — წამოხტა და ხელზე გაუკეთა სამაჯური აღფრთოვანებული წამოძახილის თანხლებით „თქვენ ახლა მთელი რუსეთის დელოფალი ხართ!“

ერთობ ნასიამოვნებმა მინისტრმა უმაღლესად მოაწერა ხელი ბ-ნი აპოლონის მიერ წინასწარ სათანადოდ მომზადებულ დოკუმენტებს. სხვათაშორის — დავემ ჩემი მხრივ, ე.ფურცევას ძალიან უყვარდა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საჩუქრებიც. ამის შესახებ წერდნენ თავიანთ მონოგრაფიებში ისეთი დიდი მომღერლები, როგორებიც იყვნენ გალინა ვიშნევსკაია (იხ. მისი წიგნი „Галина“) და ლუდმილა ზიკინა, რომელიც მეგობრობდა კიდეც ე.ფურცევასთან — ერთად დავდიოდით რუსულ აბანოში. ილიკო სუხიშვილისაგანაც მსმენია მსგავსი რამ. დანამდვილებით ვიცი, რომ შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კულტურის მინისტრებიც სათანადოდ ანებივრდნენ, გამონაკლისი იყო მხოლოდ საქართველოს კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, რომელსაც მშვენიერი ქალბატონი ვენბიანა უნაბავდა თვალებს, რაზეც ბატონი ოთარი ასე რეაგირებდა: „შენ ხომ იცი, ნოდარ, მე როგორ მიყვარს ჩემი ირა!“

ახლა მთლად გადასარევი ამბავი:

უკვე საყოველთაოდ აღიარებული მანაბა (მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილე) დაიბარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და უთხრეს: „ერთი კვირის შემდეგ საქართველოში ჩამოდის ბრეჟნევი, საჩუქრად ხმალი უნდა მივართვათ“. მანაბამ მშვიდად მიუგო: „სულ ცოტა ერთი თვე მაინც სჭირდება ხმლის დამზადებას“. „არაფერი ვიცი, თქვით, რით დაგეხმაროთ, რომ დროზე მოასწრო.“ მართლაც, ყველა მოთხოვნა შეუსრულეს. ბრეჟნევისათვის საჩუქრად ხმლის გადაცემა დაგეგმილი იყო საზეიმო ბანკეტის დროს, მაგრამ ვერ მოესწრო!.. ბოლოს მთელი ქართველი ხალხის სახელით ბრეჟნევს გადასცეს მანაბას ხმალი თვითმფრინავის ტრაპზე (ამ შემთხვევაში ვეყრდნობი მანაბა მაგომედოვას ქალიშვილის, ლეილა იზაბაკაროვას მოგონებებს).

P.S.

სამხატვრო აკადემიასთან დაკავშირებით ასეთი ხმებიც დადიოდა იმდროინდელ თბილისში. როცა ნ.ხრუშჩოვი აკადემიაში პროფესორთა და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაზე მიიყვანეს, ბ-ნმა აპოლონმა მთელ თავის დიპლომატიურ ნიჭს მოუხმო და ისე დაახვია თავბრუ სტუმარს, რომ დაითანხმა აკადემიაში ახალი ფაკულტეტის გახსნაზე.

აკი შიმაზაკი იაპონური წარმოშობის კვებეკელი მწერალი ქალია. დაიბადა 1954 წელს, იაპონიაში. 1981 წელს საცხოვრებლად გადავიდა კანადაში. 1991 წლიდან ცხოვრობს მონრეალში. მისი წიგნები თარგმნილია ინგლისურად, იაპონურად, სერბიულად, გერმანულად, უნგრულად. 1995 წელს, 40 წლისა, სწავლობს ფრანგულ ენას. მის ნაწარმოებებს მიღებული აქვთ სხვადასხვა ლიტერატურული ჯილდო. 2005 წელს „ჰოტარუშ“ მიიღო კანადის გუბერნატორის პრემია.

ციცინათელეების სეზონზე, ბებიასთან სტუმრობისას ცუბაკი მოისმენს საიდუმლოს, რომელიც ქალს 50 წელია სტანჯავდა. ესაა ამბავი გულუბრყვილო ქალისა, რომლის ცხოვრებასაც მძიმე დალი დაასვა მალალი თანამდებობის პირთან ურთიერთობამ...

აკი შიმაზაკი

ჰოტარუშ

ცაზე წვიმის მომასწავებელი ღრუბლები მოძრაობენ. ფანჯრიდან ვიყურები. ღრუბლები გიგანტურ კლდეებს მაგონებენ. ქვემოთ ჭრიჭინების ხმა ისმის. საშინელი სიციხეა. წვიმების სეზონი ახლახან დამთავრდა.

ნასასვლელად ვემზადები. ნაშუადღევს მშობლებთან მივდივარ, იქ ჩემი ობაშანი მელოდება. იგი ლოგინადაა ჩავარდნილი. ჩემი მშობლები ამბობენ, შეიძლება შემოდგომამდე ვერ გაატანოსო.

მე ტოკიოში ვცხოვრობ. იქ უნივერსიტეტში ვსწავლობ. ახლა ზაფხულის არდადეგები მაქვს. დილის საათებში ყვავილების ჯიხურში ვმუშაობ, ნაშუადღევს ჩემი უბნის ბიბლიოთეკაში ვმეცადინებო, რადგანაც ბინაში ძალიან ცხელია. სექტემბრის გამოცდებისთვის ვემზადები. უქმეებზე კამაკურაში დავდივარ მშობლებთან. მათ ბებიას მოვლაში ვეხმარები. ჩემი უფროსი და-ძმაც ტოკიოში ცხოვრობს, მოუცლელობის გამო შინ იშვიათად ჩამოდიან, ამიტომ დედ-მამას ძირითადად მე ვეხმარები, რისთვისაც ძალიან მემადლიერებიან.

ობაშანი 84 წლისაა. დეკემბრის თვეში ჩვენს ბაღში ყინულზე მოცურდა, თავი დარტყა და ფეხი მოიტეხა. რადგან ოპერაციის გაკეთება არ შეიძლებოდა, ტკივილდამაყურებლებით უმკურნალეს. ამის გამო მადაც დაკარგა და სმენაც დაუქვეითდა. დღითდღე სუსტდება არამარტო ფიზიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც. რამდენიმე კვირაა, ჰალუცინაციებიც დაეწყო.

პირველი ჰალუცინაცია დაშავებიდან სამი დღის შემდეგ ჰქონდა. იქვე ვიყავი, თეთრეულს ვკეცავდი და ოთახის კუთხეში მოთავსებულ მაგიდაზე ვაწყობდი. ბებიამ გაიღვიძა და დამიძახა: „ცუბაკი, ნახე!“ თითო მოძრავი შუშებისკენ იშვრდა, ბაღისკენ. გარეთ მოფარფატე ფიფქები ჩანდნენ. „რა ხდება, ობაშან?“ მან დამარცვლით წარმოთქვა: „ჰო-ტა-რუ“. მე ავუსხენი, რომ ეს შეუძლებელია, გამიმეორა: „კარგად შეხედე, ნახე რა ლამაზია!“ შემდეგ საბავშვო სიმღერა წაიღიღინა: „ჰო-ტა-რუ, მოდიტ ციცინათელეებო, იქით ჭუჭყიანი წყალია, ჩვენკენ დაშაქრული, მოდიტ, ციცინათელეებო!“ უცებ გაჩერდა და მითხრა: „რა სასტიკი სიმღერაა! ნამდვილი მახეა, ცუბაკი, ფრთხილად იყავი, დაშაქრული წყალში არ ჩავარდე!“

რამდენიმე დღის შემდეგ, მამამ გაიგონა, როგორ ყვიროდა ობაშანი: „ის იქაა!“ ჰკითხა, ვის გულისხმობ, მან არ უპასუხა და განაგრძო: „სახლის წინაა, ნეტავ ასე ადრე სად მიდის?“ მამა ბაღში ჩავიდა, იქ რა თქმა უნდა არავინ იმყოფებოდა. ბოლოს უთხრეს, რომ ეს მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი.

დედა მშვიდად ისმენდა ობაშანის მონაყოლებს და გვიხსნიდა, რომ ეს იყო ჰალუცინაციები. რომ ასეთი რამ მის ბებიასაც დასჩემდა, იგი გვეუბნებოდა: „აცალეთ ილაპარაკოს, ნუ შეეკამათებთ, იგი იმას ხედავს, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, და ესმის ის, რაც ჩვენ არ გვესმის, რაკი დამოუკიდებლად ვერ მოძრაობს, საფრთხედ არ არსებობს“. მიუხედავად ამ ხონივრული რჩევისა, საშინლად მაინტერესებდა, მის თავში რა ხდებოდა და ვეკითხებოდი: „ობაშან, ვისზე ლაპარაკობ?“ იგი ამღვრეული თვალებით მიყურებდა, ვერ გაეგო, რას ვეკითხებოდი.

მისი დავარდნიდან 7 თვე გავიდა. ჰალუცინაციები შემცირდა. ცოტა დავმშვიდდი. თუმცა ვამჩნევ, რომ მისი აზრე-

ბი ძალიან დაულაგებელია. მაგალითად, მეკითხება: „ცუბაკი, ნიუ-იორკში როდის მიდიხარ?“ ვპასუხობ: „მე არა, ნაცუკო მიდის“. ჩემი და მთარგმნელად მუშაობს ერთ-ერთ დიდ ფირმაში და ხშირად დადის მივლინებებით ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკში. ობაშანს ვეუბნები, რომ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ ნაცუკო მას აუცილებლად მოინახულებს. იღიმება და სხვა კითხვას მისვამს, უკვე მერამდენედ: „შენ რას სწავლობ?“ დამარცვლით ვპასუხობ: „არ-ქე-ოლო-გიას“.



დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიტყვას ვერ დაიმახსოვრებს. მაინც კმაცოფილი ვარ, რომ ჩემს პასუხზე რეაქცია აქვს.

დედა მეუბნება, რომ ავადმყოფობის მიუხედავად ბებიას შესანიშნავად ახსოვს ჩემი ბავშვობა. „როცა მე და მამაშენი შენზე ვლაპარაკობთ, ბედნიერი სახე აქვს. შენს ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდება“

ფანჯარას ვხურავ და თან ღრუბლებს გავცქერი. ობაშანს არ უყვარს ზაფხულის ღრუბლები, ალბათ ატომური ღრუბელი ახსენდება. მან და მამაჩემმა ხომ ნაგასაკის დაბომბვა გადაიტანეს. სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ. იგი ხშირად ამბობს: „მას შემდეგ 50 წელი გავიდა, არ მეგონა, ამდენს თუ ვიცოცხლებდი“

ობაშანთან მე უფრო ახლო ვარ, ვიდრე ჩემი და-ძმა. შეიძლება იმიტომ, რომ მასთან ვიზრდებოდი. იმ წელს დავიბადე, როცა ბებია და ბაბუა საცხოვრებლად ჩემ მშობლებთან გადამოვიდნენ.

სწორედ მისთვის მაქვს ნაამბობი ჩემი პირველი ინტიმური ამბები. ჩემს საიდუმლოებებსა და განცდებს მხოლოდ მას ვანდობდი, ვიცოდი, რომ არავის ეტყოდა. უკრიტიკოდ მისმენდა და როცა რჩევას ვკითხავდი, მპასუხობდა, დედაშენივით ჭკვიანი ხარ და გამოსავალს თვითონვე იპოვნიო. თავის აზრს იშვიათად მეუბნებოდა, მასთან ლაპარაკი მამშვიდებდა.

ერთხელაც ჩემს ნაამბობზე მწვავე რეაქცია ჰქონდა. ეს მის ავადმყოფობამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ვუამბე, რომ ინგლისურის პროფესორმა კაფეში დამპატიჟა. ძალიან არ მომიწონა. ავუსხენი, რომ ეს იყო გულლია და წესიერი ადამიანი, სასიამოვნო მოსაუბრე, რომ ჩემი ინგლისური მოსწონდა და ინგლისურის კლუბის ორგანიზებას აპირებდა. რომ პროფესორი პირველი ლექციიდანვე მომეწონა, როცა ინგლისურ რომანზე ილაპარაკა, რომ კარგი პიროვნებაა და მოვიხიბლე. ათი სტუდენტით დაკომპლექტებული ჯგუფი შედგა. მე ინფორმატორად დამნიშნეს. როცა ბებიას ამის შესახებ ვუამბე, კარგად ვერ გაიგო, რადგან ავადმყოფობის გამო უკვე არეული იყო.

გუშინ პროფესორმა დამირეკა. იგი ჩემ სახლთან ახლომდებარე კაფეში მელოდებოდა. ვიფიქრე, ალბათ კლუბის წევრებისთვის გადასაცემი ინფორმაცია უნდა მომცეს-მეთქი. სინამდვილეში ამ შეხვედრას კლუბთან საერთო არაფერი ჰქონდა. მან მითხრა: „შემიყვარდი, მინდა რომ დროდადრო მარტო განახო“. სერიოზულად მიყურებდა. გამიკვირდა, თან გამიხარ-

და, რომ ვუყვარდი. როცა დასძინა, რომ ცოლთან კარგა ხანია თავს კარგად ვერ ვგრძნობო, გავეშვიდი. არ ვიცოდი, რომ დაქორწინებული იყო. ჩემგან პასუხს ითხოვდა. ვუთხარი, რომ დრო მჭირდებოდა. მან ჩემი ხელი აიღო და მითხრა: „შენი მესმის, ოღონდ ყველაფერი ჩვენს შორის უნდა დარჩეს“.

გული მწყდება, რომ ობაშანს ამ თემაზე ვეღარ ვესაუბრებო. კარგად რომ იყოს, ალბათ მეტყვოდა: „ცუბაკი, ერთდღე ცოლიან მამაკაცებს“. მისთვის, ვინც ბაბუასთან ერთად არაჩვეულებრივი ცხოვრება გაატარა, ამ ამბის მოსმენა ალბათ მძიმე იქნებოდა, განსაკუთრებით თავისი შვილიშვილისგან. მისი ნერვულობა არ მინდა, მიუხედავად ამისა, ჩემ თავს ვუტყდები, რომ პროფესორი ძალიან მომწონს და მის წინადადებას ვერ უარვყოფ.

კამაკურას სადგურიდან გამოვდივარ.

მზე მაგრად აცხუნებს. თავს ხელით ვიფარავ. ვნანობ, რომ ქუდი არ წამოვიღე. აუტანელი მსუთავი სიცხეა.

ხის ჩრდილში ორი გოგონა შევნიშნე. თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლისანი თუ იქნებიან. ლიცეუმის მოსწავლეებს ჰგვანან. ხელში ქალაქის ტურისტული რუკა უჭირავთ და ბჭობენ, რა დათვალეირონ. კიუმუს აქცენტზე საუბრობენ. ალბათ ნაგასაკიდან არიან. შეიძლება მათი მშობლებიც და ბებია-ბაბუებიც ისევე დაზარალებულნი ატომური ბომბისგან, როგორც მამაჩემი და ბებიაჩემი. ისინი დაიბუცუს მიმართულებით მიდიან.

მშობლების სახლისკენ ვიღებ გეზს, რომელიც წყნარ კვარტალში მდებარეობს. ტურისტებს აქ ნაკლებად შეხვდებით. სახლამდე ფეხით 15 წუთი მინდა, ვცდილობ ჩრდილში ვიარო.

ვუახლოვდები ტაძარს, რომლის მახლობლადაც ბაბუაჩემია დაკრძალული. იგი 13 წლის წინათ გარდაიცვალა. ბებია კვირამი ერთხელ დადიოდა მის საფლავზე, თან ყვავილები დაჰქონდა. მეც ხშირად დავყვებოდი. ბაბუას საფლავი სულ მოვლილი იყო. ბებია ხელებს შეაერთებდა და დიდხანს ლოცულობდა. ერთ დღეს მითხრა: „ბაბუა აქ დაიბადა, კამაკურაში, ტოკიოში გაიზარდა, ერთმანეთი ტოკიოში გავიცანით, მამაშენთან ერთად კამაკურაში ხშირად ჩამოვდიოდით. მას უყვარდა ზღვისა და დაიბუცუს (ბუდას დიდი ქანდაკება) ნახვა. ქორწინების შემდეგ ტოკიო დავტოვეთ და ნაგასაკიში გადავსახლდით. იქ ბაბუასთან ერთად 42 წელი ვიცხოვრე. კამაკურაში ცხოვრებაზე არასოდეს მიფიქრია. ბაბუას ეს ქალაქი ძალიან უყვარდა. ალბათ კმაყოფილია, აქ რომ დავკრძალეთ“. მესხიერებაში ჩარჩენილი მაქვს ბებია-ბაბუას ლამაზი სახეები: ხელიხელჩაკიდებულნი რომ მისეირნობდნენ პლიაჟზე. მშობლებისგან ვიცი, რომ ბევრი შურით უყურებდა ამ ლამაზ წყვილს. გული მეკუმშება. ვგრძნობ, რომ ობაშანი ვეღარ შეძლებს საფლავზე მოსვლას. აქ ახლა მე დავდივარ ყვავილებით. ტოკიოდან მომავალი ყოველთვის შემოვივლი ხოლმე.

ფიქრობ ოჟიშანზე, რომელიც ძალიან მიყვარდა. მასთან თავს კარგად ვგრძნობდი. ძალიან მშვიდი კაცი იყო. ჭადრაკის თამაში სწორედ მან მასწავლა. ის ცოტა ადრე გარდაიცვალა, ვიდრე სკოლაში შევიდოდი. როცა ჯერ კიდევ კარგად იყო, საბავშვო ბაღში დავყავდი. გზაში მიაშობდა, თუ როგორ გაიცნო ბებია. ხშირად მეუბნებოდა: „ცუბაკი, შენ აუცილებლად შეხვდები კარგ ადამიანს, ნეტა ამას მოვესწრებოდე“. მისი მშვიდი გამოხედვა მიდგება თვალწინ. უცებ წარმოვიდგინე, რა რეაქცია ექნებოდა, ჩემი და პროფესორის ურთიერთობის შესახებ რომ სცოდნოდა.

მიუყვები ნაკადულს, რომლის გასწვრივ მტირალა ტირიფები ჩამწყობებულან. ზაფხულში აქ უამრავ ციციანთელას ნახავთ. ხეებში ჩემი მშობლების სახლის სახურავი გამოჩნდა.

მამაჩემი უკანა ეზოში გამართულ ბოსტანში მწვანე ლობიოს კრეფს.

— მამა!

ჩემკენ იყურება. სახე მზისგან აქვს დამწვარი, ილიმება:

— ცუბაკი, ადრე ჩამოხვედი, ჯერ მხოლოდ 3 საათია.

— დღეს ბიბლიოთეკაში არ წავსულვარ.

— ობაშანი ბუტბუტებდა, რომ შენ ჩვეულებრივზე ადრე მოხვიდოდი.

— მას ყოველთვის კარგი ინტუიცია ჰქონდა.

— კარგია, ამ საღამოს გავისივრებო. დედაშენს ერთი სული აქვს კინოში წასვლამდე. „ალთქმა“ უნდა ვნახოთ. ეს ფილმი სიყვარულზეა. გაზეთებში მასზე ბევრს წერენ.

— ძალიან კარგი. აბა გაერთეთ!

მამაჩემი მენსიაზეა. ადრე იგი ტოკიოში საკვები პროდუქტის კომპანიაში მუშაობდა ქიმიკოსად. ახლა უკვე სამოცდაათი წლისაა, მაშინ, როცა მე მხოლოდ 19-ისა ვარ. ყველას ბაბუა და შვილიშვილი ვგონივართ, ცოტა უხერხულობას ვგრძნობ, როცა კოლეგებს ვაცნობ ხოლმე.

ერთბაშად მის ნაღვლიან თვალებს ვიჭერ, რომლებიც ბებიას თვალებს მაგონებენ. მამაჩემი საერთოდ არ ჰგავს ბაბუას, რადგანაც მისი შვილი არ არის. ბაბუამ იგი იშვილა, როცა ბებიაზე დაქორწინდა. თვითონ უშვილო იყო.

— რა სიცხეა, — ამბობს მამაჩემი, — მოდი, რამე ცივი დავლიოთ. დედაშენი სამზარეულოშია. ბებიასთვის საუზმეს ამზადებს.

ის სახლში შედის. მე მივყვები და თან ვფიქრობ, უღალატია თუ არა ოდესმე დედაჩემისთვის.

ნასადილევს ჩემი მშობლები ქალაქის ცენტრში წავიდნენ ფილმის სანახავად. ჭურჭელი დავრეცხე და ბებიას ოთახში შევედი, თან თეთრეული შევიტანე. აქ კონდიციონერი მუდმივად ჩართულია. ბებია სანოლზე წამოძვდარა, ზურგს უკან ბალიშები აქვს შემოწყობილი. კუთხეში მდგარ კომოდთან ვჯდები. მისი საცვლების დაკეცვას ვინყებ. ობაშანი ჩურჩულებს:

— რა სიმშვიდეა!

მის სახეს ვაკვირდები. უაზროდ იყურება. ნეტა რაზე ფიქრობს მთელი დღე? არ უყვარს ხმაური. ამიტომ აქ არც ტელევიზორია და არც რადიო.

ჩვენს სახლში იგი ერთადერთია, ვისაც ტატამიზე არ სძინავს. ბაბუას სიკვდილის შემდეგ ტატამი გაატანინა და მის მაგივრად დასავლური სტილის სანოლი და მრგვალი მაგიდა შეიძინა. ამ საქციელმა ძალიან გაგვაკვირვა. განსაკუთრებით — ჩემი მშობლები. როცა ჰკითხეს, რატომ მოიშორე ტატამიო, მან თქვა: „ოჟიშანი ძალიან მაკლია, გარემოს შეცვლა მჭირდება“.

ისევ ვაკვირდები ბებიას ლამაზ სახეს. მიუხედავად ასაკისა და ავადმყოფობისა, მისი კანი აბრეშუმითაა. სულ მთლად თეთრი თმა მის სახეს განსაკუთრებულ ემზს მატებს. ნაკვთები სწორი აქვს და დახვეწილი. ოჟიშანი ამბობდა: „ობაშანმა თავგზა ამიბნია. იგი თავდაჭერილი იყო, თან ძალიან მიმზიდველი, როგორც კესანეს ყვავილები“. წარმომიდგენია, რა ლამაზი იქნებოდა. ახლაც ხშირად ვეუბნები: „ახალგაზრდობაში ალბათ ბევრ კაცს მოსწონდა“. ღიმილით მპასუხობს: „არ ვიცი, მე ყველაზე მეტად ოჟიშანი მომეწონა“. მჯერა, რომ ასე იქნებოდა. ბაბუა ძალიან აქტიური და სოციალური იყო. ბებია კი სრულიად არ ყოფილა ასეთი. ოჟიშანი მზე იყო. ობაშანი კი მთარე. ერთმანეთისა კარგად ესმოდათ.

მამაჩემისგან ვიცოდი, რომ ოჟიშანმა ობაშანის გულისთვის მემკვიდრეობაზე თქვა უარი. მისმა მდიდარმა მშობლებმა არ მიიღეს შვილიანი ქალი. თანაც ბებია ობოლი იყო. მამაჩემმა მითხრა: „ბაბუაშენი თავისი გადარჩევილობის ერთგული დარჩა მშობლების აზრის მიუხედავად. იგი ერთადერთი ვაჟი გახლდა. მისთვის ადვილი არ ყოფილა უარი ეთქვა თავის ოჯახზე. მის მამაცობას ძალიან ვაფასებ. ის ძალიან გულწრფელი ადამიანი იყო“. ლამედება. ნაკლებად ცხელა. კონდიციონერს ვრთავ. ობაშანი მეკითხება:

— შეგძლია გაალო ფანჯრები?

— რა თქმა უნდა

ოთახში თბილი ჰაერი შემოდის. უცებ იგი ყვირის:

— უყურე, ცუბაკი!

ხელით ბოსტანზე მიმითითებს

— რა ხდება!

— ჰო-ტა-რუ!

გული მეკუმშება. მიმეორებს: „აი, იქ!“ გაფართოებული თვალებით ვიყურები და სიბნელეში მართლაც რამდენიმე ცი-

ცინათელას ვხედავ, რომლებიც აქეთ-იქით დაფრინავენ. ამ-
ჯერად იგი მართალია. ოთახის განათებას ვამცირებ. ობაშანი
ლილინებს: ჰოტარუ... მეც მასთან ერთად ვმღერი.

— იუიკო ისეთი პატარა იყო... — ამბობს იგი, — ჩვენს
სახლს ნაკადული ჩამოუდოდა, სადაც ციციანათელები დაფ-
რინავდნენ. ჩვენ ერთად ვსვირნობდით: მე, ბაბუა და იუიკო.
ისეთი ბედნიერი ვიყავი, ისეთი მშვიდი ცხოვრება გვქონდა...

ეს მოგონებანი იმ დროს უკავშირდება, როცა ბებია-ბაბუა
და მამაჩემი ნაგასაკში ცხოვრობდნენ. რამდენიმე კვირაა,
სულ ამ ამბებს მიაბობს. მეც ვუსმენ, არ ვანწყევტინებ. უცებ
ჩერდება და დაბნეული მიყურებს:

— რა მოგდის?

— როცა ოჟიშანი ციმბირიდან დაბრუნდა, ისეთი გამხდა-
რი იყო, მე და მამაშენმა ვერც კი ვიცანით. იქ ჯანმრთელობა
შეერყა. მძიმე სამუშაო, აუტანელი სიცივე, შიმშილი, მარტო-
ობა. აუტანელ პირობებში ცხოვრობდა. იქ რომ არ წასულიყო,
უფრო დიდხანს იცოცხლებდა. იმის გამო...

თავს ხრის. ვიცი, რომ ოჟიშანი ომის დროს მანჯურიამი
გააგზავნეს, მერე ციმბირში. ერთხელ მამამ მითხრა: „ბაბუა-
შენი რომ ნაგასაკში დარჩენილიყო, შეიძლება ატომური ბომ-
ბის მსხვერპლი გამხდარიყო, არავინ იცის, რა შეიძლება
მომხდარიყო“. ობაშანს ზურგზე ვეფერები და ვეუბნები:

— სწორედ ომის წყალობით დაბრუნდა ნაგასაკში, სადაც
შენ და მამა ელოდებოდით, არა?

არ მპასუხობს. ციციანათელები აღარ ჩანან. უაზრო სახით
მეკითხება:

— ნეტა ოჟიშანი იმქვეყნად მელიოდება?

დაუფიქრებლად ვპასუხობ:

— რა თქმა უნდა!

იქვე დავძენ:

— შენ დიდხანს უნდა იცოცხლო, მის მაგივრადაც!

ილიმება: ცუბაკი, ისეთი თბილი ხარ, ბედნიერი ვარ, რომ
ასეთი შვილიშვილი მყავს!

სიბნელებში ციციანათელები ციმციმებენ. ბაღში ჩავედი და
ორი ცალი დავიჭირე. ჩემს პატარა აკვარიუმში ჩავსვი, რომე-
ლიც შარმანდელს მერე ცარიელია. გვიმრის ფოთლებზე მი-
ცოცავენ, ერთი მეორეს მისდევს, როგორც მისი წყვილი. მათ
ჩემ ოთახში ნავიყვან.

ვნევარ და ობაშანზე ვფიქრობ, რომელსაც დეპრესიული
სახე აქვს. ჩემ თავს ვეკითხები, რატომ ანუხებს აქამდე ციმ-
ბირში ოჟიშანის გამგზავრება. ვგრძნობ, რომ წვალობს და ეს
მადარდებს.

მასხენდება ბაბუას სიკვდილი. ყველანი მასთან ვიყავით:
ბებია, ჩემი მშობლები, ჩემი და-ძმა და მე. დეტალები არ მა-
გონდება, რადგან მაშინ მხოლოდ 6 წლისა ვიყავი. მიუხედა-
ვად ამისა, ბავშვური გულით ვგრძნობდი, რომ იგი კარგად იქ-
ნებოდა. მშვიდი გამოხედვა ჰქონდა. დედაჩემისგან ვიცი, რომ
სიკვდილის წინ ოჟიშანმა ხელში აიღო ობაშანის ხელი და
უთხრა: „რა ბედნიერი ცხოვრება მქონდა, ბედმა გამილიმა,
რომ ასეთი ოჯახი მყავს“. მისი ოჯახი ჩვენ ვიყავით. 79 წლისა
გარდაიცვალა, თუმცა გული ისევ ახალგაზრდული ჰქონდა.

ციციანათელები ისევ ციმციმებენ. ვუყურებ მათ ნათებას
და ბაბუასთან საუბარი მასხენდება:

— ოჟიშან, ციციანათელები რატომ ანათებენ?

— რათა მდებარე მოიზიდონ

გაკვირვებულნი ვკითხულობ:

— ციციანათელები მამრები არიან?

— ჰო, მდებარეები ბრჭყვიალა ჭიები არიან. ისინიც ანათებენ,
მაგრამ არ დაფრინავენ. ერთმანეთს ციმციმით ეხმარებიან.

— რა რომანტიკულია!

— ჰო, ჩვენთვის ასეა, იაპონელებისთვის.

— რისი თქმა გინდა?

— იმის, რომ მაგალითად საფრანგეთში ცრურწმენა არსე-
ბობს, რომლის მიხედვითაც ციციანათელათა შუქები მკვდარ

მოუნათლავ ბავშვთა სულებია. მათთვის, ვისაც ამის სჯერა,
ეს მწერები ავისმომასწავებელნი არიან.

სიტყვა „ავისმომასწავებელმა“ ბებიას აღწერილი ატომური
ბომბის სცენა მომაგონა: „დავინახე, როგორ გადაუფრინეს ციცი-
ნათელებმა ნაკადულს, რომელიც შენობათა ნანგრევებს ამოე-
სოთ. მწერების შუქები სიბნელებში ისე ციმციმებდნენ, როგორც
მსხვერპლთა სულები, რომლებმაც არ იცოდნენ, საით წასულიყ-
ვნენ“. ჩემ თავს ვეკითხები, სად წავა ობაშანის სული, იხეტილებს
თუ არა ორ სამყაროს შორის? მისი დღეები დათვლილია. იმედი
მაქვს, რომ ისევე მშვიდად მოკვდება, როგორც ოჟიშანი.

დღეს შაბათია. დღის ორი საათი. ჩემი მშობლები ქალაქის
ცენტრში წავიდნენ. ობაშანის ოთახში შევდივარ. ხელში ჟურ-
ნალი მიჭირავს, რომელიც გუშინ ტოკიოს სადგურში ვიყიდე,
გაზეთების ჯიხურში.

ბებია გაიღვიძა. ზურგით ისევ ბალიშებზეა მიყრდნობილი.

— აქ ნავიკითხავ, ხომ არ შეგანუხებ?

ილიმება: შენ არასდროს მანუხებ, ჩემო პატარა!

რადღაცას მოუხერხებლად ამოდრავებს ხელში: კოტოკო-
ტოკოტო...

— რა არის?

მსხვილ ნიჟარას მიჩვენებს. ნიჟარა ძველია, დეფექტები-
ანი ზედაპირით.

— ეს ჰამაგურია, — ამბობს იგი.

— შიგნით რა არის?

— კენჭი.

ვილიმები. პატარა ბავშვიანი ათამაშებს: კოტოკოტოკო-
ტო... ის დრო მასხენდება, როცა ბებიასთან ერთად იუგაჰამა-
სა და შიშირიგაჰამას პლაჟებზე ვსვირნობდი. იქ ნიჟარებს
ვავროვებდით, რითაც ვთამაშობდი.

ხელს აჩერებს. ოთახში სიჩუმე ისადგურებს. მხოლოდ
კედლის საათის ნიკნიკი ისმის. ობაშანი იძინებს, ჰამაგური
ისევ ხელში აქვს.

ჟურნალს ვშლი, რომელიც ყდაზე მოთავსებული სათაუ-
რის გამო ვიყიდე. „სად იყავით 9 აგვისტოს“?

ეს ის დღეა, როცა ნაგასაკში ბომბი ჩამოაგდეს, 1945 წელს.
ამ სათაურმა ობაშანი გამახსენა, რომელიც ამ თემაზე არ ლაპა-
რაკობს, თუმცა ვიცი, რომ იმ დილით სოფელში წავიდა მეზო-
ბელთან ერთად ბრინჯის საყიდლად. როცა მამას ვკითხე, თუ
რატომ არ ლაპარაკობდა ამაზე ბებია, მიპასუხა: მათთვის, ვინც
ეს გადაიტანა, ამაზე ლაპარაკი ადვილი არ არის, ატომური ბომ-
ბის საშინელება ჩვენს წარმოსახვას სცილდება, შესაძლებელი
რომ იყოს, ყველაფერს დავივიწყებდი, წლები დამჭირდა, რომ ამ
მოგონებებით გამონეული ტკივილი გადამელახა. ამას გარდა,
ობაშანმა 1923 წლის ტოკიოს მინისძვრაც გადაიტანა, მაშინ დე-
და და ბიძა დაკარგა. ბევრი უბედურება ნახა. საბედნიეროდ,
ოჟიშანთან ბედნიერი იყო. აცალა, მშვიდად იყოს“.

ვცდილობ ნავიკითხო ომს გადარჩენილი ადამიანის ისტო-
რია, თუმცა კონცენტრაცია მიჭირს. თვალწინ პროფესორის
სახე მიტრიალებს. მისი ბოლო სიტყვები არ მომნონს: „ჩვენ
შორის დარჩეს“. ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ვუპასუხო. დაბნეუ-
ლი ვუყურებ სათაურს: „სად იყავით 9 აგვისტოს?“

რამდენიმე წუთის შემდეგ ბებიას ჩურჩული მესმის, თვალე-
ბი ისევ დახუჭული აქვს, ალბათ სიზმარს ხედავს. ყურადღებას
ვძაბავ. იგი ნანწყვეტ-ნანწყვეტ ამბობს: „არა, არა, არ არის საჭი-
რო...“ ერთბაშად ყვირილს იწყებს: „აქ არის, აქ არის“. შიში მიპყ-
რობს, ვფიქრობ, რომ ისევ ჰალუცინაციები ეწყება. გახშირებუ-
ლად სუნთქავს. შეშინებული ვუახლოვდები. ოფლად იღვრება.
სახე მოჩვენებასავით გაფითრებულია. მის ახლოს სკამზე ვჯდები.

— ობაშან! — შუბლს პირსახოცით ვუმშრალავ. იღვიძებს.

— როგორ ხარ? ალბათ ცუდი სიზმარი ნახე.

არ მპასუხობს. თვალებს ფართოდ ახელს.

— ცოტა წყალს დალევ? — თანხმობის ნიშნად თავს მიქნევს.

— შენუხებული სახე გაქვს, რა დაგემართა?

ხმას არ იღებს. კედელს მიშტერება. კითხვებს აღარ ვუსვამ, სკამიდან ვდგები. უცებ მეუბნება:

- მე მონამგლის მონმე გავხდი!
- მონამგლის მონმე? — გული მეკუმშება, ვფიქრობ, რომ სიზმარზე ლაპარაკობს. თანაგრძნობით ვეუბნები:

- რა კომპარია!
- სერიოზულად მიყურებს:
- ცუბაკი, ეს კომპარია არაა, ეს მართლა მოხდა. შენუხებული ვარ. „რაზე ლაპარაკობს“? ისევ ვვადები.
- ეს როდის იყო?
- ადრე დილით, იმ დღეს როცა...

- ჩერდება. ისევ ვეკითხები:
- სად?
- სადაც ატომური ბომბი ჩამოვარდა.
- „რაზე ლაპარაკობს“? ველეავ.

— მამამ მითხრა, რომ იმ დილით მეზობელთან ერთად სოფელში იყავი.

- მართალია.
- თუ ასეა, მონამგლის მონმე სად გახდი?
- მეზობლის სახლში.
- რა?

გაშეშებული ვარ. ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებ ორ ფაქტს: ობამანი, რომელიც მონამგლის მონმე გახდა და ობამანი, რომელიც იმავე მეზობელთან ერთად სოფელში მიდის. სცენის აღწერას ისე იწყებს, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრება.

ეს დილის 7 საათზე მოხდა. იგი გასასვლელად ემზადებოდა, მეზობელს ქალაქის ცენტრში უნდა შეხვედროდა. უცებ მეზობლის ბინიდან ხმაური შემოესმა, თითქოს შუშა დაიმსხვრაო. შემდეგ კედელზე კაუჭი და მამაკაცის ხმა გაიგონა, რომელიც საშველად უხმობდა. შეეშინდა, მაგრამ მაინც წავიდა. კარი მიხურული იყო. მეზობლის ქმარი სამხარეულოში იატაკზე გაშლართულიყო. მის ირგვლივ შუშის ნამსხვრევები ეყარა. უკვე მკვდარი იყო, თვალები ღია დარჩენოდა. პირიდან თეთრი სითხე სდიოდა...

- „რა საშინელებაა“ მაკანკალებს
- ვინ მონამლა?
- საკუთარმა ქალიშვილმა, — თქვა გადაჭრით.
- ქალიშვილმა? საიდან იცი?
- მის ოთახში, მაგიდაზე ვიპოვე ჩანანერი: „დედა, მშვიდობით, არ მეძებო“

— ღმერთო ჩემო...

ერთი წუთი ვფიქრდები და ვეკითხები:

- პოლიციას რატომ არ გამოუძახე?
- ჭერში იყურება, ველოდები.

— რადგანაც გოგონამ ის გააკეთა, რისი გაკეთებაც მე მინდოდა.

- გაოცებული ვუყურებ
- ამით რისი თქმა გინდა?
- ამ კაცის მოკვლა მინდოდა, სწორედ მისი წყალობით გაგზავნეს ბაბუაშენი მანჯურიაში, სწორედ მან შეუშალა ხელი მის დაბრუნებას, იგი ბაბუას კოლეგა იყო.

- რა საშინელი კაცი ყოფილა...
- იგი ჩუმდება. საშინელი გრძნობა მიპყრობს. ვეკითხები:
- საკუთარმა ქალიშვილმა რატომ მოკლა?

ბებია უარყოფის ნიშნად თავს აქნევს:

- არ ვიცი. ეს ჩემთვის საიდუმლოდ დარჩა. მამის მაგივრად ჩემი მოკვლა რომ ნდომოდა, ამას უფრო გავიგებდი.
- რისი თქმა გინდა?

— ვიდრე ოჟიშანი მანჯურიაში იყო, მე მასთან ურთიერთობა მქონდა

გავშეშდი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ მისი პირიდან მსგავს რამეს გავიგონებდი. თავჩაქინდრულმა მითხრა:

- ვიდრე ბაბუაშენს შეეხვედებოდი, ტოკიოში მისი საყვარელი ვიყავი.

მის გაფითრებულ სახეს ვუყურებ. თავში სისხლი მივარდება. ვლულულულებ:

- ესე იგი... ბაბუას კოლეგა მამაჩემის ნამდვილი მამა იყო?
- ხო, შენ ნამდვილ ბაბუაზე ვლაპარაკობ.

სული ყელში მეზვინება. ბებია თვალცრემლიანი განაგრძობს:

- ვულალატე ქმარს, რომელსაც მთელი გულით ვუყვარდი. როცა ციმიბირიდან დაბრუნდა, ატირებული მიკრავდა გულში და ამბობდა: „რა ბედნიერებაა, რომ ცოცხალი ხარ, იუიკოც ცოცხალია“. მაშინ სიკვდილი მინდოდა.

მისი გუშინდელი სიტყვების ახლა მესმის: „ნეტა ოჟიშანი მელოდება იმ ქვეყანაში“? ვხედავ მის ცრემლებს. „სანწყალი ობამანი!“ ღიღინს იწყებს: „ჰო-ტა-რუ“... ვუსმენ და მისი ჰალუცინაციები მახსენდება, დავარდნის მერე რომ დაენყო: „აქ არის, სახლის წინ გაიარა, ნეტა ასე ადრე სად მიდის?“

— ძალიან გულუბრყვილო ვიყავი — განაგრძობს ბებია, — ჩემი შვილის მამა ჩემზე ძალადობდა, მისგან თავის დაღწევის საშუალებად მხოლოდ მისი მოკვლა მიმაჩნდა. გულუბრყვილობამ და გაუთვითცნობიერებულობამ ბევრი ზიანი მომაცენა, ეს ყველაფერი ჩემ ქმარსაც შეეხო.

კითხვებს არ ვუსვამ, საშინლად აღელვებული ვარ, ვცდილობ დავმშვიდდე. ბებია სუსტად იღიმება, ცრემლები უშრება და ამბობს:

- ცუბაკი, ახლა გიამბობ იმ ციციანათელას ამბავს, რომელიც დაშაქრულ წყალში ჩავარდა:

თხუთმეტი წლისამ ობოლთა თავშესაფრის უცხოელი მღვდლის დახმარებით სამსახური ვიპოვე. პატარა ბინა ვიქირავე. ფული უკვე მქონდა, რომელიც თავის დროზე დედაჩემმა დავთართან ერთად მღვდელს ჩააბარა. მუშაობა ტოკიოს ფარმაცევტული პროდუქტების კომპანიაში დავიწყე. კურიერად ვმუშაობდი, თან ვალაგებდი. აქ შევხვდი იუიკოს ნამდვილ მამას.

ნიგნებსა და დოკუმენტებს დავატარებდი, დღეში სამჯერ ჩაის ვამზადებდი და დაკეტვის შემდეგ ოფისს ვალაგებდი. სახლში 7 საათისთვის ვბრუნდებოდი.

კომპანიის ტერიტორიაზე სამი შენობა იდგა: ოფისი, ქარხანა და ლაბორატორია. მე მუდმივად პირველ ორში ვტრიალებდი. ფეხი არასდროს დამიდგამს ლაბორატორიაში, სადაც ფარმაცეპტოლოგები კვლევებს ატარებდნენ. დროდადრო ისინი დირექტორებთან შესახვედრად ქარხანასა და ოფისში მოდიოდნენ. თავიდან ექიმები მეგონნენ, რადგანაც თეთრი ხალათები ეცვათ. მათ პატივისცემით ეპყრობოდნენ.

მათ დანახვაზე ოფისის ქალები გამოცოცხლებოდნენ ხოლმე. აკვირდებოდნენ, განსაკუთრებით ერთი კაცი მოსწონდათ — მესიე როიჯი ოლიბი. ამბობდნენ, იგი განსაკუთრებულიყო: რამდენიმე უცხო ენა იცოდა, უკრავდა პიანინოსა და ვიოლინოზე. განათლება ვეროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ჰქონდა მიღებული. სხვებისგან განსხვავებით ოფისის თანამშრომლების მიმართ გახსნილი გახლდა. ქალები გაუთავებლად იმეორებდნენ: „რა მომხიბლავია, თანაც უცოლოა, ნეტა ვინ ბედნიერი გახდება მისი ცოლი?“ ამბობდნენ, ოცდაოთხი წლისა და დოქტორანტურასაც ამთავრებსო. თანაც მნიშვნელოვანი ბანკის პრეზიდენტის ვაჟი გახლდა. ეს ბანკი კი ჩვენს კომპანიასთან თანამშრომლობდა. ვუსმენდი მათ და ვფიქრობდი, რომ ეს კაცი სხვა სამყაროდან იყო.

კომპანიის თანამშრომლებთან არ ვურთიერთობდი. ყოველთვის მარტო ვიყავი. მეგობრები არ მყავდა. თავისუფალ დროს ჩემ ბინაში დასავლური კაბების კერვაში ვატარებდი. ეს საქმე მარტოობის განცდას მიქარვებდა.

სერიოზულად ვმუშაობდი. მნიშვნელოვან დოკუმენტებს მანდობდნენ. წლის ბოლოს პრემიაც მომცეს, რამაც ძალიან გამახარა.

ერთ დღესაც ოფისის დერეფანში მესიე ოლიბს შეხვდები. თავდახრით მივესალმე. სახელი მკითხა, ვუპასუხე, მარიკო კანაზავა მქვია-მეთქი. დაკვირვებით შემომხედა. უხერხულო-

ბა ვიგრძენი. თავი დავხარე. კითხვები დამისვა, სურდა გავეგო, სად ვცხოვრობდი. ძალიან დავიძაბე. არასდროს მისაუბრია ასეთ განათლებულ და დახვეწილ ადამიანთან.

მას შემდეგ ხშირად მესალმებოდა, მაშინ გამომელაპარაკებოდა ხოლმე, როცა მარტო ვიყავით. ერთ დღეს მითხრა: „ლამაზი ხარ, კაცებს ჩემი შეშურდებათ, შენთან რომ დამინახავენ“. ვფიქრობდი, რომ დამცინოდა, მაგრამ მისი მშვიდი და თავაზიანი მანერები მომწონდა. ჩემ გარდაცვლილ ბიძას მაგონებდა. თეთრი სახე ჰქონდა, გრძელი კისერი და თხელი თითები. როცა ვუყურებდი, მისი და ბიძაჩემის სახეები ერთმანეთში მერეოდა.

ზაფხულის დასაწყისში, ერთ საღამოს ჩემ კარზე კაკუნის გაისმა. ჩემთან მხოლოდ მეპატრონის ცოლი დადიოდა, ისიც ბინის ქირის ნასაღებად. როცა გავალე, გავოცდი, სიბნელეში მესიე ოლიბი იდგა. იგი სწრაფად შემოვიდა და კარი დახურა. „არ შეგეშინდეს, არ მინდა, რომ შემამჩნიონ, სულ ეს არის“. არ ვიცოდი, როგორ მოვეცეულიყავი. ხმა ჩამივარდა. გამიღიმა და მედიკამენტების ყუთი გამომიწონდა, რომელსაც გახვეტილი სახურავი ეფარა. ვიკითხე: „ეს რა არის?“ „ეს ციციანათელაა, შენთვის დავიჭირე...“ მისმა სიტყვებმა მომადუნა. „მინდა აქ მარტო გნახო ხოლმე, თანახმა ხარ?“ თავი დავუქნიე. თმაზე მომეფერა და გამიმეორა: „შენ ლამაზი ხარ!“ როცა შუბლზე მაკოცა, მის პერანგზე წამლების სუნი ვიგრძენი.

ჩემთან მხოლოდ ნახევარი საათი დარჩა. ვიდრე დამტოვებდა, რამდენიმე პირობა ჩამომართვა: „ჩვენი შეხვედრის შესახებ არავის არაფერი უთხრა. უნდა გააგრძელო ჩემთან თქვენობით საუბარი. უნდა მომმართო „მესიე ოლიბით“ და არა სახელით“ ყველაფერზე დავეთანხმე, რადგანაც იგი კომპანიაში სრულიად გამორჩეული ადამიანი იყო, მე კი უბრალო კურიერი.

მესიე ოლიბმა ყოველდღე დაიწყო ჩემთან სიარული. მოდიოდა მზის ჩასვლის წინ და მიდიოდა შუალამის დადგომამდე. მას მოუთმენლად ველოდი. ხშირად ისეთი ნამცხვრები მოჰქონდა, არასოდეს რომ არ გამესინჯა. მიაბობოდა თავის სამუშაოზე, დროსტარებასა და უცხოურ ვოიაჟებზე. ჩუმად ვუსმენდი. სათქმელი ბევრი არაფერი მქონდა. მისი მოსვლა მსიამოვნებდა, თითქოს ბიძაჩემი გამომეცხადებოდა ხოლმე. კომპანიაში არ მესალმებოდა და მეც მზერას ვარიდებდი, როგორც მთხოვა.

ერთ საღამოს, კოკისპირულ წვიმაში, მესიე ოლიბი სულმთლად სველი გამომეცხადა. პირსახოცის მოსატანად გავედი. როცა დავბრუნდი, დედიპობილა დამხვდა. სირცხვილისგან გავწითლდი. ღიმილით მითხრა: „სასირცხვილო არაფერია, შენც გაიხადე, მაინტერესებს შენი სხეულის ნახვა“. ჩემკენ წამოვიდა. უკან დავიხე. ტირილი მინდოდა. ხელი მომკიდა და გამიმეორა: „ნუ გეშინია, არაფერს გავნებ“. ნელ-ნელა დამიწყო ტანსაცმლის გახდა. სახეს ხელებით ვიფარავდი. როცა მთლიანად გამხადა, ალტაცებულმა იყვირა: „მარიკო, რა ლამაზი ხარ!“ გამეშებული ვიდექი, თვალებს ვერ ვახელებდი. ვგრძნობდი, როგორ ეხებოდნენ მისი თითები ჩემ ტანს. „რა ლამაზი სხეული გაქვს!“ მეფერებოდა კეფაზე, მხრებზე, მკერდზე, მუცელზე, ბარძაყებზე... თანდათან სასიამოვნო განცდები მეუფლებოდა. მესიე ოლიბი მეკითხებოდა: „ხომ კარგია?“ შემდეგ პირსახოცზე დამაწვინა, თვითონაც ტატამზე დანვა და განაგრძო ჩემი ალერსი. მეფერებოდა კისერზე, სახეზე, მკერდზე... თითებით ჩემ შეწებებულ ფეხებს შეეხო, როცა მოვდუნდი, მკითხა: „სექსი გქონია?“ უარის ნიშნად თავი გავაქნიე: „ამისთვის ჯერ კიდევ პატარა ვარ!“ გამიღიმა: „სრულებითაც არა, შენ უკვე ქალი ხარ, შენი სხეული მომწონებოდა“. ხელში თავი გამაგრებული ცხელი ასო დამაჭერინა, ვცდილობდი ხელი უკან წამელო, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევდა. „მეშინია, არ მინდა, ორსულად დავრჩე“. ჩამურჩულა: „ნუ გეშინია, გავაკონტროლებ“. ისევ განაგრძო ჩემი მოფერება. ახლა მისი ენა ჩემ მკერდს და სასქესო ორგანოს ეალერსებოდა. სხეული მიცახცახებდა. ზემოდან გადამანვა. მის ასოს უკვე ფეხებზე ვგრძნობდი. მართლა შემეშინდა. ბოლოს ტუჩებზე დამაცხრა და დამეუფლა. ნელა მოქმედებდა, ტკივილი ასატანი აღმოჩნდა, დაპირებისამებრ, გარეთ გაათავა. პირსახოცზე სისხლის წვეთები დარჩა.

ციციანათელების სეზონი დამთავრდა. ჩვენი საიდუმლო შეხვედრები გრძელდებოდა. ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ჩვეულებისამებრ ყოველდღე მოდიოდა მზის ჩასვლის შემდეგ და შუალამემდე რჩებოდა. ყოველ შეხვედრაზე დიდხანს და ნაზად მეფერებოდა, ისე, როგორც, პირველად. მიმეორებდა: „შენ ისეთი სექსუალური ხარ“. საკუთარი სექსუალურობა თანდათან მეც აღმოვაჩინე. უიმისოდ ცხოვრება აღარ შემეძლო. სულ მასთან მინდოდა ყოფნა. ამ დროს ისიც კი არ ვიცოდი, სად ცხოვრობდა. ახალი წლის დამდეგს ცუდი ამბავი შემემთხვა. ერთ დღიას ოფისის უფროსმა დამიბარა კაბინეტში და მითხრა:

— შენი ერთ-ერთი მეზობლის წერილი მივიღე, იგი მატყობინებს, რომ შენთან გვიან ღამით მამაკაცი დადის. შოკში ჩავვარდი, კანკალი ამივარდა. გაცხებულმა მკითხა: „ეს კაცი ვინ უნდა იყოს, შენ ხომ გასათხოვარი ხარ?“ ენა ჩამივარდა. მან განაგრძო:

— ვინმე ჩვენი კომპანიიდანაა? უარის ნიშნად თავი გავიქნიე. მან გამიღიმა: — ასეც ვიცოდი, ეს შეუძლებელია. თავჩაქინდრული ვიდექი, ხმას ვერ ვიღებდი. — კარგად იცი, რომ მე არამარტო ჩემი თანამშრომლების სამუშაოზე ვაგებ პასუხს, არამედ მათ დისციპლინაზეც. კომპანიას კარგი რეპუტაცია აქვს არამარტო თავისი პროდუქციის, არამედ თანამშრომელთა დისციპლინის გამოც. ჩვენს ტრადიციებს არ უნდა ვუღალატოთ. ასეთი წერილის მიღებას აღარასოდეს ვისურვებდი.

განითლებული ვუსმენდი, ძალიან ვწუხდი. ნასვლა მეჩქარებოდა, მაგრამ უფროსი ჩემს დამოძღვრას განაგრძობდა.

— ჩვენ ყოველთვის საიმედო ოჯახებს ვირჩევთ. შენი შემთხვევა გამონაკლისია. შენ ჩვენი ერთ-ერთი ხელმძღვანელის რეკომენდაციით მიგიღეთ, რომელიც კარგად იცნობდა თავ-შესაფრის მღვდელს. მართლაც ბედმა გაგიღიმა! მისი მადლობელი უნდა იყო, მაგრამ რასაც შენ აკეთებ, მადლიერებასთან არაფერი აქვს საერთო!

ერთი საათის შემდეგ როგორც იქნა გამათავისუფლა. თან დასძინა:

— იმ კაცთან ურთიერთობა განწყვიტე, თუ არადა სამუშაოდან გაგიშვებ! — სასწრაფოდ ტელეფონში შევევარდი. უფროსის ბოლო სიტყვებმა საშინლად ამაღელვა. ბევრი ვიტყვი. სამუშაოს დაკარგვა არ მინდოდა. მესიე ოლიბთან განმორებაც წარმოუდგენლად მიმაჩნდა. გადავწყვიტე: „ყველაფერს შევატყობინებ, ვიდრე ჩემთან მოვა, ის აუცილებლად იპოვის გამოსავალს“. ცოტათი დავენწყნარი და ტელეფონიდან გამოვედი.

თითქმის თერთმეტი საათი იქნებოდა. თანამშრომლებისთვის ჩაი უნდა მომემზადებინა. ოფისის სამზარეულოში შევედი და საქმეს შევეუდექი.

სინზე ჩაის ფინჯნები დავანყვე. ამ დროს სამზარეულოში ორი ქალი შემოვიდა. ერთმა წამოიძახა: „რა საწყენია!“ მეორემ დაუდასტურა: „მართლაც!“ მათმა საუბარმა დამაინტერესა. პირველმა თქვა: „ამბობენ, რომ მისი საცოლე კარგი ოჯახიდანაა. იგი ტოკიოში ცნობილი ექიმის ქალიშვილია“. მეორემ დასძინა: „არ მიკვირს, მაგრამ ვერ წარმოვიდგენ, თუ მესიე ოლიბი ასე ადრე დაქორწინდებოდა“. ყურებს არ ვუყვებოდი, ვგრძნობდი, როგორ ამდიოდა სისხლი თავში. ხელები მიცახცახებდა. ფინჯანი ხელიდან გამივარდა. ქალებმა შემომხედეს. უცებ გული წამივიდა. ერთხანს მათი ყვირილი შორიდან მესმოდა.

ამის შემდეგ მესიე ოლიბი ჩემ ბინაში აღარ გამოჩენილა. მისი ნახვა ვერც კომპანიაში მოვახერხე. როგორც ჩანდა, ლაბორატორიიდან არ გამოდიოდა... სერიოზული ტრავმა მივიღე.

მოვიდა ასტრავალების სეზონი. ერთ საღამოს, 12 საათისკენ ჩემ კარზე კაკუნის გაისმა. კართან მესიე ოლიბი აღმოჩნდა. ძალიან გამიკვირდა. მისი ბოლო ვიზიტიდან ოთხი თვე გასულიყო. მეზობლის შიში მქონდა, რომელ-

საც შეიძლება კომპანიაში დავებზებინე. ამას ყურადღება არ მიაქცია, შემოვიდა და მაშინვე ჩემი მოხვევა სცადა. გავბრაზდი. ხელი ვკარი და ვუთხარი: „ჩემგან რაღა გინდათ?“ ძალით მომეხვიდა. ისევ გაუძლიანდი. „თავი დამანებეთ!“ ისევ გავიბრძოლე, მაგრამ არ გამიშვა, როცა ძალა გამომეცალა, მითხრა: „ძალიან მომეწონა“. ისევ ბრაზი მომერია: „თქვენ ხომ დაქორწინებული ხართ, ჩემ სანახავად არ უნდა მოსულიყავით!“ პერანგზე მედიკამენტების ნაცნობი სუნი ასდიოდა. ერთბაშად წინააღმდეგობა შევწყვიტე და მის მკლავებში გავივინდი. მან თქვა: „ჩემი ქორწინება სასარგებლო გარიგებაა. მე ცნობილი ოჯახის მემკვიდრე ვარ. ცოლი მშობლებმა შემირჩიეს“. სიტყვა „ცოლმა“ გული მატკინა. ვუთხარი: „მასთან ხომ ლოგინი გაქვთ?“ ტირილი მინდოდა. თმაზე მომეფერა: „ექვანიზისთვის საბაბი არ გაქვს, მე მხოლოდ შენ მიყვარხარ. უშენობა ძალიან გამიჭირდა. ჩემი გესმის?“

მკოცნიდა ტუჩებში და ცრემლიან ლოყებზე, სახეზე, კისერზე. მისი სუნთქვა თანდათან ძლიერდებოდა. ტანსაცმელი გამხდა და ახლა მკერდზე, მუცელზე, სასქესო ორგანოზე გადავიდა. მისი თავი ხელით მეჭირა. უცებ კენესა აღმომხდა. ლეინზე დამანვინა, სწრაფად გაიხდა და დამეუფლა. სხეული სულმთლად გახურებოდა, ენერგიულად მოძრაობდა, ისე, რომ კონტროლიც დაკარგა.

როცა ყველაფერი დამთავრდა, ზურგზე გამოტილს ვკითხე: — თქვენი ცოლი ლამაზია?

— ჩემი ცოლი? კი, ლამაზია, მაგრამ ამპარტავანი, თან დამოუკიდებლობა აკლია

— ესე იგი?

— მარტო ყოფნა არ შეუძლია. მუდმივად სჭირდება ადამიანები, ვინც მოუსმენს. შინ ხშირად ინყენს და მუდმივად ეპატივება თავისი ოჯახის წევრებს ან მეგობრებს, რათა მათთან გაატაროს დრო. ამის უფლებას ვაძლევ. კარგ ქმრად ვითვლება. სინამდვილეში ვერ ვიტან მის უსარგებლო ყბედობას. თავს კარგად ვგრძნობ, როცა შინიდან მიდის.

იმ საღამოს, წასვლის წინ, შემპირდა, რომ ჩვენთვის მყუდრო ბინას მოძებნიდა.

რამდენიმე კვირის თავზე მესიე ოლიბმა ფურცელი გადმომიცა, რომელზეც ბინის მისამართი ეწერა. სამუშაოს შემდეგ იმ მისამართზე წავიდი. შენობა გზის ბოლოს იდგა. საერთო შესასვლელი შუაში იყო. ჩვენს ბინას კი შესასვლელი ცალკე ჰქონდა კუთხის მხრიდან. იქვე ხე იდგა, რომელიც შესასვლელს შეუმჩნეველს ხდიდა. ბინით კმაყოფილი დავრჩი. თვის დასაწყისში იქ გადავბარგდი.

მესიე ოლიბი „ჩვენ სახლში“ ხშირად მოდიოდა. დიდხანს რჩებოდა. ერთად ვსადილობდით. ძალიან ბედნიერი ვიყავი.

მეუბნებოდა, ჩემი ცოლი ბევრს მოგ ზაურობსო. ჩვენს ურთიერთობაში არ შეცვლილა ის, რომ ღამე ჩემთან ისევ არასოდეს რჩებოდა და ჩემთან ერთად გარეთ არ გამოდიოდა.

იმ თვეში ციკლი არ მომსვლია. ამან ამაფორიაქა. მესიე ოლიბსაც

ვერაფერი ვუთხარი. სამი თვის შემდეგ მიხვდა, რომ ორსულად ვიყავი. ძალიან შენუხდა: „მხოლოდ ერთხელ ვერ გავაკონტროლე, წარმოუდგენელია“. არ ვიცოდი, რა მელონა, ვტიროდი. მითხრა, რომ ბავშვის გაჩენის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ლეგალიზაციას გამოირიცხავდა. არ მესმოდა, რას ნიშნავდა „ლეგალიზაცია“. ამიხსნა, რომ მისი გვარი ვერ გადაეცემოდა ბავშვს და იგი არ ჩაითვლებოდა მის მამად: „ხომ გესმის, ასეთ ვითარებაში ასე ხდება.“ მომთხოვა, რაც შეიძლება, მაღე დამეტოვებინა კომპანია, თანაც არავისთვის არაფერი მეთქვა.

ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც მირჩია. ჩემი უფროსი გაბრაზდა: „ამიტომაც არ მინდოდა ობლის აყვანა.“ მეორე დღეს შინ თავშესაფრის მღვდელი მესტუმრა. როცა ვუთხარი, რომ ორსულად ვიყავი, ძალიან გაოცდა და მკითხა, ვისია ბავშვიო. ამას ვერ ვიტყვდი. მან თქვა: „ვისგანაც უნდა იყოს, ბავშვი უნდა დაიბადოს. მაღამ ტანაკასთან მიდი, იგი კარგ მეანს გიპოვის.“ მაღამ ტანაკა მოხუცი ქალი იყო, რომელიც ობოლ-

თა თავშესაფარში მუშაობდა. მღვდელმა დამარწმუნა, რომ ეკლესიაში ხშირად უნდა მეველო.

ახალი წელიც მოვიდა. იუიკო მარტში დაიბადა. სამი თვის შემდეგ მაღამ ოლიბმა გოგონა გააჩინა. მას იუიკო დაარქვეს. ორივე სახელი მამამ შეარჩია. მამის სურვილის თანახმად, ჩემ შვილს ჩემი გვარი — კანაზავა — მივეცი.

მესიე ოლიბი „ჩვენ სახლში“ სიარულს განაგრძობდა. როცა იუიკო წამოიზარდა, მას „ბიძას“ ეძახდა. როდესაც იუიკო სამი წლის გახდა, პატარა სახლში გადავედით, რომელიც მესიე ოლიბმა იპოვა. მას სურდა, რომ მის შვილებს ერთად ეთამაშათ. ჩვენს სახლებს შორის პარკი იყო, სადაც ორივე ბავშვი ერთად დაჰყავდა. მე მათთან ერთად არ გავდიოდი. მესიე ოლიბი მეზობლებს ერიდებოდა.

ბავშვები ერთმანეთს კარგად ეგუებოდნენ. იუიკო მეუბნებოდა: „დედა, ის კარგი გოგოა. მიყვარს“. არც იცოდა, რა ერქვა. მე და მესიე ოლიბი სახელს არ ვეუბნებოდით. იუიკოს არ ვესაუბრებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჭკვიანი იყო. იუიკო მისგან რაღაცებს სწავლობდა, გოგონას ნათელი თვალები ჰქონდა.

დრო მშვიდად გადიოდა. ეს ვითარება მაინც მთრგუნავდა. დანარჩენი სამყაროსგან თავს ჩაკეტილად ვგრძნობდი. მესიე ოლიბი ხშირად სადილობდა ჩემთან და იუიკოსთან. ამის მიუხედავად, ერთად გარეთ არასოდეს გამოვდიოდით. როცა ვტიროდი, მეუბნებოდა: „კიდევ რა გინდა? სახლიც გაქვს და საკმარისი საკვებიც. იუიკოს ყურადღებას ვაქცევ. სხვა მამები ამას არ გააკეთებდნენ.“ იუიკოს იუიკოს გარდა სხვა მეგობარი არ ჰყავდა. მეზობლები შვილებს მასთან თამაშს უკრძალავდნენ, თან ჩემზე ჭორავდებდნენ: „ნეტა ამ კაცის საყვარელია თუ უბრალოდ ბოზია?“

ეს ამბავი იუიკოს დაბადების დღემდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. ობოლთა თავშესაფარში წავედი. მღვდელი ჩემმა მოულოდნელმა ვიზიტმა ძალიან გაახარა. მას სამუშაო ვთხოვე, ვუთხარი, რომ შემეძლო სამზარეულოში მუშაობა, ან ბავშვებისთვის ტანსაცმლის შეკერვა. საიმოვნებით დამთანხმდა. ვიდრე საქმეს ვაკეთებდი, იუიკო ობოლ ბავშვებთან თამაშობდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეკლესიაში ერთ კაცს შევხვდი, რომელსაც მესიე ტაკაჰაში ერქვა. სამუშაოს შემდეგ იგი მღვდელს ეხმარებოდა. ჩემდა გასაკვირად ისიც ფარმაკოლოგი აღმოჩნდა და იმავე კომპანიაში მუშაობდა, სადაც მესიე ოლიბი. გარდა ამისა, ისინი მეგობრებიც იყვნენ. მათი მეგობრობა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში დაიწყო, სადაც ერთად სწავლობდნენ. ტაკაჰაშიმ ცოლობა ისე მთხოვა, რომ კარგად არც მიცნობდა. ამან ძალიან გამაკვირვა. თავისი სტერილურობის საიდუმლოც კი გამიმხილა. მღვდელმა დაბეჯითებით მითხრა: „დათანხმდი, გულწრფელი ადამიანია, დარწმუნებული ვარ, შენ და იუიკო მასთან ბედნიერები იქნებით!“

მესიე ოლიბმა მითხრა: „ცოლობა გთხოვ? მის ოჯახს კარგად ეცნობ. ტრადიციული ოჯახიდანაა. ძალიან გულუბრყვილოა“. მესიე ტაკაჰაში სერიოზული აღმოჩნდა. ბევრი ფიქრის შემდეგ დავთანხმდი. ეს იუიკოსთვის გავაკეთე. რადგანაც მისი მდიდარი მშობლები ჩვენი ქორწინების წინააღმდეგნი იყვნენ, იგი შინიდან წამოვიდა და გადაწყვიტა სამუშაოდ წაგასაკის ფილიალში გადასულიყო, სადაც ჩემთან ერთად ახალ ცხოვრებას დაიწყებდა. წარსულზე ჩემთვის არაფერი უკითხავს. ჩვენი ქორწინების შემდეგ იუიკო მისი შვილი გახდა. მესიე ოლიბი უკმაყოფილო იყო. გაბრაზებულმა მითხრა: „მშვილია თუ არა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, იუიკო ჩემი შვილია. მე ყოველთვის მის გვერდით ვიქნები, როცა დაეჭირებები“.

1933 წლის ზაფხულის დასაწყისში მე და ჩემი ქმარი იუიკოსთან ერთად წაგასაკში დავსახლდით. ამ წელს იაპონია ერთა ლიგიდან გამოვიდა.

ურაგამის ხეობაში, პატარა სოფელში ვცხოვრობდით. ორი გადაბმული სახლიდან ერთი ჩვენ ვიქირავეთ, მეორეში კი მე-პატრონეთა მოხუცი წყვილი ცხოვრობდა. თავიდან ერთი შენო-

ბა ყოფილა. მოგვიანებით გაქირავების მიზნით შენობა გადაუკეთებიათ. ორ სიმეტრიულ ნაწილად იყო გაყოფილი. ეს ორი სახლი სოფლის ბოლო დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა.

სახლს წინ ნაკადული ჩამოუდიოდა, ურავამის ხეობაში რომ ჩაედინებოდა. ოცობდე მეტრში მტირალა ტირიფები იდგნენ. ნაკადულის მეორე მხარეს ბამბუკის ტყე იყო გაშენებული. საოცრად წყნარი ადგილი იყო. აქ ვერ იგრძნობდით, რა ხდებოდა დანარჩენ სამყაროში.

ჩემი ქმარი დროდადრო გასვლებს გვიწყობდა. დავდიოდით მდინარეზე, ზღვაზე, სოფელში. ვათვლიერებდით ნაგასაკის ისტორიულ ადგილებს. მოხუცი წყვილი გვეუბნებოდა: „რა ლამაზი ოჯახი გაქვთ!“

სალამობით ნაკადულის პირას ვსერირობდით. იუიკო ცინათელების დაჭერით ერთობოდა. მესიე ოლიბზე ხშირად ვფიქრობდი. მახსენდებოდა, როგორ ეთამაშებოდა იუიკოსა და იუიკოს. იგი მოულოდნელად მივატოვე, როცა მის კოლეგას გავეყვი ცოლად. არ ვიცოდი, ეს გადაწყვეტილება იუიკოსთვის რამდენად კარგი იქნებოდა, მაგრამ ჩაკეტილი ცხოვრება უკვე აღარ შემიძლო. მიხდოდა ჩემ შვილს რაც შეიძლება მალე დავინწყებოდა თავისი „ბიძა“ და „მეგობარი“. ყველაფერი, რაც იუიკოს მესიე ოლიბმა უყიდა, ობოლთა თავშესაფარში ჩავაბარე. ერთადერთი, რასაც ვერ შეველიე, ჰამაგური იყო, რომელიც იუიკომ აჩუქა იუიკოს ტოკიოდან წამოსვლამდე. ნაგასაკში ჰამაგურის კომოდში დედაჩემის დღიურთან ერთად ვინახავდი.

ჩემი ქმარი იუიკოზე გიჟდებოდა. თავის კოლეგებსა და ნაცნობებს ასე აცნობდა: „ეს ჩემი ბიჭია!“ არასოდეს ახსენებდა სიტყვას „ნაშვილები“. ამეცადინებდა და სპორტსაც აჩვენებდა. იუიკოს თანდათან უყვარდებოდა თავისი მამინაცვალე.

ჩემ ქმარს მოსწონდა, რომ ნაკლებ სოციალური ვიყავი. თავის კოლეგებს იშვიათად ეპატიჟებოდა. გამონაკლისი მესიე მაცუმო იყო. იგი ცოლთან ერთად ცხოვრობდა ჩვენს სოფელში. წყვილი უშვილო იყო. ჩემ ქმარს უყვარდა მასთან ჭადრაკის თამაში. იგი უბრალო ადამიანი გახლდა. თავაზიანი. თავისი სტუმრობით არ შეგანუხებდა.

მეგობრები არ მყავდა. იქ ერთი სოფლელი ქალი გავიცანი, სახელად შიმამურა. უბრალო და სიმპათიური ადამიანი. იგი სოფლის წესებს მაცნობდა. სოფელში რაღაც საერთო საქმეები იყო, რომელშიც ყველა ქალი მონაწილეობდა. მადამ შიმამურას ორი შვილი ჰყავდა, ბიჭი და გოგო. იუიკო ხშირად თამაშობდა მის გოგონასთან, რომელსაც ტამაკო ერქვა. ისინი ტოლები იყვნენ.

დრო მშვიდად გადიოდა. ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. სიამტკბილობაში ვცხოვრობდით. ჩემი ქმარი გულლია და მოსიყვარულე ადამიანი იყო. ხშირად შიშით ვფიქრობდი, რომ ასეთი ცხოვრება დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა.

ერთადერთი უხერხულობა მაშინ ვიგრძენი, როცა იუიკომ თავისი „ბიძა“ და „მეგობარი“ მოიკითხა. ეს მის მეშვიდე დაბადების დღეზე მოხდა. ინტუიციით გრძნობდა, რომ საქმე მის ნამდვილ მამასა და დას ეხებოდა. შოკში ჩავვარდი. იძულებული გავხდი, მისთვის სიმართლე მეთქვა, თან სიტყვა ჩამოვართვი, რომ მამინაცვალს ამის შესახებ არაფერს ეტყოდა. გავუმეორე: „ეს ამბავი დაივიწყე, ჩვენსა და მათ შორის ყველაფერი დამთავრებულია!“ ისინი იუიკოს აღარასოდეს უხსენებია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მათზე გამუდმებით ფიქრობდა. თავს დამნაშავედ ვგრძნობდი.

ჩვენი ჩასვლიდან ცხრა წლის შემდეგ მეპატრონის ცოლი გარდაიცვალა. მისი ქმარი საცხოვრებლად ქალიშვილთან გადავიდა სხვა სოფელში. უმეზობლებოდ დავრჩით. ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო წყნარი გახდა.

1943 წლის გაზაფხულზე ჩემმა ქმარმა სამხედრო ბრძანება მიიღო 6 თვით მანჯურიაში წასვლის შესახებ. იქ, ჰოსპიტალში საომარი მედიკამენტები უნდა შეემოწმებინა. ეს ბრძანება მისთვის მოულოდნელი გახლდა, რადგანაც ნაგასაკში

სწორედ ფარმაკოლოგთა სიმცირის გამო გაანაწილეს. არ ესმოდა, რატომ არ გაგზავნეს ვინმე ტოკიოდან. მითხრა, რომ მისი შემცვლელი კოლეგა უკვე ჩამოსულიყო ტოკიოდან.

მის გამგზავრებაზე ფიქრმა ამაფორიაქა. ომის ხანძარი სულ უფრო ძლიერდებოდა. ცნობილი გახდა ჩვენი სამხედრო ძალების მიერ ჩადენილი გმირობა კუნძულ ატუზე. ქვეყნიდან გასვლა სახიფათო გახდა. განსაკუთრებით ზღვის იქითა ნაწილში. ჩემ ქმარს ჩემი და იუიკოს დარდი ჰქონდა. ვარაუდობდა, რომ ამერიკელები იაპონიაში შემოვიდოდნენ, ეს კი უპირველესად კიუშუში მოხდებოდა, რეგიონში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. ჩვენი დატოვება არ უნდოდა. ჩვენ ხომ ოჯახი არ გვყავდა და თანაც ასე მოწყვეტილ ადგილას ვცხოვრობდით.

ერთ დღეს კმაყოფილმა მითხრა:
— ჩემი კოლეგა ოჯახით მეზობელ სახლში დაბინავდება. ჯერჯერობით ისინი ქალაქის ცენტრში ცხოვრობენ.

— რომელი კოლეგა?
— შენ არ იცნობ. ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარია. მესიე ოლიბი ჰქვია.

„მესიე ოლიბი?.. მესიე ოლიბი?“ ყურებს არ ვუჯერებდი. „არ არსებობს“. მთლიანად ავიშალე. ქმარმა ჩემი აღელვება ვერ შენიშნა.

— ჩემს კოლეგებში გამორჩეული ადამიანია. რამდენიმე ენას ფლობს და კარგად უკრავს პიანინოსა და ვიოლინოზე. მოგზაურობს საზღვარგარეთ. როცა ახალგაზრდა იყო, გოგონებში დიდი წარმატებები ჰქონდა. მისმა ქორწინებამ ბევრ ქალს გაუცრუა იმედი.

ისხილი გამეყინა. ენა ჩამივარდა. ვცდილობდი სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ჩემი ქმარი განაგრძობდა:

— ცოლ-ქმარს ერთი გოგონა ჰყავთ, სახელად იუიკო. გაქცევა მიხდოდა, სადღაც შორს. უცებ ვკითხე:
— არ შეიძლება მანჯურიაში მე და იუიკოც წამოგყვით?
— არა, იქ მხოლოდ 6 თვე დავრჩები. არ ინერვიულო!
შევეცადე დამეზუსტებინა:
— როცა ჩამოხვალ, შენი კოლეგა ტოკიოში დაბრუნდება?
— ალბათ.

გავჩუმდი. ფიქრი არ მასვენებდა: „იუიკოს ნამდვილი მამა ჩვენი მეზობელი იქნება, რა კატასტროფაა, ამ ვითარებას როგორ უნდა გავუმკლავდე?“ ქმარმა მითხრა: „იმედია, შენ და მადამ ოლიბი ერთმანეთს კარგად გაუგებთ. იგი მზრუნველი ადამიანია“.

პასუხი არ გამიცია, მან დაუმატა:
— ჩვენს შორის დარჩეს და ჩემ კოლეგას ტოკიოში საყვარელი და შვილი ჰყავს.

სადაცაა გული წამივიდოდა. ციციანათელების სეზონი იდგა. დადგა მესიე ოლიბის ოჯახის გადმოსვლის დღე. ერთი თვის თავზე ჩემი ქმარი მანჯურიაში გამგზავრდა. თან დამიბარა: „იუიკოსთან დაკავშირებით თუ პრობლემები გექნება, მესიე მაცუმოტოს ან მესიე ოლიბს მიმართე!“

ათწლიანი წყნარი ხანა დასრულდა. ჩემი ცხოვრება მთლიანად ამოყირავდა. სიმშვიდეს ვერ ვპოულობდი. არ ვიცოდი, როგორ მოვეცუულიყავი მესიე ოლიბის ოჯახთან. მათთან შეხვედრას შეძლებისდაგვარად გავურბოდი. საბედნიეროდ, მესიე ოლიბი სამუშაოთი ძალიან დაკავებული ჩანდა. თითქმის ვერ ვხვდებოდი. სამაგიეროდ, მადამ ოლიბი შემოდოდა ჩვენი, სოფლის შესახებ ინფორმაციას იღებდა. იძულებული ვიყავი დავხმარებოდი, თუმცა მისი ყბედობა და ტრამპის ძალიან შემანუხებელი იყო. იგი გაუთავებლად ლაპარაკობდა:

— მამაჩემი ტოკიოში ძალიან ცნობილი ექიმი იყო. დედაჩემი გოგონების მუსიკალური კოლეჯის პროფესორია, ბიძაჩემი მოსამართლეა. ნაგასაკში ბიძაშვილი მყავს, რომლის ქმარიც სამხედრო ქირურგია...
როცა გაიგო, მეც ტოკიოდან ვიყავი, კითხვები დამაყარა. შიშმა ამიტანა. მისთვის არაფრის გამხელა არ მიხდოდა. გა-

წუნვევტილი მკითხებოდა: „რომელ უბანში ცხოვრობდით?“ „რომელი სკოლა დაამთავრეთ?“ „მამათქვენი რას აკეთებს?“ არ მინდოდა მისთვის გამეზილა, რომ ტოკიოს ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ უბანში დავიბადე, რომ სკოლაში საერთოდ არ მივლია, რომ მამა არ მყავდა და უკანონოდ გაჩენილი ვიყავი. ამიტომ ბუნდოვან პასუხებს ვაძლევდი. იგი უნდობლად მიყურებდა.

რაკი მისი ერთადერთი მეზობელი ვიყავი, ყველაფერს ვერ ავიცილებდი. როცა შინიდან მიდიოდა, ვისვენებდი, ისევე, როგორც მისი ქმარი. თავის ბიძაშვილთან დადიოდა ხოლმე ქალაქში. ჩემი ეფემერული სიმშვიდე ერთბაშად დაირღვა. ერთ დღეს მითხრა:

— მადამ ტაკაჰაში! თურმე ჩემი ბიძაშვილი თქვენი ქმრის მშობლებს იცნობს, სამყარო მართლაც ძალიან პატარაა!

გული შემეკუმშა. ირონიული ტონით დასძინა:

— მართლაც ბედმა გაგვიღიათ, რომ ასეთი კარგი წარმოშობის ქმარი იშოვეთ!

ცხადი იყო, ისიც ეცოდინებოდა, რომ ობოლი ვიყავი და იუიკო უკანონოდ გავაჩინე. ძალიან დავითრგუნე. შესაძლოა ბიძაშვილს ისიც სცოდნოდა, რომ მესიე ოლიბის საყვარელი ვიყავი და იუიკო მისი შვილი გახლდა. თუ მადამ ოლიბი სიმართლეს გაიგებდა, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა. ამ შემთხვევაში მისი მხრივ დიდი შურაცხყოფა მელოდა.

დროდადრო მადამ ოლიბს ჩემთვის მშობლების გამოგზავნილი ნამცხვრები და შოკოლადები მოჰქონდა, ხანდახან თავისი ბიძაშვილის დედამთილ-მამამთილის ნაჩუქარ ბოსტნეულსაც შემომთავაზებდა. იუიკო კმაყოფილი იყო. აქ ტკბილეული ძნელად იშოვებოდა. იუიკოს მიაჩნდა, რომ ჩვენი მეზობელი ძალიან კეთილი ქალი გახლდა. სინამდვილეში მადამ ოლიბი ჩემთან დაახლოებას ცდილობდა, თუმცა ჩემი წარსული სულაც არ მოსწონდა. ნაგასაკში მეგობრები არ ჰყავდა, სშირად ამრეზით ამბობდა: „ამ გლეხუჭების დიალექტი არ მესმის, მათ მახინჯ ენას ვერ ვეგუები, ტოკიოში დაბრუნება ძალიან მეჩქარება. აქ ჩემი ქმარი ფილიალის კვლევათა ხარისხის შესაბამისად გამოგზავნეს. თუ ყველაფერი წესრიგში იქნება, ალბათ თქვენი ქმრის დაბრუნებამდეც წავალთ“.

გარდა მადამ ოლიბის ყბეობისა, სხვა სადარდელიც გამიჩნდა. იუიკომ მოუხშირა მეზობლებთან სიარულს: „დედა, მესიე ოლიბმა გოს სათამაშოდ დამპატიჟა“, „მესიე ოლიბი ხვალ თავის ლაბორატორიაში წამიყვანს“, „მესიე ოლიბმა წიგნები მათხოვა“. როცა „მესიე ოლიბს“ ახსენებდა, თავს ცუდად ვგრძნობდი. არ მინდოდა იუიკო მას შესჩვეოდა, მაგრამ უძლური ვიყავი. იქ შესვლას ვერ ავუკრძალავდი. თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ ექვსი თვე მალე გავიდოდა.

იუიკო იუიკოს საერთოდ არ ახსენებდა. ერთხელ მითხრა, მისი უხეშობა არ მომწონსო. ისინი ერთად არასოდეს მინახავს. მე მიმარჩნდა, რომ გოგონა თავაზიანი და მორიდებული იყო. ნათელი გამოხედვა ჰქონდა. დედისგან განსხვავებით, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. შევამჩნიე, რომ უფრო მამასთან მეგობრობდა. ერთად მხიარულად საუბრობდნენ. ნაკვეთებიაც ერთმანეთს ჰგავდნენ. მისი ხმა იმ დროს მაგონებდა, როცა იუიკოსთან ერთად პარკში თამაშობდა. მაშინ იუიკო მეუბნებოდა: „იგი ძალიან მიყვარს“. ორივენი 14 წლისანი იყვნენ. თავს ვუტყდებოდი, რომ ძალიან გამიხარდა, ამდენი წლის განშორების შემდეგ რომ ისევ ვნახე. ნეტავ ის ნიჟარა თუ ახსოვს, თავის ტოკიოელ „მეგობარს“ რომ აჩუქა? გული მეკუმშებოდა. იუიკოზე ვფიქრობდი, რომელმაც არ იცოდა, რომ მესიე ოლიბი და იუიკო მისი ტოკიოელი „ბიძა“ და „მეგობარი“ იყვნენ.

ეს ზაფხულის მინურულს მოხდა, ჩემი ქმრის გამგზავრების სამი თვის თავზე.

ერთ დილას სახლის წინ ვგვიდი. ყველა წასული იყო: იუიკო და იუიკო სკოლაში იყვნენ, მესიე ოლიბი — სამსახურში. მადამ ოლიბი ქალაქში წავიდა საყიდლებზე და ბიძაშვილის მოსანახულებლად. მისი ცხოვრება არ მაინტერესებდა, მაგრამ როცა შინიდან გადიოდა, თვითონ ყოველთვის მეუბნებოდა, სად მი-



მხატვარი თამარ მინაშვილი

დიოდა და როდის დაბრუნდებოდა. თან მთხოვდა, მისთვის მეცნობებინა, თუ ვინმე გამორჩნდებოდა. ეჭვი ჰქონდა, რომ სოფელში ქურდები იყვნენ. „აქ ჩვენ უცხოები ვართ, ფრთხილად უნდა ვიყოთ“ — ამბობდა იგი. მისი არ მჯეროდა, რადგან პრობლემა არასოდეს მქონია. მიხაროდა, როცა შინიდან გადიოდა.

სახლში შევედი. სამზარეულოს დალაგება დავიწყე. უცებ კარზე კაკუნი შემომესმა. შესასვლელისკენ გავემართე. იქ მესიე ოლიბი იდგა. რამდენიმე წუთი ხმა ვერ ამოვიღე. დაჟინებით მიყურებდა. ნავილულულე:

— ლაბორატორიაში არ წასულხართ?

ეს იყო მასთან პირველი კონტაქტი, რაც აქ დასახლდა

— ნამუდამდევს მივდივარ.

მადლიერების ნიშნად თავი დავეხარე და ვუთხარი:

— მადლობელი ვარ, რასაც ჩემს შვილს უკეთებთ.

— არ არის საჭირო, იგი ხომ ჩემი შვილიც არის!

გავჩუმდი. ფოთლებიანი ბოკალი გამომინოდა. თვალელებში შევხედე, გამიღიმა:

— გამომართვი, გუშინ საღამოს ნაკადულთან ციციანათელა დავიჭირე. ზაფხული თითქმის გავიდა. ეს ალბათ ერთ-ერთი ბოლოა.

ამ ჟესტმა გამაკვირვა. მისი პირველი ვიზიტი გამახსენდა ტოკიოში.

— გმადლობთ, ბევრი საქმე მაქვს, ბოდიში უნდა მოგიხადოთ.

შევეცადე კარი დამეკეტა. ერთბაშად მკლავებში მომიმწყვდია და შინ შემიყვანა.

— თავი დამანებეთ!

ხელები უკან წაიღო.

— მისმინე, ჩვენს წარსულზე მინდა გელაპარაკო.

— ნუ იდარდებთ, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის.

— მაგას არ გეუბნები, მარიკო!

— აბა რაზე უნდა მელაპარაკოთ?
 — ჩემს ქორწინებას ძალიან ვნანობ. რაც შენ ნაგასაკში გადმოხვედი, გავაცნობიერე, რამდენად მიყვარდი. თავზარი დამეცა.
 — არ მესმის, რაზე მელაპარაკებით!
 არ მიპასუხა. კარი ურდულზე ჩაკეტა. შიშმა ამიტანა:
 — ამის უფლება არა გაქვთ, ეს ჩემი სახლია!
 შევეცადე ურდული გადამენია. მესიე ოლიბმა ხელი გადა-
 მინია და მკერდზე მიმიკრა. გავიბრძოლე:
 — თავი დამანებეთ, გამიშვით!

ამჯერად ხელი არ გამიშვა. ძალა გამომეცალა და მის ნე-
 ბას დავყევი. მოძალადეობამ გამაოგნა. მის მკლავებში მომწყ-
 ვდელი ვგრძნობდი ნამღების მსუბუქ სუნს, რომელიც სა-
 ზაფხულო პერანგს ასდიოდა. მან მითხრა:

— ძალიან მომენატრე!
 უცებ გიჟივით დამიწყო კოცნა. თვალები ცრემლებით
 ჰქონდა სავსე. თავზარდაცემული, გაშეშებული ვიდექი. პე-
 რანგის ლილები ჩამიხსნა და მკერდზე დამეკონა. ბოლოს სულ
 გამხდა და აღტაცებით იყვირა:

— რა ლამაზი ხარ, შენი კანი ისევე აბრეშუმივით ნაზია! შე-
 ნი სხეული მე მეკუთვინის!

ტატამიზე მიმანვინა. თვალები დავხუჭე. ვგრძნობდი, რო-
 გორ მეხებოდნენ მისი თითები მკერდზე, მუცელზე, ფეხებ-
 ზე... ნაცნობი მანერით მეფერებოდა. ჩემმა სხეულმა რეაგირ-
 ება დაიწყო. თბილად მთხოვა:

— ძალიან გთხოვ, მომეცი შენ სხეულთან შეხების უფლე-
 ბა მანამ, სანამ შენი ქმარი დაბრუნდება. სამ თვეში ტოკიოში
 წავალ. ამის შემდეგ აღარასოდეს შეგანუხებ!

ათი წლის განმორების შემდეგ ჩვენი შეხვედრები ისევე გა-
 ნახლდა. რა თქმა უნდა სინდისი მქენჯნიდა, როცა ჩემი ქმარი
 მახსენდებოდა, ვისაც გულწრფელად ვუყვარდი და ვინც ახ-
 ლა თავის სამხედრო ვალს იხდიდა ჩემგან ასე შორს. ვიცოდი,
 რომ ამას ვინანებდი. მიუხედავად ამისა მესიე ოლიბის ნებას
 ვემორჩილებოდი, რომელიც ჩემ სხეულს როგორც არავინ,
 ისე იცნობდა. როცა მისი ცრემლები დავინახე, ვირწმუნე, რომ
 ისევე ვუყვარდი. მჯეროდა, რომ ჩვენი შეხვედრები ამჯერად
 მართლაც უკანასკნელად ხდებოდა.

6 თვე გავიდა. ჩემი ქმარი არ ჩანდა. მომწერა, რომ იქ კი-
 დევ უნდა დარჩენილიყო და რომ მისი დასრულების თარი-
 ლი მისთვის უცნობი იყო. ამ ამბავმა ამაღელვა, როცა ამის შე-
 სახებ მესიე ოლიბს ვუთხარი, მშვიდად მიპასუხა: „სამხედრო
 ბრძანებაა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს“.

კიდევ რამდენიმე თვე გავიდა. 1945 წელი დაიწყო. ომი
 სულ უფრო ძლიერდებოდა. იაპონელები ბრძოლებს აგებდ-
 ნენ. სკოლაში სწავლის პროცესი შეწყდა. იუიკო და იუიკო გა-
 სამხედროებულ ქარხანაში მუშაობდნენ.

თებერვლის თვეში ჩემი ქმრის წერილი არ მიმიღია. ამან
 ძალიან დამალონა. აქამდე ორ კვირაში ერთხელ მწერდა. მარ-
 ტის დასაწყისში ნაგასაკის ლაბორატორიამ საშინელი ამბავი
 მაცნობა: „თქვენი ქმარი გაუჩინარდა“. თავზარი დამეცა. „გა-
 უჩინარდა როგორ?“ შემდეგ ჭორი გავრცელდა, თითქოსდა
 იგი კომუნისტებისკენ გადავიდა. ყურებს ვერ ვუჯერებდი.

სასონარკვეთილი ვიყავი. მესიე ოლიბს ვკითხე, როგორ
 მოვექცეულიყავი, მან მითხრა: „ნუ დარდობ, ერთ კაცს ვიც-
 ნობ, რომელიც იმავე ჰოსპიტალში მუშაობს, სადაც შენი ქმა-
 რი. დავუკავშირდები და სიმართლეს გავიგებთ“.

ერთ საღამოს ჩემთან მაღამ ოლიბი მოვიდა. მოწყენილი
 სახე ჰქონდა. ნუთით ვიფიქრე, ჩვენი ურთიერთობის შესახებ
 ხომ არაფერი გაიგო-მეთქი. მან მითხრა: „იუიკო პოლიციამ
 გამოიძახეს.“ თავზარი დამეცა. ამიხსნა, რომ ვიღაცამ პოლი-
 ციაში დააბეზლა, როგორც კომუნისტური პარტიის წევრი.
 ვიყვირე: „ეს შეუძლებელია“!

— ვიცი, იუიკომ პოლიციელს ჩემი ქმრის ლაბორატორიის
 ტელეფონის ნომერი და მისი გვარი მისცა. ჩემი ქმარი პოლი-

ციაში წავიდა, არ ინერვიულო, აქაური ხელისუფლება მას პა-
 ტივს სცემს. შენი შვილი ჩემ ქმართან ერთად დაბრუნდება.

ქმრის ხელფასი შემინეციტეს. პანიკაში ჩავვარდი. ბინის
 ქირა უნდა გადამეხადა და ოჯახი მერჩინა. დანაზოგის იმედ-
 ზე დიდხანს ვერ ვიქნებოდი. სასწრაფოდ სამუშაო უნდა მეშო-
 ვა. „რა უნდა გამეკეთებინა?“ დაოჯახების შემდეგ აღარ მი-
 მუშავია. კერვას თუ შევძლებდი. სამხედრო ტანსაცმლის სამ-
 კერვალოებს დავუკავშირდი, სამწუხაროდ ყველა ადგილი
 დაკავებული აღმოჩნდა სტუდენტის გოგონების მიერ.

რამდენიმე კვირა გავიდა. არაფერი ჩანდა. სასონარკვე-
 თილი ვიყავი. ბანკიდან ფული გამოვიტანე და ბინის მეპატ-
 რონესთან წავედი. გავოგნდი, როცა მითხრა, შენი ბინის ქირა
 მესიე ოლიბმა გადაიხადაო. მისი სიტყვები გამიმეორა: „მესიე
 ტაკაჰაში ჩემი მეგობარი და კოლეგაა. მის ჩამოსვლამდე ქი-
 რას მე გადაგიხდით“. მეპატრონე აღფრთოვანებული იყო: „რა
 გულუხვი კაცია, ბედი გქონიათ, მაღამ ტაკაჰაში!“ შინ როცა
 დავბრუნდი, კარის წინ დიდი ფუთა დამხვდა. ეს ერთ-ერთი
 სამკერვალო ფაბრიკიდან იყო. ფუთაში მამაკაცის პერანგის
 სახელოები და კორპუსის ნაწილები ელაგა, ერთი დასრულე-
 ბული ნიმუშიც იდო. მივხვდი, რომ ეს სამუშაოც მესიე ოლიბ-
 მა მიშოვა. როცა გულწრფელი მადლობა გადავუხადე, მითხ-
 რა: „ეს არაფერია, შენს დასახმარებლად ყოველთვის მზად
 ვარ, მარიკო, გთხოვ დღეიდან შენობით მომმართო“.

დრო გადიოდა. ჩემი ქმრისგან ისევე არაფერი ისმოდა.
 აპრილიც მოვიდა.

ამერიკელები ოკინავას კუნძულზე შემოვიდნენ. იაპონიის
 სამხედრო შენაერთებმა ბოლომდე იბრძოლეს. ნაგასაკში გან-
 გამოცხადდა. ქალაქის თავზე გამანადგურებელი თვით-
 მფრინავები დაფრინავდნენ. ერთ დღესაც გემთმშენებელი
 ქარხნის დოკზე მიიტანეს იერიში. ქარხნიდან დაბრუნებულმა
 იუიკომ საშინელი ჭორი მოიტანა: „ქალაქში კალიუმის ციანი-
 დი გავრცელდა. ამერიკელების ხელში ჩავარდნას იაპონელები
 სანამღავით თვითმკვლელობას ამჯობინებენ“.

ყველაფრის მიუხედავად ჩვენს კარჩაკეტილ სოფელში სიმშ-
 ვიდე იყო. მესიე ოლიბთან შეხვედრები გრძელდებოდა. ეს დღით
 ხდებოდა, როცა ცოლი ქალაქში საყიდლებზე წავიდოდა. მაღამ
 ოლიბი თავის ბიძაშვილს ეხმარებოდა მოსუცი დედამთილ-მამამ-
 თილის მოვლაში, მისი ქირურგი ქმარი ტავიანში იმყოფებოდა.
 მესიე ოლიბი ჩემთან ძირითადი კარით კი არ შემოდიოდა, არამედ
 პატარა ხვრელით, რომელიც განჯინებს შორის გააკეთა. ჩემთან
 ერთი საათი რჩებოდა, შემდეგ ლაბორატორიაში მიდიოდა. მისი
 თხოვნის შემდეგ მიმართვის შენობით ფორმაზე გადავედი.

ფულს კერვით ვშოულობდი. კვირის ბოლოს ფაბრიკიდან ვი-
 ლცას აგზავნიდნენ, რომელსაც შეკერილი ტანსაცმელი მიჰქონ-
 და. ერთ დღეს დიდი ხნის უნახავი მაღამ მიმამურა მესტუმრა. იგი
 ჩემს სოფელში აღარ ცხოვრობდა. ჩემდა გასაოცრად აღმოჩნდა,
 რომ ერთი და იმავე ფაბრიკისთვის ვმუშაობდით. ჩაიზე დავბა-
 ტიყე. ცუდი ამბავი მაცნობა. მისი ვაჟი საიპანში ამერიკელებს
 დაეტყვევებინათ და იქვე დალუპულიყო. მისი სიკვდილის მიზეზი
 უცნობი იყო. ვარაუდობდნენ, რომ მან ამერიკელთა ტყვეობას
 სიკვდილი არჩია და თავი მოკლა. ხალხი მის საქციელში ოჯახს
 ადანაშაულებდა. მაღამ მიმამურამ ტამაკოზეც ილაპარაკა, თავის
 ქალიშვილზე, რომელიც თურმე ქარხანაში მუშაობდა.

— ტამაკოს ახალი მეგობარი ჰყავს ტოკიოდან — იუიკო
 ოლიბი.

არ ვიცოდი, თუ იუიკო და ტამაკო ერთ ქარხანაში მუშაობ-
 დნენ.

- იუიკო ჩემი მეზობლების ქალიშვილია.
- მართლა? ესე იგი მას კარგად იცნობთ?
- დიახ.
- შიმაშურამ მითხრა:
- ჩემმა შვილმა მითხრა, იუიკო კოლეჯ -ის მოსწავლეაო.
- ეს გამორჩეული სკოლაა. იგი ალბათ ძალიან ჭკვიანია.
- ჰო, ასეა.

რაც შეიძლება მოკლედ ვუპასუხე. მესიე ოლიბის ოჯახზე ლაპარაკი არ მინდოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი.

- მამამისი რას აკეთებს?
- რომელი მამა? — დავიბენი. მან გამიღიმა:
- იუიკოს მამაზე გეკითხები.

თვალი მოვარიდე:
 — ფარმაკოლოგია, ისევე, როგორც ჩემი ქმარი.
 — ისიც? რა დამთხვევაა!

გავჩუმდი. იგი ისევ თავის გოგონაზე ალაპარაკდა. როცა ჩაიდალია, დახვეული თეთრი ქალაღის პაკეტი მაჩვენა:

- ეს კალიუმის ციანიდია!
- რა?

ვიფიქრე, რომ ხუმრობდა. მან თქვა:

— ამერიკელები მალე კიუშუში იქნებიან. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ვნანობ, რომ ეს ჩემ შვილს თან არ ჰქონდა, როცა ამერიკელებმა დაიჭირეს.

სანამლავის პაკეტი წინ დამიდო. თვალებში ჩამხედა და მითხრა:

- ეს შენია!

ისეთი პრინციპული იყო, რომ უარი ვერ გავუბედე. შემდეგ წავიდა და თან წაიღო ჩემი შეკერილი ტანსაცმლით სავსე ყუთი. ჭორი, რომელზეც იუიკო მელაპარაკებოდა, გამართლდა. არ ვიცოდი, ეს სანამლავი სად წამელო. ბოლოს იმ ყუთში მოვათავსე, სადაც იუიკოს ნაჩუქარ ნიჭარას ვინახავდი.

ერთ საღამოს მდინარის პირას ვსეირნობდი მარტო. ზაფხული ახალი დაწყებული იყო. სავსე მთვარე ანათებდა. გზის პირას დაგდებულ მორზე ჩამოვჯექი. წყლის ზედაპირზე ციციანათელები დაფრინავდნენ. ნაპირთან ახლოს ჩავედი.

მწერებს ვუყურებდი და მანჯურიაში გაუჩინარებულ ჩემ ქმარზე ვფიქრობდი: „ნეტავ ახლა სად არის?“ მისი ღიმილიანი სახე დამიდგა თვალწინ. ერთდროულად დანაშაულისა და სინანულის გრძობა დამეფულა. გული შემეკუმშა. ჩემმა საქციელმა შემძრა: მუდმივად ჩემი ქმრის დაბრუნებაზე ვფიქრობდი და თან მის კოლეგასთან ურთიერთობას ვაგრძელებდი.

- ტამაკო, ძალიან გულუბრყვილო ხარ!

ეს გოგონას ხმა იყო, რომელიც ზემოდან ჩამოდიოდა. იუიკოს ხმა ვიცანი. იგი მადამ შიმამურას ქალიშვილთან ერთად იყო. სიჩუმე ჩამოვარდა. მომეჩვენა, რომ მორზე ჩამოსხდნენ.

- დროზე მოდი გონს, ვიდრე გვიანი არ იქნება. ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლისა ხარ!

ტამაკომ უპასუხა:

- შეუძლებელია!

მივაყურადე. მაინტერესებდა, რაზე ლაპარაკობდნენ. იუიკომ უთხრა:

- რეალისტი უნდა იყო!
- რეალისტი რას ნიშნავს?
- რეალისტი რეალობას გრძნობს.

ტამაკო გაჩუმდა. იუიკომ მკვეთრი ხმით განაგრძო:

— კარგად დაფიქრდი. იგი ცოლიანია. თან ბავშვები ჰყავს. არა მგონია, ოჯახი ადვილად მიატოვოს!

თავზარი დამეცა. მომეჩვენა, რომ იუიკო მე მაკრიტიკებდა მამამისთან ჩემი ურთიერთობის გამო.

ტამაკო შეედავა:

— მითხრა, რომ ცოლს ვერ ეგუება და განშორებას აპირებს.

- მისი არანაირად არ მჯერა, იგი არაგულწრფელია!

ტამაკომ ხმას აუწია:

— რა ბოროტი ხარ, იუიკო! მას ვუყვარვარ და ვჭირდები, ამაში დარწმუნებული ვარ!

— სჭირდები? ორსულად რომ დარჩე, ნახე, რამდენი პრობლემა გექნება!

იუიკოს სიტყვებზე კანკალი ამივარდა. ჩემი აღრინდელი მდგომარეობა წარმოვიდგინე, როცა მამამისის სიყვარულით ვიყავი დაბრმავებული.

მაშინ მეც თექვსმეტი წლისა ვიყავი... ტამაკო ტიროდა. იუიკო განაგრძობდა:

— არ დაგვიწყდეს, რომ იგი შენი უფროსია და ამით სარგებლობს. თანაც თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სწორედ შენ ამოგარჩია, ახალგაზრდა და გულუბრყვილო გოგონა. რა საზიზღარი არსებაა!

ტამაკო ქვითინებდა, თან იმეორებდა: „იუიკო, რა ბოროტი ხარ!“

იუიკომ გაბრაზებული ტონით თქვა:

— მისმინე, შენ რჩევა მკითხე და მეც გირჩიე ის, რაც შენთვის კარგი იქნება, თუ არ მოგწონს, სხვას ჰკითხე!

ტამაკომ არ უპასუხა. სიჩუმე ჩამოვარდა. დავინახე, როგორ გადაუფრინეს ციციანათელებმა ნაკადულს. იუიკომ დაიყვირა:

- ციციანათელები!

შემეშინდა, ქვევით არ ჩამოსულიყვნენ. უხერხული იქნებოდა იმის აღმოჩენა, რომ ვილაცამ მათი საუბარი მოისმინა. საბედნიეროდ, არ ჩამოსულან.

- ჰო-ტა-რუ...

იუიკომ სიმღერა დაიწყო. დაბნეული ვუსმენდი. ჩემი ქმრის ხმა ჩამესმა: „მარიკო, გაუძელი, მე მალე დავბრუნდები!“ თვალები ცრემლებით ამევსო.

იუიკომ თქვა:

— ჩემი აზრით ეს სიმღერა მამაკაცის შექმნილია, ქალების გულის მოსანადირებლად!

ბოლოსდაბოლოს ტამაკომაც გაიღიმა:

- სულაც არა, ეს საბავშვო სიმღერაა!
- ჩვენ ახალგაზრდები ვართ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ დაშაქრულ წყალში არ ჩავცვივდეთ!

ტამაკომ მშვიდად უპასუხა:

- მართალი ხარ, ამაზე ვიფიქრებ!

იქაურობას გაეცალნენ. მათი ნაბიჯების ხმა თანდათან მიჩუმდა. სრულ სიბნელებაში ვიდექი და ჩუმად ვქვითინებდი.

ერთხელ მესიე მაცუმოტომ იუიკო სადილზე დააპატიჟა. ეს ის მაცუმოტო გახლდათ, რომელიც ადრე ხშირად გვცტუმბობდა და ჩემ ქმარს ჭადრაკს ეთამაშებოდა. ცოლთან ერთად სოფლის თავში ცხოვრობდა. მათი სახლი ავტობუსების გაჩერებასთან იდგა. იუიკოს შესთავაზეს, ღამე მათთან დარჩენილიყო და დილით ქარხანაში იქიდან წასულიყო. ასე ბევრად მარტივი იქნებოდა. ადრე ადგომა აღარ მოუწევდა. იუიკო სიამოვნებით დათანხმდა.

საღამოს მადამ ოლიბი ქალაქის ცენტრში თავის ბიძაშვილთან წავიდა. მესიე ოლიბი ჩემთან კედლის ხერხელიდან შემოძვრა. მითხრა, რომ იუიკოს თავის ოთახში ეძინა. შემეშინდა, არ გაღვიძებოდა.

როგორც კი დამინახა, მომეხვია. მე არ ავეყვი. თვალებდახუჭულს თავში იუიკოსა და ტამაკოს საუბარი მიტრიალებდა: „ტამაკო, ძალიან გულუბრყვილო ხარ“.

მესიე ოლიბმა მითხრა:

- შეხვედრებისთვის სხვა ადგილი უნდა ვიპოვოთ!

არეულად ვუპასუხე:

— უნდა დავფიქრდე. მე მგონი, სჯობს აღარ შევხვდეთ... გაოცებულმა შემომხედა. მაშინვე ჩემი დარწმუნება სცადა.

— უშენოდ ვერ ვიცხოვრებ, მჭირდები. მე ვიზრუნებ შენზე და იუიკოზე. შენი ქმარი უნდა დაივიწყო. იგი აღარ დაბრუნდება.

ყურზე მკოცნიდა. მისი ცხელი ენა ჩემ კეფას ეაღერებოდა. კანკალმა ამიტანა. გაზედე და ვკითხე:

- ცოლს გამორდები?

არც კი შემომხედა, ისე მიპასუხა:

— როგორც იცი, ეს ქორწინება ჩემთვის არაფერს ნიშნავს. გაყრა ჩვენ შორის არაფერს შეცვლის.

გავჩუმდი. ტამაკო გამახსენდა, რომელიც ატირებული ისმენდა იუიკოს რჩევას.

მესიე ოლიბი მეფერებოდა. გაშეშებული ვიდექი. არ ვიცოდი, მიყვარდა თუ არა. ერთი საათის შემდეგ დამტოვა და მიტხრა:

— ხვალ ღამით მოვალ. მაცუმოტომ მიტხრა, რომ იუიკო ღამით ისევ მასთან დარჩება.

მეორე დღეს სასონარკვეთილი ვიყავი, ვერ ვშეშობდი. გამუდმებით ვფიქრობდი. ბოლოს გადავწყვიტე, რომ მესიე ოლიბს უნდა დავშორებოდი. ამისთვის ბინა უნდა შემეცვალა. მაგრამ რა უნდა მეთქვა იუიკოსთვის? აქ იმიტომ ვცხოვრობდით, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დაცული უბანი იყო ნაგასაკუი. მეორე პრობლემა ის იქნებოდა, რომ ბევრი ფული უნდა მეშოვა, ბინის ქირა რომ გადამეხადა.

ღამით მესიე ოლიბი მოვიდა. არ მივიკარე, მკაცრად ვუთხარა:

— გადავწყვიტე დავშორდეთ, ჩემი ქმარი მიყვარს და მრცხვენია იმის, რასაც მის ზურგს უკან ჩავდივარ.

ძალიან მშვიდად მიპასუხა:

— არავინ იცის, შენი ქმარი დაბრუნდება თუ არა. შეიძლება უკვე მკვდარიც იყოს. მე შენ გჭირდები. იუიკოს ვჭირდები, ჩვენ შვილს. მის მომავალზე უნდა იფიქრო. იგი ჭკვიანი ბიჭია და კარგ ცხოვრებას იმსახურებს, რასაც მართლ შენ ვერ შეუქმნი.

— მე და იუიკო ბევრს ვიმუშავებთ. და მიუხედავად იმისა, რასაც ამბობენ, მე ჩემ ქმარს დაველოდები!

მაშინ მიტხრა ის საშინელება, რაც ჩაიდინა: ჩემი ქმრის მანჯურიში გაგზავნა და შემდგომ იქ ყოფნის ვადის გაგრძელება თურმე მის კისერზე ყოფილა, თურმე იქ მას აგზავნიდნენ. ზურგში თავის დარჩენას ლოგიკურად მიიჩნევდა, რადგანაც შვილები ჰყავდა. მიტხრა, რომ მის გაუჩინარებაში მისი ხელი ნამდვილად არ ერია: „შენი ქმრის გაუჩინარების შესახებ არაფერი ვიცი, შესაძლოა ჩინელებმა ან რუსებმა აიყვანეს. მიტხრეს, რომ იგი საზღვართან შენიშნეს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ დაბრუნდეს“. დაბეჯითებით ვუპასუხე: „ჩემი ქმარი დაბრუნდება“. (ვივად მიტხრა: „თუ დაბრუნდება, ვეტყვი, რომ იუიკო ჩემი შვილია“. გავცეცხლდი და გიჟი ვუნოდე. ამ სიტყვებით დამტოვა: „ჭკუას მოუხმე, შენთვის უკეთესი იქნება“.

მეორე დღე სანოლმი გავატარე. სიცხე მომცა. ჭამის ძალაც არ მქონდა. თვალბუნებულად, მესიე ოლიბის სიტყვებზე ვფიქრობდი. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი საშინელების ჩადენა თუ შეეძლო. სულ მეგონა, რომ ნაგასაკუი ჩემი ქმრის შესაცვლელად ჩამოვიდა. მისი მადლობელი ვიყავი, როცა ბინის ქირა გადამიხადა და სამსახური მიშოვა. თავში იუიკოს სიტყვები მიტრიალებდა: „გულუბრყვილო ხარ, ტამაკო“.

სალამოს იუიკო ჩვეულებრივ დროს არ დაბრუნდა. ვიფიქრე, რომ მესიე მაცუმოტოსთან შეიარა. როცა დაბნელდა, მის შესახებ ვეძრად გარეთ გავედი. იმ ადგილამდე მივედი, სადაც იუიკოსა და ტამაკოს საუბარს შევესწარი. მორზე ჩამოვჯექი და შვილს დავუწყე ლოდინი, რომელიც იგვიანებდა. მთვარიანი ღამე იყო. ნაკადულის პირას ჩავედი. წყლის ჩუმი ჩხრიალი მესმოდა. ბალახებში ციციანათელა შევნიშნე. ქვაზე ჩამოვჯექი. თან წყალს მივაშტერდი. ფიქრმა გამიელვა: „ნეტა უფრო ღრმა იყოს“.

იუიკოს ხმა გავიგონე. ავდექი და მივაყურადე, რომ გამეგო, ვის ელაპარაკებოდა. მესიე მაცუმოტოსა და მის ცოლთან ერთად იყო. მინდოდა მათ მივსალმებოდი, მაგრამ ძალა არ მქონდა. თანდათან მიახლოვდებოდნენ, როცა მორთან მოვიდნენ, იუიკომ თქვა:

— დიდი მადლობა, ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა, იუიკო!

ველოდებოდი, როდის წავიდოდნენ. უცებ მადამ მაცუმოტომ წამოიძახა:

— შეხედე, ძვირფასო, ციციანათელები!

მათი ფეხის ხმა აღარ ისმოდა. ეტყობა მორზე ჩამოსხდნენ. მადამ მაცუმომ თქვა:

— რა კარგი ბიჭია!

მესიე მაცუმოტომ უპასუხა:

— მართლა კარგი ბიჭია! საწყალი იუიკო, ვინ იცის, მამამისი ახლა სად არის, იმედია, მესიე ტაკაკაში ცოცხალია. მადამ ტაკაკაშის ალბათ როგორ უჭირს. იუიკო ჩვენთან უნდა დავაბატიჟოთ ხოლმე. ალბათ მესიე ოლიბი და მისი ცოლიც ეხმარებიან.

წუთით ორივენი გაჩუმდნენ. მერე მადამ მაცუმოტომ გააგრძელა:

— მეზობლებმა მიტხრეს, რომ მესიე ოლიბი მექალთანეა, ალბათ ბევრ ქალს მოსწონს!

მესიე მაცუმოტომ უპასუხა:

— არ მიკვირს, ტოკიოში საყვარელი ჰყავს, რომელმაც ბიჭი გაუჩინა.

— მართლა? მადამ ოლიბმა იცის?

— არა მგონია!

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

— რა არის საშინელება?

— რომ მის გარდა ეს ამბავი ყველამ იცის. რა შეურაცხმყოფელია! შენ კარგად იცი, რომ მამაჩემს საყვარელი ჰყავდა და ამის შესახებ დედამ იცოდა. როცა შვილი გააჩინეს, დედამ ურჩია მამას, გვარი მიეცა პატარასთვის, ფიქრობდა, რომ მამას ასე უფრო შეინარჩუნებდა.

მესიე მაცუმოტომ თქვა:

— ყველა თავისებურად იქცევა. მე მგონი მადამ ოლიბი დედაშენით არ მოიქცეოდა. ამპარტავანი ქალია. ამას თუ გაიგებდა, ქმარს მაშინვე გაშორდებოდა.

აკანკალებული ვუსმენდი მათ საუბარს. თვალწინ დამიდგა მადამ ოლიბის ისტერიული სახე, წარმოვიდგინე, რა დღეს დააყრიდა ქმარს. მესიე მაცუმოტომ განაგრძო:

— ჩვენ შორის დარჩეს და მესიე ოლიბზე სხვა რამეც გავიგე. — რა?

— რამდენიმე წლის წინათ მან ტოკიოში თავისი თანამშრომელი შეაცდინა და დააორსულა.

თავზარი დამეცა. ვიფიქრე, რომ მესიე ოლიბი ამაზე ლაპარაკობდა. მადამ მაცუმოტომ თქვა: „ესე იგი, ორი საყვარელი ჰყავს?“

— არა, გოგონამ თავი მოიკლა, ბავშვიც მოკვდა. იგი მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო.

„ღმერთო ჩემო...“ კინალამ გული წამივიდა. მადამ მაცუმოტომ წამოიყვირა:

— საწყალი გოგო, მესიე ოლიბმა თავისი პოსტით ისარგებლა!

— ასეა.

განადგურებული ვიყავი. მათ ველარ ვუსმენდი. ცოტა ხანში წავიდნენ. უცებ წინ ციციანათელამ ჩამიქროლა. საშინელი ბრაზი მახრჩობდა. მესიე ოლიბი შემზიზილდა. თავში მისი მოკვლის აზრმა გამიელვა. ციციანათელამ კალიუმის ციანიდი გამახსენა, რომელიც ტამაკოს დედამ დამამიტოვა.

ივლისის ბოლოს ნაგასაკუი ორჯერ დაიბომბა. ობიექტი სანაოსნო ქარხანა იყო. ტრამვაის ხაზი დაზიანდა. იუიკოს ვთხოვე, ქარხანაში არ წასულიყო, რაზეც უარი მივიღე: „უნდა წავიდე, სხვა შემთხვევაში კომუნისტად გამოაცხადებენ, ისევე, როგორც მამაჩემი გამოაცხადეს, სხვა გზა არა მაქვს“. მესამე შეტევა პირველ აგვისტოს განხორციელდა. მეორე დღეს მადამ ოლიბმა ცუდი ამბავი შემატყობინა: „მადამ შიმამურას ქალიშვილი დაბომბვის დროს დაიღუპა, როცა უფროსის დავალებით ქალაქის ცენტრის ოფისში დოკუმენტები მიჰქონდა“. ტამაკოს ხმა გამახსენდა. ნეტავ თავის უფროსთან რომანი თუ დაასრულა? გული საშინლად მეტკინა.

მადამ ოლიბმა მიტხრა: „არ მინდა ჩემი შვილი ქარხანაში წავიდეს, მაგრამ არ მიჯერებს. დღეს დილაადრიან წავიდა.“ ეტყობოდა, ჩემთან ლაპარაკი სურდა, მაგრამ შევანწყვეტინე: „მაპატიეთ, ბევრი საქმე მაქვს!“ უცებ მკითხა: „თქვენი ფაბრიკის შესახებ არაფერი გავიგიათ?“ ვერაფერი გავიგე. ამისხნა, რომ გუშინ მეტალურგიული კომპანია დაბომბეს, ბომბმა იქვე მდებარე სამკერვალო ფაბრიკაც ნანგრევებად აქცია. ფერი დაეკარგე. ტირი-

ლი მინდოდა. მაღამ ოლიბი წუთით დაფიქრდა და მითხრა: „სხვა-თაშორის ჩემი ბიძაშვილი იცნობს ფერმერების წყვილს, რომლებიც დასავლურ კაბებს ბრინჯზე ცვლიან, ხელს გაძლევენ? ვიცი, რომ კაბები გაქვთ“. გადანყევტილების მიღება გამიჭირდა, ვყოყმანობდი. მან გამიღიმა: „მომავალ კვირას ჩემ ბიძაშვილთან დაგელოდებით“. ფურცელზე მისამართი და თარიღი დამინერა: „ხუთშაბათს, 9 აგვისტოს, ათის ნახევარზე. 2-3-2 S-მაჩი“.

დააზუსტა, რომ ესაა ნაძვებით გარშემორტყმული დიდი სახლი, რომელიც ყველამ იცის.

ორშაბათია, 6 აგვისტო. იუიკო ალელვებული დაბრუნდა: „დედა, საშინელება დატრიალდა. დღეს დილით ჰიროსიმა დაბომბეს. აქამდე არსებული ყველაზე მძლავრი ბომბი ჩამოაგდეს. ქალაქი გადამწვარია და ხალხი გაჟლეტილი“.

ეს მოხდა მაღამ ოლიბთან წასვლის წინა დღეს. შინ მარტო ვიყავი. იუიკო მესიე მაცუმოტოსთან წავიდა. მეორე დღეს უნივერსიტეტის ჰოსპიტალში უნდა წასულიყო, მესიე მაცუმოტოს სამედიცინო ბიბლიოთეკაში წიგნების მოძებნაში უნდა დახმარებოდა.

მაღამ ოლიბი შინ არ იყო. მეშინოდა ღამით მესიე ოლიბი არ შემოსულიყო საიდუმლო ხვრელიდან. დანოლის წინ კედელზე წიგნებით სავსე ყუთები მივანყვე. იუიკო ალბათ თავის ოთახში იყო. ვვარაუდობდი, რომ მამამისი ხმაურს არ შექმნიდა ბარიერის გადაწვევით.

ვერ ვიძინებდი. მაღამ ოლიბთან შეხვედრაზე ვფიქრობდი. ვიცოდი, რომ შეუსვენებელი ილაპარაკებდა და ჩემ ცხოვრებაზე კითხვებს ისევ დამისვამდა. ვნანობდი, რომ მის წინადადებას დავთანხმდი, მაგრამ იქ აუცილებლად უნდა წავსულიყავი, რადგან ბრინჯი მჭირდებოდა.

პირველი საათისთვის ძლივს ჩამეძინა.

იუიკო და ტამაკო სიბნელებაში მღეროდნენ: „ჰო-ტა-რუ...“ ტამაკო ეუბნება იუიკოს: „მართალი ხარ, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გავწყვიტო“. იუიკო იღიმიება: „ძალიან კარგი“. ტამაკოს ხელში ქარხნის დოკუმენტები უჭირავს, იგი ქურჩას კვეთს. უცებ ბომბი ფეთქდება. იგი მკვდარი ვარდება მიწაზე. მაღამ შიმამურა მის უფროსს უყვირის: „ჩემი შვილი თქვენ მოკალით, ასეთ პირობებში ქალაქის ცენტრში რატომ გაგზავნენ? გიჟი ხართ!“ ვხედავ ტამაკოს სხეულს, რომელიც კუბოში ასვენია. იუიკო მეუბნება: „მაღამ ტაკაჰაში, რეალისტი უნდა იყოთ. მამაჩემი თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებს. მას თქვენ არ უყვარხართ, თქვენ მხოლოდ თქვენს ქმარს უყვარხართ“. ვდგები და კომოდისკენ მივდივარ. ვაღებ უჯრას, სადაც კალიუმის ციანიდი მაქვს შენახული. ყუთს ვხსნი და პატარა პაკეტს ვუყურებ, რომელიც ნიჟარაზე დევს. მაღამ შიმამურას ხმა მესმის: „გამოიყენეთ, მაღამ ტაკაჰაში“. მესიე ოლიბი ირონიულად მეუბნება: „მე შენ გჭირდები, იფიქრე შენი შვილის მომავალზე“. ჩემს თავს ვეუბნები: „უნდა მოვკლავ, ხვალ მოვკლავ, მანამ, სანამ მის ცოლს შევხვდები“... ხელი მიკანკალებს, პაკეტს ხელში ვიღებ, ამ დროს ჩემი ქმარი მიყვირის: „მარიკო, არ შეეხო!“

მეორე დღეს ადრე გამეღვიძა. ჯერ კიდევ ბნელოდა. მალვიძარა ექვსის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა. შევეცადე ცოტა კიდევ დამეძინა, შვიდის ნახევრამდე მაინც. მაღამ ოლიბთან შესახვედრად შინიდან რვის ნახევარზე უნდა გავსულიყავი. ქალაქის ცენტრამდე ავტობუსს უნდა გავყოლოდი. შემდეგ ფეხით წავსულიყავი. დაბომბვის შემდეგ ტრამვაი არ მუშაობდა.

სიჩუმე იდგა. რამდენიმე წუთის მერე მეზობლებიდან ხმაური შემომესმა. შემოსასვლელი კარის ხმას ჰგავდა. კარი ნელა მოძრაობდა. „ამ დილაადრიან ნეტა ვინ უნდა იყოს?“ მესიე ოლიბი და იუიკო შინიდან შვიდის მერე გადიოდნენ. უცებ ქურდზე ვიფიქრე და შემეშინდა. ავდექი და გარეთ გავიხედე. ფარდებში იუიკო დავინახე. აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა. ამოვისუნთქე, რომ ქურდი არ ყოფილა, მაგრამ უცნაური გრძნობა დამეუფლა. „ასე ადრე სად უნდა მიდიოდე?“ ისევ დავნექი.

შვიდის ნახევარზე ავდექი. საუზმე მოვიმზადე. უცებ დამსხვრეული შუშის ხმა შემომესმა. ხმაური მეზობლების სამაზ-

რეულოდან გამოდიოდა. ვილაცამ საერთო კედელზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ყვირილი შემომესმა: „მიშველეთ!“ მესიე ოლიბის ხმა იყო. ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. შემეშინდა. დიდხანს გაშეშებული ვიდექი. ბოლოს გადავწყვიტე მეზობელთან შევსულიყავი.

კარი მიხურული იყო.

— არის აქ ვინმე?

ხმა მიკანკალებდა. არავინ მიპასუხა. შეშინებული სამაზარეულოსკენ გავემართე. როცა შევედი, სისხლი გამეყინა: მესიე ოლიბი იატაკზე გაშხლართულიყო. ნახევრად ღია პირიდან თეთრი სითხე სდიოდა. თვალები ღიად დარჩენოდა. მკვდარი იყო. მის ირგვლივ ჭიქის ნამსხვრევები ეყარა. ჭურჭლის ნიჟარაზე ნამლის ყუთი შევნიშნე. გვერდით გახსნილი ცელოფანი ეგდო. „ალბათ სანამლაჟი დალია“.

სამაზარეულოს მოპირდაპირე ოთახში შევედი. კომოდზე მაკიაჟის საგნები ენყო. ირგვლივ წესრიგი სუფევდა. მეზობელ ოთახში გავედი. იქ სკამზე გადადებული სკოლის ფორმა შევნიშნე. ეს იუიკოს ოთახი იყო. მაგიდაზე ქალაქის ფურცელი იყო: „მშვიდობით დედა, არ მეძებო, იუიკო“.

„ესე იგი, იუიკომ მოკლა“. მაგრამ არანაირად არ მესმოდა, მამა რატომ უნდა მოეკლა. ჩემთვის ვიმეორებდი: „რატომ, რატომ“. ჩანანური ავიღე და შინ დავბრუნდი. ქალაქი სასწრაფოდ დაწვნი.

წასვლის დრო მოვიდა. ვცდილობდი დავმშვიდებულიყავი, ფერმერებისათვის კაბები უნდა მომეზადებინა. უცებ ცუდმა წინათგრძნობამ შემეპყრო. კომოდიდან ფული და ანაბრის წიგნატი გავიღებდი. ავიღე ყუთიც, რომელშიც ჰამაგური და სანამლაჟი მქონდა შენახული. ეს ყველაფერი ზურგჩანთაში ჩავანყე. უცებ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნივთი გამახსენდა. ეს იყო დედაჩემის დღიური. სასწრაფოდ მოვებნე და ზურგჩანთაში ჩავაცურე.

სახლი დავტოვე და ქალაქისკენ სწრაფი ნაბიჯით გავემართე. მუხლები მიკანკალებდა. თავი მტკიოდა. მესიე ოლიბის სახე თვალწინ მიტრიალებდა. გადმოკარკული თვალეში, ღია პირი. თეთრი სითხე... გული მერეოდა.

ისევ ვეკითხებოდი ჩემ თავს, რატომ უნდა მოეკლა იუიკოს მამა? ვიცოდი, ერთმანეთთან კარგად იყვნენ, მესიე ოლიბს არასოდეს უთქვამს, რომ შვილთან პრობლემები ჰქონდა. პირიქით, მისით ამყობდა, მისი ჭკუა და თავმდაბლობა მოსწონდა. „ნეტავ სად არის ახლა იუიკო? თუ მართლა დაიკარგება, ეჭვს მასზე მიიტანენ, თავს ხომ არ მოკლავს?“ დავიფიცე, რომ რაც ამ დილით ვნახე, არავის ვეტყვოდი.

მაღამ ოლიბის ბიძაშვილის კვარტალში მივედი. ვჩქარობდი, ნახევარი საათი დავიგვიანე. ნაძვებით გარშემორტყმულ დიდ სახლს ვეძებდი. როგორც იქნა, ვიპოვე. მაღამ ოლიბი ღობის წინ, გრძელ სკამზე იჯდა. ამოვისუნთქე, მიხაროდა, რომ მისი ბიძაშვილის დედამთილ-მამამთილთან შეხვედრა აღარ მომიწევდა. ვერ შემამჩნია. მორიდებით შევეხმინა:

— გამარჯობა...

— აჰ, მაღამ ტაკაჰაში!

მისთვის თვალებში ჩახედვას ვერ ვბედავდი. მისალმების ნიშნად თავი დაუხრარე.

— მაპატიეთ, რომ გალოდინეთ.

— არა უშავს!

წამოდგა. სახეზე თვალი შევაავლე. შოკი დამემართა. სახე სულ მთლად დაღმეჭილი ჰქონდა. გაბრაზებული ჩანდა. ჩემთვის არც შეუხედავს, ისე მითხრა:

— ნავედით!

მას გავყევი. სიჩუმეში ვიარეთ. გასაოცარი ის იყო, რომ საერთოდ არ ლაპარაკობდა. მთასთან მივედი. აქედან გზა ფერმერთა სახლისკენ მიდიოდა. მაღამ ოლიბი უცებ გაჩერდა და მოულოდნელად მკითხა:

— თქვენი ქმარი გლალატობდათ?

თავზარი დამეცა. არ მესმოდა, ეს კითხვა რატომ დამისვა. თვალები მომაშტერა. მისი ქმრის სახე კვლავ თვალწინ დამიდგა. მზერა ავარიდე. ისევ მკითხა:

— მიპასუხეთ, გთხოვთ!

თავდახრილმა ვუპასუხე:

— არა, არასოდეს!

— მით უკეთესი!

„რისი თქმა უნდა?“ დავიბენი. მან მითხრა:

— მალე ტოკიოში დავბრუნდები ჩემ გოგონასთან ერთად. ამოვიღულულე:

— ვნუხვარ, მაგრამ ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ!

ხმას აუწია:

— არ გესმით? რა სასაცილოა, ჩემ გარდა ყველამ იცის და თქვენ არაფერი იცით?

უცებ მაღამ მაცუმოტოსა და მისი ქმრის საუბარი გამახსენდა, რომელიც ნაკადულთან მოვისმინე. ქალის ნათქვამი მომაგონდა: „რა შეურაცხმყოფელია! მისი ცოლის გარდა რომ ყველამ იცის“. ფერი დავკარგე, ვიფიქრე, რომ მაღამ ოლიბმა ჩვენზე რაღაც იცოდა... მან განაგრძო:

— ბიძაშვილისგან გავიგე, რომ ჩემ ქმარს ტოკიოში საყვარელი ჰყოლია, რომ მასთან შვილიც გაუჩენია და რომ ეს ქალი ჯერ კიდევ ჩვენ ქორწინებამდე ჰყოლია. უკვე 17 წელია ერთად ვართ და ამაზე არაფერი უთქვამს, მაშინ, როცა ჩემ ირგვლივ ეს ამბავი ყველას სცოდნია. ამდენი წელია საზოგადოების დაცინვის საგანი ვყოფილვარ!

მისი მოსმენისას დავრწმუნდი, რომ ბიძაშვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ის საყვარელი და მისი შვილი მე და იუიკო ვიყავით. ნუთით ამოვისუნთქე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ბიძაშვილი ამ საქმის გამოძიებას ადრე თუ გვიან ბოლომდე მიიყვანდა. იუიკოსთან ერთად ნაგასაკიდან უნდა წავსულიყავი.

მაღამ ოლიბმა ფართოდ გახელილი თვალებით შემომხედა და მკითხა:

— ამის შესახებ მართლა არ იცოდი?

— არა!

მისი მიტოვება მინდოდა, მაგრამ ვერ ვბედავდი.

გაბრაზებულმა თქვა:

— ჩემ ქმარს გამოვლანძღავ, შვილს ყველაფერს ვეტყვი, გაგიჟდება!

ლაპარაკს განაგრძობდა. თავში ისევ დილის სცენა მიტრიალებდა: ჩემ სახლს იუიკომ აჩქარებული ნაბიჯით ჩაუარა. ყურში შუშის მსხერვეის ხმა მესმოდა, თვალწინ მედგა იატაკზე გაშლარებული მესიე ოლიბი, მისი გადმოკარკლული თვალები და პირი, საიდანაც თეთრი სითხე სდიოდა, გულში ვიმეორებდი: „იგი მკვდარია“.

მაღამ ოლიბმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებო, თქვა:

— გადავწყვიტე გავშორდე, სიმაართლე გითხრა, განშორებამდე სიამოვნებით მოვეკლავდი!

თავი მისკვებოდა. მალე იგი თავის მონამულ ქმარს ნახავდა. ალბათ პოლიციაში გაიქცეოდა. მე რე ქარხანაში — თავისი შვილის მოსაძებნად, თანაც, სულ ტყუილად.

მაღამ ოლიბმა სიარული განაგრძო. ვინრო აღმართზე ავდიოდით. მითხრა, ეს უმოკლესი გზაა და ერთ საათში ფერმერებთან ვიქნებით. ჩუმად მივყვებოდი. საბედნიეროდ, არ ლაპარაკობდა.

ციცაბო აღმართის შემდეგ ცოტა დავისვენეთ. ლამაზი პეიზაჟი იყო. ცა გამჭვირვალე. მსხვილ კუნძუზე ჩამოვსხედით, შორს ურავამის ხეობა მოჩანდა, ის ადგილი, სადაც ვცხოვრობდით. ყველაფერი ის, რაც დილით მოხდა, კომპარს ჰგავდა. ვფიქრობდი, რომ ეს სიზმარში განხორციელებული ჩემი სურვილი იყო.

ბოლოსდაბოლოს ფერმერებთან მივედი. ქმარი ბალს გვიდა. ცოლი შინ შეგვიძღვა. კაბები ტატამიზე გაეშალე. მათმა ქალიშვილმა ჩაი მოგვართვა. ტანსაცმლის დანახვაზე აღტაცებულმა იყვირა: „რა ლამაზებია!“ დედამ შვილს ღიმილით გადაახედა.

უცებ ქმრის ყვირილი შემოგვესმა: „ყველანი აქ მოდით!“ ცოლი ადგა: „რა გინდა, ძვირფასო?“

— ყველანი გარეთ გამოდით!

ბაღში გავედით. მან ჩრდილოეთისკენ გაგვახედა. ურავამის ხეობის თავზე თეთრი სქელი ღრუბელი შევნიშნეთ. ბამბის უზარმაზარ მასას ჰგავდა. „ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!“ ფერი დავკარგეთ. ღრუბელი თანდათან იზრდებოდა და უზარმაზარ სოკოს ემსგავსებოდა. ქმარმა ამოილულულა:

— ეს იმ ბომბის მსგავსი უნდა იყოს, ჰიროსიმაში რომ ჩამოაგდეს სამი დღის წინათ.

მაღამ ოლიბმა მითხრა:

— ჩქარა დავბრუნდეთ, ბავშვები უნდა ვიპოვოთ!

სახლში შევბრუნდი და ზურგჩანთა ავიღე. კაბები იქ დავტოვე. მდგომარეობა საგანგაშო იყო. ვკანკალებდი, თან ვლოცულობდი: „იუკო, იუიკო, თქვენ უნდა გადარჩეთ!“

მე და მაღამ ოლიბი სასწრაფოდ ქვემოთ დავეშვიტეთ. ფერმერები გვიყვიროდნენ: „ფრთხილად იყავით!“

ბოლოს მისი ძირში დავეშვიტეთ. მაღამ ოლიბმა გადანყვიტა, იუიკო ჯერ ქარხანაში მოექცენა. ვიცოდი, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ვერაფერი ვუთხარი. ვერაფერს ვფიქრობდი, თუ სად უნდა ყოფილიყო გოგონა. მაღამ ოლიბს დავშორდი და უნივერსიტეტის ჰოსპიტლისკენ გავემართე, სადაც იუიკო და მესიე მაცუმოტო მეგულებოდნენ.

ნაგასაკი ჯოჯოხეთს ჰგავდა. ქუჩები ცხედრებით იყო სავსე: დეფორმირებული, გასისხლიანებული, დამწვარი ცხედრებით. ჰაერში საზიზღარი სუნი ტრიალებდა. მომაკვდავები კენესოდნენ და წყალს ითხოვდნენ. ხის შენობები მთლიანად განადგურებულიყო. რაც უფრო ჩრდილოეთით მივდიოდით, სურათი უარესი ხდებოდა. შიშმა ამიტანა, ვყვიროდი: „იუკო, იუიკო!“

თვალებს არ დავუჯერე, როცა ჰოსპიტლის ნანგრევებში იუიკო შევნიშნე, იგი სრულიად უვნებელი იყო. მესიე მაცუმოტოც ცოცხალი და უვნებელი გადარჩენილიყო. ისინი დაჭრილებით იყვნენ დაკავებულნი. მესიე მაცუმოტომ მთხოვა, მომექცნა მისი ცოლი, რომელიც სოფელში ეგულებოდა. მაშინვე სოფლისკენ გავემართე, იუიკო მასთან დავტოვე დაზარალებულთა დასახმარებლად.

გზაში გავიგე, რომ ჩვენი დასახლება ბომბს მთლიანად განადგურებინა, იქ მყოფი ყველა ადამიანი დაღუპულიყო.

გაპარტახებულ სოფელში შევედი. მესიე მაცუმოტოს სახლი აღარ არსებობდა. როგორც ჩანდა, მაღამ მაცუმოტოს შინიდან გამოსვლა ვერ მოესწრო. სხვა შემთხვევაში აუცილებლად ჰოსპიტალში წამოვიდოდა. არც დაჭრილებში ჩანდა. თვალწინ მისი სახე დამიდგა. ყურში მისი სიტყვები მესმოდა: „მეზობლები მეუბნებიან, რომ მესიე ოლიბი მომხიბვლელი ადამიანია, ალბათ ბევრ ქალს მოსწონს!“

მივყვებოდი ნაკადულის ნაპირს, რომელიც ნანგრევებით ამოხორციელიყო. მტირალა ტირიფები გაუჩინარებულიყვნენ. გზაზე ქვები და ფერფლი ეყარა. ბოლოს იმ ადგილას მივედი, სადაც ჩვენი სახლი იდგა. აქ მხოლოდ ნანგრევები დამხვდა. მესიე ოლიბის ცხედარი არ ჩანდა. თუ იპოვიდნენ, ვერავინ იფიქრებდა, რომ მონამლეს, იუიკოს გამო ამოვისუნთქე.

ერთხანს გაშეშებული ვიდექი. ფიცარი შევნიშნე, კალიუმის ციანიდი გამახსენდა, რომელიც ზურგჩანთაში მედო. პაკეტი ამოვიღე და ცეცხლში ვისროლე. ქალაღდი ალში გაეხვია. ნავილიდინე: „ჰო-ტა-რუ“...

რამდენიმე დღის შემდეგ მესიე მაცუმოტოსგან შევიტყვე, რომ იუიკო ცოცხალი იყო. მაღამ ოლიბის ბიძაშვილი და დედამთილ-მამამთილი კი დაღუპულიყვნენ.

ატომური ბომბის ჩამოგდებიდან სამი დღის შემდეგ მაღამ ოლიბი და იუიკო ტოკიოში დაბრუნდნენ.

ობაშანი სუსტი ხმით მეუბნება: „ცუბაკი, ეს იყო ამბავი ციციანთელასი, რომელიც დაშაქრულ წყალში ჩავარდა. მაღლობელი ვარ, რომ ბოლომდე მომისმინე“.

— შენთვის ალბათ იოლი არ ყოფილა ამ მძიმე საიდუმლოს ასე დიდხანს მარტო ტარება.

დამძიმებული ვარ. ეს მისტერიული ამბავი ძალზე საინტერესო იყო. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთი რამ ჩემ საკუთარ ოჯახში თუ მოხდებოდა. ობაშანი ჩურჩულებს:

— სანყალი ოჟიშანი...

თავს დაბლა ხრის. მამაჩემი მასხენდება, რომელსაც დედის მსგავსი ნაღვლიანი თვალები აქვს. ვეკითხები:

— მამაჩემს ოდესმე უამბობ იუიკოსა და მონამელის შესახებ? ფიქრობს და თავს იჩენვს:

— ალბათ არასოდეს

დაბნეული სახით იხედება ბოსტინისკენ. ჩემ თავს ვეკითხები, ექნება თუ არა კიდევ ჰალუცინაციები იუიკოსთან დაკავშირებით. ობაშანი ამბობს:

— აქამდე ვერ გამიგია, რატომ მოკლა იუიკომ მამა.

— შეიძლება მამამ მასაც ისეთივე ტრავმა მიაყენა, როგორც შენ.

— არა, რამდენადაც ვიცი, შეილს კარგად ექცეოდა.

— ეს ამბავი მართლა მისტერიულია.

— ჰო, ალბათ ჩემი დემონი იუიკოსაც დაეუფლა...

წუთით გაჩუმდა, თვალები აუნწყლიანდა, ჩაიჩურჩულა:

— იუიკო მძიმე ტვირთს ატარებს. მისი ცხოვრება იოლი არ იქნება. მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ მეც მასავით დამნაშავე ვარ.

თვალებს ხუჭავს. ლოცვებზე ცრემლები ჩამოსდის. არ ვიცი, რა ვთქვა. ორივე ჩუმად ვართ. ხელში ისევ ჰამაგური უჭირავს, რომელსაც აჭრიალებს: კოტკოკოტკოტკო... მიკვირს, რომ ეს საგანი ამდენხანს შეინახა. დარწმუნებული ვარ, მამაჩემს იგი არ ახსოვს. ვეკითხები:

— დედაშენის დღიურს რა ბედი ენია?

ხელს აჩერებს. სახე ერთბაშად ეღუშება.

— წლების წინათ დავნვი, რადგანაც იგი დედის და ბიძის დაღუპვას მაგონებდა.

ვჩუმდები. სახეზე ვაკვირდები. ხელზე, რომელშიც ჰამაგური უჭირავს, ცრემლი ეცემა.

იგი ამბობს:

— დავიდალე, ცოტას დავისვენებ.

საბანს ვუსწორებ, ხელზე ხელს მიჭერს.

სალამოს მშობლებთან ერთად ვსაძილობ.

დედა გუშინდელ ფილმზე ლაპარაკობს. ფილმი აკრძალულ სიყვარულზეა. გოგონას და ვაჟს ერთმანეთი უყვარდებოდათ, აღმოჩნდება, რომ ნახევარი და-ძმა არიან. მშობლები შეეყვარებულეს დააშორებენ. წლები გადის. ახალგაზრდა კაცი თავის შეყვარებულს ეძებს, რომელიც თურმე უკუჩურჩული სენით გარდაცვლილა. დედაჩემი აღელვებული ამბობს: „რა ტრაგიკული ამბავია“, მამაჩემი იღიმება: „ასეთი ამბავი ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ხდება“.

ჩუმად ვზივარ. ვფიქრობ პროფესორზე, რომელსაც ჩემთან შეხვედრა უნდა, და რომელმაც გამანდო, რომ ცოლთან ურთიერთობებში კარგა ხანია პრობლემები აქვს. ახლა ვხვდები, თუ რატომ აღუდგა წინ ობაშანი მასთან ჩემი შეხვედრის სურვილს.

მამაჩემის ხმა მესმის:

— ცუბაკი, რა მოგივიდა? ამ საღამოს გუნებაზე ვერა ხარ! ნაღვლიანი თვალებით მიყურებს, ვპასუხობ:

— არაფერია, უბრალოდ დავიდალე.

დედა მეუბნება:

— შენი მადლობლები ვართ, ყოველ კვირა რომ მოდიხარ ბებიას სანახავად. თან ჩვენც გვეხმარები. მაგრამ გართობასაც უნდა მიხედო. ვინმე კარგი ხომ არ გამოჩნდა შენს ცხოვრებაში? ცნობისმოყვარე თვალებით მიყურებენ, ვიღიმები:

— ჯერ არა, არ იდარდოთ, ერთ დღესაც ვიპოვი ოჟიშანის მსგავს კაცს!

დედა აღტაცებული მეუბნება:

— ოჟიშანის? მეგონა, აღარც გახსოვდა. როცა გარდაიცვალა, ექვსი წლისა იყავი.

მამა მეუბნება:

— ჰოდა სწორ არჩევანსაც გააკეთებ!

სადილის შემდეგ მამა შემეცნებითი ჟურნალის საყიდლად მიდის კამაკურას სადგურთან ახლოს. მე და დედა ჩაის ვსვამთ. დედა გაზეთს ათვალთვალავს. მის სახეს ვაკვირდები. მამაზე თორმეტი წლით უმცროსია. ვეკითხები:

— მამამ ასე გვიან რატომ შეგირთო. ოცდათხუთმეტი წლისა იყო, არა? — ჩემმა კითხვამ დედა გააოცა:

— ეს კითხვა რატომ გაგიჩნდა?

— უბრალოდ მაინტერესებს.

— მამაშენს ნაგასაკში ვიღაც უყვარდა, ერთმანეთისთვის პირობა ჰქონდათ მიცემული.

— მართლა? მერე რა მოხდა?

— ერთ დღეს მისი დანიშნული გაუჩინარდა და, როცა მამაშენმა მისი ახალი მისამართი გაიგო, გოგონა უკვე სხვაზე იყო გათხოვილი.

— ღმერთო ჩემო, მამამ ალბათ იდარდა.

ობაშანზე ვფიქრობ. მასხენდება, როგორ ნაუვიდა გული, როცა მესიე ოლიბის დაქორწინების ამბავი გაიგო.

დედამ განაგრძო:

— ამიტომაც დრო დასჭირდა, ვიდრე სხვაზე იფიქრებდა...

მის დანიშნულს ალბათ სერიოზული მიზეზი ჰქონდა, პირობა რომ დაარღვია. ეს ამბავი გუშინდელ ფილმს მაგონებს. არის რაღაცები, რასაც სხვას ვერ ეტყვი. მამაშენმა ეს ამბავი ერთხელ მამაბო, ქორწინების წინ. გთხოვ, ამის შესახებ არავის უთხრა.

სიბნელეში ციციანათელებს ვაკვირდები აკვარიუმში. ისინი ორნი არიან. გვიმრის ფოთოლზე მიტოცავენ. ციმციმებენ, ესე იგი მამრები არიან. მდედრებს ეძებენ, ბრჭყვიალა ჭიებს, რომლებიც იქ არ არიან.

თვალწინ ობაშანის სახე მიდგება, რომელიც მესიე ოლიბის მონამელაში იდანამაულებს თავს. მან თქვა, რომ მისი დემონი იუიკოსაც დაეუფლა. სხვანაირად ამ დამთხვევას ვერ ხსნის: ერთმანეთთან შეუთანხმებლად ორ ადამიანს ერთი და იგივე საშინელი აზრი გაუჩნდა: მკვლელობა კალიუმის ციანიდის საშუალებით. საინტერესოა, როგორ მოხვდა სანამლაგი იუიკოს ხელში? შესაძლოა ტამაკომ მისცა. ტამაკო ხომ მაღამ შიმამურას ქალიშვილი იყო, იმ შიმამურასი, რომელმაც ობაშანი მოამარაგა ციანიდით. ესე იგი სანამლაგი ოთხ ქალს ჰქონდა: იუიკოს, ტამაკოს, მაღამ შიმამურას და ობაშანს.

რომელიღაც შემეცნებითი წიგნში ნაკითხული მქონდა, რომ არიან ციციანათელები, რომლებიც სინქრონულად ციმციმებენ, თანაც ერთ რიტმში. ისინი უდირიჟოროდ დარჩენილი ორკესტრით არიან. ეს სინქრონი დღემდე აუხსნელი იყო. წიგნის მიხედვით კი ამ ფენომენის მექანიზმი მარტივია: თითოეულ მწერს აქვს მეტრონომის მსგავსი ქანქარა, რომლის ნამშობშიც ავტომატურად ირთვება სხვა მწერთა ნათების საპასუხოდ. ჩემი აზრით, სამყაროში დამთხვევები კი არ არსებობს, არამედ — კავშირი ფენომენთა შორის, რომლებიც ერთდროულად ხდებიან. მაშ რით აიხსნება კავშირი ბებიასა და იუიკოს მიერ ჩაფიქრებული მკვლელობის მოტივებს შორის?

აკვარიუმში ციციანათელები ციმციმებენ. ერთი გვიმრის ფოთოლზე აცოცებულა და კუთხეში მიმწყვდეულა. მეორე მის უკან მიყურებულა. თითქოს არ იციან, სად წავიდნენ. მათი გათავისუფლების გადაწყვეტილებას ვიღებ. აკვარიუმს ფანჯრის კიდეზე ვდებ და თავსახურს ვხდი. ციციანათელები არ იძვრიან.ფოთოლი აკვარიუმიდან ამომაქვს. რამდენიმე წამში ისინი სიბნელეში იკარგებიან.

ცაზე წვიმის უზარმაზარი ღრუბლები ირევიან. ზაფხულის ტიპური ღრუბლებია, რომლებიც ობაშანს არ უყვარს. მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა. არ მეგონა, ამდენს თუ ვიცოცხლებდი... ეს სიტყვები მძიმე ტვირთად მანვება.

კვირა დღეა. ნაშუადღევი. მშობლებთან მხოლოდ ორი ღამე გავატარე, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი

ცხოვრება გავიდა. ტოკიოში დასაბრუნებლად ვემზადები. ხვალ ყვავილების ჯიხურში უნდა ვიმუშაო. სამზარეულოში შევდივარ, სადაც დედა ყვავილების თაიგულს კრავს. მას ბაბუას საფლავზე დავდებ, რომელიც კამაკურას სადგურისკენ მიმავალ გზაზეა. ყვავილთა ფურცლების სილურჯე ხსოვნაზე მაფიქრებს. დედა თაიგულს მანვდის, თან მეუბნება: „ველოდები, როდის გაგვაცნობ შენ რჩეულს, რომელიც ოჟიშანს ჰგავს“. ვიღიმები. ვაცნობიერებ, რომ პროფესორი აღარ მალეღვებს. თუმცა ისევ მიზიდავს, გადანყვეტილებას ვიღებ, რომ უარი ვუთხრა.

მინიდან გამოვდივარ. ცხელია. ხურმის ხეზე ჭრიჭინები ხმაურობენ. მამაჩემი ბამბუკის სავარძელში მოკალათებულა ჩრდილში. იგი შემეცნებით ჟურნალს კითხულობს, რომელიც გუშინ იყიდა. მის წინ ხის მაგიდა დგას. მაგიდაზე ბაბუას ჭილის ქუდი დევს. ვუყურებ მამას და ვფიქრობ, რომ მისი ნაღვლიანი გამოხედვა მძიმე წარსულის ანარეკლია. ბებიას საიდუმლო მისთვის ალბათ მოულოდნელი იქნება.

— მამა, მივდივარ!

იგი დგება და ბალის ღობემდე მაცილებს. განმორების დროს უცებ ყვარის: „მოიცადე!“ ჭილის ქუდის მოსატანად ბრუნდება. ქუდს თავზე მახურავს და მეუბნება:

- ფრთხილად იყავი, მზემ არ დაგკრას!
- ჰო, მართალი ხარ!

ქუდი დიდი მაქვს. ნესტოებში მამაჩემის ოფლის სუნს ვგრძნობ. ვეკითხები:

- შემოძლია დავიტოვო?
 - რა თქმა უნდა, გიხდება.
 - გმადლობ, მომავალ შეხვედრამდე!
- ღიმილით მეუბნება:
- მადლობა დახმარებისთვის, ცუბაკი!

კამაკურას სადგურისკენ მივდივარ.

ობაშანს არ დავმშვიდობებოვარ, რადგანაც ნასაუზმევს ჩაქვინა. დილით ჩუმად იყო. თვალები დაბინდული ჰქონდა. ისე მიყურებდა, თითქოს ჩემთვის არაფერი უამბოდა. ოთახი გამოვუგავე. დროდადრო ნიჟარას აჟღერებდა: კოტოკოტოკოტო... მხოლოდ ის მკითხა: „ცუბაკი, ოჟიშანი მელოდება იმქვეყნად?“ მშვიდად ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, ობაშან, მაგრამ შენ კიდევ უნდა იცოცხლო“. სუსტად გამიღიმა.

ნაკადულს მივუყვები. ოჟიშანის საფლავზე მივდივარ. ჰონდოს გვერდს ვუვლი და ქვის კიბეზე ავდივარ. არავინ ჩანს. გუნდრუკის სუნი მცემს. ოჟიშანის საფლავი კუთხეშია, შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს. იქ მივდივარ.

ქვაზე ამოკვეთილ წარწერას ვუყურებ: „ტაკაჰამის ოჯახის სამარხი“. ბამბუკის ლარნაკიდან დამჭკნარ ყვავილებს ვიღებ და მის მაგივრად დედის შეკრულ ასტრების თაიგულს ვდებ. ყვავილები ლურჯად ელავენ. თვალებს ვხუჭავ. ვხედავ პლაჟზე მოსიერნე, ხელიხელჩაკიდებულ ობაშანსა და ოჟიშანს. ვფიქრობ ობაშანზე, რომელმაც ვერ შეძლო სიმართლე ეამბა ქმრისათვის. ვლოცულობ: „ოჟიშან, შეხვედი ობაშანს, რომელიც დაბნეულ ციციანათელასავით დახეტილობს და არ იცის, საით წავიდეს“. ჩემ თავზე ჭრიჭინა ხმაურობს.

სადგურში მივდივარ. ისევ იმ ორ გოგონას ვხედავ, პარასკევს რომ შემხვდნენ. სალაროს რიგში ვდგები. კიუშუს დილექტზე საუბრობენ. ერთი ძალიან გულუბრყვილო ჩანს, მეორე უფრო ყურადღებიანი. ჩემთვის ვამბობ: „ესენი იუიკო და ტამაკო არიან.“ იუიკოს მსგავსი გარკვევით ამბობს: „ორი ბილეთი ნაცასკამდე, თუ შეიძლება“. გაოცებისგან ყბა მივარდება. მე ტოკიოს ბილეთს ვიღებ. გოგონები ბაქნისკენ მიემართებიან.

ცას ვუყურებ. წვიმის ღრუბლები ბამბის ქულებად გადაქცეულან. თვალებს ვხუჭავ. ჩემი ობაშანი და ოჟიშანი ღრუბლებზე სხედან და გამჭვირვალე ცაზე დასიერნობენ. ხელიხელსა აქვთ ჩაკიდებული. ვეძახი: „ობაშან!“ ჩერდება. სახე შეწუხებული აქვს, უნდა რაღაცა მითხრას, სწრაფად ვეუბნები: „ჩემზე არ იდარდო, დაშაქრულ წყალში არასოდეს ჩავვარდები!“ ჩემი ოჟიშანი იღიშება: „ცუბაკი, ერთხელაც შეხვედები შენ რჩეულს!“ მეც ვუღიმი და ვეუბნები: „გმადლობ ქუდისთვის!“

ფრანგულიდან თარგმანა ვინის სადრამაჲ

შენიშვნები:

- პოტარუ** — ციციანთელა
- ჰამაგური** — ზღვის ნიჟარა
- ჰონდო** — ბუდისტური სალოცავი
- ობაშანი** — ბებია
- ოჟიშანი** — ბაბუა

ფესვები უპორის წარსულში

საქართველო-ისრაელის, ქართველი და ებრაელი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა მთარგმნელები ძველი აღთქმის ნიგნების გადმოღებას შეუდგნენ ქართულად — შორეულ საუკუნეებში, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე იმაზე ოცნებაც კი, რომ ქართული მწერლობა ხელმისაწვდომი გამხდარიყო ბიბლიის შემქმნელი ერისათვის, შეუძლებელი გახლდათ. შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ იმ გამონაკლისად რჩება, რომელიც გენიალურ შემოქმედთა და ქმნილებათა ხვედრია.

ამ ბოლო წლებში ეს ხარვეზი ივსება — ისრაელში დღითიდღე ძლიერდება ინტერესი თანამედროვე ქართული მწერლობისადმი, რასაც ხელს უწყობს საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების მეცადინეობა. ამას წინათ აკადემიკოს როინ მეტრეველის, რომელიც ისრაელსა და საქართველოს შორის მეგობრულ ურთიერთობას უდგას სათავეში, და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის მეთაურობით, ქალაქ თბილისის მერიის დიდი ხელშეწყობით ისრაელში ჩატარდა ქართული პოეზიის კვირეული, დაისტამბა ბილინგვური გამოცემა ქართველი და ისრაელელი პოეტებისა ორივე ენაზე. 10 სექტემბერს კი საქართველოს მწერალთა სახლში როინ მეტრეველის მეთაურობით ჩატარდა ისრაელში გამომავალი ჟურნალის „მარეა“ („ხედა“) ბოლო ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალის ამ ნომ-

ერში რუბრიკით „კულტურათა დიალოგი“ წარმოდგენილია ქართული მწერლობა.

დაბეჭდილია: როინ მეტრეველის „ებრაელები საქართველოში“, ჯანსუღ ჩარკვიანის, მუხრან მაჭავარიანის, თამაზ ჭილაძის, ფრიდონ ხალვაშის, ბესიკ ხარანაულის, მაყვალა გონაშვილის ლექსები, თავები ზაქარია ჭიჭინაძის ნიგნიდან საქართველოს ებრაელობაზე, რამდენიმე ნიმუში გურამ ბათიაშვილის ჩანაწერების ნიგნიდან „სახეები და სიტუაციები“.

ისრაელელი პოეტები, მთარგმნელები ორციონ ბართანა, ზივა ფელდმანი, ოფრა მაცოვ-ქოენი კითხულობდნენ ქართველ პოეტთა ლექსებს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე ისაუბრეს როინ მეტრეველმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, მაყვალა გონაშვილმა.

8-10 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გამართეს თელ-ავივისა და თბილისის უნივერსიტეტებმა.

კონფერენციის მთავარი თემა გახლდათ საქართველოს, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაელობა. ნაკითხული იქნა ერთობ მაღალი სამეცნიერო დონის მოხსენებები, ზოგიერთი ქართულ მწერლობას შეეხებოდა. პროფესორმა რეუვენ ენოხმა ისაუბრა ვეფხისტყაოსნის გაპროვოცირებულ თარგმანზე, დოქტორ ზივა ფელდმანის მოხსენების თემა იყო გალაკტიონის „ქარი ქრის“, პროფესორ ორციონ ბართანასა და დოქტორ ოფრა მაცოვ-ქოენის მოხსენებები ეძღვნებოდა გურამ ბათიაშვილის რომანებს — „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“ და „მეთუე კაცი“.

პარიზელი ქალი

საფრანგეთს ვთხოვთ დახმარება? სასაცილოა!
მუხრან მაჭავარიანი

„ეს თქვენი ხელმწიფის საბატონოდამ ნამოსული ქრისტიანი დედაკაცი აქ ჩვენს საბატონოში მოვიდა და მანდ ნამოსასვლელს გზის შოვნას შემოგვეხვეს. აქ რომ ბედნიერს ყველანაირად თქვენი ელჩი არის, იმასაც წიგნი მოეწერა: გზა უშოვნეთო და სტამბოლამდინ თქვენი კაცი გაატანეთო. ჩვენ ამ დედაკაცის საქმე მოკითხული ვქენით, ქრისტიანი და კარგი ნამუსიანი დედაკაცი ყოფილა. ერთი ჯიზვიტი [იეზუიტი] პატრი და სხვა მრავალი ქრისტიანი ფრანგები სიკვდილს მოუწიებია. ამისთანას კაის დედაკაცობით უვლია და ახლა მანდ გვიხსლავია. თუ ვისმე მტერობით ამისი ურიგო ამბავი მოესხენებინოს, ნუ დაუფერებთ და ერთი წიგნი ამაღლებულს ფრანგისის ხელმწიფესაც აახელით, რომე ჩვენის გულისათვის ნურას უწყრომებენ“.

ამ წერილის ავტორი გახლავთ მეფე ქართლისა ვახტანგ VI, ხოლო ადრესატი — შარლ დე ფერიოლი, საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში. წერილის თარიღია 1707 წელი.

ვინ იყო ეს ქალი, ვისაც ასე გულმხურვალედ გამოჰქომაგებია ქართველი მეფე და თვით საფრანგეთის ხელმწიფის წინაშე გაუწევია მისთვის შუამდგომლობა?

ვეროსული წყაროები საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობენ ამ ფრანგი ქალის საოცარ თავგადასავალს. მისი სახელია — მარი, გვარი — პეტი. მოსამართლისა და მრეცხავის „უკანონო“ შვილი დაბადებულა 1675 წელს. მიუხედავად თავისი არასახარბიელო წარმოშობისა, მარის ჩინებული აღზრდა-განათლება მიუღია (აღბათ „უკანონო“ მამის შემწეობით) და ცხოვრებაში გარკვეული წარმატებისთვისაც მიუღწევია. XVIII საუკუნის დამდეგს მან სამორინე გახსნა პარიზში და, ჩანს, ცოტადენი ქონებაც მოიხვეჭა. მაგრამ სიყვარულმა და თავგადასავლების წყურვილმა უეცრად აღმოსავლეთში გადაისროლა პარიზელი ქალი, რის შედეგადაც საფრანგეთის ისტორიის ფურცლებზეც კი დაიკვიდრა პანანკინტელა ადგილი.

...1699 წელს სეფიანთა ირანიდან კათოლიკე მისიონერს, ვინმე გოდეროს, გაატანეს შაჰის წერილი საფრანგეთის მთავრობისადმი. სეფიანთა ხელმწიფეს ენადა სავაჭრო ურთიერთობის დამყარება საფრანგეთთან და შეკავშირება არაბთა კუთვნილი მასკატის დასაპყრობად. საამისოდ იგი ითხოვდა 30 ათას ფრანგ ჯარისკაცს (ოცდაათი ათასს!) და საფრანგეთის ფლოტის სამხედრო ხომალდებს. სეფიანთა პროექტის მიხედვით, მომავალი ექსპედიციის ხარჯებს თანაბრად გაიღებდა ორივე მხარე და შემდგომში ასევე თანაბრად განაწილდებოდა მასკატის შემოსავალი.

მაგრამ ირანისათვის ესოდენ მასშტაბური სამხედრო დახმარების განევა აშკარად აღემატებოდა საფრანგეთის ძალებს. ამიტომაც თავიდანვე კურსი აიღეს სავაჭრო ურთიერთობისკენ. ლუი XIV-მ გადანიშნა ელჩიონის წარგზავნა ირანში. ელჩიონის მეთაურად დანიშნულ იქნა ფრანგი სოფდაგარი ჟან ფაბრი — დაახლ. ორმოცდაათი წლის კაცი. იგი ახლახან დაბრუნებულიყო ოსმალეთიდან, სადაც კომერციულ მოღვაწეობას ეწეოდა მრავალი წლის მანძილზე.

ჟან ფაბრის დანიშვნამ ასეთ საპატიო თანამდებობაზე ფრიად გააღიზიანა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში შარლ დე ფერიოლი, რომელმაც მშვენივრად იცოდა, რომ ფაბრი უზომოდ აზვიადებდა თავის აღმოსავლურ ცოდნა-გამოცდილებას და სინამდვილეში საკმაოდ უმნიშვნელო ფიგურას წარმოადგენდა, ამასთან ერთად, მსხვილ ვალებში იყო ჩაფლული. დე ფერიოლმა თავის მხრივ წამოაყენა საელჩოს ერთ-ერთი მდივნის, გვარად მიშელის კანდიდატურა, მაგრამ მისი წინადადება რატომღაც იგნორირებულ იქნა (სხვათა შორის, საფრანგეთის ელჩი ეარშიყებოდა ჟან ფაბრის ცოლს და აიძუ-

ლა იგი, ქმრის საფრანგეთში დაბრუნების გამო, საცხოვრებლად საელჩოში გადასულიყო).

ფაბრი მართლაც ვალებში იყო ჩავარდნილი და თავისი მომავალი ხარჯებისათვის საჭირო თანხა ისევე უნდა ესესხა, მაგრამ ამასობაში მფარველი ანგელოზივით მოველინა პარიზელი ქალი — ზემოხსენებული მარი პეტი. ჟან ფაბრიმ სატრფიალო რომანი გააბა მასთან და ერთი გასროლით ორი კურდღელი მოკლა: შური იძია თავის ორგულ ცოლზე და ირანში წასასვლელი ფულიც მოიხვეჭა. მალე რწმუნებულების სიგელიც მიიღო მთავრობისაგან და 1705 წლის დამდეგს შეუდგა მზადებას ირანში გასამგზავრებლად.

საფრანგეთის ელჩიონი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო (32 წევრი და 18 მსახური). ელჩიონის წევრთა შორის ბრძანდებოდა მარი პეტიც, გადაცემული მამაკაცის სამოსელში.

ფაბრიმ და მისმა ამაღამ გემით გადაცურეს ხმელთაშუა ზღვა და ალექსანდრე იღეს გეზი. ირანში უნდა ჩასულიყვნენ ალექსანდრე-არზრუმ-ერევნის გზით, მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლებმა ელჩიონი დააკავეს ალექსანდრეში (როგორც ფიქრობენ, ფრანგი კონსულის ნაქეზებით, რომელიც უეჭველია დე ფერიოლის ინსტრუქციებს ასრულებდა).

მარი პეტი ისევე ქალად „გადაიქცა“ და უჩადროდ დასეირნობდა ალექსანდრეში, რაც ოსმალთა აღშფოთებას იწვევდა.

როცა ყველა იმედი წარეკვეთათ ალექსანდრეში გადღწევისა, ჟან ფაბრი და მისი სატრფო კონსტანტინოპოლს გაემგზავრნენ და მთელი ერთი თვე ატალახებდნენ დიდგვირის კარს. ოსმალეთის დიდგვირს არ სურდა ხელი შეეწყოს ირან-საფრანგეთის ვაჭრობისათვის და აჭიანურებდა ელჩიონის გაშვებას ოსმალეთიდან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, მოქრთამული მარი პეტის მიერ, დათმობაზე წავიდა (სხვათა შორის, კონსტანტინოპოლში ყოფნისას პარიზელი ქალი ქართულ სამოსელში იყო გამოწყობილი).

1706 წლის იანვარში ჟან ფაბრიმ და მარი პეტიმ გადაკვეთეს ოსმალეთ-ირანის საზღვარი და ჩააღწიეს ერევანს, სადაც ისინი ძალზე კარგად მიიღო ერევნის ბეგლარბეგმა მუჰამედ-ხანმა და სეფიანთა სამეფო კარს სასწრაფოდ შეატყობინა საფრანგეთის ელჩიონის მეთაურის ჩამოსვლა.

ფაბრიმ თავის სატრფოს მოძღვრად დაუნიშნა ერევანში მყოფი იეზუიტი მისიონერი ლეონარდ მოსნიე. ერთ მშვენიერ დღეს მარი რალაცაზე გაუბრაზდა ფაბრის მსახურს და სახეში ფორთოხალი ესროლა. მსახურმა მოსაკლავად გაიწია მასზე, მაგრამ პარიზელ ქალს უკვე დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული ერევანში, მისი ჩაგონებით მუჰამედ-ხანმა დააპატიმრა ხსენებული მსახური და თავი უკრა ქალაქის საპყრობილეში. იეზუიტი მოსნიე ავი თვალთ უყურებდა მარის. მან მომხდარი ამბავი დაუყოვნებლივ შეატყობინა ელჩიონის დანარჩენ წევრებს, რომლებიც უკვე არზრუმში იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი ჩამოვიდნენ ერევანს და პირდაპირ საპყრობილეს მიადგნენ თვისტომის გასათავისუფლებლად. ჯიქურ შეამტვრიეს ციხის კარიბჭე, გამოიყვანეს ტუსალი და საზეიმოდ გაატარეს ერევნის ქუჩებში.

მუჰამედ-ხანი აღშფოთდა ამგვარ თვითნებობაზე და კატეგორიულად მოითხოვა, რომ ფრანგი მსახური საპყრობილეში დაებრუნებინათ, მაგრამ სასტიკი უარი მიიღო. მაშინ ერევნის ბეგლარბეგმა ყიზილბაშთა რაზმით ალყა შემოარტყა იმ შენობას, სადაც ელჩიონი იყო დაბინავებული. გაიმართა ცხარე ბრძოლა, ორი ყიზილბაში მოკლულ იქნა, რამდენიმე დაიჭრა. ძალები მანაც უთანასწორო იყო. მუჰამედ-ხანმა შეძლო შენობის აღება და ყველანი დააპატიმრა, მათ შორის მოსნიეც, აგრეთვე — ჟან ფაბრის ვაჟი, 14 წლის ჟოზეფი, რომელიც დედამისის ნებართვით გზაში შეერთებოდა ელჩიონს.

განრისხებული ყიზილბაშები მოკვლას უპირებდნენ მოსნიეს, მაგრამ მარი პეტი ფეხებში ჩაუკვარდა მუჰამედ-ხანს და შეევედრა, ეჩუქებინა სიცოცხლე იეზუიტისათვის და დანარჩენი ფრანგებიც გაეთავისუფლებინა. მომხიბლავი ქალის ცრემლებმა გული მოუღობო ერევნის ხანს, იგი დაჰყაბულდა და იკმარა ელჩიონის ორი სომეხი მსახურის დასჯა (ორი დაღუპული ყიზილბაშის საზღაურად).

აი, სწორედ ეს ეპიზოდი ნაგულისხმევი ვახტანგ მეფის წერილში.

ამასობაში მოვიდა სეფიანთა სამეფო კარის ბრძანება, რომ საფრანგეთის ელჩიონი გამოესტუმრებინათ ერევნიდან. მუჰამედ-ხანმა უნდა ფაბრი და მისი სატრფო მიიწვია გამოსათხოვარ ნადირობაზე, სადაც საფრანგეთის ელჩს ავიცილება შეეყარა და 1706 წლის 16 აგვისტოს სული გააფრთხობინა.

შემდგომში პარიზელი ქალის მტრები ამტკიცებდნენ, რომ ერევნის ხანმა მოწამლა ფაბრი, რადგანაც ეარშიყებოდა მის სატრფოს და მეტოქე გზიდან ჩამოიშორაო, მაგრამ ზემოხსენებული მიშელი, რომელიც სრულიადაც არ ეკუთვნოდა მარის კეთილმოსურნეა რიცხვს, თვლიდა, რომ ფაბრი გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. იგი წერს ფრანგი სოვდაგარის შესახებ: „ღმერთმა, რომელიც არასოდეს ტოვებს დანაშაულს დაუსჯელად, მას მოუვლინა სასტიკი სენი და რამდენიმე დღეში სამართის კარამდე მიიყვანა“.

ფაბრის სიკვდილმა დიდი არეულობა გამოიწვია. საფრანგეთის ელჩიონი უმეთაუროდ დარჩა. მარამ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და თავი გამოაცხადა ელჩიონის მეთაურად („საფრანგეთის პრინციპების სახელით“). იგი დაეპატრონა არა მარტო ფაბრის ქონებას, არამედ ირანის შაჰისათვის გამზადებულ საჩუქრებსაც და ელჩიონის ოფიციალურ ქაღალდებს. ველარავინ ბედავდა ხმის ამოღებას, ველარც მოსნიე, და ველარც სხვები. მიშელი აღნიშნავს, რომ ერევნის ხანის მფარველობის ქვეშ მყოფი ქალბატონი ყველას ემუქრებოდა გაჯოხვითა და ბორკილებით. მიშელი იმასაც ამბობს, მუჰამედ-ხანმა მარი თავის ჰარამხანაში რამდენჯერმე შეიტყუაო.

ბოლოს და ბოლოს ერევანში დატრიალებულმა ამბებმა კონსტანტინოპოლამდე ჩააღწია. საფრანგეთის ელჩი დე ფერიოლი აღარ დაელოდა პარიზიდან რწმუნებულების სიგელის მიღებას და ირანისაკენ გაამგზავრა გამოცდილი დიპლომატი მიშელი, რომელიც ელჩიონს უნდა დასწეოდა და აწვინილ-დანეწილი საქმეები მოეგვარებინა. ელჩმა ისიც უბრძანა მიშელს, მარი პეტი დაუყოვნებლივ უკან გამოაბრუნეო.

პარიზელი ლამაზმანი კი თავბრუდამხვევ გეგმებს აწყობდა. ახლოს იყო მისი კარიერის მოელვარე მწვერვალი. ხუმრობა საქმეა, საფრანგეთის ელჩად ჩასვლა ზღაპრული აღმოსავლეთის ქვეყნის სამეფო კარზე?! მარამ იოლად მოიპოვა ერევნის ხანისაგან გზის გაგრძელების ნებართვა და სარეკომენდაციო ბარათიც თავრიზის ხანის სახელზე. ფრანგ ქალს თარჯიმნად გააყოფეს ვინმე იმამყული-ბეგი (გამაჰმადიანებული სომეხი).

1706 წლის დეკემბრის დამდეგს, როდესაც მიშელი უკვე უახლოვდებოდა ირანის საზღვარს, ელჩიონის წევრები გავიდნენ ერევნიდან. ელჩიონს მეთაურობდნენ: 14 წლის ყმანცილი ჟოზეფ ფაბრი — ელჩის ტიტულით, იეზუიტი მოსნიე და მარი პეტი (ინგლისელი მკვლევარი ლოურენს ლოკარტი ირონიულად შენიშნავს, დიპლომატიური მისიის სათავეში ასეთი უცნაური ტრიო კაცს არ სმენიაო).

მიშელმა ყოველი შემთხვევისათვის გზა აუქცია ერევანს და ნახჭევანში დაენია ელჩიონს. მაგრამ სავსებით უმწეო იყო მარის წინააღმდეგ, რომელსაც იცავდა ერევნის ხანის მიერ დანიშნული მხლებელთა რაზმი. მიშელს თავრიზშიც მოეცარა ხელი. პარიზელი ქალი, ერევნის ხანის სარეკომენდაციო ბარათის წყალობით, უკვე თავრიზის ხანის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. მიშელმა წერილი მისწერა ირანის შაჰს და აცნობა, ამ ქალის დაპატიმრება მაქვს ნაბრძანებო, მაგრამ ბედმა აქაც უმუხტოლა. წერილმა ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე, რადგან შირიკი გზაში გაძარცვეს.

მიშელის საქმე უფრო და უფრო ფუჭდებოდა. მარის თარჯიმანმა იმამყული-ბეგმა თავრიზის ხანს მოახსენა, ეს მიშელია თუ ვერმიშელი ნამდვილად თვითმარქვია არისო! აბა თავად განსაჯეთ, როგორი და სადაური ელჩია, არც რწმუნებულების სიგელი გააჩნია, არც ამაღლა ახლავს და არც საჩუქრები მიაქვს შაჰისათვისაო.

ესოდენ საფუძვლიანი და დამაჯერებელი მსჯელობა, ცხადია, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა თავრიზის ხანზე, ამიტომაც მან ძალიან ცივად მიიღო მიშელი.

თავრიზელმა მისიონერებმა მიშელი და მარი პეტი ერთმანეთს შეახვედრეს. პარიზელმა ქალმა მორჩილად იკითხა, რაც ჩემი გამოუცდელი ჩავიდინე, ამისათვის ჩამომახრჩობენ თუ არაო. მიშელმა დააიშვია, სასჯელის ასეთი უკიდურესი ზომა არ არის მოსალოდნელი. შემდეგ სთხოვა თუ მოსთხოვა, რომ შაჰისათვის განკუთვნილი საჩუქრების სია მისთვის ჩაებარებინა. ამის გაგონებაზე მარი გაცეცხლდა, მიშელიც და მოსნიეც გამოლანძღა უშვერი სიტყვებით, მერე კი გამოაცხადდა, გავმაჰმადიანდები და შაჰსაც და მის ვეზირებსაც დაეყოფილებ, ყველა მისიონერი ირანიდან გააძევიანო. მიშელმა და მოსნიემ ტკბილად მოუბარი ენით შეძლეს დაემშვიდებინათ აღელვებული ქალი, საჩუქრების სიაც გამოსტყუეს და უბრძანეს, თავრიზიდან ფეხი არ მოიცვალოო.

წურას უკაცრავად, ვერ მოგართვით! ყაზვინში ჩასულ მიშელს ფეხდაფეხ ჩაჰყვა მარი პეტიც, აღჭურვილი ერევნისა და თავრიზის ხანების სარეკომენდაციო ბარათებით. მისი გავლენა დღითიდღე იზრდებოდა. პარიზელი ქალის მტრები ამტკიცებდნენ, რომ თავრიზიდან გასვლის შემდეგ იგი „საფრანგეთის პრინციპების დელეგატად“ კი აღარ ასაღებდა თავს, არამედ — ირანის შაჰის საცოლედ!

ერთი სიტყვით, სეფიანთა ხელმწიფეს არნახული და გაუგონარი სიურპრიზი ელოდა: ერთი ქვეყნის ორი ელჩი, ერთიმეორეზე გადაამტერებულნი, ერთდროულად უნდა სწეოდნენ. საბრალო შაჰ-ჰუსეინი ხომ გაგიჟდებოდა — ერთი კაცი ორად მეჩვენებო, ქალად და კაცადო! მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში უბრეცედენტო კურიოზი მნიშვნელოვანია: ერთი ქვეყნის ორი ელჩი!!!

მაგრამ მიშელს უარი უთხრეს ყაზვინიდან გზის გაგრძელების ნებართვაზე. ადგილობრივი ხელისუფალნი მოსყიდული იყვნენ ინგლისელებისა და ჰოლანდიელების მიერ, რომელთაც არ ებიტყნებოდათ საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობა.

რაც შეეხება მარის, იგი მალე ჩავიდა თეირანის მახლობლად დაბანაკებულ სეფიანთა სამეფო კარზე (შაჰი მთელი თავისი მთავრობის თანხლებით ქალაქ მემშევედს მიეშურებოდა მოსალოცად).

პარიზელი ლამაზმანი მიიღო სეფიანთა ირანის დიდგვირმა და ნაიყვანა შაჰის ჰარამხანაში, სადაც, თავად მარი პეტის გამოთქმით, მან დაიმსახურა „ყველა შესაძლებელი პატივი“.

მეორედ დღესვე მარი თავრიზისაკენ გამობრუნებულა.

პარიზელი ქალი ამ უჩვეულო თავგადასავლის შემდეგ, ჩანს, თავის ოცნებას აღსრულებულად თვლიდა. ამასობაში შეუძლოდაც გამხდარა. იგი ეახლა თავრიზში მყოფ მიშელს და პატივებს შეევედრა. მერე სთხოვა ესკორტი და გარკვეული თანხა სამგზავრო ხარჯებისათვის. მიშელმა გააყოლა ორი მხლებელი და ცოტაოდენი ფულიც უწყალობა, ხოლო მარის მიერ უნდა ფაბრისათვის ნასესხები თანხა აუნაზღაურა ობლიგაციის ქალადღით, რომელიც ალექსანდრე უნდა გაენაღდებინათ (როგორც შემდგომში გამოირკვა, ამ ობლიგაციას ჩალის ფასიც არ ჰქონდა და საბრალო მარი მოტყუებული დარჩა).

1707 წლის ივლისში პარიზელმა ქალმა დატოვა თავრიზი. მიშელმა ბოლოს და ბოლოს მოაგვარა თავისი საქმეები და მომდევნო წელს მისი აქტიური მონაწილეობით ისპაანში დაიდო ირან-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებდა ფრანგ ვაჭრებს.

მარი პეტი თბილისში ჩამოვიდა. როგორც ჩანს, პარიზელი ლამაზმანი გულთბილად მიუღიათ ვახტანგ VI-ის სამეფო კარზე. მაგრამ ქართველი მეფის გულწრფელი შუამდგომლობა, ალბათ, არც გაცდენია კონსტანტინოპოლს.

მარი პეტი სამშობლოში დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს, გაასამართლეს და საპყრობილეში ჩააყუდეს. ტუსაღის უნუგეშო ხვედრს, ოდნავ მაინც, შეუშლუბუქებდა თვალისმომჭრელი მოგონებანი ეგზოტიკურ აღმოსავლეთზე.